თორნიკე შარაშენიძე

დიპლომატიის ისტორია



1890–1920

თორნიკე შარაშენიძე

დიპლომატიის ისტორია

1890–1920

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

თორნიკე შარაშენიძე
დიპლომატიის ისტორია. 1890-1920

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი
2015

რედაქტორი ნინო გოგალაძე
დიზაინერები: ლადო ლომსაძე, თამარ თათელაძე
რუკები სანდრო შარაშენიძე

თბილისი 2015
© თორნიკე შარაშენიძე, 2015

ყველა უფლება დაცულია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ელ-ფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-23-457-6

Tornike Sharashenidze
HISTORY OF DIPLOMACY. 1890-1920

Tbilisi 2015
© Tornike Sharashenidze
All rights reserved

Sulakauri Publishing, Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“

ეძღვნება ალექსანდრე რონდელს – ამ წიგნის
დიდ გულშემატკივარს

შინაარსი

თავი 1. დიდ აფეთქებამდე

ორი ნათესავი. 9
ორი მეგობარი 20
ევროპის ახალი ავადმყოფი 25
ევროპის ძველი ავადმყოფი 29
კაფკას წარმოსახვა 32

თავი 2. დიდი აფეთქება

სარაევო. 38
რეაქცია. 41
პირველი ულტიმატუმიდან პირველი ომის გამოცხადებამდე 45
დომინოს ეფექტი 50
ბოლო ნახტომები 56

თავი 3. აგვისტო და მარნა

შლიფენი და წითელშარვლიანები 71
ლეგენდები და სიურპრიზები. 77
რუსული კატასტროფა. აქტი 1 81
ფრანგების ხსნა. 87

თავი 4. სანგრების დიპლომატია

1914 წლის განაჩენები 97
სანგრები და დარდანელი 102
რუსული კატასტროფა. აქტი 2 109
სხვა კატასტროფები 112

თავი 5. 1916

რა იყო ვერდენი. 120
სომამდე. 124
ორმხრივი თვითმკვლელობა 129
წლის ხმაურიანი დასასრული. 132

თავი 6. საუკუნოვანი რყევები

გიგანტის შემოსვლა 139
რუსული კატასტროფა. აქტი 3 145
საყოველთაო ქაოსი 151
პაპის ინიციატივა; მესამე იპრი; უკანასკნელი ისონძო; ვეფხვის შემოსვლა . 154
რუსული კატასტროფა. აქტი 4 159

თავი 7. აგონია და დასასრული

14 პუნქტი; ბრესტის ზავი (რუსული კატასტროფა. აქტი 5) 168
როგორ შეიცვალა ყველაფერი დასავლეთის ფრონტზე 176
რუსული კატასტროფა. აქტი 6 181
„გერმანული რევოლუცია“ 187
დაზავება 190

თავი 8. დაუსრულებელი საქმე

გამარჯვებულები პარიზის კონფერენციაზე 198
რუსეთის საკითხი 201
მთავარი საკითხები 205
ახალი ერები რუკაზე 215
განაჩენი 226
ბოლოთქმა 230
ქრონოლოგია 236

თავი 1. დიდ აფეთქებამდე

ორი ნათესავი

მას შემდეგ, რაც ბისმარკმა თანამდებობა დატოვა, გერმანიის საგარეო პოლიტიკა უნიჭო ტრაგიკომედიად იქცა. ტრაგიკომედიის ავტორი ახალი იმპერატორი ვილჰელმი გახლდათ, რომელიც რკინის კანცლერის გაშვების შემდეგ ქვეყანას თავის ჭკუაზე მართავდა. სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტი იყო ყველაზე დიდი პრობლემა, რადგანაც ვილჰელმს ჭკუა და ხასიათი ერთობ ხშირად ეცვლებოდა. დილით ერთ გუნებაზე იყო, საღამოს კი – სხვაზე. ხან ლამის მთელ ევროპას ემუქრებოდა, ხან კი ყველას მეგობრობას ეფიცებოდა. მოკლედ, მეტად არაპროგნოზირებადი და ცვალებადი ხასიათის ადამიანი გახლდათ. ასეთი ხასიათით ადამიანები პრობლემებს ქმნიან ოჯახში, სამსახურში და ცხადია, კიდევ უფრო დიდი პრობლემას ქმნიან, თუკი ისინი მსოფლიო პოლიტიკაში არიან გარეულნი. გერმანია მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო და, შესაბამისად, მისი ლიდერი მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ფიგურას წარმოადგენდა. ლიდერი რბილი ნათქვამია. ლიდერები ჰყავდა საფრანგეთსა და ინგლისსაც პრემიერ-მინისტრების სახით, მაგრამ ისინი ხშირად იცვლებოდნენ. გერმანიის ლიდერი კი იმპერატორი გახლდათ, რომელიც 1888 წელს ავიდა ტახტზე, უკვე 26 წელი მართავდა კონტინენტის უძლიერეს სახელმწიფოს და წესით კიდევ დიდი ხნით უნდა ემართა.

ვილჰელმის გარდა პრობლემას გერმანიას (და შესაბამისად, მთელ მსოფლიოს) ბისმარკის მემკვიდრეობაც უქმნიდა, ან იქნებ, უფრო მემკვიდრეობის არქონა. ბისმარკმა ევროპაში ურთულესი და არნახული ალიანსების სისტემა შექმნა, რომელსაც, მისი აზრით, გერმანიის უსაფრთხოება უნდა დაყრდნობოდა. მაგრამ ამ სისტემის მართვას მხოლოდ უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე თუ შეძლებდა. ასეთი კი ბისმარკის წასვლის შემდეგ გერმანიაში არ აღმოჩნდა და ეს უპირველესად სწორედ „რკინის კანცლერის“ გამოისობით მოხდა. იგი გერმანიას თავის ჭკუაზე მართავდა და რაიმეს რომ არ დაებრკოლებინა, ჯანსაღ პოლიტიკურ ცხოვრებას ახშობდა და ხელს უშლიდა ძლიერი პარლამენტის განვითარებას. მოკლედ, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ვინმეს საშუალება არ მისცემოდა მის საქმეში ჩარეულიყო და საქმიანი შენიშვნა მიეცა. შედეგად ბისმარკმა ქვეყანა თავის ჭკუაზე მართა (ანუ, კარგად მართა), მაგრამ მისი წასვლის შემდეგ გერმანიის პოლიტიკაში დიდი სიცარიელე დარჩა, რომელიც ვერ

შეავსეს ვერც მის მიერ კონტროლირებად პარლამენტში გამოზრდილმა პოლიტიკოსებმა და ვერც იმ მაღალჩინოსნებმა, რომელთაც რკინის კანცლერი გულის სიღრმეში სძულდათ სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის იმიტომაც, რომ მისი დიპლომატია არ ესმოდათ.

რკინის კანცლერის მემკვიდრეები თავიანთ ჭკუაზე ვერ ატრიალებდნენ ახალ იმპერატორს (როგორც ამას ყოფილ იმპერატორთან ბისმარკი ახერხებდა) და ამიტომ გერმანიის საგარეო პოლიტიკას მის ხასიათს არგებდნენ. ხასიათი, როგორც ვთქვით, ცვალებადი იყო. მასზე მორგებული პოლიტიკა კი, როგორც წესი – უნიჭო.

გერმანიის ახალმა მმართველებმა უპირველეს ყოვლისა იმით გამოიჩინეს თავი, რომ რუსეთთან გადაზღვევის შეთანხმება არ გააგრძელეს (1890). ეს მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საგარეო მინისტრი, გერმანული წარმოშობის გირსი თანამემამულეების უარმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და მზად იყო, ყველა დათმობაზე წასულიყო. მას შემდეგ, რაც პრუსიამ საფრანგეთი დაამარცხა და ელზასი და ლორენი წაართვა, გერმანელებმა დასავლეთის ფლანგზე გარანტირებული მოწინააღმდეგე შეიძინეს და ორ ფრონტზე ომის ასაცილებლად რუსეთთან მტკიცე მეგობრობა ესაჭიროებოდათ. ცხადია, ეს ყველაზე უკეთ ესმოდა ბისმარკს, რომელიც რუსეთს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. მაგრამ მისმა მემკვიდრეებმა ყველაფერი შეცვალეს და თავდაყირა დააყენეს. ერთ-ერთ მიზეზად კი ის მოიყვანეს, რომ რკინის კანცლერისგან მიღებული ასეთი რთული მემკვიდრეობის (ალიანსების ჩახლართული სისტემის) მართვა შეუძლებელი იყო და ამიტომაც მემკვიდრეობის მოშლა გახდა საჭირო. ოღონდ ეს მოშლა რატომღაც სწორედ რუსეთთან გადაზღვევის შეთანხმების გაუქმებით დაიწყეს (იმ საბაბით, რომ იგი სხვა შეთანხმებებს ეწინააღმდეგებოდა) და ყველაფერი ამითვე დაასრულეს. ამრიგად ,ბერლინმა აღმოსავლეთ ფლანგზე შესაძლო მოწინააღმდეგესთან ბოლო მეგობრული შეთანხმება გაწყვიტა და ორ ფრონტზე ომიც გამოიწერა.

ერთადერთი შედარებით რაციონალური მიზეზი, რომელიც ბისმარკის მემკვიდრეებმა ამ ნაბიჯის გადადგმისას მოიტანეს, შემდეგი იყო: მათ ინგლისთან ალიანსის გაფორმება ჰქონდათ ჩაფიქრებული და ამის გასაკეთებლად ლონდონისათვის ტრადიციულად პრობლემურ სახელმწიფოსთან (რუსეთთან) მეგობრობა უნდა დაესრულებინათ. მართლაცდა, ინგლისს ტრადიციულად ცივი ურთიერთობები ჰქონდა რუსეთთან (სრუტეებისა და ინდოეთის მიმართულებით რუსული ექსპანსიის გამო), რასაც ის დაემატა, რომ, ეგვიპტური კრიზისიდან მოყოლებული, საფრანგეთთან აერია ურთიერთობები, რომლებიც ვერა და ვერ დალაგდა. მოკლედ, გერმანელთა გათვლით, დადგა დრო, როცა ამპარტავან და იზოლაციონისტ ინგლისელებს კონტინენტზე მოკავშირე მოეძებნათ და ასეთ ვითარებაში ვინ იქნებოდა ეს მოკავშირე, თუ არა ბერლინი?

მაგრამ ინგლისის ლოგიკა სხვაგვარი აღმოჩნდა: ჯერ ერთი, გერმანია უკვე კონტინენტის უძლიერეს სახელმწიფოდ ქცეულიყო და მასთან ალიანსი თუნდაც ამის გამო ცოტა აზრს მოკლებული იყო (ინგლისი, ისტორიულად, უძლიერესი სახელმწიფოების დაბალანსებას ცდილობდა და არა – მათ გაძლიერებას); მეორეც, უბრალოდ ინგლისი ალიანსებს ასე იოლად არავისთან აფორმებდა, მით უმეტეს მშვიდობიანობის დროს. დაბოლოს, გერმანია, როგორც პარტნიორი, მაშინ ფასობდა, როცა ბევრ სახელმწიფოსთან ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა. ეს თავის დროზე ბისმარკმა შეძლო – საფრანგეთის გარდა მას ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და სწორედ ამის წყალობით შეიტყუა ინგლისი ე.წ. ხმელთაშუა ზღვის ანტანტაში. მეტი ინგლისთან მას არ უცდია. მისმა მემკვიდრეებმა კი სცადეს – ინგლისთან სრულფასოვანი ალიანსი მოინდომეს – მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ევროპაში დიპლომატიური პოზიცია კიდევ უფრო გაემყარებინათ და ამგვარად თავიანთი მნიშვნელობა და ფასი აეწიათ, მათთვის ყველაზე საჭირო სახელმწიფოსთან გაიფუჭეს ურთიერთობა. მათი ფასიც მაშინვე დავარდა და ინგლისმაც უარით გაისტუმრა. გერმანიას უკვე ორივე დიდ მეზობელთან ჰქონდა პრობლემა და მას გაცილებით უფრო მეტად სჭირდებოდა ინგლისი, ვიდრე ინგლისს სჭირდებოდა იგი. გერმანია თავისი ხელით სპობდა კავშირებს მეგობრებთან და მისი საგარეო პოლიტიკა არასერიოზული ჩანდა.

ამ არასერიოზულობამ თანდათანობით ახალი მასშტაბები შეიძინა. ვინაიდან ინგლისთან ალიანსზე „მეგობრული მოლაპარაკებებიდან“ არაფერი გამოდიოდა, ბისმარკის მემკვიდრეებმა ლონდონის დაშანტაჟება გადაწყვიტეს და ე.წ. კონტინენტის ლიგის შექმნაზე გააბეს მოლაპარაკებები. გეგმის მიხედვით, გერმანიის დროშის ქვეშ ყველა დიდი სახელმწიფო უნდა გაერთიანებულიყო (ინგლისის გარდა) და ამის შემდეგ გერმანიას ამპარტავანი ინგლისელებისათვის პირობები ეკარნახა. ლიგაში შესვლის სანაცვლოდ ყველა ნახავდა რაღაც ხეირს (ცხადია, გერმანელთა ნებართვითა და დახმარებით): საფრანგეთსა და იტალიას აფრიკაში უნდა მიეღოთ გარკვეული ტერიტორიები, რუსეთს – კორეა, ავსტრია-უნგრეთს – რაიმე ტერიტორია ბალკანეთზე და ა.შ.

ამ გრანდიოზული პროექტიდან, ცხადია, არაფერი გამოვიდა და არც შეიძლებოდა გამოსულიყო. ფრანგები ინგლისზე ეგვიპტის გამო კი იყვნენ გამწყრალნი, მაგრამ ეგვიპტე ახლოსაც ვერ მივიდოდა ელზასთან და ლორენთან, ამიტომ სანამ ამ უკანასკნელთა საკითხი არ გადაწყდებოდა გერმანიასთან ერთად ისინი არავითარ ლიგაში არ შევიდოდნენ. ბერლინში ამ რეალობას აშკარად ვერ აცნობიერებდნენ და როცა 1896 წლის დასაწყისში ინგლისელებს ტრანსვაალის რესპუბლიკაში (სამხრეთ აფრიკა) მთავრობის დამხობის ოპერაცია ჩაუვარდათ, ჩათვალეს, რომ მოქმედების დრო დადგა. ვილჰელმმა ტრანსვაალის პრეზიდენტს დეპეშით მიულოცა გამარჯვება და აღნიშნა, რომ ეს გამარჯვება „მეგობარი სახელმწიფოე-

ბის დახმარების გარეშე“ იქნა მიღწეული. „მეგობარ სახელმწიფოებში“, ცხადია, გერმანია იგულისხმებოდა, ანუ ვილჰელმი მიანიშნებდა, რომ შეიძლებოდა იგი ტრანსვაალს ინგლისელთა წინააღმდეგ დახმარებოდა. ამ საჯარო ჟესტის პარალელურად, გერმანელები ლონდონს ჩუმად დაემუქრნენ, რომ, თუკი ეს უკანასკნელი მათთან ალიანსში არ შევიდოდა, კონტინენტურ ლიგასთან ექნებოდა საქმე.

შანტაჟმა უკუშედეგი გამოიღო. ლონდონში დათმობის ნაცვლად ფლოტის მობილიზაცია მოახდინეს და ამ უბრალო ჟესტით მთელ მსოფლიოს დაანახეს ერთი რეალობა: სანამ ინგლისელები ზღვებს აკონტროლებდნენ, არა მხოლოდ მათი მშობლიური ბრიტანეთის კუნძული, არამედ მათი დომინიონები და კოლონიებიც კი ყველასთვის მიუწვდომელი იყო. ამას ისიც დაემატა, რომ „ლიგის წევრებიდან“ გერმანიის გარდა ინგლისთან დაპირისპირების სურვილს არავინ ამჟღავნებდა. თუმცა, დიდი სურვილი აღარც გერმანიას ეტყობოდა და, კაცმა რომ თქვას, შესაძლებლობაც არ ჰქონდა.

ლიგა მაშინაც კი ვერ შეიქმნა, როცა 1899 წელს ინგლისელები ტრანსვაალთან სრულმასშტაბიან ომში ჩაებნენ. რაც უნდა ღრმად ჩაფლულიყო ლონდონი სამხრეთაფრიკულ კონფლიქტში, კონტინენტზე მის მეტოქე სახელმწიფოებს შორის არსებული სერიოზული უთანხმოებები არსად ქრებოდა, ფლოტის წყალობით კი ინგლისი კვლავაც მიუწვდომლად რჩებოდა. როცა ვილჰელმმა ბოლოს და ბოლოს ეს ფაქტი გააცნობიერა, გადაწყვიტა, რომ გერმანიაც ინგლისივით გლობალური სახელმწიფო უნდა გამხდარიყო, ყველგან უნდა ჰქონოდა კოლონიები და ასევე ჰყოლოდა უდიდესი ფლოტი. მოყოლებული იქიდან, გერმანიის ინტერესების სფეროდ მთელი მსოფლიო უნდა ქცეულიყო: ყველა კონტინენტზე, ყველა კუთხეში გერმანიას თავისი ინტერესი უნდა ჰქონოდა. ასე იშვა ე.წ. weltpolitik, ანუ მსოფლიო (გლობალური) პოლიტიკა.

ამბიციებში თითქოსდა ცუდი არაფერია, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკაში ამბიციებს გეოგრაფია უნდა უწყობდეს ხელს. ინგლისს ამ მხრივ ყველაფერი კარგად ჰქონდა: როგორც კუნძულს, მას ვერავინ ემუქრებოდა და ისიც გლობალურ პოლიტიკას ატარებდა. მაგრამ გერმანია საფრანგეთსა და რუსეთს შორის იყო მოქცეული და სანამ გლობალურ პოლიტიკაზე გადავიდოდა, ეს უბრალო გეოგრაფიული გარემოება უნდა გაეთვალისწინებინა და სამეზობლოს პრობლემა მოეგვარებინა – მეზობლები ან მეგობრებად ექცია, ან გაენეიტრალებინა. სწორედ ასეთი პრინციპით, თავის დროზე ხელისუფლებაში ახლად მოსულმა ნაპოლეონ ბონაპარტმა ინგლისზე გალაშქრების ნაცვლად ჯერ ავსტრიელები გააძევა იტალიიდან – საფრანგეთის უშუალო სამეზობლოდან.

გერმანიას ნაპოლეონი არ ჰყავდა, თუმცა ეს მისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. ნაპოლეონის არყოლას კარგად ანაზღაურებდა თავის დროზე ჯერ კიდევ პრუსიელების მიერ შექმნილი გენერალური შტაბი

და სამხედრო აკადემია, რომელიც კარგად განსწავლულ, პროფესიონალ ოფიცრებს უშვებდა. ალბათ ასევე ვერ იგრძნობდა გერმანია ბისმარკის წასვლასაც, ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური სისტემა და კარგი დიპლომატიური სკოლა რომ ყოფილიყო. მაგრამ პრუსიისათვის (გერმანია კი პრუსიულ სისტემასა და ტრადიციებზე იდგა) პირველხარისხოვანი ყოველთვის ჯარი იყო და არა დიპლომატია. მოკლედ, უნიჭო და უთავბოლო დიპლომატიამ, კერძოდ კი გადაზღვევის შეთანხმების არგაგრძელებამ, გერმანიისათვის მალე ლოგიკური შედეგი მოიტანა – რუსეთმა საფრანგეთთან გააფორმა ალიანსი (1894). ორ ფრონტზე ომი ბოლოს და ბოლოს რეალობად იქცა, გერმანიის არასახარბიელო გეოგრაფია კი პოტენციურიდან რეალურ საფრთხეში გადაიზარდა.

გაიაზრეს რა ეს ახალი რეალობა, გერმანელებმა ინგლისთან ალიანსის გაფორმებასთან ერთად ახალი მიზანი დაისახეს: ფრანგულ-რუსული ალიანსის გაწყვეტა. საამისოდ ისინი, როგორც იტყვიან, საფრანგეთს მათრახს არ აკლებდნენ, რუსეთს კი – თაფლაკვერს. თუმცა, მათრახის საბოლოო მიზანი რა იყო, ამაში გარკვევა არც ისე იოლია. თუკი საფრანგეთი დაუძინებელი მტერი იყო, რომლისთვისაც ბერლინში ცუდის მეტი არაფერი ემეტებოდათ, მაშინ წესით გერმანელებს დღენიადაგ ამ მტრის ხელმეორედ განადგურებაზე უნდა ეფიქრათ. ამის შანსი მათ მიეცათ კიდეც. 1904 წელს რუსეთი კორეის გამო იაპონიასთან ომში გაეხვა, რომელიც ყველასდა მოულოდნელად წააგო. თუმცა, წაგებაცაა და წაგებაც – ჯერ კიდევ ომის მსვლელობისას რუსეთში რევოლუციამ იფეთქა. მსოფლიოს უდიდეს, მაგრამ ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ იმპერიაში ისედაც არ იყო ყველაფერი კარგად და როცა იმპერიამ აზიურ ქვეყანასთან ომში წარმატებას ვერ მიაღწია, მისმა მოსახლეობამ ეს ველარ აიტანა და ქუჩაში გამოვიდა. 1905 წელს, როცა ომი საბოლოოდ წააგო, რუსეთი ისეთმა მძიმე კრიზისმა მოიცვა, რომ მმართველი რეჟიმის ყოფნა-არყოფნაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ხოლო პარიზისათვის სამხედრო დახმარების გაწევაზე ლაპარაკიც აღარ იყო. გერმანიას შეეძლო საფრანგეთი დაემარცხებინა (გამომდინარე თავისი ჯარის სიძლიერიდან, ეს არ უნდა გასჭირვებოდა), დაუძინებელი მეტოქე სერიოზულად დაესუსტებინა და ორ ფრონტზე ომის არასახარბიელო პერსპექტივა რამდენიმე წლით მაინც გადაევადებინა.

მაგრამ ისე მოხდა, რომ გერმანიამ ამ შანსის გამოყენების ნაცვლად უბრალოდ საფრანგეთის შევიწროება და დიპლომატიური იზოლაცია მოინდომა. ბერლინში მოითხოვეს, რომ კონფერენციაზე გაეტანათ მაროკოს საკითხი, რომელიც ინგლისელთა თანხმობით საფრანგეთის გავლენის სფეროდ უნდა ქცეულიყო. კონფერენცია საბოლოოდ არა საფრანგეთის, არამედ გერმანიის დიპლომატიური მარცხითა და დამცირებით დასრულდა, რომელსაც მხარი თითქმის არავინ დაუჭირა. რამდენიმე წელიწადში (1911) გერმანიამ კვლავ განაახლა პარიზის მისამართით

მუქარა მაროკოს გამო და, როგორც აღმოჩნდა, იაპონიისგან სირცხვილ-ნაჭამი რუსეთი კვლავაც არ იყო მზად, ფრანგებს დახმარებოდა. მაგრამ როგორც კი ინგლისის ფინანსთა მინისტრმა (და მომავალმა პრემიერ-მინისტრმა) დევიდ ლოიდ-ჯორჯმა ბერლინის გამოხდომები მკაცრად დაგმო, გერმანელებმა ისევ უკან დაიხიეს. ვილჰელმს, როგორც გაირკვა, მაროკოს გამო ომი სულაც არ სურდა. მას საერთოდაც არ სურდა ომი. ოღონდ რა უნდოდა – საკითხავი, აი, ეს იყო. ევროპაში ამ კითხვაზე პასუხი თითქმის არავის ჰქონდა.

და მაინც, იაპონიის წყალობით, ვილჰელმმა თითქმის მიაღწია კიდეც ფრანგულ-რუსული ალიანსის გაწყვეტას. 1905 წლის ზაფხულში, როცა რუსეთს ომი უკვე წაგებული ჰქონდა, მან თავისი ნათესავი (გარეგნობით ძაშ-ვილი), რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II შეხვედრაზე დაითანხმა. ეს მაინდამაინც ძნელი არ იყო. ჯერ ერთი, რუსეთს რთული დღეები ედგა და გერმანიასთან მოლაპარაკებაზე უარს ვერ იტყოდა; მეორეც, რუსეთის იმპერატორს ვილჰელმთან ახლო ურთიერთობები აკავშირებდა. ვილ-ჰელმმა ლამის ბავშვობიდანვე ჩაიფიქრა, უმცროსი ნათესავი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია და საამისოდ არაფერს იშურებდა. იგი ლამის ყოველდღიურად წერდა წერილებს ნიკოლოზს, რათა თავის ჭკუაზე გადაეყვანა და ამგვარად მოეგვარებინა გერმანულ-რუსული ურთიერ-თობების პრობლემა. ეს მცდელობა ნამდვილად გამართლებული იყო, რადგან ნიკოლოზს ვილჰელმზე კიდევ უფრო სუსტი და მერყევი ხასიათი ჰქონდა. „ჩემო უძვირფასესო ნიკი“, – ასე მიმართავდა იგი ნათესავს თავის წერილებში, რომელთაც ლამის ყოველდღიურად უგზავნიდა და განგებ ინგლისურ ენაზე წერდა, რითაც ხაზს უსვამდა ფრანგებთან თავის ცუდ დამოკიდებულებას (მაშინ ევროპაში ძირითადად კვლავაც ფრანგულად ურთიერთობდნენ). „შენი ყველაზე მეტად მოყვარული მეგობარი ვილი“, – ასე ასრულებდა ხოლმე მორიგ მიმოწერას.

ვილის ბედმა გაუღიმა იმ მხრივ, რომ ნიკი გაცილებით ადრე ავიდა ტახტზე, ვიდრე ამას ვინმე წარმოიდგენდა. მისი მამა, რუსეთის იმპერა-ტორი ალექსანდრე III, ნამდვილი რუსი ავტოკრატი და საოცარი ფიზი-კური ძალის მქონე ადამიანი, მოულოდნელად გარდაიცვალა (1894) და მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა 26 წლის ასაკის კვალობაზე ერთობ უვიც და გამოუცდელ ნიკოლოზს დარჩა. მამამისი შვილს სერიოზულად არასოდეს უყურებდა, ქალაჩუნად მიაჩნდა და ფიქრობდა, რომ ძალიან დიდი შრომა და დრო დასჭირდებოდა მომავალი იმპერატორისათვის საჭირო ცოდნისა და თვისებების შესაძენად. აქედან გამომდინარე, ალექსანდრე თავის მემკვიდრეს სწავლა-განათლებითა და წვრთნით დიდად არ ტვირთავდა და მის წამოზრდას ელოდა. თავად ნიკოლოზს კი თავში არც მოსდიოდა, რომ სახელმწიფო მართვის საქმე შეესწავლა, უბრალოდ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი საერთოდ არ უყვარდა. ის კი არა, ოფიციალური მიღე-ბები და ცერემონიებიც კი ეჯავრებოდა. მაგრამ მამამ ის ვერ გათვალა,

რომ თვითონ შეიძლებოდა უეცრად წასულიყო ამქვეყნიდან და იმპერია მის უნიათო შვილს დარჩენოდა.

ნიკოლოზის კორონაციის დროს ტრაგედია დატრიალდა – დამსწრე ხალხის მასაში რაღაც მიზეზით პანიკა ატყდა და ჭყლეტასა და არეულ-ბაში ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ეს იყო ნიკოლოზის პირველი ტრაგედია და მის მმართველობასთან დაკავშირებული პირველი სისხლი, რომელიც კიდევ ბლომად უნდა დაღვრილიყო, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ერთობ რბილი და სასიამოვნო ადამიანი გახლდათ და ყველაზე ნაკლებად სწორედ ძალადობა სურდა. რეფორმის მომხრეები ნიკოლოზის ტახტზე ასვლას მიესალმნენ, რადგან იმედოვნებდნენ, რომ ტირანი მამისგან დაჩაგრული შვილი ქვეყანაში ცვლილებებს შემოიტანდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ: ახალი იმპერა-ტორი აპირებდა, მამის გზა გაეგრძელებინა და რუსეთი ისე ემართა, როგორც მას მიაჩნდა სწორად– ერთპიროვნულად, „ღვთისაგან ნაბოძები მანდატით“. მოკლედ, რუსი რეფორმატორების მოლოდინი არ გამართლ-და. არ გაუმართლა მთლიანად რუსეთსაც, რადგან ერთპიროვნული მმართველობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს კარგი, როცა მმართველი კარგია. ნიკოლოზზე კი ეს არ ითქმოდა.

სამაგიეროდ, როგორც უკვე ვთქვით, ვილის გაუმართლა. მას შანსი ჰქონდა, თავის ნათესავთან დამყარებული განსაკუთრებული ურთიერ-თობა გამოეყენებინა და რუსეთი მოკავშირედ ექცია. აქ ისიც საინტერე-სოა, რომ, როცა ნიკოლოზი ტახტზე ავიდა, ეგონა, რუსეთი გერმანია-სთან ისევ მეგობრობდა და მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეიტყო, მეგობრად საფრანგეთი ქცეულიყო.

1905 წლის ივლისში ვილი და ნიკი ერთმანეთს ბიორკოში (თანამე-დროვე ფინეთი) შეხვდნენ. ნიკის ადგილას ყოფნას ალბათ არავინ ისურვებდა. როგორც უვე ვთქვით, რუსეთს იაპონიასთან ომი ახალი წაგებული ჰქონდა და მძიმე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ წინ იყო. ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები უკვე რევოლუციაში გადაზრდილიყო. ნიკის „სისხლიანი ნიკოლოზიც“ კი შეარქვეს მას შემ-დეგ, რაც 1905 წლის იანვარში მასთან თხოვნით მისულ ხალხს ჯარმა ცეცხლი გაუხსნა (საუბარია „სისხლიან კვირად“ წოდებულ მოვლე-ნებზე). მოკლედ, ნიკოლოზი წარმატებულ მონარქად ვერ ჩაითვლებოდა. ვერც ქორწინებაში ჩანდა დიდად წარმატებული. ოჯახში იგი თავისი ცოლის, ალექსანდრას გავლენისა და კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ალექსანდრა ჰესეს პრინცესა, ინგლისის დედოფალ ვიქტორიას უსაყ-ვარლესი შვილიშვილი და ვილის მკვიდრი ბიძაშვილი იყო, რაც კიდევ უფრო ამყარებდა რუსულ და გერმანულ სამეფო ოჯახებს შორის კავშირს (ნიკოლოზს ასეთივე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ინგლისის სამეფო ოჯახთან – იგი მეფე ჯორჯ V-ს დეიდაშვილი იყო, ამ უკანასკნელის მამი-დაშვილი კი, თავის მხრივ, ვილი გახლდათ). თავის დროზე ნიკოლოზისა

და ალექსანდრას ქორწინებას ვილიმ აქტიურად დაუჭირა მხარი, რადგან იმედოვნებდა, რომ თავისი ბიძაშვილის მეშვეობით კიდევ უფრო მეტ გავლენას მოიპოვებდა რუსეთის მომავალ იმპერატორზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიკოლოზის ქორწინება დიდად წარმატებული არ ყოფილა. მართალია, მან სიყვარულით იქორწინა, ბევრი შვილი ჰყავდა, ოჯახში თავისი მდგომარეობით კმაყოფილი იყო და საერთოდაც, ალბათ მხოლოდ შინ თუ გრძნობდა თავს მშვიდად, მაგრამ, ამავე დროს, დედოფალს მეტად ცუდი ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგის ელიტასთან და განსაკუთრებით – მის პროგრესულ ნაწილთან (რის წყალობითაც იგი საბოლოოდ რასპუტინის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა). უბრალო ხალხს იგი საერთოდ არ უყვარდა და ბოლომდე „გერმანელად“ მოიხსენიებდა. ალექსანდრას რუსეთში ჩასვლა იმპერატორ ალექსანდრ III-ის გარდაცვალებას დაემთხვა და ხალხმაც ჩათვალა, რომ მას „ცუდი ფეხი ჰქონდა“ (სინამდვილეში კი იმპერატორი უკვე სიკვდილის პირას იყო და ამის გამო უბრალოდ ნიკოლოზს ალექსანდრაზე დაქორწინების უფლება მისცა, რასაც მანამდე ეწინააღმდეგებოდა). ნიკოლოზისა და ალექსანდრას ერთადერთი ვაჟი (და, შესაბამისად, ტახტის მემკვიდრე), როგორც მალე უნდა გარკვეულიყო, ჰემოფილიით იყო ავად (ეს ამბავი ბოლომდე საიდუმლოდ რჩებოდა). ეს დაავადება ალექსანდრამ მიიტანა რუსულ სამეფო ოჯახში. თავად იგი ჰემოფილიის გადამტანი იყო, ისევე როგორც მისი ბებია, დედოფალი ვიქტორია. ასე უწია ნიკოლოზს ნათესაური ქორწინებებისა და სისხლის აღრევის წყევლამ.

ნიკის ფონზე ვილი ყოველმხრივ შესაშურ მონარქად წარმოჩინდებოდა. მისი იმპერია დღითი დღე ძლიერდებოდა. ეკონომიკით (ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით) ევროპაში მხოლოდ ინგლისს ჩამორჩებოდა, მაგრამ ეს ჩამორჩენაც სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. გერმანიის ჯარი მსოფლიოში უძლიერესი იყო და ჯარს სულ უფრო და უფრო უწყობდა ფეხს ფლოტი. თავად ვილის ბავშვობიდან უამრავი პრობლემა და კომპლექსი გააჩნდა, რადგან ცალ ხელს წესიერად ვერ ხმარობდა. მაგრამ თავდაუზოგავი ვარჯიშის წყალობით გერმანიის მომავალმა იმპერატორმა ნაკლთან გამკლავება ისწავლა და შესანიშნავ მხედრად და სპორტსმენად იქცა. თავისი მიღწევით აღტაცებული იგი თავის კაბინეტში ცხენის უნაგირიან სკამზე იჯდა ხოლმე და დღეში რამდენჯერმე იცვლიდა სამხედრო უნიფორმას. მოკლედ, 1905 წლის ივლისში ერთმანეთს შეხვდა ორი უდიდესი ქვეყნის მონარქი, ორი იმპერატორი, ორი ნათესავი, ორი ბავშვი...

შეხვედრა ისე წარიმართა, ვილი რომ ვერ ინატრებდა. მან მალე მოახერხა ნიკის დარწმუნება, რომ რუსეთს გერმანიასთან ალიანსი სჭირდებოდა და ყველაფერი მალე გაფორმდა. ნიკოლოზმა თავის თანმხლებ ფლოტის მინისტრს შეთანხმებაზე ისე მოაწერინა ხელი, რომ ტექსტს ხელი დააფარა და მას არ წააკითხა. ვილჰელმი ზეიმობდა, გერმანიის

მაშინდელი კანცლერი, მლიქვნელობის განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული ბერნარდ ფონ ბიულოვი თავის იმპერატორს გუნდრუკს უკმევდა და დიპლომატიის გენიოსად აცხადებდა.

მაგრამ იმპერატორმა ერთი რამ ვერ გაითვალისწინა: ნიკოლოზი იმდენად მერყევი იყო, რომ მან გერმანიასთან გააფორმა ალიანსი, რომლითაც საფრანგეთთან ალიანსს რეალურად ხაზი გადაუსვა. ასე მერყევ ადამიანს ასევე მარტივად შეიძლებოდა გერმანიასთან ახლადგაფორმებულ ალიანსზეც ეთქვა უარი. ეს მალე მოხდა კიდეც – თითქმის მაშინვე, როცა იმპერატორის მრჩევლებმა მისი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბიორკოში მომხდარის შესახებ შეიტყვეს. ნიკოლოზი იოლად გადაარწმუნა (უფრო იოლად, ვიდრე მანამდე იგი ვილჰელმმა დაარწმუნა) სერგეი ვიტემ – წარსულში ჯერ ტრანსპორტისა და შემდეგ ფინანსთა მინისტრმა, ბისმარკის თაყვანისმცემელმა და დიდებულმა რეფორმატორმა, რომელმაც თავის დროზე სწორედ ფრანგებისგან მიღებული კრედიტებით დაიწყო ჩამორჩენილ იმპერიაში ახალი სარკინიგზო ხაზების მშენებლობა. მალე იმავე ვიტეს წყალობით რუსეთმა იაპონიასთან საკმაოდ შეღავათიანი სამშვიდობო შეთანხმება გააფორმა და როცა აშკარა გახდა, რომ ქვეყანას აღმოსავლეთიდან საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ნიკიმ ვილის შეუთვალა, რომ ბიორკოს შეთანხმების ამოქმედების აუცილებელ პირობად მას გერმანულ-რუსულ ალიანსში საფრანგეთის ჩართვა მიაჩნდა. ეს, ცხადია, სხვა არაფერი იყო, თუ არა შეთანხმებაზე ზრდილობიანი უარის თქმა. ასე ჩაბარდა წარსულს გერმანიის იმპერატორის ერთადერთი დიპლომატიური წარმატება.

რადგანაც რუსული მიმართულება ჩაფლავდა, ვილჰელმმა მთელი ყურადღება ისევ საძულველ საფრანგეთზე გადაიტანა. 1904 წელს ამ უკანასკნელმა ბოლოს და ბოლოს ინგლისთან ურთიერთობები დაალაგა, ეგვიპტეზე ლონდონის გავლენა აღიარა და სწორედ ამის სანაცვლოდ მიიღო მაროკო. ამ ამბავმა ვილჰელმი გააცოფა. მან და მისმა მრჩევლებმა გაიაზრეს, რომ ფრანგულ-ინგლისური შერიგება საფრანგეთის შემდგომ გაძლიერებას ნიშნავდა. ვილჰელმი ამის უკან ბიძამისის, ინგლისის მეფე ედუარდ VII-ის ხელს ხედავდა, რომელიც ერთი წლით ადრე საფრანგეთს ესტუმრა და იმდენი მოახერხა, რომ იქაური საზოგადოებრივი აზრი მიიმხრო. ბერლინში გადაწყვიტეს, რომ მაროკოს გარიგება ჩაეშალათ და ამგვარად გამოეთხარათ ძირი ფრანგულ-ინგლისური შეთანხმებისთვის. საამისოდ გერმანელებმა ისევ დაშინებისა და შანტაჟის პოლიტიკას მიმართეს. ვილჰელმი 1905 წლის მაისში მაროკოს ეწვია და იქ მრისხანე სიტყვა წარმოთქვა; გერმანელმა დიპლომატებმა კი თავიანთი ჭკუით კარგი სამუშაო გასწიეს, რათა საფრანგეთის იზოლაცია მოეხდინათ და ამგვარად ინგლისელთათვის ეჩვენებინათ, რომ პარიზთან დაახლოება მათ პრობლემების მეტს არაფერს მოუტანდათ. ამის შემდეგ გერმანელი დიპლომატები 1906 წლის იანვარში დაიმედებულნი გაეშურნენ კონ-

ფერენციაზე, მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც უკვე ვთქვით, მათთვის სამარცხვინოდ დასრულდა. საბოლოოდ გერმანიამ ვერაფერი მიიღო – საფრანგეთთან ომი ვერ გაბედა, ფრანგულ-ინგლისური შერიგების ჩაშლა თუ საფრანგეთის შევიწროება არ გამოუვიდა, ასევე ვერ ჩაშალა ფრანგულ-რუსული ალიანსი.

ევროპელი დიპლომატების უმრავლესობას უკვე მაშინ უნდა გასჩენოდა კითხვა: რა სურდა ბოლოს და ბოლოს გერმანიას და მის ლიდერს? ომი? ალბათ – არც იმდენად. საფრანგეთთან ომის შანსი გერმანიას ორჯერ ჰქონდა, მაგრამ ორივეჯერ უკან დაიხია. ომი აშკარად არ იყო თვითმიზანი. თვითმიზანი ალბათ უფრო აღიარება იყო (რაც კომპლექსიანებსა და საკუთარ თავში ნაკლებად დარწმუნებულებს სჭირდებათ). ბერლინში არა მხოლოდ ის აწუხებდათ, რომ ინგლისი და საფრანგეთი შერიგების გზაზე იდგნენ, არამედ ისიც, რომ ისინი ბერლინის გარეშე წყვეტდნენ რაღაცეებს. ინგლისს არ ჰქონდა უფლება, გერმანელების გარეშე გადაეწყვიტა ისეთი საკითხები, როგორიც იყო, მაგალითად, საფრანგეთისათვის მაროკოს გადაცემა. გერმანია დღეს თუ არა ხვალ მაინც ინგლისის საპირწონე ქვეყანა იქნებოდა, ინგლისი კი ამას რატომღაც არ აღიარებდა. ცხადია, არც საფრანგეთი იქცეოდა წესიერად. იქ ვერაფრით ემშვიდობებოდნენ ელზასისა და ლორენის დაბრუნების ოცნებას. გარდა ამისა, ვილჰელმს არა და არ ეპატიჟებოდნენ პარიზში, რაც იმპერატორს ძალიან აღიზიანებდა. მოკლედ, მას უნდოდა მისთვის და მისი ქვეყნისათვის მეტი ანგარიში გაეწიათ. გერმანიას უფრო დიდი გავლენა და პრესტიჟი უნდა ჰქონოდა. ოღონდ, აი, ამის მისაღწევად ვილჰელმი ომის წამოსაწყებად მზად არ იყო. კაცმა რომ თქვას, ომი საამისოდ არც იყო აუცილებელი, რადგან გერმანია მზარდი ეკონომიკის წყალობით ისედაც სწრაფად ძლიერდებოდა (უნიათო საგარეო პოლიტიკის მიუხედავად). მეტი გავლენის მოსაპოვებლად მხოლოდ მოთმინება იყო საჭირო, მაგრამ ვილჰელმს მოთმინება ყოველთვის აკლდა.

ამასობაში კი რუსეთმა 1905 წლის რევოლუცია გადააგორა. ნიკოლოზი ვიტეს დაჟინებულ რჩევას დაჰყვა, თავის ხალხს კონსტიტუცია აჩუქა და რუსეთის ისტორიაში პირველად პარლამენტის (დუმას) არჩევასაც დათანხმდა. პარლამენტის უფლებები მეტად შეზღუდული უნდა ყოფილიყო და იმპერატორი მისი დათხოვნის უფლებასაც იტოვებდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ნიკოლოზს თავისი ეს გადაწყვეტილება დიდ ტანჯვაწამებად დაუჯდა და დღენიადაგ ნანობდა, რომ მამას იმედი გაუცრუა და რუსეთში ისეთი რამ დაუშვა, რაც ახლა ალბათ მისი მამა-პაპის სულებს სამოთხეში ყოფნას უმწარებდა. მალევე ნიკოლოზმა პრემიერ-მინისტრად ენერგიული და ნიჭიერი პიოტრ სტოლიპინი (ასევე ბისმარკის დიდი თაყვანისმცემელი) დანიშნა, რომელმაც ვიტეს წამოწყებული საქმეები გააგრძელა, ეკონომიკური რეფორმები გაატარა და ჩამორჩენილი იმპერია თანდათანობით ევროპულ სახელმწიფოს დაამსგავსა. ეკონომიკა ისე

სწრაფად ვითარდებოდა, რომ რუსული რუბლი ისტორიაში პირველად (და ჯერჯერობით უკანასკნელად) კონვერტირებად ვალუტად იქცა. რაც შეეხება პოლიტიკურ ცხოვრებას, დუმა თავიდან მეტად სასაცილოდ გამოიყურებოდა, გარდა ამისა, ნიკოლოზმა პირველი ორი მოწვევის დუმა მალე დაითხოვა, მაგრამ, ამის მიუხედავად, პარლამენტი მაინც არსებობდა და ხელისუფლებას ლეგიტიმურობას მატებდა. ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობამ იაპონიასთან ომში დაშვებული შეცდომები გაიაზრა და შეიარაღებული ძალების გადახალისებას შეუდგა. მოკლედ, უნიათო ნიკის ხელში რუსეთს მოდერნიზაციის შანსი გაუჩნდა.

ვილჰელმმა კი 1906 წლის შემდეგ კიდევ უფრო მეტად შეიძულა თავისი ბიძა ედუარდი, რომელიც არა მხოლოდ ფრანგულ-ინგლისური შერიგების (და შესაბამისად „გერმანიის იზოლაციის“) მთავარ სულისჩამდგმელად მიაჩნდა, არამედ ასევე ცუდ ბიძად, რომელიც დისშვილს სერიოზულად არ უყურებდა და მის დამცირებას ცდილობდა.

მაგრამ ვილის სჯეროდა, რომ მომავალი მის მხარეს იყო და რომ ადრე თუ გვიან იგი ბიძამისსაც და მთელ ინგლისსაც აიძულებდა, გერმანია უფრო სერიოზულად მიეღოთ. საამისო გზა მას უკვე გამოძებნილი ჰქონდა: გერმანია ფლოტს ავითარებდა. ისეთ ფლოტს, რომელიც მალე ინგლისის ფლოტსაც კი დაჩრდილავდა. აი, როცა ეს მოხდებოდა, მაშინ ინგლისი აქეთ სთხოვდა ვილის ალიანსს. გერმანელი ადმირალებიც სარგებლობდნენ იმპერატორის ამ აკვიატებით და ფლოტისათვის სულ უფრო და უფრო მეტ რესურსს ითხოვდნენ. ითხოვდნენ და იღებდნენ კიდეც. უნიჭო დიპლომატიის წყალობით გერმანიამ თითქმის მთელი დანარჩენი ევროპა გადაიკიდა და ახლა, რახან დიპლომატები ჩავარდნენ, ქვეყანა სამხედროებს უნდა ეხსნათ. ვილჰელმიც თანდათანობით ამ უკანასკნელთა გავლენის ქვეშ ექცეოდა, თუმცა ეგონა, ქვეყანას ისევ თვითონ მართავდა თავის ჭკუაზე. ცხადია, გერმანიაში პარლამენტი არსებობდა და მას რუსულ პარლამენტზე მეტი უფლებამოსილება ჰქონდა, მაგრამ არც იმდენად დიდი, რომ იმპერატორი და სამხედროები რეალურად გაეკონტროლებინა. გერმანია არც ინგლისი იყო და არც საფრანგეთი.

1910 წლის მაისში ინგლისის მეფე ედუარდი გარდაიცვალა და ვილი გულწრფელად დამწუხრებული გაემგზავრა ბიძის დაკრძალვაზე ლონდონში. მას ნამდვილად უყვარდა თავისი ნათესავები და მათ არაფერს ერჩოდა. უბრალოდ, ძალიან აღიზიანებდა ის ამბავი, რომ თავად იგი არ უყვარდათ ნათესავებს. მას რატომღაც არ აღიარებდნენ, ისევე როგორც არ აღიარებდნენ მის იმპერიას.

ორი მეგობარი

„ძვირფასო ელჩო,

ბოლო წლების განმავლობაში დროდადრო იმართებოდა სამუშაო შეხვედრები ფრანგ და ბრიტანელ სამხედრო და საზღვაო ექსპერტებს შორის. ჩვენ ყოველთვის გამოვდიოდით იმ ვითარებიდან, რომ ეს შეხვედრები არ ზღუდავდა რომელიმე სახელმწიფოს მთავრობას და უტოვებდა მას არჩევანის თავისუფლებას, მომავალში თავის ნებაზე გადაეწყვიტა, დახმარებოდა თუ არა მეორე სახელმწიფოს სამხედრო ძალით. ჩვენ შევთანხმდით, რომ ექსპერტთა შორის სამუშაო შეხვედრები არ განიხილება და არც უნდა იყოს განხილული როგორც წინაპირობა, რომელიც დაავალდებულებს რომელიმე მთავრობას საქმეში ჩაერიოს ისეთი მოვლენების დროს, რომლებიც არ ხდება და შესაძლოა არც არასოდეს მოხდეს. ასე, მაგალითად: ფრანგული და ინგლისური ფლოტების ახლანდელი განლაგება არ ემყარება ომში თანამშრომლობის ვალდებულებას. თუმცა, თქვენ აღნიშნეთ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი სახელმწიფოს მთავრობას ექნება სერიოზული საფუძველი, ელოდოს მესამე სახელმწიფოს მხრიდან არაპროვოცირებულ თავდასხმას, მაშინ მისთვის მნიშვნელოვანი იქნება იცოდეს, უნდა ჰქონდეს თუ არა მეორე სახელმწიფოს მხრიდან სამხედრო დახმარების იმედი.

მე გეთანხმებით, რომ თუკი ერთ-ერთი სახელმწიფოს მთავრობას ექნება სერიოზული ეჭვი, რომ მას ელის არაპროვოცირებული თავდასხმა მესამე სახელმწიფოს მხრიდან ან, რომ მოსალოდნელია მოვლენები, რომლებიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას, მაშინ მან დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს მეორე სახელმწიფოს მთავრობასთან, იმოქმედებენ თუ არა ისინი ერთად თავდასხმის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად და თუკი ასე გადაწყვეტენ, მაშინ რა ერთობლივ ზომებს უნდა მიმართონ მათ საამისოდ. თუკი ეს ზომები გულისხმობს სამხედრო ქმედებებს, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გათვალისწინებული გენერალური შტაბების გეგმები და ამის შემდეგ მთავრობა გადაწყვეტს, რამდენად განახორციელებს მათ.

თქვენი ე. გრეი“

ეს, ცოტა არ იყოს, გაუგებარი და აბდაუბდა წერილი 1912 წლის 22 ნოემბერს დაიწერა და მისი ადრესატი იყო ინგლისში საფრანგეთის ელჩი, პოლ კამბონი. იგი ინგლისში 1898 წლიდან იყო გამწესებული და იქ საბოლოოდ 22 წელი გაატარა. ელჩად ასე ხანგრძლივად ყოფნა, ცხადია, იმას ნიშნავდა, რომ კამბონი წარმატებულად ითვლებოდა. მას მეტად

რთული მისია ეკისრებოდა – ორ ლიბერალურ სახელმწიფოს შორის ოდესღაც გაფუჭებული ურთიერთობები უნდა გამოესწორებინა და თუკი შესაძლებელი იქნებოდა, ინგლისის სახით მოკავშირე მოეპოვებინა.

კამბონს ამ საქმეში საკუთარი ნიჭისა და გამოცდილების გარდა გერმანელების უთავბოლო და ზეამბიციური საგარეო პოლიტიკაც ეხმარებოდა. Weltpolitik-ის გამოისობით ბერლინი ინგლისის იმპერიის ინტერესებს თითქმის ყველგან ეჯახებოდა. არ იყო დარჩენილი მხარე, რომელზეც გერმანელები პრეტენზიას არ აცხადებდნენ. ზემოთ ნახსენები მაროკო მხოლოდ ერთ-ერთი თემა იყო. ამას ემატებოდა მთელი აფრიკა, ჩინეთი და მთელი აზიაც. გერმანელებმა ოტომანთა იმპერიასაც კი დაადგეს თვალი და იქ გრანდიოზული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა წამოიწყეს (ე.წ. ბაღდადის რკინიგზა, რომელიც კონსტანტინოპოლს უნდა დაკავშირებოდა, საიდანაც, თავის მხრივ, ლეგენდარული „აღმოსავლეთის ექსპრესი“ ევროპაში ახორციელებდა რეისებს). ამ პროექტის დასრულება საბოლოოდ ვერ მოხერხდა და მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ ლონდონი და პეტერბურგი გააღიზიანა. ინგლისელები ამას იტანდნენ. მოთმინება გამოიჩინეს მაშინაც, როცა გერმანიის იმპერატორის ინტერესები სამხრეთ აფრიკასაც გადასწვდა და ვილჰელმმა ტრანსვაალის პრეზიდენტს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა. ვილჰელმი მეფის ნათესავი იყო და ინგლისელებს მის სისულელეებზე ეცინებოდათ.

ვილჰელმის გაუგებარ და ამბიციურ ნაბიჯებს შიგადაშიგ სკანდალებიც ახლდა. 1908 წელს გერმანიის იმპერატორმა „დეილი ტელეგრაფს“ მისცა ინტერვიუ, რომელშიც განაცხადა, რომ სწორედ მან გადაარჩინა ინგლისი, რომლის წინააღმდეგაც საფრანგეთი და რუსეთი ერთობლივი ფრონტით გამოდიოდნენ და ამ შეთქმულებაში გერმანიის ჩართვა სურდათ; რომ გერმანიის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში ინგლისის იმპერიის დღეები დათვლილი იყო; რომ, საერთოდ, ინგლისს გერმანიაზე უკეთესი მეგობარი არ ჰყავდა და რომ გერმანული ფლოტი არა ინგლისის, არამედ იაპონიის (და მომავალში, შესაძლოა, ასევე ჩინეთის) წინააღმდეგ იყო გამიზნული. გარდა ამისა, ვილჰელმმა ინტერვიუში ინგლისელებს შინაურულად „გიჟები“ ეძახა და კიდევ ბევრი ისეთი რამეც თქვა, რის გამოც თავისივე ქვეყანაში საშინელი კრიტიკა დაატყდა თავს. გერმანელები მიხვდნენ, რომ „გიჟები“ უპირველესად ბერლინში იყვნენ საძებნელნი, უფრო ზუსტად კი – პოტსდამის რეზიდენციაში. შეშინებულმა ვილჰელმმა საზოგადოების დასაწყნარებლად განტევების ვაცად ბიულოვი აქცია და თანამდებობიდან გადააყენა იმ მიზეზით, რომ ლეგენდარულმა ინტერვიუმ კანცლერის ხელში გაიარა. არადა, რამდენიმე ხნით ადრე ვილჰელმი თავად ეევედრებოდა ბიულოვს, არ გადამდგარიყო და ეფიცებოდა, თუ თანამდებობაზე არ დარჩები, შენი იმპერატორი თავს მოიკლავს და მისი შვილების ცოდვა შენს კისერზე იქნებაო. ბიულოვი არა, მაგრამ ვილჰელმი თავისივე ინტერვიუმ მართლაც კინაღამ იმსხვერ-

პლა – საზოგადოების რეაქციამ მასზე ისე იმოქმედა, რომ სამი კვირით ჩავარდა ლოგინად და საქმეებს ძლივს დაუბრუნდა.

რაც შეეხება ინგლისელებს, ისინი ინტერვიუმ გულიანად აცინა, მაგრამ ეს არ ცვლიდა იმ ფაქტს, რომ გერმანიის ფლოტი სახიფათოდ იზრდებოდა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ბერლინში ამ საკითხზე არაფერს არ ამბობდნენ. ის, რომ გერმანული ფლოტი იაპონიის წინააღმდეგ შენდებოდა, ცხადია არავის სჯეროდა, მით უმეტეს, რომ გერმანული ხომალდების უმრავლესობა მოკლე დისტანციაზე მოქმედებისათვის იყო გათვლილი (ისევე, როგორი მოკლევადიანიც გახლდათ გერმანიის დიპლომატია). შესაბამისად, ლონდონში გადაწყვიტეს, ისტორიულ მტრებთან – რუსეთთან და საფრანგეთთან – საერთო ენა გამოენახათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფრანგებთან ეს 1904 წელს მოხერხდა, როცა ლონდონმა და პარიზმა ჩრდილოაფრიკაში გავლენის სფეროები გაიყვეს და ასე იშვა ფრანგულ-ინგლისური ანტანტა. 1906 წლიდან მოყოლებული კი ფრანგ და ინგლისელ სამხედროებს შორის კონსულტაციები დაიწყო, რამაც თანდათანობით მეტად ინტენსიური ხასიათი მიიღო. 1907 წელს ლონდონმა უკვე რუსეთთან აზიაში გავლენის სფეროების გაყოფაზე მოილაპარაკა. რუსებმა ავღანეთი ინგლისელთა პროტექტორატად აღიარეს და ამგვარად უარი თქვეს ინდოეთის მიმართულებით ექსპანსიაზე. გავლენის ზონებად დაიყო ორი იმპერიის კიდევ ერთი სადავო ქვეყანა – ირანი. ასე იშვა რუსულ-ინგლისური ანტანტაც.

ვილჰელმისათვის ეს უკვე მეტისმეტი აღმოჩნდა. ბიძამისმა არა მხოლოდ ფრანგებთან დაალაგა ურთიერთობა (რომლებთან შერიგების იმედი მას ისედაც არ ჰქონდა), არამედ ნიკისთანაც (რომლის გულის მოგებასაც ის ასე ცდილობდა). მოყოლებული იქიდან, გერმანიის იმპერატორს თაფლაკვერები უკვე მხოლოდ თავისი უმცროსი ძმებისათვის, ავსტრიელებისათვის ემეტებოდა. რუსეთს კი ჭკუა უნდა ესწავლა და თავისი საქციელი უნდა მოენანიებინა.

ამის შანსი ვილის სულ მალე მიეცა და გამოიყენა კიდევაც. 1908 წელს ავსტრია-უნგრეთმა ბოლოს და ბოლოს ბოსნიის (და ჰერცეგოვინის) ანექსია მოახდინა (რომლებიც ბერლინის კონგრესის შემდეგ ჰქონდა ოკუპირებული). ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ავსტრიელები რუსების საგარეო მინისტრ ალექსანდრ იზვოლსკის გაურიგდნენ, რომ ანექსიის სანაცვლოდ პეტერბურგს სრუტეების საკითხის მოგვარებაში დაეხმარებოდნენ. იზვოლსკი, როგორც შემდეგ ამტკიცებდა, მხოლოდ იმას დათანხმდა, რომ ავსტრიელებს ბოსნიას მაშინ გადაულოცავდა, როცა რუსეთი სრუტეებს მიიღებდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ავსტრიელებმა ანექსია მაშინ განახორციელეს, როცა იგი სრუტეებზე პარიზსა და ლონდონს ევაჭრებოდა, საიდანაც ზრდილობიანი და დამწუხრებული უარი მიიღო.

მოკლედ, ბოსნიის ანექსია შედგა, რუსებმა კი სრუტეები ვერ მიიღეს და ამიტომაც თავს მოტყუებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდნენ.

მაგრამ თურმე ყველაფერი წინ ჰქონდათ: საქმეში ვილჰელმი ჩაერია და პეტერბურგს ფაქტობრივად ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა, ბოსნიის ანექსია ეცნო – წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაიმუქრა, რომ არ შეაჩერებდა ავსტრიელებს, რომლებიც სერბეთზე აპირებდნენ თავდასხმას (ამაზე ცოტა ქვემოთ). რუსებმა დათმეს და მათთვის იქამდე ეს არნახული შეურაცხყოფა გადაყლაპეს. გერმანიასთან ომი იოლი მათთვის არ იქნებოდა, მით უმეტეს კი იმ ეტაპზე, როცა იაპონიასთან დამარცხების შემდეგ მათი შეიარაღებული ძალები კვლავაც რეფორმის პროცესში იყო. რუსებმა მოითმინეს, მაგრამ სამხედრო რეფორმა გაორმაგებული ენერგიით გააგრძელეს. გერმანიის იმპერატორის გარემოცვაში არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ამ ნაბიჯის უგუნურებას დაინახავდა ან, თუ დაინახავდა, მბრძანებელს შეჰკადრებდა და ამ ნაბიჯს გადაათქმევინებდა. ბიულოვმა მხოლოდ გადაყენების შემდეგ გამოიჩინა გამბედაობა და ვილჰელმს ურჩია, ბოსნია აღარასოდეს გაემეორებინა.

ერთი შეხედვით, ასეთ ფონზე ლონდონში ნაყოფიერად მუშაობა არც ერთ ფრანგ დიპლომატს არ უნდა გასჭირვებოდა. მაგრამ ინგლისელთა ტრადიციული იზოლაციონიზმის დაძლევა იოლი მაინც არ იყო. მით უმეტეს ჭირდა ეს გრეის პირობებში, რომელიც საგარეო მინისტრად 1905 წელს დაინიშნა და ამ თანამდებობაზე საბოლოოდ 11 წელი გაატარა. ეს სარეკორდოდ გრძელი ვადა გახლდათ, მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გრეი გამორჩეულად კარგი საგარეო მინისტრი იყო, ან რომ მას ძალიან უყვარდა თავისი სამსახური და დიპლომატიური საქმიანობა. სინამდვილეში გრეი დიპლომატიას გულს დიდად ვერ უდებდა და არც მიაჩნდა თავი ამ საქმის დიდ მცოდნედ; მას თავდაჯერებულობა აკლდა და დღენიადაგ იმის შიშში იყო, ზედმეტი არ წამოსცდენოდა და თავისი იზოლაციონისტი სამშობლოსათვის რაიმე ვალდებულება არ აეკიდებინა. ამის გამო მუდამ ორაზროვნად და გაუგებრად საუბრობდა. რაიმე აზრსა თუ პოზიციას თუ ჩამოაყალიბებდა, შემდეგ თავადვე ამ პოზიციას ნაწილობრივ უარყოფდა და ახალს აყალიბებდა, მაგრამ ამის შემდეგ უკვე ამ ახალ პოზიციასაც უარყოფდა... მოკლედ, მისი საუბრისა და თვითგამოხატვის სტილი უცხოელ დიპლომატებს ნამდვილ საგონებელში აგდებდა. თავისი საქმის მიმართ გრეის უცნაურ დამოკიდებულებაზე კიდევ ერთი ფაქტი მეტყველებდა: იგი თითქმის არ მოგზაურობდა. საგარეო მინისტრის რანგში პირველი ვიზიტი 1914 წლის გაზაფხულზე განახორციელა, პარიზში (რაც ალბათ ერთ-ერთ დიდ მიღწევად უნდა ჩავუთვალოთ კამბონს).

ზემოთ მოტანილი წერილი გრეის განუმეორებელი სტილის თვალსაჩინო მაგალითი იყო. ბუნდოვანების მიუხედავად, მასში მაინც იკითხებოდა ფრანგებისათვის რაღაც დამაიმედებელი, თუმცა კონკრეტულად რა, გაუგებარი იყო და ეს სულ რამდენიმე ადამიანმა იცოდა. საქმე ეხებოდა ფრანგულ და ინგლისურ ფლოტებს შორის პასუხისმგებლობის ზონათა

განაწილებას ომის დაწყების შემთხვევაში. საქმე ის გახლდათ, რომ 1912 წელს ინგლისელებმა კიდევ ერთხელ სცადეს ბერლინთან მოლაპარაკება ფლოტის თაობაზე და ისევ ამაოდ. გერმანელებმა ფლოტის მშენებლობის შეჩერების სანაცვლოდ ინგლისის ნეიტრალიტეტი მოითხოვეს, რაზეც ლონდონმა კატეგორიული უარი განაცხადა. ამის შემდეგ ფრანგებთან მოლაპარაკებას კიდევ უფრო მეტი აზრი მიეცა და მალე გარიგებაც შედგა: გერმანიასთან კონფლიქტის შემთხვევაში ინგლისელთა ფლოტი თავის თავზე იღებდა საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროს დაცვას, ხოლო თავად ფრანგული ფლოტი ამ დროს ხმელთაშუა ზღვას გააკონტროლებდა. ეს მარტივი გარიგება ჯვარს უსვამდა ზღვაზე გერმანელთა დიად გეგმებს. რაც უნდა ბევრი რესურსი ჩაეყარა ბერლინს თავის ფლოტში, ფრანგებსა და ინგლისელებს შორის ნდობასა და თანამშრომლობას იგი ვერაფრით გადაწონიდა.

გარდა ამისა, ორი ქვეყნის სამხედროთა შორის კონსულტაციები სახმელეთო ოპერაციებსაც გადასწვდა და შემუშავდა ინგლისური სამხედრო შენაერთის კონტინენტზე გადასროლის გეგმაც. ცხადია, თუკი ინგლისი არც ზღვაზე მხარდამჭერ მოქმედებაზე იღებდა ვალდებულებას, კიდევ უფრო მეტად არ იყო განპირობებული რაიმე ვალდებულებით საფრანგეთისათვის სახმელეთო მხარდაჭერა (ამ გეგმაზე ინგლისის მთავრობაში ძალიან ცოტამ იცოდა). საერთოდაც, კონსულტაციები და დაპირებები ერთ პრინციპზე იდგა – არანაირი ვალდებულება ინგლისის მხრიდან.

თუმცა კამბონმა მშვენივრად იცოდა, რომ ინგლისელთაგან ვალდებულება არ უნდა მოეთხოვა. ინგლისი არა მხოლოდ ტრადიციულად არიდებდა თავს ალიანსებს, არამედ მეტად ძლიერი და დაცული იყო და მას საფრანგეთი იმდენად არ სჭირდებოდა, რამდენადაც საფრანგეთს სჭირდებოდა იგი. გარდა ამისა, საფრანგეთი და ინგლისი ტრადიციული მეტოქეები იყვნენ და მათ დაახლოებამდე კიდევ საკმაო დრო რჩებოდა. მაგრამ საბოლოოდ დაახლოება მაინც შედგა – რასაც არ ელოდნენ ბევრგან და მათ შორის, ბერლინში – და ამაში კამბონმა უდიდესი როლი ითამაშა. ცხადია, საამისოდ არა მხოლოდ დიდი დრო, არამედ შრომაც დასჭირდა. გრეისთან მუშაობა ძალზე გამოცდილი დიპლომატისათვისაც მეტად რთული იყო. სირთულეების დასაძლევად კამბონს ყველაზე მეტად ალბათ ის დაეხმარა, რომ იგი სკეპტიკურად უყურებდა რუსეთთან თანამშრომლობის პერსპექტივას და რეალურად იმედს სწორედ ინგლისზე ამყარებდა. თუ არა ალიანსი (ან ალიანსის მაგვარი) ინგლისთან, საფრანგეთი განწირული იქნებოდა. კამბონი მოთმინებით იტანდა გრეის ორაზროვან ფრაზებს. თუკი დიპლომატიაში არც ისე გამოწვრთნილი გერმანელები ინგლისელებისგან ალიანსის ფორმალურ შემოთავაზებას ელოდნენ, ფრანგების ელჩს კარგად ესმოდა, რომ მსგავს რამეზე ევროპაში არავის არ უნდა ეოცნება. საგარეო მინისტრთან დამეგობრება, მასთან ლამის ოცდაოთხსაათიანი მუშაობა, გერმანელთა გამოხდომები, ორი

ქვეყნის სამხედროთა შორის კონსულტაციები – ყოველივე ამის შედეგად კამბონმა ფორმალურად მხოლოდ გრეის არაფორმალური წერილი მიიღო (გრეის ხელი არ მოუწერია, როგორც მინისტრს, და საერთოდაც, წერილს არაოფიციალური სახე მისცა), მაგრამ მან კარგად უწყოდა, რომ ეს აბდაუბდა წერილი ის დოკუმენტი იყო, რომელსაც შეიძლებოდა საფრანგეთი გადაერჩინა.

რჩებოდა ერთი რამ: გრეისთან მეგობრობისა და ინგლისთან ამ წერილზე დაფუძნებული კავშირის გამოცდა, როცა ამის დრო დადგებოდა.

ევროპის ახალი ავადმყოფი

1914 წელს ავსტრია-უნგრეთის იმპერია ისეთივე მოხუცი და ყავლგასული იყო, როგორც მისი იმპერატორი ფრანც-იოზეფი. მას 84 წელი უსრულდებოდა და უკვე 66 წელი იყო, რაც იმპერიას მართავდა. თუმცა, ეს არ იყო ყველაფერი. ფრანც-იოზეფი მე-19 საუკუნის ადამიანი გახლდათ. იგი ვერ იტანდა სიახლეებს, ეშინოდა ტექნოლოგიური პროგრესის და თითქმის არ ეკარებოდა ისეთ გამოგონებებს, როგორიცაა ავტომანქანა და ტელეფონი. ესეც არ იყო ყველაფერი: ფრანც-იოზეფს მემკვიდრე არ ჰყავდა. მისმა ერთადერთმა ვაჟმა რუდოლფმა თავის საყვარელთან ერთად თვითმკვლელობით ახალგაზრდამ დაასრულა სიცოცხლე, რამდენიმე წელიწადში კი იტალიელმა ანარქისტმა სიცოცხლეს გამოასალმა ფრანც-იოზეფის მეუღლე, ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ქალბატონი, ელიზაბეტი (სისი). გაცილებით უფრო ადრე ტრაგიკულად დაიღუპა ფრანც-იოზეფის ძმა მაქსიმილიანი, რომელიც ლუი-ნაპოლეონის ამერიკულ ავანტიურაში მონაწილეობას დათანხმდა, მექსიკის იმპერატორად გამოაცხადა თავი და საბოლოოდ მექსიკელების ხელით იქნა დახვრეტილი (1867).

მოკლედ, 84 წლის იმპერატორის ოჯახი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და ამის სიმბოლოდ რუდოლფის ტრაგედია გახდა, რაც ჰაბსბურგების მთელი დინასტიის ერთგვარ განაჩენად იქცა. ტახტის მემკვიდრის თვითმკვლელობის მიზეზი სავარაუდოდ სიფილისი ან შიზოფრენია იყო (ან ორივე ერთად). შიზოფრენია ის სამწუხარო მონაპოვარი გახლდათ, რაც ჰაბსბურგებს სამფლობელოებთან ერთად დინასტიურმა ქორწინებებმა მოუტანა. ჰაბსბურგები ევროპის ასპარეზზე მე-13 საუკუნეში გამოჩნდნენ, ორ საუკუნეში წმინდა რომის იმპერიის ტახტი დაისაკუთრეს და ერთი პერიოდი ლამის მთელ კონტინენტს მართავდნენ (საფრანგეთისა და ერთიორი მხარის გამოკლებით). ეს მიღწევები არა იმდენად ომებისა და დაპყრობების, რამდენადაც ქორწინებების დამსახურება იყო. ჰაბსბურგები მხოლოდ ერთი მიზნით ქორწინდებოდნენ: მათ თავიანთი სამფლობელო უნდა გაეფართოებინათ. მართალია, ასე ბევრი სამეფო ოჯახი იქცეოდა,

მაგრამ ჰაბსბურგები ამ მხრივ ყველა რეკორდს ხსნიდნენ, რადგან თვალს ხუჭავდნენ ყველა პრობლემასა და უხერხულობაზე: იმაზე, რომ საცოლე შეიძლებოდა ყოფილიყო ფიზიკურად, გონებრივად არასრულყოფილი და, რაღა თქმა უნდა, ყოფილიყო ნათესავი (ეს ხომ ბევრ სხვა დინასტიებშიც მიღებული ფორმა გახლდათ). შორს რომ არ წავიდეთ, თავად ფრანც-იოზეფის მეუღლე მისი დეიდაშვილი იყო. თავის დროზე ფრანც-იოზეფს სისის უფროს დას, ჰელენს ურიგებდნენ იმ გათვლით, რომ იგი ბავარიის ჰერცოგის ქალიშვილი იყო. მაგრამ ავსტრიის მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იმპერატორს სისი უფრო მოეწონა და მათ დედებს ეს ფაქტი არ გაუპროტესტებიათ. მთავარია, კიდევ ერთი დინასტიური ქორწინება შედგა. კიდევ ერთი... ამნაირმა ქორწინებებმა საბოლოოდ სამწუხარო შედეგი მოიტანა რუდოლფის თვითმკვლელობის სახით.

ვაჟის გარეშე დარჩენილ ფრანც-იოზეფს მეორე უბედურება ელოდა. იმპერიის ტახტის მემკვიდრედ მისი ძმისშვილი ფრანც-ფერდინანდი იქცა – ყველაზე არატიპური ჰაბსბურგი, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლებოდა. მემკვიდრემ არასამეფო გვარის ქალი შეიყვარა და მანამდე არ მოისვენა, სანამ ფრანც-იოზეფმა ქორწინების უფლება არ მისცა. რუდოლფის თვითმკვლელობიდან ათ წელიწადში, 1899 წელს, ტახტის მემკვიდრემ თავის საყვარელ სოფიზე იქორწინა და ამით შეურაცხყო მთელი თავისი ოჯახი და სამეფო დინასტია. ჰაბსბურგმა ოჯახს გარეთ იქორწინა და თანაც, უბრალო ქალზე (სოფი „მხოლოდ“ გრაფინია იყო). ფრანც-იოზეფმა ძმისშვილს ქორწინება იმით ჩაუშხამა, რომ მის შვილებს ტახტის მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვა. გარდა ამისა, მემკვიდრე და მისი მეუღლე მაღალ საზოგადოებაში ერთად საერთოდ ვერ გადიოდნენ. თუმცა ფრანც-ფერდინანდი ამის გამო დიდად დადარდიანებული არ ჩანდა – სოფის სიყვარული ყველაფერს უნაზღაურებდა.

მემკვიდრის არაჰაბსბურგობა ამ გამოხდომით არ ამოიწურებოდა. იგი იმპერიის რეფორმასა და მისი ქვეშევრდომი ერებისათვის ავტონომიის მიცემაზე ფიქრობდა. მოკლედ რომ ვთქვათ, რამდენადაც ვადაგასული იყო ბიძა, იმდენად პროგრესული გახლდათ მისი ძმისშვილი. ფრანც-ფერდინანდი რეალურად ავსტრია-უნგრეთის გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო, რადგან მე-20 საუკუნეში ეს იმპერია უკვე ნამდვილ ანომალიას წარმოადგენდა და მას მხოლოდ ლიბერალიზაცია და თამამი რეფორმები თუ იხსნიდა – სწორედ იმგვარი, რაც მემკვიდრეს ჰქონდა ჩაფიქრებული. ფრანც-ფერდინანდმა თავისი ქორწინებით ჰაბსბურგების გენეტიკა განაახლა და ასევე უპირებდა განახლებას ჰაბსბურგების იმპერიასაც, რომელსაც ადრე თუ გვიან გადაიბარებდა. ბიძის ასაკიდან გამომდინარე, ალბათ უფრო ადრე, ვიდრე გვიან.

საფრთხე კი იმპერიას საკმარისზე მეტი ჰქონდა. ოდესღაც იტალიის გაერთიანებას ავსტრია-უნგრეთის ორი მდიდარი მხარე – ლომბარდია და ვენეცია – შეეწირა. ახლა ანალოგიური საფრთხე ემუქრებოდა

იმპერიის სლავებით დასახლებულ მხარეებს, უპირველესად – ბოსნიას. იტალიელები ერთ სახელმწიფოდ სარდინიამ გააერთიანა და ახლა, ბალკანელი სლავების შემთხვევაში, იმავეს ლამობდა სერბეთი. ეს უკანასკნელი თავის დროზე ავსტრიელთა დახმარებით გაძლიერდა. ბისმარკი, სანამ თანამდებობაზე იყო, ვენას ურჩევდა, ამ ავანტიურაზე ხელი აეღო, რადგან გაძლიერებული სერბეთი ადრე თუ გვიან ყველა შემთხვევაში სწორედ ავსტრია-უნგრეთს მიუტრიალდებოდა და სლავებით დასახლებულ მის სამფლობელოებზე გამოაცხადებდა პრეტენზიას. ისევე როგორც თითქმის ყველაფერში, რკინის კანცლერი ამაშიც მართალი აღმოჩნდა. ბელგრადი ერთი პერიოდი ავსტრიელებისადმი საკმაოდ ლოიალურად იყო განწყობილი, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა, როცა 1903 წლის მაისში სერბი ოფიცრების ჯგუფმა დრაგუტინ დიმიტრიევიჩის მეთაურობით (საიდუმლო ორგანიზაცია „შავმა ხელმა“) სამეფო ოჯახი ამოხოცა და ტახტზე ახალი, რუსეთთან უფრო დაახლოებული დინასტია აიყვანა. მოყოლებული იქიდან, სერბეთი ავსტრიელთა კართაგენად იქცა.

გაჩნდა თუ არა კართაგენი, ვენაში იქაური კატონებიც გაჩნდნენ, მათ შორის იყო იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი კონრად ფონ ჰოცენდორფი. ბოსნიის ანექსიის შემდეგ იგი სერბეთზეც იწევდა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, ამ წამოწყებაში მხარი თითქმის არავინ აუბა. ფრანც-ფერდინანდს კარგად ესმოდა, რომ სერბების წინააღმდეგ ომი იმპერიაში მცხოვრებ სლავებს, რბილად რომ ვთქვათ, ხასიათს გაუფუჭებდა. უნგრელებს სულაც არ აწყობდათ იმპერიაში სერბების გაერთიანება და ამგვარად, სლავების წილისა და გავლენის კიდევ უფრო მეტად გაზრდა. არც ფრანც-იოზეფი იჩენდა დიდ ენთუზიაზმს. მას უკვე თავისი ასაკისა და გამოცდილების კვალობაზეც კი საკმარისზე მეტი ომები წაეგო.

მოკლედ, პრევენციულ ომზე წასვლა იოლი არ იყო. ავსტრიელებმა ცოტა ხნით უფრო ადრე თავიანთი კართაგენის ეკონომიკური მოგუდვა სცადეს და იქიდან ხორცის იმპორტი აკრძალეს, მაგრამ სერბებმა საკმაოდ მალე აითვისეს ახალი ბაზრები და საბოლოოდ ხორცის ექსპორტი გაზარდეს კიდეც და ეკონომიკურად ადრინდელზე მეტად გაძლიერდნენ.

კართაგენი ძლიერდებოდა და თამამდებოდა. ბოსნიის ანექსიამ სერბებში კიდევ უფრო გაამძაფრა ანტიავსტრიული განწყობები. ანექსიიდან რამდენიმე დღეში „შავმა ხელმა“ საგანგებო შეხვედრა გამართა, რომელზეც თავის მთავარ მიზნად ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სერბების გათავისუფლება და მათი „სამშობლოში“ (დიდ სერბეთში) გაერთიანება გამოაცხადა (თავად ბოსნიაში სერბები უმცირესობაში გახლდნენ, მაგრამ როგორც ყველა ახალგაზრდა და ამბიციურ ერს ჩვევია, სერბები ამ „წვრილმანს“ დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ). „შავ ხელს“ ლამის ღიად უჭერდნენ მხარს სერბეთის მთავრობისა და სამეფო ოჯახის წევრები. გარდა ამისა, ახალგამოჩეკილი კართაგენის მისწრაფებებს გარედანაც თანაუგრძნობდნენ. ბოსნიის მოვლენებით

დამცირებული რუსეთი კვლავ გააქტიურდა რეგიონში და სერბებსა და ბულგარეთს დაახლოებისკენ უბიძგა იმ იმედით, რომ ეს გაერთიანება ბალკანეთზე ავსტრიელების გავლენას გაანეიტრალებდა. დაახლოება შედგა, მაგრამ მალე ანტიავსტრიულზე უფრო მეტად ანტითურქული სახე მიიღო. სერბეთსა და ბულგარეთს შეუერთდნენ მონტენეგრო (ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყანა, მაგრამ რეალურად სერბეთის უმცროსი ძმა და მორჩილი მოკავშირე) და საბერძნეთი და ასე იშვა ე.წ. ბალკანური ლიგა.

რუსები კარგად აცნობიერებდნენ, რომ ლიგის სამიზნე თურქეთი იყო (ავსტრიელებთან პრეტენზიები ლიგის წევრთაგან მხოლოდ სერბეთს ჰქონდა), მაგრამ ბალკანელი მოკავშირეების განაწყენებას ერიდებოდნენ და ლიგის წინააღმდეგ სიტყვას არ ძრავდნენ. მალე ლიგამ თურქეთს შეუტია (1912 წლის ოქტომბერი) და დაახლოებით ერთ თვეში ევროპიდან მთლიანად გააძევა. ყველაფერი ისე სწრაფად დასრულდა, რომ ავსტრიელებმა რეაგირება ვერ მოასწრეს – კონრადი კონფლიქტში ჩარევას, სერბეთზე დარტყმასა და ხურდაში მონტენეგროს მიყოლებას ითხოვდა, მაგრამ ფრანც-ფერდინანდი ისევ წინააღმდეგი იყო. არანაკლები დაბნეულობა სუფევდა პეტერბურგში: იქ შეეშინდათ, რომ კონსტანტინოპოლს ბულგარელები დაიკავებდნენ და ამიტომაც, რაც უნდა უცნაური იყოს, სწორედ ბულგარელებთან ბრძოლისათვის მზადება დაიწყეს (პეტერბურგში ერჩივნათ, სრუტეები ისევ თურქების ხელში ყოფილიყო, რადგან იქ ბულგარელების გამოჩენას, ღმერთმა უწყის, რა ძალების ჩარევა მოჰყვებოდა). თუმცა, საბოლოოდ ამის საჭიროება აღარ დადგა. ლონდონსა და პარიზში კი კონფლიქტმა მოლაპარაკებები დააჩქარა და სწორედ მაშინ შედგა წერილების გაცვლა-გამოცვლა გრეისა და კამბონს შორის.

თურქეთთან ომიდან ბალკანური ლიგის ყველა წევრმა იხეირა, მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერებული მაინც სერბეთი ჩანდა, რომელმაც მონტენეგროსთან ერთად დაიკავა ნოვი ბაზარის ოლქი (ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც სერბეთსა და მონტენეგროს ერთმანეთისგან ჰყოფდა, ბოსნიის ანექსიის შემდეგ ავსტრიელებმა თურქეთს დაუბრუნეს) და ასევე დაიკავა ალბანეთიც, რისი წყალობითაც ზღვაზე გასასვლელი მიიღო. აქ საქმეში ავსტრიელები ჩაერივნენ, რომლებიც ბელგრადს პირდაპირ დაემუქრნენ და ალბანეთიდან გასვლა მოსთხოვეს. მათ გერმანიამაც აუბა მხარი და სერბებმა საბოლოოდ დათმეს, ალბანეთი კი, დიდი სახელმწიფოების გადაწყვეტილებით, დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. ამის მიუხედავად სერბეთი მაინც გაძლიერებული ჩანდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი. სულ მალე (1913 წლის ივნისი) ახალმა ბალკანურმა ომმა იფეთქა. ომის მონაპოვრით უკმაყოფილო ბულგარეთი სერბეთსა და საბერძნეთს დაეხსა თავს, მაგრამ ბულგარელები, რომელთაც რუმინელებმა და თურქებმაც შეუტიეს, დამარცხდნენ. სერბეთმა ბულგარეთის ხარჯზე დამატებითი ტერიტორია მიიერთა (მათ შორის, მაკედონიის დიდი ნაწილი) და

კიდევ ერთხელ გაძლიერდა. ავსტრიელები ისევ კონფლიქტში ჩაბმასა და სერბეთზე ზურგში დარტყმაზე ფიქრობდნენ, მაგრამ ამჯერად მათ ბერლინისგან მხარდაჭერა ვერ მიიღეს. კონრადი ამაოდ ითხოვდა კართაგენის დანგრევას. სერბებმა მის იმპერიას კიდევ ერთი სილა გააწნეს. გარდა ამისა, კართაგენი უკვე არა მხოლოდ რუსეთისგან, არამედ საფრანგეთისგანაც იღებდა სამხედრო დახმარებას, რომელიც ბელგრადს სამართლიანად განიხილავდა ბერლინ-ვენის დაბალანსების საშუალებად.

1914 წლის ივნისისათვის ვენაში კატონთა რაოდენობამ კიდევ უფრო იმატა. ვითარება კრიტიკულად უკვე არა მხოლოდ კონრადს ეჩვენებოდა. ავსტრიელმა დიპლომატებმა თავიანთი იმპერიის ერთადერთი მფარველის, ბერლინის სახელზე ვრცელი მემორანდუმი შეადგინეს, რომელშიც ხაზს უსვამდნენ სერბეთის მზარდ გაძლიერებას და იქიდან ავსტრია-უნგრეთისათვის მომავალ საფრთხეს. ბალკანეთზე ძლიერდებოდნენ სერბები და, მაშასადამე, რუსებიც. ავსტრია-უნგრეთის ერთადერთ მოკავშირედ რეგიონში მხოლოდ ბულგარეთი შეიძლებოდა ქცეულიყო. მაგრამ მთავარი იყო, გერმანიას გაეთავისებინა ის ფაქტი, რომ ავსტრიელების გარდა მას მოკავშირე არ ჰყავდა და ჰაბსბურგთა იმპერიის გადარჩენა-გაძლიერება მის გადარჩენა-გაძლიერებასაც ნიშნავდა. მოკლედ, ავადმყოფი შველას ითხოვდა.

მემორანდუმს საბოლოოდ იმპერიის საგარეო მინისტრი ლეოპოლდ ბერხტოლდი უნდა გასცნობოდა. ეს გახლდათ დახვეწილი, სასიამოვნო და ფუფუნებას მიჩვეული ადამიანი, რომელიც, კონრადისგან განსხვავებით, მუდამ ომებისა და უკიდურეს ზომების წინააღმდეგ გამოდიოდა და ამის გამო ბოლო წლებში ბევრი კრიტიკა ატყდებოდა თავს. იმდენად ბევრი, რომ მინისტრი უკვე შიშობდა, მის კარიერას შეიძლებოდა საფრთხე შექმნოდა. ამიტომ, სანამ გვიან არ იყო, ისიც კატონთა რიგებში უნდა ჩაწერილიყო და კართაგენის დანგრევა მოეთხოვა.

ევროპის ძველი ავადმყოფი

მიუხედავად იმისა, რომ ბერლინის კონგრესის შემდეგ თურქეთი ტერიტორიულ მთლიანობას ინარჩუნებდა, სტაბილურობისგან იგი კვლავინდებურად შორს იყო. ერთი პერიოდი ძირმომპალ იმპერიას იმან უშველა, რომ რუსეთიცა და ავსტრია-უნგრეთიც ბალკანეთზე ძიძგილაობით დაიღალნენ და მოილაპარაკეს, რეგიონში სტატუსკვო შეენარჩუნებინათ. „ბალკანეთი გავყინოთ“, – ასე ჩამოაყალიბეს 1897 წელს თავიანთი გადაწყვეტილება ორი დიდი სახელმწიფოს დიპლომატებმა, რომლებიც ალბათ ვერ ხვდებოდნენ, რომ მომავალში ეს ერთ-ერთ ყველაზე გამოყენებად ტერმინად იქცეოდა. ავსტრიელებმა იმ დროისათვის გაიაზრეს, რომ რუსეთის წინააღმდეგ მოკავშირეს ვერ იპოვიდნენ. გერმანიამ ამ

მხრივ რაც გააკეთა, იმასაც საკმარისზე მეტად თვლიდა; ინგლისელებს კი, როგორც აღმოჩნდა, ბისმარკის დროინდელი, ხმელთაშუა ზღვის ანტანტის გაგრძელება აღარ სურდათ და საერთოდ, სუეცის არხის გაყვანის შემდეგ კონსტანტინოპოლის დაცვის სურვილით ძველებურად აღარ იყვნენ შეპყრობილნი. რუსები, თავიანთ მხრივ, ფიქრობდნენ, რომ კონსტანტინოპოლისათვის ბრძოლას იმ ეტაპზე აზრი აღარ ჰქონდა და ჯობდა, თურქეთი თავისთვის დაეტოვებინათ. მით უმეტეს, რომ იმ დროისათვის აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოებას იწყებდნენ (რასაც საკმაოდ მალე ისინი იაპონიასთან უნდა დაეჯახებინა).

თავისთვის დატოვებული თურქეთი კი ამ დროს გაჭირვებით უმკლავდებოდა შიდა პრობლემებს. ქვეყანა სუსტდებოდა და ახალი ძალა სჭირდებოდა. 1908 წლის გაზაფხულზე ეს ახალი ძალაც თითქოს გამოჩნდა. ახალგაზრდა ოფიცრებმა 27 წლის ენვერის მეთაურობით გადატრიალება მოახდინეს და ქვეყანას კონსტიტუცია დაუბრუნეს, რომელიც ოდესღაც სულთანმა აბდულ-ჰამიდმა აჩუქა ქვეშევრდომებს, მაგრამ მალე თავადვე უკან წაიღო. მალე თავად აბდულ-ჰამიდიც ჩამოშორდა ხელისუფლებას. ახალგაზრდა თურქებმა (ასე ეწოდათ რევოლუციონერებს) ტახტზე ისეთი სულთანი დასვეს, რომელიც თავისი გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სახელმწიფო საქმეებში თითქმის არ ერეოდა. მოკლედ, რევოლუციონერებს რეფორმების გატარებაში ხელს არავინ უშლიდა. გარდა ამისა, ევროპაში თურქეთის გულშემატკივრებს მათმა გამოჩენამ იმედი ჩაუსახა. როცა 1908 წელს იზვოლსკი ლონდონში სრუტეების საკითხის გადასაწყვეტად ჩავიდა, მას იქ უპასუხეს, რომ ამ საკითხის განხილვა ახალგაზრდა თურქებისათვის ზურგში დანის ჩარტყმას ნიშნავდა.

მაგრამ რევოლუციონერებმა აშკარად დააგვიანეს. „ბალკანეთის გაყინვიდან“ ათ წელიწადზე მეტი იყო გასული და ამასობაში ავსტრიელებმა ბოსნიის ანექსია გადაწყვიტეს. რუსეთში კი სრუტეები ისევ გაახსენდათ. მართალია, იზვოლსკის ამ საკითხში მხარი არ დაუჭირა მისსავე მთავრობამ (სტოლიპინი თავის რეფორმებზე იყო გადართული და სრუტეები არაფერში სჭირდებოდა), მაგრამ ეს შემთხვევა ბედნიერი გამონაკლისი იყო და ასეთების იმედზე ყოფნა არ შეიძლებოდა.

1911 წელს საქმე იქამდე მივიდა, რომ თურქეთს იტალიაც კი დაესხა თავს. ამ უკანასკნელს ტრიპოლიზე ჰქონდა პრეტენზია და, როცა დიდი სახელმწიფოების თანხმობა მიიღო, ყოველგვარი მიზეზის გარეშე გამოუცხადა ომი ერთ დროს დიდ იმპერიას, რომელთანაც მსგავს რამეს ადრე რუსეთიც ვერ ბედავდა (ყოველთვის რაიმე ლეგიტიმურ საბაბს ეძებდა ხოლმე თურქეთის შიდა საქმეებში ჩარევისათვის). იტალიელებმა დარდანელი დაბომბეს, რის პასუხადაც თურქებმა სრუტეები დაკეტეს და ამით რუსეთის ეკონომიკა მძიმე დღეში ჩააგდეს (რუსული ექსპორტის ნახევარზე მეტი სწორედ ამ მარშრუტით უკავშირდებოდა გარე

სამყაროს). კონსტანტინოპოლში რუსების ელჩმა იზვოლსკის მსგავსად ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო და სრუტეების საკითხი დასვა, მაგრამ არც მას დაუჭირა მხარი მთავრობამ. სწორედ იმავე პერიოდში კონრადმა ვენაში იტალიაზე თავდასხმა მოითხოვა, მაგრამ, ცხადია, ვერც მან მიიღო მხარდაჭერა (სხვა თუ არაფერი, იტალია სამთა ალიანსის წევრი და ავსტრიელთა მოკავშირე იყო).

1913 წელს ბალკანურმა ლიგამ თურქეთი რეგიონიდან გააძევა და ავადმყოფი ევროპის მიღმა დარჩა. ავადმყოფს ცოტა ხანში ბულგარეთმა უშველა. როცა ეს უკანასკნელი სერბეთსა და საბერძნეთს დაესხა თავს, ენვერის მეთაურობით თურქებმა ბულგარელებს დაარტყეს და დაკარგული ტერიტორიების ნაწილი დაიბრუნეს. ენვერს იქამდე რამდენიმე წელი ბერლინში ჰქონდა გატარებული სამხედრო ატაშედ და გერმანული ჯარის ტრფიალად იყო ქცეული. მისი თაოსნობით თურქეთში არაერთი გერმანელი ოფიცერი იქნა მივლენილი, რომლებიც იქაურ ჯარს თავიანთ ყაიდაზე წვრთნიდნენ. თუმცა, ამ წვრთნამ ბალკანურ ომებში დიდი შედეგი ვერ გამოიღო, რამაც გერმანელთა იმპერატორი გააღიზიანა. სერბების უკან რუსეთი და საფრანგეთი იდგნენ და მათი გამარჯვება გერმანიის პრესტიჟს სერიოზულად ურტყამდა. ვილჰელმმა გადაწყვიტა, რომ კიდევ უფრო მეტად უნდა გაეძლიერებინა თურქული ჯარი. თურქებს კი თავიანთ მხრივ ამდენი მარცხის შემდეგ ძლიერი მოკავშირე ესაჭიროებოდათ. ლონდონი მათ მფარველობაზე უარს აცხადებდა. თურქებმა მას 1911 წელს ალიანსი შესთავაზეს, მაგრამ ინგლისელთა მაშინდელი ლიბერალური მთავრობა თურქებს გლადსტონისეული ამრეზით უყურებდა. ადმირალიტეტის პირველმა ლორდმა უინსტონ ჩერჩილმა მათ მოწყალედ აუხსნა, რომ სანამ მისი ფლოტი ზღვებს აკონტროლებდა, თურქებისათვის ინგლისთან უბრალოდ მეგობრობაც სასარგებლო იქნებოდა და ამიტომ ისინი ამ მეგობრობას უნდა გაფრთხილებოდნენ.

ასე იქნა მიღებული 1913 წლის ბოლოს გადაწყვეტილება, რომელმაც გერმანულ-რუსული მეგობრობის კუბოს კიდევ ერთი ლურსმანი ჩააჭედა: თურქეთის ჯარის სარდლად გერმანელი გენერალი ლიმან ფონ სანდერსი დაინიშნა, რომელსაც პარალელურად კონსტანტინოპოლის გარნიზონიც ჩააბარეს. რუსეთისათვის სრუტეები ისევ დაიკარგა და ისინი ამჯერად გერმანიამ მიიტაცა. ხმამაღალი პროტესტის პასუხად (რომელშიც რუსებს ფრანგები და ინგლისელებიც შეუერთდნენ) გერმანელებმა მხოლოდ ის გააკეთეს, რომ სანდერსი დააწინაურეს და ფელდმარშლის რანგი მიანიჭეს, რის შემდეგაც იგი ქალაქის გარნიზონს ვეღარ უმეთაურებდა. ამან დაძაბულობა ცოტათი ჩააცხრო, მაგრამ არსებითად არაფერს ცვლიდა. ნიკი ვილჰელმისგან ბევრ რამეს ითმენდა. ითმენდა გერმანული კოლონიების დაარსებას ჩინეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე (რომლის ათვისებისათვის რუსეთი უამრავ რესურსს ხარჯავდა), თურქეთში რკინიგზის მშენებლობას. წესით, ვილი ბოსნიის ანექსიის

შემდეგ მაინც უნდა გაჩერებულიყო, მაგრამ არა.

ევროპის ძველი ავადმყოფი მომავალი დიდი აფეთქების უშუალო მიზეზი აღარ უნდა ყოფილიყო. მაგრამ მის გამო დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები კვლავაც ფუჭდებოდა. გარდა ამისა, ტრაგედია, რამაც დიდი ომი წარმოშვა, სწორედ მის ყოფილ სამფლობელოში მოხდა, რომელიც ავსტრიელებმა ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესის შემდეგ მიიტაცეს, მაგრამ ოფიციალურად ომამდე სულ რამდენიმე წლით ადრე გადაიფორმეს.

კაფკას წარმოსახვა

ამ ყველაფრის ფონზე თითქოსდა ევროპელებს ყოველდღე ომის შიშსა და სამზადისში უნდა ეცხოვრათ. მართლაც, გერმანია და რუსეთი ერთმანეთს წაჰკიდებოდნენ, გერმანიის უმცროსი ძმა ავსტრია-უნგრეთი სერბეთის მოსპობაზე ოცნებობდა, რომლის უკანაც რუსები იდგნენ. რუსეთთან ალიანსში იყო საფრანგეთი, რომელიც გერმანიაზე შურისძიების ოცნებით ცხოვრობდა. საფრანგეთს სულ უფრო და უფრო უმეგობრდებოდა ინგლისი. იტალია სამთა ალიანსით კვლავაც გერმანელებისა და ავსტრიელების მოკავშირედ ითვლებოდა.

მაგრამ ბერლინის კონგრესის შემდეგ ევროპამ არაერთი ომის განგაში გამოიარა. განგაშები ცხადდებოდა და საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობით სრულდებოდა. ევროპელები მდიდრდებოდნენ და ბევრს მოგზაურობდნენ. დასავლეთ ევროპაში ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილება პასპორტის გარეშეც შეიძლებოდა. ჰააგაში კონფერენციები ჩატარდა (1899 და 1907 წლებში), რომლებზეც დავების მშვიდობიანი გადაჭრის აუცილებლობასა და ომის დროს დასაცავ წესებსა და ნორმებზე იმსჯელეს. ცხოვრება გრძელდებოდა და სულ უფრო უკეთესი ხდებოდა არა მხოლოდ დასავლეთ ევროპაში, არამედ ტრადიციულად ჩამორჩენილ რუსეთშიც კი. აქ ვიტესა და სტოლიპინის რეფორმების შედეგად გლეხებიც კი ეცნობოდნენ ისეთ პროდუქტებს, როგორიც იყო შოკოლადი.

მოკლედ, ვის ეცალა ასეთი კარგი ცხოვრების პირობებში ომისათვის და ვის რას რაში ახეირებდა ომი? – დაახლოებით ასეთი იყო 1910 წელს დაწერილი ბესტსელერის, „დიდი ილუზიის“ შინაარსი. მისი ავტორი, ინგლისელი ნორმან ენჯელი ამტკიცებდა, რომ ომმა აზრი დაკარგა, რადგან იგი გაცილებით მეტ ზიანს მოიტანდა, ვიდრე მოგებას, რომ დიდ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება იმდენად დიდი იყო, რომ ომზე სერიოზულად არც ერთი სახელმწიფოს ლიდერს არ უნდა ეფიქრა. ამ ლიდერებში იგულისხმებოდა ვილჰელმიც, რომელსაც „დიდი ილუზია“ წაკითხული ჰქონდა. თუმცა, მას უფრო

მეტად უყვარდა სხვა ცნობილი წიგნი – „საზღვაო სახელმწიფოს გავლენა ისტორიაზე,“ რომელშიც მისი ავტორი, ამერიკელი ადმირალი მეჰენი ამტკიცებდა, რომ ძლიერი ფლოტის გარეშე ყველა დიდი სახელმწიფოს ამბიციები განწირული იყო.

მაგრამ ეს ყველაფერი როდი იყო. გერმანიაში მეჰენის წიგნზე კიდევ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა იქაური გენერლის, 1871 წელს პარიზის ამღები ფრიდრიხ ფონ ბერნარდის „გერმანია და მომავალი ომი.“ ეს იყო „დიდი ილუზიის“ სრული ანტითეზა, რომელიც სწორედ იმავე წელს დაიწერა. მისი მიხედვით, ომი ბიოლოგიური აუცილებლობა გახლდათ. ეს იყო არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაც. ეს ვალდებულება ჰქონდა გერმანიას, როგორც კაცობრიობის სულიერ და ინტელექტუალურ ლიდერს. მას უნდა განემტკიცებინა თავისი მონაპოვარი და უნდა დაეკავებინა კიდევ უფრო ძლიერი პოზიცია, რადგან იგი მეტს იმსახურებდა, გაცილებით მეტს!

გერმანელი გენერალი არ იყო ერთადერთი, ვინც მსგავს რამეებს ფიქრობდა. ცნობილი გერმანელი მწერალი თომას მანიც კი, რომელიც ოცი წლის შემდეგ ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე შეურიგებელ მოწინააღმდეგედ უნდა ქცეულიყო, 1914 წლისათვის გერმანულ სულსა და ინტელექტს ადიდებდა და გერმანელთა დიდ მისიაზე წერდა. ეს ყველაფერი მოიტანა ჰეგელისა და ფიხტეს ნაშრომებმა, რომლებშიც პირველად ალაპარაკდნენ გერმანელთა უნიკალურობაზე; შემდეგი ნიცშე იყო; მაგრამ უდიდესი როლი ამ საკითხში ალბათ იმ ფაქტორმა ითამაშა, რომ არც ისე დიდი ხნის გაერთიანებული ერი თავის ამბიციებს ვერ ზომავდა. უეცრად მიღწეულმა წარმატებებმა გერმანელებს თავბრუ დაახვია.

მაგრამ საბოლოო ჯამში ალბათ არც ერთ ევროპელს, არც ერთ გერმანელს, არც თომას მანსა და ალბათ არც ფონ ბერნარდის არ სურდათ ის, რაც უნდა მომხდარიყო. თუკი ვინმეს ომი უნდოდა, როგორც წესი, დარწმუნებული იყო, რომ ომი რამდენიმე კვირაში, ყველაზე დიდი, რამდენიმე თვეში დასრულდებოდა, როგორც, მაგალითად, საფრანგეთ-პრუსიის ომი. მართალია, მე-19 საუკუნეში ასევე არსებობდა ყირიმის ომის მაგალითი, რომელიც საკმაოდ გაიწელა, მაგრამ ეს იყო და ეს. თანაც ყირიმის ომის გაჭიანურების მიზეზი ის გახლდათ, რომ სევასტოპოლმა დიდხანს გაუძლო ალყას. მისი დაცემის შემდეგ ყირიმის ომიც სწრაფად დასრულდა.

როცა დიდი აფეთქება მოხდა და დაიწყო ის, რასაც არავინ ელოდა, კიდევ ერთმა ცნობილმა მწერალმა, ფრანც კაფკამ ასეთი რამე თქვა (თავის მეგობარზე საუბრისას, რომელიც სწორედ იმ პერიოდში გარდაიცვალა):

„მას ძლიერი წარმოსახვა ჰქონდა და ვერ აიტანა ისეთი რამ, რაც წარმოსახვის სრულმა არქონამ მოიტანა“.

ახალგაზრდა ვილჰელმი (1859-1941)
და ბისმარკი (1815-1898)





ვილჰელმი და ფრანც-იოზეფი (1830-1916)

ნიკოლოზი (1868-1918) და მისი
დეიდაშვილი, ინგლისის მეფე
ჯორჯი (1865-1936)

„შავი ხელის“ ლიდერი დიმიტრიევიჩი (1876-1917)

ავსტრია-უნგრეთის
ტახტის მემკვიდრე ფრანც-
ფერდინანდი (1863-1914)

ევროპა 1914 წელს



ბერხტოლდი (1863-1942)



კონრადი (1852-1925)

თავი 2. დიდი აფეთქება

სარაევო

ავსტრია-უნგრეთის საგარეო მინისტრი ბერხტოლდი ჯერ კიდევ ბერლინში გასაგზავნ მემორანდუმს დასტრიალებდა თავს, როცა 28 ივნისს ფრანც-ფერდინანდი თავის მეუღლესთან ერთად სარაევოს (ბოსნიის მთავარი ქალაქი) ესტუმრა. ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა იყო, როცა წყვილი ერთად გამოჩნდა საჯაროდ და ამიტომ იმპერიის ტახტის მემკვიდრე თავს მეტად ბედნიერად გრძნობდა. რამდენიც უნდა ესისინათ ჰაბსბურგებს, რამდენი უსიამოვნებაც უნდა შეხვედროდა მას თავისი ცოლის გამო, ფრანც-ფერდინანდს მაინც მიაჩნდა, რომ სოფიზე ქორწინება მისი ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი იყო. ევროპის სამეფო ოჯახებში ასეთი წყვილი იშვიათად მოიძებნებოდა. სულ რამდენიმე დღეში მათ ქორწინების 14 წლისთავი უნდა ეზეიმათ.

მემკვიდრემ კარგად იცოდა, რომ მას ბევრი მტერი ჰყავდა. მტრებში იგულისხმებოდა არა მხოლოდ მისი ქორწინებით შეურაცხყოფილი ჰაბსბურგები. მისი მტრების სიაში იყვნენ უნგრელები, რომელთაც არ შეიძლებოდა მოსწონებოდათ ფრანც-ფერდინანდის გეგმები იმპერიაში სლავებისათვის პრივილეგიის მინიჭებაზე. უნგრელებს იმპერია, როგორც ასეთი, სულაც არ უყვარდათ და იქ ყოფნას მხოლოდ იმიტომ ეგუებოდნენ, რომ განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდნენ და ამ სტატუსის სხვისთვის გაყოფა სულაც არ სურდათ. ამას კარგად ხვდებოდნენ ავსტრიელები და კონრადი ზოგჯერ იმასაც კი იმუქრებოდა, რომ სერბების განადგურების შემდეგ იმპერია უნგრელებს მიუბრუნდებოდა და მათ ასწავლიდა ჭკუას.

მაგრამ მემკვიდრეს გაცილებით საშიში მტრები ჰყავდა სწორედ სერბების სახით. მის მიერ ჩაფიქრებული რეფორმა იმპერიას გადარჩენისა და სლავების წარმატებული ინტეგრაციის შანსს აძლევდა. ეს კი მიუღებელი პერსპექტივა იყო სერბი ნაციონალისტებისათვის, რომელთაც ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სლავების „გათავისუფლება“ ჰქონდათ ჩაფიქრებული. რამდენადაც სერბეთი კართაგენად იყო ქცეული კონრადისნაირი ავსტრიელებისათვის, ისეთივე პრობლემურ წერტილად ქცეულიყო ფრანც-ფერდინანდი „შავი ხელისათვის“ და პოლკოვნიკ დიმიტრიევიჩისათვის. ეს უკანასკნელი ამ დროისათვის არა მხოლოდ „შავი ხელის“ ლიდერი, არამედ უკვე სერბეთის სამხედრო დაზვერვის უფროსიც იყო. დიმიტრიევიჩის გავლენა 1903 წლის შემდეგ

სერიოზულად გაიზარდა – მან თავი ისახელა ბალკანეთის ომებში – და ასევე გაიზარდა „შავი ხელის“ გავლენაც. ორგანიზაცია რამდენიმე ასეულ წევრს ითვლიდა, ძირითადად ოფიცრებს. იგი, ასე ვთქვათ, ახალგაზრდა თურქებისა და რუსული ტერორისტული ორგანიზაცია „ხალხის ნების“ (რომელმაც რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II იმსხვერპლა) ნაზავად ჩამოყალიბდა.

ბუნებრივია, რომ ფრანც-ფერდინანდი „შავი ხელის“ ერთ-ერთ უმთავრეს სამიზნეს წარმოადგენდა. მის ლიკვიდაციას დიმიტრიევიჩი 1914 წლამდეც ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. ახლა ბედი მას უნიკალურ შანსს აძლევდა: სარაევოში ტახტის მემკვიდრე გაცილებით უფრო დაუცველი იქნებოდა, ვიდრე ვენაში (სწორედ იქ მიუგზავნა ფრანც-ფერდინანდს რამდენიმე წლით ადრე მკვლელი „შავმა ხელმა“). თუკი ეს არ მოხერხდებოდა ახლა, არავინ იცის, ბედი შემდეგ როდის მისცემდა ასეთ მშვენიერ შესაძლებლობას სერბ ნაციონალისტებს.

დიმიტრიევიჩი სარაევოს ვიზიტისათვის მზადებას შეუდგა. მან და მისმა უახლოესმა თანამებრძოლმა სახიფათო, მაგრამ საპატიო მისიისათვის ახალგაზრდა სერბების ჯგუფი შეარჩიეს. აქედან უმეტესობა ბოსნიელი სერბი იყო, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა მათ სიძულვილს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მიმართ. იარაღისა და ყუმბარების გარდა, მათ ციანიდის აბებიც დაურიგეს, რათა საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლე მოესწრაფათ. ეს შეთქმულთათვის ძნელი არ იქნებოდა, რადგან თითქმის ყველანი ტუბერკულოზით იყვნენ ავად და დიდი დღე ისედაც არ ეწერათ. საინტერესოა, რომ შეთქმულთა მომავალი მსხვერპლი, ფრანც-ფერდინანდი ადრეულ ასაკში ასევე იყო ტუბერკულოზით დაავადებული, მაგრამ მან ავადმყოფობის დამარცხება მოახერხა. მაისის ბოლოს ახალგაზრდებმა საიდუმლოდ დატოვეს ბელგრადი და ბოსნიისკენ გაეშურნენ.

ერთადერთი სერიოზული მტერი, რომელიც „შავ ხელს“ სერბეთში ჰყავდა, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნიკოლა პაშიჩი იყო. ეს ცხოვრებით დაბრძენებული ადამიანი და გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე კარგად აცნობიერებდა, რა საფრთხეებს უქადდა მის ჯერ კიდევ პატარა ქვეყანას ნაციონალიზმიდან მომდინარე უზომო ამბიციები, და ცდილობდა მშვიდობიანი და ზომიერი პოლიტიკა გაეტარებინა. სწორედ მან მოახერხა 1908 წელს ავსტრიელთა მიერ ბოსნიის ანექსიის შემდეგ აბობოქრებული სერბების დაშოშმინება, რითაც კრიზისის დასრულებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. 1914 წელს პაშიჩი კარგად ხვდებოდა, რომ მის ქვეყანას ახალი ხათაბალა არ სჭირდებოდა. მართალია, ბალკანური ომების წყალობით სერბეთმა ტერიტორიები შეიერთა და გაძლიერდა, მაგრამ ამავე დროს დიდი ოდენობით მეომრები დაკარგა და, შესაბამისად, ომი და კონფლიქტი უახლოეს მომავალში მაინც როგორმე თავიდან უნდა აეცილებინა. მოთმინება სერბეთს გაცილებით მეტს მოუტანდა, ვიდრე რისკი და

ავანტიურები. ცხადია, „შავი ხელის“ ლიდერებს ამის გამო პაშიჩი გულზე არ ეხატებოდათ და მის თავიდან მოცილებასაც ცდილობდნენ. ზუსტად 1914 წლის ივნისში მათ ამას მიაღწიეს კიდეც, მაგრამ ფრანგებისა და რუსების ჩარევის შედეგად იძულებულნი გახდნენ, პრემიერ-მინისტრი დაუყოვნებლივ დაეუბრუნებინათ თავის პოსტზე.

ძნელი წარმოსადგენი არ არის პაშიჩის განცდები, როცა მან შეიტყო, რომ „შავ ხელს“ ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის ლიკვიდაცია ჰქონდა განზრახული. შოკის გადავლის შემდეგ პრემიერ-მინისტრი შეეცადა, შეთქმულები დაეკავებინა და ბოსნიაში გადასვლის საშუალება არ მიეცა, მაგრამ „შავ ხელს“ საკმარისი გავლენა ჰქონდა, რათა პაშიჩის დირექტივა ჩაეგდო. როცა შეიტყო, რომ მისი მცდელობის მიუხედავად მკვლელებმა სერბეთის ტერიტორია მაინც დატოვეს, პრემიერ-მინისტრმა ავსტრიელთა მთავრობის გაფრთხილება სცადა და ვენაში თავის ელჩს შესაბამისი დავალებაც მისცა. მაგრამ ელჩი „შავ ხელს“ მეტი სიმპათიით უყურებდა, ვიდრე მთავრობის მეთაურს და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა დავალება მხოლოდ ფორმალურად შეესრულებინა (იგი ფინანსთა მინისტრს შეხვდა და გრეისეულად ესაუბრა „მოსალოდნელი და შესაძლო საფრთხეების“ შესახებ).

პაშიჩს მეტი აღარაფრის გაკეთება შეეძლო. თუმცა, ცოტა ხანში მოულოდნელად მას თანამოაზრეები გამოუჩნდნენ. საბედისწერო დღემდე ორი კვირით ადრე „შავი ხელის“ შეხვედრა გაიმართა და როცა ორგანიზაციის წევრებმა დიმიტრიევიჩის გეგმის შესახებ შეიტყეს, შეეწინააღმდეგნენ. ავსტრია-უნგრეთის ტახტისა და მისი მემკვიდრის მიმართ სიძულვილის მიუხედავად, ისინი კარგად ხვდებოდნენ, რომ ავანტიურა შესაძლოა ომით დასრულებულიყო, რომელსაც სერბეთისათვის უმძიმესი შედეგები ექნებოდა. დიმიტრიევიჩს კატეგორიულად მოსთხოვეს, ოპერაცია გაეუქმებინა, მაგრამ, როცა სამხედრო დაზვერვის უფროსი შეთქმულებს დაუკავშირდა და მათი შეჩერება სცადა, ახლა უკვე მან მიიღო უარი: ისედაც სასიკვდილოდ განწირული სერბი ახალგაზრდებისათვის ახლა უკან დახევა იმას ნიშნავდა, რომ ცხოვრებაში თავის გამოჩენისა და სამშობლოსათვის სამსახურის გაწევის ალბათ ერთადერთ შანსს ხელიდან გაუშვებდნენ. ჯინი ბოთლიდან არა მხოლოდ გამოფრინდა, არამედ უკვე ძალიან შორს იყო წასული.

ფრანც-ფერდინანდის მკვლელობის დაგეგმვა ავსტრიელთა მიერ არც ისე დიდი ხნის წინ ანექსირებულ ბოსნიაში თავისთავად სიმბოლური იყო, მაგრამ კიდევ უფრო სიმბოლური იყო თარიღი. ზუსტად 28 ივნისს, 1389 წელს სერბების ჯარი სასტიკად დამარცხდა ოტომანებთან ბრძოლაში და მოყოლებული იქიდან, მცირერიცხოვანი, მაგრამ ამბიციური ერის შვილები თურქეთის იმპერიის ქვეშევრდომთა რიგებში აღმოჩნდნენ. თურქებზე შურისძიება სულ რამდენიმე წლის წინ მოხერხდა და ახლა უკვე ავსტრიელებზე შურისძიების ჯერი იყო.

მოკლედ, შეთქმულები უკან დახევას არ აპირებდნენ და როცა სარაეგოს ქუჩებში ტახტის მემკვიდრე და მისი მეუღლე გამოჩნდნენ, მათი წუთები უკვე დათვლილი იყო. ფრანც-ფერდინანდი და სოფი სახურაეგადახდილ მანქანაში ისხდნენ, მათ უსაფრთხოებას მთელი ქალაქის მასშტაბით სულ რამდენიმე ათეული პოლიციელი იცავდა და თავდასხმა რთულ ამოცანას არ წარმოადგენდა. საჭირო იყო მხოლოდ ნება და გამბედაობა. და მაინც, როცა დილის ათ საათსა და ათ წუთზე მანქანამ შეთქმულებს ჩაუარა, ბევრმა მათგანმა დაბნეულობისგან ვერაფერი მოახერხა. მხოლოდ ერთმა ისროლა ყუმბარა, რომელიც ფრანც-ფერდინანდისა და სოფის მანქანის უკან აფეთქდა და სოფი მხოლოდ ოდნავ დაკაწრა. დაიჭრა იქვე მყოფი ადამიანების ჯგუფი. წყვილმა, ასე თუ ისე, მშვიდობიანად მიაღწია დანიშნულების ადგილს (ქალაქის მერიას). იქ ფრანც-ფერდინანდმა გადაწყვიტა გეგმები შეეცვალა და საავადმყოფოსკენ დაძრულიყო, სადაც ტერაქტის შედეგად დაჭრილ მოქალაქეებს მოინახულებდა. სოფი, ქმრის თხოვნის მიუხედავად, მერიაში არ დარჩა და საყვარელ მეუღლეს თან გაჰყვა. მაგრამ კორტეჟი საავადმყოფოს გზას ასცდა და ძველი გეგმებით გათვალისწინებული მარშრუტით დაიძრა. სწორედ იმ მომენტში, როცა წყვილთან ერთად მანქანაში მჯდარი ბოსნიის გუბერნატორი შეცდომას მიხვდა და მძღოლს უბრძანა, მიმართულება შეეცვალა, მანქანა ერთ-ერთი შეთქმულის, 19 წლის გავრილო პრინციპის წინ აღმოჩნდა. სანამ მძღოლმა მანქანა გააჩერა და მოატრიალა, პრინციპმა იარაღი ამოიღო და წყვილისკენ ორჯერ გაისროლა. ერთ გასროლას ფრანც-ფერდინანდი შეეწირა, რომელმაც გარდაცვალების წინ მხოლოდ ერთი რამ მოასწრო: სოფის სთხოვა, ეცოცხლა და შვილებისათვის მიეხედა. მაგრამ მის მეუღლეს მეორე ტყვია მოხვდა, რომელიც ასევე სასიკვდილო აღმოჩნდა. მართალია, მოგვიანებით პრინციპი ამბობდა, რომ მისი მეორე სამიზნე არა სოფი, არამედ გუბერნატორი იყო, მაგრამ ეს საქმეს არ ცვლიდა. მესამე ტყვიით მკვლელმა სცადა, საკუთარი სიცოცხლე მოესწრაფა, მაგრამ იქვე მყოფმა მოქალაქეებმა იარაღი წაართვეს. პრინციპს არც ციანიდმა უშველა, რომელიც დაძველებული აღმოჩნდა და მხოლოდ გულისრევა გამოიწვია (იგივე ბედი ეწია პირველ თავდამსხმელსაც).

რეაქცია

სარაევოს ტრაგედია ევროპაში დიდად არავის შეუმჩნევია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უნგრელთა პოლიტიკური ელიტა მომხდარით კმაყოფილი იყო და ასევე კმაყოფილებას ვერ მალავდა იმპერატორი ფრანც-იოზეფი (სამარცხვინო ჰაბსბურგი განგებამ მტრების ხელით მოაშორა), მაგრამ ავსტრია-უნგრეთის მოსახლეობას ბევრი არაფერი

ეტყობოდა. დანარჩენ ევროპაზე საუბარიც არ არის. რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზმა პატივი მიაგო მონარქიულ სოლიდარობას და თავისი ქვეშევრდომებისათვის სამკვირიანი გლოვა გამოაცხადა, მაგრამ ამ უკანასკნელთ ეს ბევრს არაფერს ეუბნებოდა. საერთოდ კი, საზაფხულო სეზონის გამო პოლიტიკისათვის თითქმის არავის ეცალა. ფრანც-ფერდინანდი მეტად მოკრძალებულ ვითარებაში დაკრძალეს და სოფის ფაქტორის გამო ამ ცერემონიას არც ერთი მონარქი არ დასწრებია.

ერთადერთი ქვეყანა, რომლის ცხოვრებაშიც ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის მკვლელობამ რაღაც შეცვალა, სერბეთი იყო. ბელგრადში სადღესასწაულო მსვლელობები გაიმართა, იქაურმა გაზეთებმა კი ისტერიული კამპანია გააჩაღეს ავსტრია-უნგრეთში სერბეთის დევნასა და ჩაგვრაზე (რაც მხოლოდ მათი გამონაგონი იყო), მაგრამ პაშიჩის მთავრობამ ესეც მალე აღკვეთა და ცხოვრება იქაც მალე დაუბრუნდა ჩვეულ რიტმს.

თუმცა სარაევოს ამბავმა მაინც ააფორიაქა რამდენიმე გავლენიანი ადამიანი. მათ შორის იყვნენ კონრადი, ბერხტოლდი, ფრანც-იოზეფი და იშტვან ტიშა (უნგრეთის პრემიერ-მინისტრი). მომხდარი უშუალოდ მათ ეხებოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოკლეს მათი იმპერიის ტახტის მემკვიდრე, არამედ იმიტომაც, რომ მკვლელობის უკან აშკარად სერბები იდგნენ და ეს უნიკალურ შანსს იძლეოდა, კართაგენს გასწორებოდნენ. რა პოზიციას დაიჭერდა კონრადი, ალბათ გასაგებია. ბერხტოლდმა გენერალური შტაბის უფროსს უპირობოდ დაუჭირა მხარი. არა იმდენად იმიტომ, რომ მის იდეებს იზიარებდა, არამედ უფრო იმიტომ, რომ უკვე დიდი ხანი იყო მას (ბერხტოლდს) პატრიოტიზმის არქონაში ადანაშაულებდნენ და დრო იყო, ბოლოს და ბოლოს კრიტიკოსები დაედუმებინდა. იმპერატორი ყოყმანობდა. ტიშა (ამ ოთხეულიდან ყველაზე ენერგიული და მოტივირებული ადამიანი) წინააღმდეგი იყო. ისევ და ისევ მას არ აძლევდა ხელს სერბეთთან ომი და იმპერიაში სლავების შემომატება. არადა, უნგრელების ნებართვის გარეშე იმპერია ომს ვერ დაიწყებდა.

ბოლოს და ბოლოს ოთხეული იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დისკუსიის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, სანამ ბერლინის პოზიციას არ გაეცნობოდნენ. მართლაცდა, გერმანია არა მხოლოდ მფარველი იყო, არამედ ავსტრია-უნგრეთს მასთან ფორმალური ალიანსიც ჰქონდა და, შესაბამისად, ომის გამოცხადება ბერლინის დაუკითხავად არაფრით შეიძლებოდა. გარდა ამისა, კონრადი და ბერხტოლდი იმედოვნებდნენ, რომ ვილჰელმისგან მწვანე შუქის მიღების შემდეგ ტიშა წინააღმდეგობას შეწყვეტდა (გერმანიის იმპერატორი უნგრელებს გულშემატკივრობდა და ამიტომ მათზე დიდი გავლენა ჰქონდა). ბერხტოლდმა თავის მრავალტანჯულ მემორანდუმს კიდევ ერთი პუნქტი ჩაუმატა, რომელშიც სერბეთის ცოდვების ჩამონათვალი ტახტის მემკვიდრის მკვლელობამ შეავსო, და კართაგენის დანგრევა აუცილებლობად გამოაცხადა. დოკუმენტიც

ბოლოს და ბოლოს ვილჰელმს გადაეგზავნა. მასთან ერთად გერმანიის იმპერატორს გადაეგზავნა ფრანც-იოზეფის მიერ ხელმოწერილი ანალოგიური შინაარსის წერილი.

ვილჰელმი კი იმ დღეებში ნორვეგიის სანაპიროსთან ისვენებდა და როცა ფრანც-ფერდინანდის მკვლელობის ამბავი შეიტყო, ბერლინისკენ გასწია. ეს არა იმდენად იმიტომ, რომ ამ ამბავს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭა, არამედ იმიტომ, რომ განსვენებულთან მეგობრობდა. როცა შეიტყო, რომ მკვლელობის უკან სერბები იდგნენ, იმპერატორი განრისხდა და ბელგრადის მიმართ რისხვა-მუქარა აფრქვია. ასევე მკაცრად დატუქსა თავისი ელჩი ვენაში, რომელიც ავსტრიელებს თავშეკავებისკენ მოუწოდებდა და შემდეგ (5 ივლისი) ავსტრიის ელჩი მიიღო და ყველაფერში მხარდაჭერა აღუთქვა. სერბეთის პრობლემა უნდა გადაჭრილიყო და ამ საქმეში გერმანია ავსტრიელთა მხარეს იდგა. ასე განუცხადა მან ელჩს, თუმცა აშკარა იყო, რომ გააზრებული არ ჰქონდა რას ჰპირდებოდა. ვილჰელმი უბრალოდ განრისხებული იყო (რაც ხშირად ემართებოდა და მალე გადაუვლიდა ხოლმე). გარდა ამისა, მას ახსოვდა, რომ ბოლო კრიზისის დროს (1913 წლის ბალკანური ომის მსვლელობისას) ავსტრიელები გაანაწყენა, როცა სერბეთის წინააღმდეგ მხარი არ დაუჭირა, და ახლა შიშობდა, თუკი ისევ უკან დაიხევდა, მოკავშირეებს უკვე სერიოზულად გაუცრუებდა იმედებს. მოკლედ, მან უმცროს ძმებს სერბების განადგურების საქმეში მწვანე შუქი აუნთო, თუმცა ნაკლებად იაზრებდა, ეს ქმედება რას მოიტანდა. ალბათ ავსტრიელები სერბებს დასჯიდნენ და დაახლოებით იგივე მოხდებოდა, რაც – 1908 წელს. რუსეთი ოში ჩარევას ვერ გაბედავდა, რადგან მისი ჯარი ისევ რეფორმის პროცესში იყო და რეფორმა კიდევ რამდენიმე წელი უნდა გაგრძელებულიყო. გარდა ამისა, ვილი ვერაფრით დაიჯერებდა, რომ ნიკი ტახტის მემკვიდრის მკვლელებს დაიცავდა და მათ გამო ვენის სამეფო კარს დაუპირისპირდებოდა.

მოკლედ, საგანგაშო არაფერი იყო და ვილი მეორე დღესვე ისევ ნორვეგიის სანაპიროსა და თავის ახალ იახტას დაუბრუნდა. არდადეგებზე იყვნენ გერმანიის ჯარისა და ფლოტის მეთაურებიც. იმპერატორმა მათ დედაქალაქში დაბრუნება არ მოსთხოვა, რადგან ამის საჭიროებას ვერ ხედავდა. ომის საფრთხეზე ბერლინში არავინ ფიქრობდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ავსტრიულ-სერბული კრიზისი საამისოდ საკმარისი მიზეზი არ იყო, არამედ იმიტომაც, რომ ევროპაში ზოგადად კონფრონტაცია ცხრებოდა. სწორედ 1914 წელს ჰააგის მორიგი კონფერენცია იყო დანიშნული (რომელიც ვერ ესწრებოდა, მაგრამ 1915 წელს მაინც აუცილებლად უნდა გამართულიყო). იმავე პერიოდში ინგლისელებმა კიდევ ერთხელ გადაწყვიტეს გერმანიასთან ფლოტის თაობაზე მოლაპარაკების განახლება და კიდევ ერთხელ გაჩნდა ამ პრობლემის მოგვარების იმედი. საფრანგეთში დღითი დღე ძლიერდებოდნენ სოციალისტები, რომელთა

ლიდერი ჟან ჟორესი ანტიმილიტარისტული იდეებითა და გერმანიასთან შერიგების მოწოდებით გამოდიოდა. მას მიაჩნდა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკას გერმანიასთან გაცილებით მეტი საერთო ჰქონდა, ვიდრე ჯერ კიდევ დესპოტურ და ჩამორჩენილ რუსეთთან, და არ არსებობდა უთანხმოება, რომელსაც პარიზი და ბერლინი ვერ დაძლევდნენ. რაც შეეხება სარაევოს ამბავს, საფრანგეთში იგი თითქმის არ შეუმჩნევიათ, რადგან საზოგადოება მთლიანად ერთ მეტად საინტერესო სკანდალზე გადართულიყო: 1914 წლის მარტში საფრანგეთის ფინანსთა მინისტრისა და ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკოსის, ჟოზეფ კაიოს მეორე ცოლი ანრიეტა კაბინეტში იარაღით შეუვარდა „ფიგაროს“ რედაქტორს და იქვე მოკლა. მიზეზი ერთობ ჩახლართული იყო და საბოლოოდ იქამდე დადიოდა, რომ „ფიგარო“ აპირებდა, გამოექვეყნებინა კაიოსა და ანრიეტას იმდროინდელი მიმოწერა, როცა ისინი ჯერ კიდევ საყვარლები იყვნენ. კაიო მაშინვე გადადგა. რომ არა ეს ამბავი, იმ პერიოდში იგი აუცილებლად პრემიერ-მინისტრი გახდებოდა და ჟორესთან ერთად ალბათ რადიკალურად შეცვლიდა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკასა და მსოფლიო ისტორიასაც. კაიო ის პოლიტიკოსი იყო, რომელიც გერმანიასთან შერიგებას არა მხოლოდ მხარს უჭერდა, არამედ ამ საქმეში უკვე წვლილიც შეეტანა. იგი მანამდე ერთხელ უკვე იყო პრემიერ-მინისტრი და 1911 წლის მაროკოს კრიზისის დროს გერმანიასთან საერთო ენის გამონახვა მოახერხა. მისი სკანდალური გადადგომა ფრანგულ-გერმანული შერიგების საქმისათვის დიდი დანაკლისი იყო, თუმცა, იმავე გადადგომამ ძალიან ასიამოვნა ფრანგ ნაციონალისტებს, მათ შორის – ქვეყნის პრეზიდენტს, ლორენში დაბადებულ რაიმონ პუანკარეს, რომელიც რუსეთთან ალიანსსა და რევანშზე ოცნებობდა. მართალია, პრემიერ-მინისტრად 1914 წლის ივნისში ასევე პუანკარეს ოპონენტი რენე ვივიანი დაინიშნა, მაგრამ, როგორც პოლიტიკოსი, კაიოსთან ახლოს ვერ მივიდოდა.

მოკლედ, საფრანგეთში ანრიეტას გულშემატკივრობდნენ, რომელიც ივლისის ბოლოს სასამართლომ გაამართლა კიდეც. ინგლისში ანრიეტას როლს ოლსტერი ასრულებდა, თუმცა გაცილებით უფრო სერიოზული და დრამატული მასშტაბებით. სწორედ იმ პერიოდში ინგლისმა ირლანდიისათვის ავტონომიის მინიჭება გადაწყვიტა, რაც ოლსტერმა გააპროტესტა და შეიარაღებულ წინააღმდეგობას მიმართა. ინგლისელთა ადგილობრივმა გარნიზონმა ოლსტერელთა წინააღმდეგობის ჩახშობაზე უარი განაცხადა, რასაც ჯარის სარდლობაში ხმაურიანი გადადგომები მოჰყვა. ასეთი შიდა კრიზისი მსოფლიოს ჯერ კიდევ ყველაზე გავლენიან სახელმწიფოს დიდი ხანი იყო არ ენახა.

რაც შეეხება გერმანიას, აქ საინტერესო არაფერი ხდებოდა. ვილჰელმს მალე სარაევოს ამბავიც თითქმის მიავიწყდა, რადგან ვენიდან არაფერი არ ისმოდა. საქმე ისაა, რომ ტიშა სერბეთის წინააღმდეგ ომზე კი დაითანხმეს (მას შეჰპირდნენ, რომ იმპერია სერბეთის ტერიტორიას

საერთოდ არ მიიერთებდა, რაც ტიშამ ბოლომდე ალბათ არ დაიჯერა, მაგრამ მაინც დათანხმდა, რადგან ვილჰელმის პოზიციას დიდ ანგარიშს უწევდა), მაგრამ ამავე დროს მკვეთრ ნაბიჯებს ერიდებოდნენ, რადგან სწორედ იმ დღეებში პეტერბურგს პუანკარე და ვივიანი სტუმრობდნენ, ეს კი აჩენდა საფრთხეს, რომ რუსები და ფრანგები თავიანთ პოზიციებს სწრაფად შეათანხმებდნენ და ვენის წინააღმდეგ ერთობლივად გამოვიდოდნენ. მით უმეტეს, რომ საფრანგეთის ლიდერებს ვიზიტისას პარიზში რუსების ელჩი და ყოფილი საგარეო მინისტრი იზვოლსკი ახლდათ, რომელიც ბოსნიის ისტორიის შემდეგ ავსტრიელების მიმართ არც ისე კარგად იყო განწყობილი. ყოველივე ამის გამო დაცდა იყო საჭირო მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის მოსახლეობაში ფრანც-ფერდინანდის მკვლელობით გამოწვეული ისედაც არცთუ სერიოზული მღელვარება ყოველდღე სულ უფრო და უფრო ცხრებოდა.

პირველი ულტიმატუმიდან პირველი ომის გამოცხადებამდე

ბოლოს და ბოლოს პუანკარემ და ვივიანიმ პეტერბურგი დატოვეს და 23 ივლისს ვენიდან სერბებს ულტიმატუმი გადაეგზავნათ, რომელსაც „ვადიანი ნოტა“ ეწოდა. ვადა 48 საათით იყო განსაზღვრული. ნოტა იწყებოდა შეხსენებით, რომ ბელგრადი რამდენიმე წლის წინ დათანხმდა, ელიარებინა ბოსნიის შესვლა ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში და განაცხადა, რომ მომავალში ამ საკითხის გამო არავითარი პრეტენზია არ ექნებოდა ვენასთან. მაგრამ რომ სერბებმა პირობა დაარღვიეს და ამიტომაც მათ მოეთხოვებოდათ ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ ყველანაირი პროპაგანდის შეწყვეტა, ანტიავსტრიული ორგანიზაციების აკრძალვა, ჯარიდან ანტიავსტრიულად განწყობილი ოფიცრების დათხოვნა, ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ ქმედებების ჩასახშობად და 28 ივნისის მოვლენათა გამოსაძიებლად თავად ავსტრია-უნგრეთის მთავრობის წარმომადგენელთა დაშვება ადგილზე, ავსტრიელთა მიერ უკვე გამოვლენილი 28 ივნისის მოვლენებში მონაწილეთა დაპატიმრება... მოკლედ, „ნოტა“ ისე იყო შედგენილი, რომ მისი პირობების დაკმაყოფილებას არავინ ელოდა. ბელგრადში ავსტრიელთა ელჩი ნოტის გადაცემიდან მალე ბარგის ჩალაგებას შეუდგა. მან იცოდა, რომ რა პასუხიც გინდა მიეღო ნოტაზე, ორ დღეში ვენისკენ უნდა გამგზავრებულიყო.

ულტიმატუმმა მყისიერად გამოაფხიზლა ევროპული დედაქალაქები. თუმცა, ინფორმაცია უკვე დიდი ხანი იყო, ჟონავდა და ყველა ხვდებოდა, რომ ვენა რაღაცას ამზადებდა. პუანკარემ და ვივიანიმ ჯერ კიდევ პეტერბურგში რუსებთან მოილაპარაკეს, რომ ერთობლივად იმოქმედებდნენ და ავსტრიელებს დააკავებდნენ. რუსეთის საგარეო მინისტრი

სერგეი საზონოვი ჯერ კიდევ ულტიმატუმამდე ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის ელჩებს შეხვდა და გააფრთხილა, რომ რუსეთი სერბეთის გასრესას არანაირად არ შეეგუებოდა. 24 ივლისს საზონოვი ისევ შეხვდა ავსტრიელთა ელჩს და როცა ამ უკანასკნელისგან მხოლოდ ის მოისმინა, რომ „მონარქიებს საფრთხე ელოდა“ და რომ სერბები ყველას ერთად უნდა დაესაჯათ, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებთან შეხვედრაზე გასწია. აქ მას ელოდა საფრანგეთის ელჩი მორის პალეოლოგი, პუანკარეს მეგობარი და თანამოაზრე, რომელმაც რუსეთს ყველანაირი მხარდაჭერა აღუთქვა. რამდენიმე დღეში პალეოლოგს სამშობლოსკენ მიმავალი ვივიანი გემიდან დაუკავშირდა და დაავალა რუსებისათვის გადაეცა, რომ ვითარება არ გაემწვავებინათ და მშვიდობიანი გამოსავალი ეძებნათ. მაგრამ ელჩმა ამის ნაცვლად საზონოვს განუცხადა საფრანგეთი მზადაა, მოკავშირის ვალდებულებები შეასრულოსო.

პუანკარეს და პალეოლოგს არაერთი მიზეზი ჰქონდათ რუსეთის უფრო მეტად წასაქეზებლად. 1914 წელს საფრანგეთი დიპლომატიურად გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე გერმანია. რუსეთთან ალიანსისა და ინგლისთან შეთანხმების მიღწევის გარდა ფრანგებმა იტალიის ნეიტრალიზაციაც მოახერხეს. ამ უკანასკნელს ჯერ მათრახის გემო აგრძნობინეს (რაღაც ხნით სატარიფო ომი მოახვიეს თავს), შემდეგ კი თაფლაკვერიც გაასინჯეს (ტრიპოლიზე იტალიის გავლენა აღიარეს). შედეგად, 1902 წლის ივნისში ორ ქვეყანას შორის შეთანხმება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, თუკი საფრანგეთი ომში აღმოჩნდებოდა ჩართული, იტალია ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა. 1860-იანი წლებიდან მოყოლებული, პარიზი ასეთ მომგებიან ვითარებაში არასოდეს ყოფილა, მაგრამ არავინ იცოდა, ეს ვითარება კიდევ რამდენ ხანს გასტანდა და ამიტომაც, თუკი ომზე მიდგებოდა საქმე, ჯობდა ომი დღეს ყოფილიყო და არა ხვალ. მით უმეტეს, ფრანგებს ყოველთვის ეშინოდათ, რომ რუსებს იდეოლოგიურად გერმანიის იმპერიასთან მეტი ჰქონდათ საერთო, ვიდრე საფრანგეთის რესპუბლიკასთან, რომ ვილი და ნიკი საჭირო მომენტში ყოველთვის გამონახავდნენ საერთო ენას და, შესაბამისად, რუსულ-ფრანგული ალიანსი არც ისე საიმედო იყო. ამიტომაც ფრანგებს მართებდათ, რუსებისათვის ხშირად შეეხსენებინათ, რომ საფრანგეთისნაირი ერთგული მოკავშირე მათ არ ჰყავდათ. სწორედ ამას აკეთებდა პალეოლოგი.

ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ცალკეულმა პირებმა ინსტრუქციებს გადაუხვიეს და პირადი ინიციატივით კიდევ უფრო მეტად შეუწყვეს ხელი დიდი ომის გაჩაღებას.

ამასობაში ავსტრიელებმა ულტიმატუმზე პასუხი მიიღეს, რომელიც მათივე აღიარებით, ნამდვილი დიპლომატიური შედევრი იყო. რუსების ჩაგონებით სერბებმა არნახული კონსტრუქციულობა გამოიჩინეს, ვენას ენა მოუჩლიქეს და შემრიგებლური ტონით თითქმის ყველაფერზე

დათანხმდნენ. თუკი ავსტრიელთა ულტიმატუმი განგებ ისე იყო დაწერილი, რომ სერბეთი ომში გამოეწვია, სერბების პასუხის ფორმა ავსტრიელებს ომის ყველანაირ საბაბს აცლიდა. სერბები თანხმდებოდნენ ყველანაირი ანტიავსტრიული პროპაგანდის შეწყვეტასა და ანტიავსტრიული ორგანიზაციების დაშლას. ისინი რეალურად თანხმდებოდნენ ყველაფერზე, გარდა იმ პირობისა, რომელიც მათგან გამოძიების ჩატარებისას ავსტრიელთა დაშვებას ითხოვდა. ეს მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა, რადგან იგი „კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა“. პასუხში ხაზი ესმებოდა, რომ ბელგრადი ყველაფრისათვის მზად იყო და ყველაზე მძიმე პირობების დასაკმაყოფილებლადაც კი ითანამშრომლებდა ავსტრია-უნგრეთთან „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად“. ამასთან დაკავშირებით იყო ნახსენები ჰააგის ტრიბუნალიც.

ასეთი პასუხის მიუხედავად, 25 ივლისის (შაბათი) საღამოს ავსტრიელებმა სერბეთთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტეს და მობილიზაციას შეუდგნენ. თავად სერბეთში მობილიზაცია უკვე დაწყებულიყო. საინტერესოა, რომ სერბების მთავარსარდალი ამ დროს ავსტრია-უნგრეთში იმყოფებოდა (ბოჰემიაში ისვენებდა) და ფრანციოზეფის ბრძანებით მას სამშობლოში გადასვლის საშუალება მისცეს.

იმავე დღეს რუსეთი წინასამობილიზაციო მზადებას შეუდგა. პეტერბურგში ომი დიდად არ ეხალისებოდათ. შეიარაღებული ძალების რეფორმის დასრულებას კიდევ სამი წელიწადი მაინც სჭირდებოდა. გარდა ამისა, ომი ნამდვილად არევდა ისედაც ძლივს დალაგებულ შიდაპოლიტიკურ ვითარებას. მაგრამ პეტერბურგში სხვა გამოსავალს ვერ ხედავდნენ. სერბეთის გასრესა ბალკანეთზე რუსეთის პოზიციებს ძირს გამოუთხრიდა და მისი, როგორც დიდი სახელმწიფოს, პრესტიჟს დიდ ზიანს მიაყენებდა. ვინძლო რუსების მობილიზაციას ვენაცა და ბერლინიც გამოეფხიზლებინა და ყველაფერი მშვიდობიანად დაესრულებინა – საფრანგეთთან ალიანსის პირობების თანახმად, პეტერბურგი ვალდებული იყო, მობილიზაციის დაწყების შესახებ მოკავშირისათვის ეცნობებინა, რაც არ გააკეთა. პალეოლოგმა რუსებს ამ ვალდებულების შესახებ არ შეახსენა.

26 ივლისს (კვირა) გრეიმ გერმანიის ელჩს, კარლ ლიხნოვსკის, განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში ყველაზე კარგი გამოსავალი კონფერენციის მოწვევა იქნებოდა. მეორე დღეს ისინი კიდევ ერთხელ შეხვდნენ. გრეიმ კონფერენციის იდეა გაიმეორა და დაამატა, რომ სერბების პასუხის ფონზე ავსტრია-უნგრეთს ომის გამოცხადების არანაირი საბაბი აღარ ჰქონდა.

მაგრამ ავსტრიელებს საბაბის არქონა აღარ ადარდებდათ. ფრანცფერდინანდის მკვლელობა სერბეთის მოსპობისა და იმპერიისათვის არსებობის გახანგრძლივების უნიკალურ შანსს იძლეოდა. ულტიმატუმისა და დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ ომის გამოცხადებაღა იყო დარჩენილი და ამის შემდეგ საძულველი სერბეთი

რუკიდან გაქრებოდა. საკითხავი მხოლოდ ის იყო, როდის. სწორედ ამის გასარკვევად 27 ივლისს ავსტრიელთა მთავრობა საიდუმლო ვითარებაში შეიკრიბა. კონრადი მოითხოვდა, ომის გამოცხადება არ ეჩქარათ. მანამდე მობილიზაციის დასრულება იყო საჭირო, რათა იმპერია სიტყვიდან პირდაპირ საქმეზე გადასულიყო. მაგრამ მობილიზაციას კიდევ ორი კვირა მაინც ესაჭიროებოდა და ამის გამო კონრადს არ დაეთანხმა ავსტრიელთა ახალი კატონი, ბერხტოლდი. მისი თქმით, ომის გამოცხადება სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო – მანამდე, სანამ გერმანელები ჯერ კიდევ მხარს უჭერდნენ ვენას და სანამ ვილჰელმის მიერ ანთებული მწვანე შუქი ჯერ კიდევ ძალაში იყო (ანუ, სანამ ვილჰელმს გუნება-განწყობა ისევ შეეცვლებოდა). მოკლედ, ომი მეორე დღესვე უნდა გამოცხადებულიყო.

დარჩა ერთი წინააღმდეგობა – მოხუცი იმპერატორი. ფრანც-იოზეფი ნერვიულობდა და ყოყმანობდა. მაგრამ კონრადმა და ბერხტოლდმა თავიანთი ფანტაზია და წარმოსახვა ჩართეს საქმეში, იმპერატორს სერბების მხრიდან იმპერიაზე არარსებული თავდასხმების შესახებ მოუთხრეს, რის შემდეგაც ტახტზე 1848 წელს ასულმა ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე უბედურმა მონარქმა ხელის კანკალით მოაწერა ხელი ბრძანებას, რომელიც რუკიდან არა სერბეთს, არამედ მის იმპერიას გააქრობდა.

27 ივლისსავე ბერლინში ვილჰელმი დაბრუნდა. სერბების პასუხის წაკითხვის შემდეგ მას მართლაც შეეცვალა ხასიათი. ბელგრადი ფაქტობრივად ყველაფერზე თანახმა იყო და ვენამ დიდი დიპლომატიური და მორალური გამარჯვება იზეიმა. ავსტრიელებს ომის აღარც საბაბი ჰქონდათ და არც მიზეზი. მათ სერბები დაამცირეს და თავიანთი ადგილი მიუჩინეს. იმპერატორი კმაყოფილი იყო. მისმა ბანაკმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია და თანაც – უომრად.

ბედნიერ ვილის არც მისმა კანცლერმა (ტეობალდ ფონ ბეტმანი) და არც საგარეო მინისტრმა (გოტლიბ ფონ იაგოვი) არ აცნობეს, რომ ავსტრიელები ომის გამოცხადებას აპირებდნენ. გერმანიის მთავრობაში საკმაოდ ცუდად ახსოვდათ წინა კრიზისები, განსაკუთრებით, 1911 წლის ისტორია, როცა ვილჰელმმა უკან დაიხია. იმპერატორის მერყევი ხასიათი ყველას მობეზრებული ჰქონდა და ჩათვალეს, რომ ჯობდა იგი საქმის კურსში არ ჩაეყენებინათ, რათა ყველაფერი ისევ თავდაყირა არ დაეყენებინა. მით უმეტეს, ბეტმანი და იაგოვი ვილჰელმის სტუდენტობის დროინდელი მეგობრები იყვნენ და მის ხასიათს შესანიშნავად იცნობდნენ.

ამავე დროს, საგარეო სამინისტროში უკვე უწყოდნენ გრეისა და ლიხნოვსკის შორის შეხვედრის შინაარსის შესახებ, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭეს. ლიხნოვსკი ანგლოფილი იყო, მდიდარი არისტოკრატი, რომელსაც კოლეგა დიპლომატები თავისიანად არ აღიარებდნენ. გერმანელებს არც კონფერენციის იდეა მოეწონათ, რადგან მიჩვეულნი იყვნენ, რომ კონფერენციებზე ისინი და ავსტრიელები ყოველთვის უმცირესობაში რჩებოდნენ (როგორც ეს მოხდა 1906 წელს მაროკოს საკითხთან დაკავშირებით). ბერლინში გაცილებით უფრო სერიოზულად აღიქვეს ვილჰელმის უმცროსი ძმის, პრინც ჰაინრიხის ნაამბობი, რომელიც სწორედ იმ დღეებში ინგლისში იმყოფებოდა, დრო მეფე ჯორჯის კომპანიაში გაატარა და ბიძაშვილთან საუბრის საფუძველზე დაასკვნა, ინგლისი ნეიტრალიტეტს დაიცავსო. ბეტმანი და იაგოვი დიპლომატიაში ვერ ბრწყინავდნენ, მაგრამ იმდენი კი იცოდნენ, რომ ინგლისში მონარქს გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქმოდა. ჩანს მათზე იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ ორი წლის იმავე ჯორჯმა იმავე ჰაინრიხს განუცხადა, რომ, თუკი გერმანია საფრანგეთთან და რუსეთთან იომებდა, მაშინ ინგლისი ალბათ ამ უკანასკნელებს დაეხმარებოდა. რადგანაც ახლა ჯორჯი სხვა რამეს ამბობდა, ეს შეიძლებოდა იმის ნიშანი ყოფილიყო, რომ ინგლისის პოლიტიკა შეიცვალა (და ჯორჯის ნათქვამში უბრალოდ ეს ცვლილება ფიქსირდებოდა).

ვილჰელმს კანცლერი და საგარეო მინისტრი რეალურად ომისკენ უბიძგებდნენ. ასევე არანაირად ცდილობდა ავსტრიელების შეჩერებას გერმანელთა ელჩი ვენაში. როგორც უკვე ვთქვით, მან ეს ერთხელ, კრიზისის დასაწყისში, უკვე გააკეთა და ამის გამო ვილჰელმის რისხვა დაიმსახურა. საუბარია ვილჰელმზე 5 ივლისს – იმ ვილჰელმზე, რომელიც იმ დღეს ავსტრიელებს სერბეთის გასრესაში ყველანაირ მხარდაჭერას შეპპირდა. ელჩის ეს ისტორია კანცლერისა და საგარეო მინისტრის საქციელს კარგად ხსნის: ისინი, ბოლოს და ბოლოს, იმას აკეთებდნენ, რაც მათ იმპერატორს სურდა.

28 ივლისს სერბების დამცირებით კმაყოფილმა ვილჰელმმა იაგოვს დაავალა ავსტრიელებისათვის გადაეცა, რომ მათ ასეთ ვითარებაში შეეძლოთ ყველაფერი მოლაპარაკების გზით გადაეწყვიტათ. იმისათვის, რათა სერბებს თავი არ დაეძვრინათ, ავსტრიელთა ჯარს ბელგრადი უნდა დაეკავებინა, რომელსაც მხოლოდ მოლაპარაკებათა დასრულების შემდეგ დააბრუნებდა. მაგრამ იაგოვმა და ბეტმანმა ვენაში შესაბამისი წერილის გაგზავნა დააყოვნეს.

28 ივლისის შუადღისას ომის გამოცხადებამ ვილჰელმი შოკში ჩააგდო. მან ავსტრიელები საყვედურებით აავსო და მოუწოდა, სასწრაფოდ დაფიქრებულიყვნენ ბელგრადის აღების მისეულ ვარიანტზე, რომელსაც ასევე უჭერდა მხარს გრეი. ავსტრიელი დიპლომატები გერმანიის პოზიციის ასეთმა ცვლილებამ დააბნია. ბერხტოლდი იმდენად დაღლილი იყო, რომ, როცა იმ დღეს რუსეთის ელჩს შეხვდა, წესიერად ვერაფერი გააგებინა. უნდოდა მისთვის აეხსნა, რომ სერბეთთან მოლაპარაკებას არ ვაპირებო, რაც ელჩმა ისე გაიგო, თითქოს ბერხტოლდი რუსეთთან მოლაპარაკებას არ აპირებდა.

რაც შეეხება ავსტრიელ სამხედროებს, ისინი ამასობაში სერბეთის საზღვრის მისადგომებიდან ბელგრადის დაბომბვას შეუდგნენ.

დომინოს ეფექტი

ვილჰელმს ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ავსტრიელებს შეაჩერებდა. მაგრამ ამასობაში კიდევ ერთმა ხიფათმა წამოყო თავი: რუსეთი მობილიზაციას იწყებდა. მოძრაობები შეინიშნებოდა უშუალოდ გერმანიის მოსაზღვრე რეგიონებში, რაც გერმანელ სამხედროებს პანიკაში აგდებდა.

გაერთიანებიდან მოყოლებული, გერმანია მომავალი ომისათვის ემზადებოდა. გერმანიის ბისმარკისდროინდელმა გენერალური შტაბის უფროსმა, ლეგენდარულმა მოლტკემ ყველაზე პესიმისტური სცენარისათვის, ორ ფრონტზე ომისათვის, ერთობ რაციონალური გეგმა გაამზადა. ელზასისა და ლორენის ფორტიფიკაციების წყალობით გერმანია მინიმალური ძალებით დაიცავდა თავს საფრანგეთისგან, ძირითად დარტყმას რუსეთს მიაყენებდა, მას მოსაზღვრე ტერიტორიებიდან გააძევებდა და იქ გამაგრდებოდა. მაგრამ მოლტკეს მემკვიდრემ, ალფრედ ფონ შლიფენმა ეს გეგმა დაიწუნა იმ მოტივით, რომ იგი გამარჯვების გარანტიას არ იძლეოდა და აჩენდა საფრთხეს, რომ გერმანია გამომფიტავ ომში აღმოჩნდებოდა ჩართული. სანაცვლოდ შლიფენმა ახალი გეგმა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც გერმანიის ჯარი დიდი ძალებით უნდა შეჭრილიყო საფრანგეთში ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და ბელგიის გავლით (ამ ქვეყნების ნეიტრალიტეტს გერმანელი სამხედროები დამაბრკოლებელ ფაქტორად არ მიიჩნევდნენ), მოწინააღმდეგის ჯარისათვის ზემოდან შემოევლოთ, აეღოთ პარიზი, საფრანგეთი კაპიტულაციაზე დაეყოლიებინათ და ამის შემდეგ დასავლეთის ფრონტიდან რუსულ ფრონტზე გადაესროლათ ძალები. აქ გადამწყვეტი აქცენტი კეთდებოდა იმ გათვლაზე, რომ რუსებს მობილიზაციისათვის გაცილებით მეტი დრო სჭირდებოდათ, ვიდრე ფრანგებს, გამომდინარე მათი (რუსების) ქვეყნის დიდი ზომის, განუვითარებელი ინფრასტრუქტურისა და ცუდი მენეჯმენტიდან. ამიტომაც სანამ გერმანია შეიარაღებული ძალების მაქსიმალური ნაწილით საფრანგეთის წინააღმდეგ იომებდა, მას შეეძლო რუსეთთან მინიმალური ძალებით დაეცვა თავი. გარდა ამისა, თუკი არჩევანი რუსეთსა და საფრანგეთს შორის იყო, ამ უკანასკნელის დამარცხება გაცილებით უფრო რეალური ჩანდა.

ასეთი იყო გეგმა, რომლის განხორციელებისათვის გერმანიის შეიარაღებული ძალების გაზრდა გახდა საჭირო. ეს 1892 წელს გაკეთდა, რამაც, ბუნებრივია, რუსები დააშინა. იმპერატორ ალექსანდრე III-ს ვილჰელმი არასოდეს ეხატებოდა გულზე, მაგრამ ეს უბრალოდ იმიტომ, რომ გერმანელთა ახალგაზრდა მონარქი „გაუზრდელი ბიჭი“ იყო. ალექსანდრე III დამოკიდებულების მიუხედავად მაინც ტიპურ რუს კონსერვატორად ჩაჩებოდა, რომლისთვისაც რესპუბლიკურ საფრანგეთთან ალიანსზე წასვლა იოლი არჩევანი არ იყო და ამიტომაც იგი შეთანხმების გაფორმებისგან მაინც თავს იკავებდა. შლიფენის გეგმამ თავშეკავებას ბოლო მოუღო და ალიანსი გაფორმდა. გერმანელებს ორ ფრონტზე ომის ეშინოდათ და მისთვის ისე საგულდაგულოდ მოემზადნენ, რომ ორ ფრონტზე ომი მიიღეს კიდეც.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორ ფრონტზე ომის გეგმა იმაზე იყო გათვლილი, რომ რუსები ფრანგებზე გაცილებით გვიან დაასრულებდნენ მობილიზაციას. ახლა რუსები თავიანთი ქმედებებით ამ გათვლას თავდაყირა აყენებდნენ. გერმანიას ომი თავიდან რომც აეცილებინა, რუსების მობილიზაცია მაინც პრობლემას ქმნიდა, რადგან ვილჰელმი ავსტრიელებს შეჰპირდა, რომ პეტერბურგი საქმეში არ ჩაერეოდა.

28 ივლისს პეტერბურგში გერმანიის ელჩმა, ხანდაზმულმა ფრიდრიხ ფონ პურტალესმა საზონოვს განუცხადა, რომ, თუკი რუსეთი ომისათვის მზადებას არ შეაჩერებდა, მაშინ გერმანიაც მობილიზაციას გამოაცხადებდა. ელჩი ცდილობდა აეხსნა, რომ ბერლინისათვის რუსეთის ქმედებები ნამდვილ საფრთხეს წარმოადგენდა, მაგრამ საზონოვმა დაასკვნა, რომ გერმანია უბრალოდ რუსებს აშანტაჟებდა, რათა ავსტრიელებისათვის სერბეთის განადგურების საშუალება მიეცა. ეს ალბათ პირველი შემთხვევა იყო, დიპლომატები ერთმანეთს ცივად დაშორდნენ (ისინი მეგობრობდნენ). პურტალესი უკვე მეშვიდე წელი იყო, რაც რუსეთში მუშაობდა და ბერლინს მუდამ იმას უმეორებდა, რომ რუსეთი ახალი რევოლუციის შიშით გერმანელებთან ომს ვერ გაბედავდა. მაგრამ ამჯერად მას თავის პროგნოზში უკვე ეჭვი ეპარებოდა.

რახან საზონოვმა და პურტალესმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, მეორე დღიდან საქმეში ნიკი და ვილი ჩაერთნენ. რუსების იმპერატორმა ნათესავს წერილით მიმართა და სთხოვა, ავსტრიელები შეეჩერებინა. ვილი შეჰპირდა, რომ საამისოდ ყველაფერს გააკეთებდა. გერმანელებმა მართლაც გააგრძელეს ვენაზე ზეწოლა. მით უმეტეს, რომ გრეიმ უკვე პირდაპირ განუცხადა ლიხნოვსკის, რომ, თუკი კონფლიქტი ავსტრია-უნგრეთსა და სერბეთს გასცდებოდა, ინგლისი აუცილებლად ჩაერეოდა (ინგლისელთა საგარეო მინისტრი ნაბიჯ-ნაბიჯ ამბობდა თავის სათქმელს და ყოველი ახალი გადაწყვეტილებისთვის თითო დღე მაინც სჭირდებოდა). გრეი ფიქრობდა, რომ საჭირო იყო ავსტრიელებს ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის შუამავლობა მიეღოთ. ვილჰელმი გრეიზე განრისხებული იყო. მისი აზრით, ინგლისელებს მარტივად შეეძლოთ როგორც ფრანგების, ასევე რუსების შეჩერება, მაგრამ ამის ნაცვლად ისინი ბერლინსა და ვენას ემუქრებოდნენ. იმ დღეებში არ დარჩა ცნობილი ევროპელი დიპლომატი, რომელიც განერვიულებულმა ვილჰელმმა

სალანძღავი სიტყვებით არ შეამკო. გრეი მათ რიგები ყველაზე ხშირად ხვდებოდა და რაღაც მომენტში გერმანიის იმპერატორისგან „მატყუარა ძაღლის“ ეპითეტიც მიიღო.

მაგრამ ასე თუ ისე, ლონდონმა თავისი პოზიცია საბოლოოდ დააფიქსირა და გერმანელებიც იძულებულნი იყვნენ ეს რეალობა მიეღოთ. მათ ვენას ურჩიეს, გრეის წინადადებაზე სერიოზულად დაფიქრებულიყვნენ. მით უმეტეს, უკვე აშკარა ხდებოდა, რომ თუკი ომი ავსტრია-უნგრეთსა და სერბეთს გასცდებოდა, მაშინ გერმანელებსა და ავსტრიელებს ფაქტობრივად მთელ დანარჩენ ევროპასთან მოუწევდათ ომი. მოკავშირეებიდან ბერლინში არავის იმედი არ ჰქონდათ. იტალიელები უკვე წუწუნებდნენ, რომ ავსტრიელები მათ არ დაეკითხნენ, სანამ სერბეთს ომს გამოუცხადებდნენ (როგორც ამას ითვალისწინებდა სამთა ალიანსის ერთ-ერთი პირობა) და დიდად არც იმას მალავდნენ, რომ ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიებზე (ტიროლსა და ტრიესტზე) ეჭირათ თვალი. თეორიულად არსებობდა რუმინეთისგან დახმარების იმედიც, რომელთანაც ოდესღაც ბისმარკმა გააფორმა ალიანსი და რომელმაც რამდენიმე ხნის წინ სამთა ალიანსს ფარულად ერთგულება დაუდასტურა. მაგრამ არც ამის დიდი იმედი ჰქონდათ ბერლინში, რადგან რუმინელებს ასევე ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზე (ტრანსილვანიაზე) ეჭირათ თვალი და ამ საქმეში მათ რუსები ჰპირდებოდნენ დახმარებას. ამის საპასუხოდ 1914 წლის ივნისში რუმინელები რუსებს ნეიტრალიტეტს შეჰპირდნენ.

გერმანელები ცდას ნამდვილად არ აკლებდნენ და ვენაში წერილი წერილზე მიდიოდა, მაგრამ რუსებს ამაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ და რომც ჰქონოდათ, ეს საქმეს დიდად არ ცვლიდა. თუკი ბერლინი ავსტრიელებს ვერ (ან არ) დააკავებდა, მაშინ მათ დასაკავებლად ერთადერთი რამ რჩებოდა – რუსების მობილიზაცია. ამიტომაც პეტერბურგში არა მხოლოდ ყურად არ იღეს პურტალესის გაფრთხილება, არამედ სრულფასოვან მობილიზაციაზე გადავიდნენ. ნიკოლოზს ორი გეგმა წარუდგინეს: ერთის მიხედვით ხდებოდა მობილიზაცია მხოლოდ ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ, მეორის მიხედვით კი – სრულმასშტაბიანი მობილიზაცია. ნიკოლოზმა თავიდან სრულმასშტაბიან მობილიზაციას დაუჭირა მხარი, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა და მხოლოდ ავსტრიელთა წინააღმდეგ მობილიზაციის დაწყება ბრძანა. ეს ვილის გამო გააკეთა, რომელიც მას წერილში უხსნიდა, თუკი რუსეთი მობილიზაციისგან თავს არ შეიკავებს, გერმანია იძულებული იქნება საპასუხო ნაბიჯი გადადგასო. ასეთ შემთხვევაში ვენაზე ზეწოლისათვის აღარავის ეცლებოდა.

იმავე დღეს პუანკარემ და ვივიანიმ, როგორც იქნა, სამშობლოში ხმელეთზე დადგეს ფეხი. გემზე ყოფნისას ისინი გარესამყაროს თითქმის მოწყვეტილები იყვნენ, რადგან გერმანელები რადიოსიხშირეებს ახშობდნენ. საფრანგეთის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა მხოლოდ ახლა შეტყეს, რომ ავსტრიელებმა სერბეთს ომი გამოუცხადეს

და ევროპა კატასტროფის წინაშე იდგა. თუმცა, რიგითი ფრანგები კარგ გუნებაზე იყვნენ, რადგან ანრიეტას შემდეგ ახალი, კიდევ უფრო საინტერესო გასართობი მიეცათ. პაუნკარესა და ვივიანის უზარზამარი ბრბო დახვდა, რომელიც ბერლინზე წასვლას მოითხოვდა. ანალოგიური ბრბოები ევროპის სხვა დიდ ქალაქებში გამოჩნდნენ. აქედან რომელი პარიზზე წასვლას ითხოვდა, რომელი ბელგრადზე, რომელი – იმავე ბერლინზე. ამ მასობრივმა ფსიქოზმა პუანკარეც კი დათრგუნა და მან ვივიანისთან ერთად რუსებს მისწერა, თავი შეეკავებინათ და გერმანიისათვის მობილიზაციის გამოცხადების საფუძველი არ მიეცათ.

საფრანგეთის ლიდერთა შოკირების, გრეის ამეტყველებისა და ვილინიკის მიმოწერის ფონზე იმედი გაჩნდა, რომ საქმე ევროპულ ომამდე არ მივიდოდა.

მაგრამ 30 ივლისის (ხუთშაბათი) დილა ცუდი ამბებით დაიწყო. საზონოვს სამხედროებმა აცნობეს, რომ მხოლოდ ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ მობილიზაცია შეუძლებელი იყო. მსგავსი რამისათვის რუსეთის შეიარაღებული ძალები მზად არ იყვნენ. ან სრულმასშტაბიანი მობილიზაცია, ან არაფერი. მაგრამ ნიკოლოზი სრულმასშტაბიან მობილიზაციაზე უარს ამბობდა. საზონოვმა იმპერატორთან შეხვედრაზე გასწია და ეს იყო მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საბედისწერო ეპიზოდი: საზონოვი თავის მონარქს უმტკიცებდა, რომ გერმანელები თვალთმაქცობდნენ და რუსების შეჩერებას ცდილობდნენ მაშინ, როცა თვითონ უკვე ფარულად ემზადებოდნენ ომისათვის (რაც არ იყო მართალი). ნიკოლოზი არაფრით თმობდა და ისტერიკებამდეც მივიდა, მაგრამ ბოლოს თავი იჩინა მისმა მთავარმა პრობლემამ – ხასიათის სისუსტემ – და საზონოვმა თავისი გაიტანა. რუსი მინისტრის გასამართლებლად უნდა ითქვას, რომ მას არ სჯეროდა, თითქოს გერმანიას მართლაც ეშინოდა რუსეთის მობილიზაციისა და დარწმუნებული იყო, რომ ბერლინში მხოლოდ რუსეთის მოტყუებაზე ფიქრობდნენ. მოყოლებული იქიდან, ნიკი-ვილის მიწერ-მოწერამ აზრი დაკარგა, თუმცა მაინც გაგრძელდა.

იმავე დღეს ნიკიმ კიდევ ერთი საინტერესო წერილი მიიღო, რომელიც მისი მეუღლის, ალექსანდრას სახელზე იყო დაწერილი. დედოფალს „მათი მეგობარი“ გრიგორი რასპუტინი სწერდა (როგორც წესი, რასპუტინს წერილების წერა არ სჭირდებოდა სამეფო ოჯახთან კომუნიკაციისათვის, მაგრამ ამჯერად იგი პეტერბურგისგან შორს, თავის სოფელში იყო და მასზე თავდასხმის შედეგად მიყენებულ ჭრილობას იშუშებდა. მას თავს 29 ივნისს დაესხნენ, ფრანც-ფერდინანდის მკვლელობიდან ზუსტად მეორე დღეს) და მას კატეგორიულად ურჩევდა, ყველაფერი გაეკეთებინა, რათა ნიკოლოზი დაერწმუნებინა, ომში არ ჩარეულიყო. თუკი იმპერატორი ამ რჩევას არ გაითვალისწინებდა, აღარც სამეფო ოჯახი იარსებებდა და აღარც რუსეთი, – იწერებოდა ბერი. ნიკოლოზი ცოლის

რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებდა, მაგრამ ამჯერად მან რასპუტინის წერილი უბრალოდ გადახია. თუმცა, საზონოვმა წინასწარ დაიჭირა თადარიგი იმ შემთხვევისათვის, თუკი ნიკოლოზი გადაიფიქრებდა და მობილიზაციას გააუქმებდა. იმპერატორთან შეხვედრამდე იგი გენერალური შტაბის უფროსს ესაუბრა და მასთან შეთანხმდა, რომ, თუკი მონარქს მობილიზაციაზე დაიყოლიებდა, ამის შესახებ მაშინვე ჩააყენებდა მას (გენერალური შტაბის უფროსს) საქმის კურსში. ხოლო როცა მობილიზაციის შესახებ ბრძანებები ყველგან დაიგზავნებოდა, გენერალური შტაბის უფროსს თავისი ტელეფონი უნდა დაემტვრია და გადაკარგულიყო, რათა ნიკოლოზი მას ვეღარ დაკავშირებოდა და ბრძანება ვეღარ გაეუქმებინა. 30 ივლისის 5 საათზე ბრძანებები დაიგზავნა და გენერალური შტაბის უფროსიც გადაიკარგა.

ამასობაში, გრეიმ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და ლიხნოვსკის განუცხადა, თუკი ავსტრიელები პრობლემას მშვიდობიანად არ გადაჭრან, მსოფლიო ომი გარდაუვალი იქნება და ამ შემთხვევაში ინგლისი საფრანგეთისა და რუსეთის მხარეს იომებსო. თუმცა, ამავე დროს გრეი ჯერ ისევ არ აიმედებდა კამბონს ინგლისის მხრიდან დახმარებაში და ამის საფუძველიც ჰქონდა. იგი ვერ მისცემდა ფრანგებს გარანტიას, რომ ინგლისის ლიბერალური მთავრობა და საზოგადოებრივი აზრი ომში ჩართვას მხარს დაუჭერდა.

პარიზში, იღებდნენ რა კამბონისგან შესაბამის მოხსენებებს, გადაწყვიტეს, რომ ინგლისელთა გულის მოსაგებად რაიმე რადიკალური ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო და ამიტომ გერმანიის საზღვართან მთელ გაყოლებაზე ჯარი ათი კილომეტრით უკან დასწიეს. ფრანგები ამ დემონსტრაციული ჟესტით არა მხოლოდ თავიანთ მშვიდობიან განწყობას აფიქსირებდნენ, არამედ ბერლინს ომის დაწყების ყველანაირ ლეგიტიმურ საბაბს აცლიდნენ. ახლა გერმანელთათვის ძალიან რთული იქნებოდა პარიზი საზღვართან „პროვოკაციების მოწყობაში" დაედანაშაულებინათ. ინგლისელთა გულის მოსაგებად ფრანგებმა მობილიზაციის გამოცხადებაზეც უარი თქვეს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ავსტრიელები ყურს იყრუებდნენ და გერმანელთა შეგონებებს არაფრით პასუხობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბეტმანის წერილები უკვე სასოწარკვეთილ და ისტერიულ ხასიათს იღებდა. გერმანიის კანცლერი თავისი მთავრობის ტიპური წარმომადგენელი იყო. გოლიათური აღნაგობისა და შთამბეჭდავი გამომეტყველების უკან სუსტი ხასიათი და საკმაოდ შეზღუდული ინტელექტი იმალებოდა. მსოფლიოს ასეთებისგან ომის თავიდან აცილების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

31 ივლისი (პარასკევი) კიდევ უფრო ცუდად დაიწყო. გერმანელმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ ამდენის დაყოვნება შეუძლებელი იყო და თავადაც დაუყონებლივ უნდა გამოეცხადებინათ მობილიზაცია.

ავსტრიელებმა კი საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ დიდი სახელმწიფოების შეჯამაველობას არ მიიღებდნენ. თვით ფრანც-იოზეფიც კი იმ აზრზე იდგა, რომ შუამავლობა მხოლოდ ერთი შედეგით დასრულდებოდა: სერბეთი გადარჩებოდა, რადგან მის დასჯას თითქმის არავინ დაუჭერდა მხარს (ალბათ გერმანიის გარდა) და რამდენიმე წელიწადში ავსტრიელებისათვის ბელგრადი კიდევ უფრო დიდ პრობლემად იქცეოდა.

გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი ჰელმუტ ფონ მოლტკე (დიდი მოლტკეს სეხნია და ძმისშვილი) არანაირად არ მიეკუთვნებოდა იმ სამხედროთა რიცხვს, რომლებიც ომსა და დიდების მოხვეჭაზე ოცნებობდნენ, მაგრამ ახლა უკვე მისი შეჩერებაც შეუძლებელი იყო. რუსეთი სწრაფად ემზადებოდა ომისათვის და თუკი გერმანია ზომებს არ მიიღებდა, ორ ფრონტზე ომის გეგმა ჩავარდებოდა. თუკი პეტერბურგი არ შეჩერდებოდა, მაშინ გერმანიას ომი უნდა დაეწყო. თუ ეს მოსახდენი იყო, მაშინ ჯობდა ახლა მომხდარიყო. რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ჯერ კიდევ რეფორმა მიდიოდა. ფრანგებმა კი პუანკარეს ინიციატივით მხოლოდ 1913 წელს შემოიღეს ჯარში სამწლიანი გაწვევა და, შესაბამისად, მათი შეიარაღებული ძალები 1914 წელს ისე მრავალრიცხოვანი არ იყო, როგორც იქნებოდა ერთი წლის შემდეგ. ვილჰელმი ნიკოლოზივით ყოყმანობდა და ბოლოს წინასამობილიზაციო მზადების დაწყება ბრძანა. შემდეგ, რადგან ბერხტოლდი ისევ დუმდა და ბეტმანთან კავშირზე არ გადიოდა, პირდაპირ ფრანც-იოზეფს მისწერა, მაგრამ მისგან მიღებული პასუხი დამაიმედებელი არ იყო. ვენა გაჩერებას აღარ აპირებდა. რამდენიმე კვირის წინ ალბათ ეს კიდევ შესაძლებელი იყო, მაგრამ არა ახლა, როცა ავსტრიელთა ჯარი გამალებულ მობილიზაციას გადიოდა და მექანიზმი სრული სვლით ამუშავებულიყო.

გერმანულმა დიპლომატიამ აქ კიდევ ერთხელ გამოაჩინა თავისი მოუქნელობა. ბერლინიდან ინგლისს მიმართეს, რომ, თუკი ეს უკანასკნელი ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა, მაშინ გერმანელები ომის შემდეგ საფრანგეთსა და ბელგიას ომისწინა საზღვრებში დააბრუნებდნენ. ეს ისეთი შოკი იყო, რომ გრეიმ საბოლოოდ ამოიდგა ენა და გერმანელებს კატეგორიულად განუცხადა, რომ მათ ინგლისელთა ნეიტრალიტეტის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. მით უმეტეს, რომ გერმანელებმა ბელგია ახსენეს, რომლის ნეიტრალიტეტის საკითხს ინგლისში ერთობ მგრძნობიარედ აღიქვამდნენ. როცა თავის დროზე ინგლისელმა სამხედროებმა ფრანგ კოლეგებთან კონსულტაციები დაიწყეს, ერთ-ერთი პირველი რაც გააკეთეს, ის იყო, რომ მათ მეგობრულად (და ამავე დროს, კატეგორიულად) აუხსნეს, თუკი ინგლისის დახმარება გინდათ, ბელგიას არ უნდა შეეხოთ და თუკი თქვენი გეგმა ამ ქვეყნის დაკავებას ითვალისწინებს, გეგმა უნდა შეცვალოთო. ახლა გერმანელები ამხელდნენ თავიანთ გეგმას, რომელიც სწორედ ბელგიაზე გავლას ითვალისწინებდა.

გრეი არა მხოლოდ ამეტყველდა, არამედ ამოქმედდა კიდეც. მან

პარიზსა და ბერლინს მოსთხოვა, ბელგიის ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით თავიანთი პოზიცია დაეფიქსირებინათ. ცხადია, ფრანგებისგან ამაზე მაშინვე მიიღეს სასურველი პასუხი, მაგრამ, აი, გერმანელებისგან პასუხი არა და არ ისმოდა. მათი დუმილი, როგორც იტყვიან, მრავლისმეტყველი იყო.

ბოლო ნახტომები

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ პირველი მსოფლიო ომის დაწყებაში თითქმის ყველამ გერმანია დაადანაშაულა, ეს ქვეყანა ერთ-ერთი ბოლო იყო, რომელმაც საბედისწერო დღეებში ომისათვის მზადება დაიწყო. 31 ივლისს უკვე ფრანგული ჯარიც ამოძრავდა და, ის კი არა, ჯერ კიდევ 26 ივლისს ინგლისელთა ფლოტმაც კი მიიღო მზადყოფნის ბრძანება. ადმირალიტეტის პირველი ლორდი ჩერჩილი (რომელმაც ეს ბრძანება გასცა) ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან ევროპელ სახელმწიფო მოღვაწეთაგან, რომელიც მომავალ კატასტროფას ენთუზიაზმით ეგებებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის გამოაჩენდა თავის ნიჭსა და ენერგიას ომში. იგი გახლდათ უნიკალური ადამიანი, რომელსაც წარმოშობა და ოჯახი (მამა ფინანსთა მინისტრი იყო, დედა – ამერიკელი მილიონერის ქალიშვილი, წინაპარი კი ინგლისის ეროვნული გმირი, ჰერცოგი მარლბორო) ყველა გზას უხსნიდა. მას არც ნიჭი აკლდა – ძალიან უჭრიდა ენაც და კალამიც, იყო საოცრად შეუპოვარი და მამაცი. მაგრამ ამავე დროს ახასიათებდა ზედმეტი სულსწრაფობა, რაც ხშირად უქმნიდა პრობლემებს მასაც და მის ქვეყანასაც.

ჩერჩილის სულსწრაფობამ ამჯერად ინგლისს კარგი სამსახური გაუწია. გერმანია კი რეალურად ყველაზე ბოლოს ამოძრავდა, მაგრამ როცა ამოძრავდა, ამით ყველაფერი გადაფარა.

31 ივლისსავე ბერლინმა ფრანგებსაც და რუსებსაც 24-საათიანი ულტიმატუმი წაუყენა. პეტერბურგს მობილიზაცია უნდა შეეწყვიტა, ხოლო პარიზს ნეიტრალიტეტი გამოეცხადებინა. ფრანგებისგან ბერლინი ნეიტრალიტეტის გარანტად საზღვრისპირა ციხესიმაგრეების გადაცემას ითხოვდა, რომელთა დაბრუნებასაც ომის შემდეგ ჰპირდებოდა. გერმანიის ელჩმა პარიზში სამართლიანად ჩათვალა, რომ ეს მოთხოვნა ფრანგებს ძალიან გააღიზიანებდა და ამიტომაც ულტიმატუმის გადაცემის დროს ციხესიმაგრეები არ უხსენებია. მაგრამ ფრანგებმა გერმანელების კოდი გატეხეს, მათ მიწერ-მოწერას კითხულობდნენ და, შესაბამისად, ციხესიმაგრეების ამბავიც მშვენივრად მოეხსენებოდათ. ყველაფერი იცოდა ელჩმაც; მიუხედავად იმისა, რომ ულტიმატუმის ტექსტი შეარბილა, ილუზიები მაინც არ ჰქონდა, რადგან კარგად უწყოდა ფრანგებისა და პეტერბურგის ალიანსის შესახებ და პარიზში არსებულ განწყობასაც ხედავდა.

პარიზში კი განწყობა საომარი იყო. რესტორნებში საფრანგეთის, რუსეთისა და ინგლისის ჰიმნებს უკრავდნენ. ცოტა ვინმე თუ იყო, ვინც ომსა და შურისძიებაზე და ელზას-ლორენის დაბრუნებაზე არ ოცნებობდა. თუკი ასეთები იყვნენ, მათგან ხმის ამოღებას მხოლოდ ჟორესი ბედავდა. მან მთავრობის წარმომადგენლებს კატეგორიულად განუცხადა, რომ, რაც უნდა მომხდარიყო, ომის წინააღმდეგ ბრძოლას გააგრძელებდა. „მაშინ ქუჩაში პირველივე ნაბიჯის გადადგმისთანავე მოგკლავენ," – უპასუხეს ამაზე ჟორესს და სულ ცოტა ხანში ასეც მოხდა. ჟორესს ერთ-ერთ კაფეში ესროლა შეშლილმა, რომელიც გერმანიაში ნასვლასა და ვილჰელმის მოკვლას აპირებდა, მაგრამ, როცა ცნობილი ომის მოწინააღმდეგე დაინახა, გადაწყვიტა, რომ მისი მოკვლითაც მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევდა სამშობლოს. ამან საბოლოოდ დაუსვა ჯვარი გერმანიასთან შერიგების იმედებს. ვინმეს მსოფლიო ომი რომ დაეგეგმა, იმაზე უკეთესს ვერ მოიფიქრებდა რაც პარიზში მოხდა – ერთ მკვლელობას კაიოს პოლიტიკური კარიერა ემსხვერპლა, მეორეს – ჟორესის სიცოცხლე.

პეტერბურგში გერმანელთა ულტიმატუმის მიღების შემდეგ ვილისა და ნიკის მიწერ-მოწერამ უკვე სასოწარკვეთილი ხასიათი მიიღო. ნათესავები ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ ომი არ უნდოდათ. მათ ერთიმეორესი სჯეროდათ კიდეც, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა, რადგან მოვლენათა განვითარება უკვე სამხედროთა ხელში იყო. ისინი კი მიიჩნევდნენ, რომ დაყოვნება და დათმობა სამშობლოს დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა. რუს სამხედროებს მიაჩნდათ, რომ მხოლოდ მობილიზაცია თუ მოიყვანდა გონს ავსტრიელებს და მათ უკან მდგარ გერმანელებს და ამგვარად შეაჩერებდა კატასტროფას. მაგრამ გერმანელი სამხედროებისათვის რუსების მობილიზაცია უკვე კატასტროფა იყო, რადგან, თუკი ომი ატყდებოდა (სამხედროებისათვის კი ამ საქმეში „თუკი" არ უნდა არსებობდეს, ისინი მუდამ ომისათვის უნდა იყვნენ მზად), მათ მთელი გეგმა ჩაუვარდებოდათ. ეს გეგმა კი ათწლეულების განმავლობაში იხვეწებოდა.

ვილჰელმი ილანძღებოდა. ყველაზე ნაკლებად მისი რისხვა ნიკის ხვდებოდა. გერმანიის იმპერატორის წყევლა-კრულვის მთავარი სამიზნე მისი განსვენებული ბიძა ედუარდი იყო. მან სიცოცხლეში არ გაახარა დისშვილი და გერმანია. ახლა გარდაცვლილიც აგრძელებდა თავის საქმეს.

1 აგვისტო შაბათი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად ევროპის დედაქალაქებში ასეთი დაძაბული სამუშაო დღეები ალბათ არასოდეს ჰქონიათ. პუანკარე ღამის ორ საათზე იზვოლსკიმ გააღვიძა, რათა მისგან კიდევ ერთხელ მოესმინა, რომ საფრანგეთი რუსეთთან ალიანსით დაკისრებულ ვალდებულებას შეასრულებდა. როცა ალიანსი განსხვავებული იდეოლოგიების სახელმწიფოებს შორის ფორმდება, იქ პრობლემები მუდმივადაა.

ფრანგებს რისი ეშინოდათ, ამაზე ზემოთ ვილაპარაკეთ, რუსები კი იმაზე ღელავდნენ, რომ გადამწყვეტ მომენტში გერმანიის წინააღმდეგ გამოსვლაზე უარს იტყოდა საფრანგეთის პარლამენტი (რომელსაც, რუსეთის პარლამენტისგან განსხვავებით, ამის გაკეთება შეეძლო).

გერმანიაში მობილიზაცია უკვე გამალებული ტემპებით მიდიოდა. რკინიგზა, რომელიც ქვეყნის ყველა მხარეს ფარავდა, სრული დატვირთვით ამუშავდა, რათა დასავლეთის ფრონტზე არმიები გადაესროლა. გერმანიის ელჩმა პარიზში ვივიანი მოინახულა ულტიმატუმზე პასუხის მისაღებად და, რასაც ელოდა ის მოისმინა: საფრანგეთი თავისი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებდა (სწორედ ელჩის გასტუმრების შემდეგ საფრანგეთის მთავრობა ამოქმედდა და მანაც მობილიზაცია გამოაცხადა). გაცილებით უფრო საინტერესო იყო ლიხნოვსკის საუბარი გრეისთან. ეს უკანასკნელი ისევ თავის ენაზე ამეტყველდა და როცა გერმანელთა ელჩს თავისი აზრით განუცხადა, რომ ინგლისი ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა, თუკი გერმანია საფრანგეთთან და რუსეთთან არ იომებდა (თითქოსდა ამას თქმა სჭირდებოდა), ეს ისე ჩამოაყალიბა, რომ ლიხნოვსკის გონებამდე სხვანაირად მივიდა: მან ისე გაიგო, რომ ინგლისი ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა, თუკი გერმანია საფრანგეთთან არ იომებდა.

ლიხნოვსკიმ მაშინვე გააგებინა ბერლინს ის, რაც გრეის სინამდვილეში არ უთქვამს: თუკი გერმანია მხოლოდ რუსეთთან იომებდა, ინგლისი ნეიტრალური იქნებოდა. იაგოვი სიხარულისგან კინაღამ შეიშალა და მას ვილჰელმიც აჰყვა. გერმანიამ ორ ფრონტზე ომი თავიდან აიცილა და ახლა ყველაფერი გაცილებით იოლად იქნებოდა. ახლა მხოლოდ ის იყო საჭირო, დასავლეთის ფრონტზე მიმავალი ჯარები აღმოსავლეთით გადაესროლათ და რუსეთისათვის სწრაფად ესწავლებინათ ჭკუა.

და აქ მოხდა ის, რამაც ყველას დაანახა, რომ აღარც იმპერატორები, აღარც დიპლომატები და სამხედროებიც კი რეალურად ვითარებას აღარ და ვეღარ ფლობდნენ. ყველასა და ყველაფერზე მაღლა იდგა ომის გეგმა. რა გარანტიებიცა და დაპირებებიც უნდა გაეცა ლონდონს, მოლტკე ვერ შეცვლიდა გეგმას, რადგან იგი ათწლეულების განმავლობაში ინერებოდა და იხვეწებოდა, უკანასკნელ დეტალებამდე იყო გათვლილი და დაუშვებელი იყო, რამენაირად შეხებოდი მას. მით უფრო დაუშვებელი იყო მისი ასეთი მკვეთრი, 180-გრადუსიანი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) შეცვლა.

გაოგნებული ვილჰელმი ცდილობდა, მოლტკე დაერწმუნებინა, რომ ჯარების აღმოსავლეთით გადასროლა აუცილებელი იყო და საფრანგეთზე დარტყმის არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა. თვალცრემლიანი მოლტკე კი პასუხობდა, რომ ასეთი ცვლილება არა მხოლოდ გეგმას აურევდა, არამედ ჯარში არნახულ ქაოსს დათესავდა და ქვეყანას უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენებდა. ბიძათქვენი თქვენს ადგილას

ასეთ პასუხს არ გამცემდაო, – აღმოხდა ამის გაგონებაზე გამწარებულ იმპერატორს. ისედაც სუსტი ჯანმრთელობის მოლტკე იმ დღეს რამდენიმე წლით დაბერდა, მაგრამ საბოლოოდ მან მაინც დაარწმუნა თავის სიმართლეში ვილჰელმი, ისევე როგორც ორი დღით ადრე საზონოვმა ვილჰელმის ნათესავი დაარწმუნა. ამის შემდეგ გერმანელებმა გამომგონებლობა გამოავლინეს და გადაწყვიტეს, მობილიზაცია გეგმისამებრ გაეგრძელებინათ, თუმცა საფრანგეთის საზღვარი ორი დღის განმავლობაში არ გადაეკვეთათ. იქამდე კი ინგლისელთა დახმარებით საფრანგეთის ნეიტრალიტეტის მყარი გარანტია უნდა მიეღოთ. ეს უკანასკნელი საქმე თავად ვილჰელმმა აიღო საკუთარ თავზე. მან მეფე ჯორჯს მისწერა, რომ საფრანგეთს არ შეეხებოდა, მაგრამ საამისოდ ითხოვდა, ინგლისელებს მისთვის თავიანთი ფლოტითა და ჯარით მიეცათ პარიზის ნეიტრალიტეტის გარანტია. მაგრამ ამ დროს გაირკვა, რომ გეგმა ლუქსემბურგში სასწრაფო შეჭრას ითვალისწინებდა, ეს კი ნამდვილად გააღიზიანებდა ინგლისელებს. ვილჰელმმა ბეტმანის ჩაგონებით ჯარების შეჩერება ბრძანა, რამაც მოლტკეს კიდევ რამდენიმე წლის სიცოცხლე დააკარგვინა... მთელ ამ ტრაგიკულ დომხალს ბოლოს ისევ ლიხნოვსკიმ მოუღო ბოლო, რომელმაც მალე უფროსობას აცნობა, რომ გრეის სწორად ვერ გაუგო... იმ საღამოსვე გერმანელებმა ლუქსემბურგი დაიკავეს. ცხადია, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

იმ საღამოსვე პურტალესი საზონოვს ესტუმრა და საზონოვის თქმით ომის გამოცხადების შემდეგ ხმამაღლა აქვითინდა. მანამდე იგი გერმანიის მხრიდან „ღირსების დაცვაზე“ საუბრობდა და რუსმა მინისტრმა ელჩს ისევ ვერ გაუგო.

„ღირსების დაცვამ“ გერმანია აგრესორად აქცია (ფორმალურად მაინც). გერმანიის ფლოტის მინისტრ ალფრედ ფონ ტირპიცს ვერაფრით გაეგო, რა აუცილებლობას წარმოადგენდა ომის გამოცხადება და მის არგუმენტებში გარკვეული ლოგიკა ნამდვილად იყო. თუმცა, ალბათ ნებისმიერი, ვინც ვილჰელმის გერმანიის დიპლომატიას სწავლობდა, პასუხად იტყოდა, რომ რუსეთისათვის ომის გამოცხადება ლოგიკურად ჯდებოდა ამ დიპლომატიის ხასიათში.

რუსეთისათვის ომის გამოცხადებამ ცივი შხაპის ეფექტი იქონია ლონდონზე, სადაც ომში ჩარევა დიდად არ ეხალისებოდათ. როცა გრეიმ მთავრობას აცნობა, რომ ინგლისი საფრანგეთთან შეთანხმებული იყო, მისი სანაპიროები დაეცვა, ამას რამდენიმე მინისტრისგან გადადგომის მუქარა მოჰყვა. ლიბერალთა მთავრობაში არც ისე ბევრს ესმოდა ევროპაში ძალთა ბალანსის მნიშვნელობა და ამიტომ ძველი მეტოქის, საფრანგეთის მხარეზე ომის აუცილებლობას ვერ ხედავდნენ. გადადგომით გრეიც დაიმუქრა, ვინაიდან ფრანგებისათვის მიცემული დაპირების შესრულება მისი პირადი ღირსების საკითხიც იყო. მართალია, ეს პირობა მხოლოდ მისსავე (გრეის) ცნობილ წერილში იყო მოცემული და ამგვარად,

არც მასა და არც მთლიანად მთავრობას არანაირად ავალდებულებდა, მაგრამ საგარეო მინისტრი, ბევრი კოლეგისგან განსხვავებით, კარგად ხვდებოდა საფრანგეთის დაცვის აუცილებლობას. ხედავდა რა ვითარებას, გრეი შეეცადა ყურადღება საფრანგეთის ნაცვლად ბელგიაზე გადაეტანა, რომლის ნეიტრალიტეტის ერთ-ერთი გარანტი ინგლისი იყო და რომელსაც, გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ლონდონისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა („ანტვერპენი ზედ ინგლისის გულზე დამიზნებული დამბაჩაა," – კმაყოფილებით ამბობდა ხოლმე ნაპოლეონი). მაგრამ მთავრობის ბევრი წევრისათვის ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. ფინანსთა მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა რუკაზე მონიშნა ის სავარაუდო მარშრუტი, რომლითაც გერმანელებს ბელგიაზე უნდა გაევლოთ და განაცხადა, რომ ეს ნეიტრალიტეტის დარღვევად შეიძლებოდა არც კი მიეჩნიათ, რადგან საქმე ბელგიის პერიფერიას ეხებოდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ გრეიმ კამბონს პირდაპირ განუცხადა, რომ გადაწყვეტილი არაფერი იყო და რომ ფრანგები ამ ეტაპზე ისევ საკუთარი ძალების იმედად უნდა ყოფილიყვნენ. ახლა უკვე კამბონს დაუდგა ჯერი, რომ ნერვიულობისგან წლები დაეკარგა. სწორედ ამ დროს მოუსწრო ინგლისის მთავრობას პეტერბურგიდან მოსულმა ამბებმა. გერმანიამ ომი გამოაცხადა. ეს უკვე ვითარებას ნამდვილად ცვლიდა. ჩერჩილმა დაინახა რა დაბნეულობა, გადაწყვიტა კოლეგებისათვის აღარაფერი ეკითხა და ფლოტის მობილიზაციის ბრძანება გასცა. პრემიერ-მინისტრ ჰენრი ესკუიტს ამაზე ხმა არ დაუძრავს. გრეიმაც ჩათვალა, რომ მთავრობა გამოფხიზლდა და კამბონს ბოლოს და ბოლოს განუცხადა, რომ ინგლისის ფლოტი საფრანგეთის სანაპიროებს დაიცავდა.

გრეი არ შემცდარა. მეორე დღესვე ინგლისის მთავრობა საფრანგეთის სანაპიროების დაცვას დათანხმდა. თუმცა, ამას რამდენიმე მინისტრის გადადგომა მოჰყვა. გრეი კამბონს აფრთხილებდა, რომ ჯერ კიდევ წინ იყო საკითხის პარლამენტში განხილვა, მაგრამ ფრანგების ელჩს ამის ნაკლებად ეშინოდა და მან თავის მეგობარს უკვე იმაზე ჩამოუგდო საუბარი, რომ ინგლისელთა თუნდაც მცირე შენაერთის გაგზავნა საფრანგეთში ძალიან სერიოზული „მორალური მხარდაჭერა" იქნებოდა.

იმავე დღეს ფრანგებმა კიდევ ერთი კარგი ამბავი შეიტყვეს: როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა (მას მალე რუმინეთმაც მიბაძა). ჯერ კიდევ ბისმარკის დროს შექმნილი სამთა ალიანსი საბოლოოდ იქცა ფარატინა ქაღალდად, რაშიც იტალიას ის ფაქტი დაეხმარა, რომ ავსტრიელებმაც და გერმანელებმაც თავად გამოაცხადეს ომი, მაშინ როცა სამთა ალიანსი თავდაცვითი ხასიათის იყო. გარდა ამისა, იტალიელებმა ისიც მოიმიზეზეს, რომ ავსტრია-უნგრეთი მათ „კომპენსაციას არ სთავაზობდა".

მაგრამ გერმანელებს იტალიელთა იმედი ნაკლებად ჰქონდათ. მათთვის მთავარი იყო, სწრაფად ემოქმედათ და პარიზი აეღოთ, რის შედეგადაც ფრანგებისათვის აზრს დაკარგავდა ყველაფერი და მათ შორის იტალიელთა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებებიც. ამისათვის კი პარიზზე გზის გაჭრა იყო საჭირო და ამიტომაც ლუქსემბურგის შემდეგ ბელგიის დრო დადგა. როგორც ზემოთ ვთქვით, შლიფენის გეგმა ჰოლანდიაზე გავლასაც ითვალისწინებდა, მაგრამ გეგმაში მოგვიანებით მოლტკემ რამდენიმე ცვლილება შეიტანა. მათ შორის ისიც, რომ „პარიზზე კორიდორის სიიდან" ჰოლანდია ამოიღო, უბრალოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყნის ჯართან ბრძოლა დიდ დროს წაიღებდა. მაგრამ, აი, ბელგიისათვის გვერდის ავლა არაფრით გამოდიოდა და იგი სიაში დარჩა. ბერლინში ნაკლებად ელოდნენ, რომ ასეთი პატარა ქვეყნისგან რაიმე პრობლემა შეხვდებოდათ. გერმანიის ჯარი ევროპაში უძლიერესი იყო, ბელგიის ჯარი კი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი მაინც. ერთადერთ თავის ტკივილად შეიძლებოდა ბელგიის მეფე ალბერი ქცეულიყო – მეტად პრინციპული და ძლიერი პიროვნება (რითაც ძალიან გამოირჩეოდა მაშინდელ ევროპელ მონარქებში). მაგრამ ვილჰელმს იმედი ჰქონდა, როგორმე მასაც გაუმკლავდებოდა. გერმანიის იმპერატორს უკვე დიდი ხანი იყო, რაც ბელგიის მეფეები, ასე ვთქვათ, პირად კონტროლზე აეყვანა. იგი ჯერ კიდევ ალბერის წინამორბედთან და ბიძასთან, ლეოპოლდ II-სთან ცდილობდა ბელგიის პრობლემის გადაჭრას და მას მოკავშირეობის სანაცვლოდ საფრანგეთის ტერიტორიებს სთავაზობდა. ლეოპოლდს ხარბი და წუწკი მონარქის სახელი კი ჰქონდა, მაგრამ მსგავსმა შეთავაზებამ ისიც შოკში ჩააგდო. ამის შემდეგ ვილჰელმმა მას უბრალოდ ქრთამი შესთავაზა 2 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით (რომელიც ისევ საფრანგეთისგან უნდა ამოეღო)... როცა ტახტზე ალბერი ავიდა (1909), ვილჰელმი მასზე გადაერთო. თუმცა, სადაც წუწკ ბიძას არ სურდა საუბარი ნეიტრალიტეტის დარღვევასთან დაკავშირებულ გარიგებებზე, კიდევ უფრო მეტად იყო ეს გამორიცხული ძმისშვილთან. 1913 წელს ვილჰელმმა მას ბერლინში ანტიფრანგული ისტერიკები მოუწყო და „პარიზის ამღები გენერალი" გააცნო, მაგრამ ამან მხოლოდ უფრო გაამყარა ალბერის პრინციპული პოზიცია, რომ თავისი ქვეყნის ნეიტრალიტეტი დაეცვა.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა ლონდონს ბელგიის ნეიტრალიტეტის გარანტია მისცა, ხოლო ბერლინი დადუმდა, ბელგიელი დიპლომატები ცდილობდნენ, გერმანიის ელჩისგან მიეღოთ დამაიმედებელი პასუხი, ალბერმა კი პირადად ვილჰელმს მისწერა. ვილჰელმი პასუხად დუმდა, ელჩი კი ბელგიელებს ამშვიდებდა, მაგრამ დიდხანს არც ამან გასტანა. 2 აგვისტოს მან დავალება მიიღო, გაეხსნა რამდენიმე დღის წინ მიღებული კონვერტი და ინსტრუქციებს მიჰყოლოდა. ინსტრუქციები, ცხადია, ბრიუსელისათვის ულტიმატუმის გამოცხადებას ითვალისწინებდა. ბელგიის მთავრობას გერმანელები ამცნობდნენ, რომ მათ ხელთ არსე-

ბული ინფორმაციით ფრანგები ბელგიის ტერიტორიაზე შეჭრას, მისი ნეიტრალიტეტის შელახვას და იქიდან გერმანიაზე დარტყმას აპირებდნენ. ბელგიას ცხადია არ ჰქონდა ასეთ აგრესორთან გამკლავების უნარი და ამიტომ გერმანიას სხვა არაფერი რჩებოდა, გარდა იმისა, რომ მის ტერიტორიაზე შესულიყო და იქიდან დაეცვა თავი. თუკი ბელგია გერმანიასთან ითანამშრომლებდა, მაშინ ომის შემდეგ მას თავისი ტერიტორია დაუბრუნდებოდა და მიყენებული ზარალის ნაცვლად კომპენსაციასაც კი მიიღებდა. წერილში, რომელიც 26 ივლისს მოლტკემ ბეტმანსა და იაგოვთან ერთად დაწერა, ასევე ნათქვამი იყო, რომ კომპენსაციის გაცემა საფრანგეთის ხარჯზე მოხდებოდა. მაგრამ ელჩს ბოლო მომენტში დაევალა, ეს უხერხული შენიშვნა ტექსტიდან ამოეღო. ბელგიას 24 საათი მიეცა.

გერმანელები შლიფენის გეგმის გამოისობით თითქმის სრული იზოლაციისკენ მიდიოდნენ. თუმცა, 2 აგვისტოს მათ ერთ წარმატებას მაინც გამოჰკრეს ხელი: გაფორმდა საიდუმლო ალიანსი თურქეთთან. ახალგაზრდა თურქები ენვერის მეთაურობით ისედაც ოცნებოდნენ გერმანიასთან მოკავშირეობაზე, მაგრამ ბერლინი ამისგან თავს იკავებდა. 28 ივლისს თურქებმა ჩათვალეს, რომ ხელსაყრელი დრო დადგა და შეთავაზება განაახლეს. გერმანიას უკვე ნამდვილად აღარ აინტერესებდა გააღიზიანებდა თუ არა თურქეთთან მისი დაახლოება რუსეთს, და ალიანსიც შედგა. თურქებმა რაღაც მომენტში თავად დაიწყეს ყოყმანი, მაგრამ ბერლინს მშველელებად ინგლისელები მოევლინენ, კონკრეტულად კი ჩერჩილი, რომლის ბრძანებითაც სწორედ იმ დღეებში თურქეთისათვის გადასაცემი, ინგლისის დოკებში მდგარი ორი ახალაგებული, მაღალი კლასის საბრძოლო ხომალდი დააკავეს. ამ ხომალდებში თურქეთმა უზარმაზარი თანხა გადაუხადა ინგლისელებს, ამ უკანასკნელებმა კი იმითაც არ შეინუხეს თავი, დამკვეთებს კომპენსაციას შეპირებოდნენ, ან თუნდაც ხომალდების დაკავების დამაჯერებელი მიზეზი მოეგონებინათ. თურქებისათვის გასაგები იყო, რომ მათი კუთვნილება უბრალოდ მიითვისეს, რადგან ომის მოლოდინში ინგლისელებს მთელ თურქეთს ორი საბრძოლო ხომალდი ერჩიათ. მათ თავიანთი წილი სიბრიყვე უნდა ჩაედინათ და ჩაიდინეს კიდეც.

3 აგვისტოს მოვლენები უკვე იოლი გასათვლელი იყო: ბელგიელებმა ულტიმატუმზე უარით უპასუხეს. ვილჰელმმა კი ალბერს მამაშვილური ხასიათის წერილი მისწერა და ურჩია, დათმობაზე წასულიყო, რათა მათი „მეგობრობა გადაერჩინა." ალბერმა წერილის წაკითხვისთანავე ლუქსემბურგთან დამაკავშირებელი ხიდებისა და გვირაბების აფეთქების ბრძანება გასცა და მთლიანად ომისათვის მზადებაზე გადავიდა. მისი გამჭრიახობის წყალობით ბელგიას მობილიზაცია უკვე 31 ივლისს ჰქონდა დაწყებული.

იმავე დღეს გრეიმ კამბონს იმედები არ გაუცრუა და პარლამენტი

დაარწმუნა, რომ, თუკი გერმანია უკან არ დაიხევდა, აღარც ინგლისს უნდა დაეხია უკან. ჩვეულებრივ, გაჭირვებით მოსაუბრე მინისტრმა ლიბერალთა სულიერი მამის, გლადსტონის ფრაზები მოიშველია და ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომ ორი გადამდგარი მინისტრი თანამდებობაზე დაბრუნდა. გადაწყდა გერმანიისათვის ულტიმატუმი გადაეგზავნათ, რომელშიც მოითხოვდნენ ბელგიის ნეიტრალიტეტის პატივისცემას. თუმცა, ულტიმატუმის გადაგზავნა მომდევნო დღემდე გადაიდო და იქამდე არ დაადგა საშველი, სანამ გერმანია ბელგიას თავს არ დაესხა. ინგლისის დიპლომატიას ბოლო მომენტში მაინც დაატყო ხელი გრეის ხასიათმა და ლიბერალთა ტრადიციულმა იზოლაციონიზმმა.

როცა ბერლინში ინგლისის ელჩმა ბეტმანს ულტიმატუმი გადასცა, ეს უკანასკნელი აწუწუნდა, რომ ინგლისელები „რაღაც ნეიტრალიტეტის" გამო ებმებოდნენ ომში და რომ „ნათესავ ერს" „ზურგიდან ურტყამდნენ". ბეტმანს, როგორც იმდროინდელი გერმანული დიპლომატიის ღირსეულ წარმომადგენელს, ვერაფრით გაეგო ლონდონის ნამდვილი მოტივაცია.

ინგლისის ჩარევა მძიმედ გადაიტანა პირადად ვილჰელმმა. ახლა უკვე მას არა მხოლოდ ნიკიმ, არამედ ჯორჯმაც „უღალატა". მაგრამ გერმანელი სამხედროები, იმპერატორისა და დიპლომატებისგან განსხვავებით, ამ ამბავს მშვიდად უყურებდნენ. მოლტკეს არასოდეს ჰქონია იმის იმედი, რომ ინგლისელები შეიძლებოდა განზე გამდგარიყვნენ და მათი ჩარევაც დიდად არც ადარდებდა. „თუ ინგლისელები ჯარს გადმოსხამენ, პოლიციას ვუბრძანებ და დავაპატიმრებინებ", – იხუმრა ოდესღაც ბისმარკმა. ცხადია, ინგლისის ფლოტთან საქმის დაჭერა სახარბიელო პერსპექტივა არ იყო, მაგრამ შეშინებულს ნამდვილად არ ჰგავდა ტირპიცი. „ინგლისს ჩვენ პორტუგალია ხომ არ ვგონივართ?!" – ასეთი იყო მისი კომენტარი. ტირპიცის შემოქმედება – გერმანული ფლოტი – რომლის გამოც ქვეყანამ ინგლისთან გაიფუჭა ურთიერთობები, სულ ცოტა ღირსეულ წინააღმდეგობას მაინც გასწევდა და რომც ვერ გაეწია, გერმანელებს ძირითადად ხმელეთზე ჰქონდათ საომარი. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, გერმანელ სამხედროებს ინგლისთან ომი ერჩივნათ ბელგიის ნეიტრალიტეტის დაცვასა და თავიანთი მრავალტანჯული გეგმის შეცვლას. ამ გეგმის მიხედვით, გერმანიას სწრაფად უნდა გაემარჯვა ჯერ საფრანგეთზე, შემდეგ კი რუსეთზე. ამის შემდეგ ინგლისს ბერლინთან შერიგების გარდა არჩევანი არ დარჩებოდა.

საფრანგეთსა და რუსეთზე სწრაფი გამარჯვების მოსაპოვებლად კი საჭირო იყო მათთვის ომის სწრაფად გამოცხადება. 3 აგვისტოს საღამოს გერმანიის ელჩი პარიზში ვივიანის ეახლა და განუცხადა, რომ მის ქვეყანას არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა საფრანგეთის მხრიდან საჰაერო თავდასხმები და ასევე ჰაერიდან ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა. საფრანგეთის მხრიდან მითიურ საჰაერო თავდასხმებზე (რადგანაც ფრანგული ჯარი დემონსტრაციულად იყო გარიდებული გერ-

მანიასთან საერთო საზღვარს, მხოლოდ ამ მითის მოგონება მოხერხდა) ასევე საუბრობდა მანამდე გერმანიის ელჩი ბელგიაში, რომელიც იქაურ დიპლომატებს უხსნიდა, საფრანგეთი ამით თავის აგრესიულ ხასიათს ავლენს და მალე თქვენც შემოგიტევთო. ვივიანისათვის ყველაფერი გასაგები იყო. მან საკმაოდ მშვიდად მოისმინა ომის გამოცხადება და გასაცოდავებული ელჩი კარამდეც კი მიაცილა.

4 აგვისტოს, დილის 6 საათზე გერმანიამ ბელგიას გამოუცხადა ომი და დაახლოებით ერთ საათში საზღვართან სროლები გაისმა. აქ კი ალბერმა ნეიტრალიტეტის გარანტებს ჩარევა მოსთხოვა. იგი ამ გადაწყვეტილების მიღებისგან ბოლო მომენტამდე იკავებდა თავს, რადგან შიშობდა, რომ გერმანელების ულტიმატუმი ეშმაკური ფანდი იყო: დამფრთხალ ბელგიელებს ამის პასუხად შეიძლებოდა ფრანგული და ინგლისური ჯარების დახმარება მოეთხოვათ და თავიანთ ტერიტორიაზე მათი ნაადრევი (და უმიზეზო) დაშვებით თავადვე დაერღვიათ ნეიტრალიტეტი. ალბერი გერმანელ დიპლომატებს თავისი ინტელექტის გადმოსახედიდან უყურებდა (რაც საკმაოდ გავრცელებული შეცდომაა) და მათ ზედმეტ ეშმაკობასა და ჭკუას მიაწერდა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, იგი არ იყო ერთადერთი, ვინც ამ შეცდომას უშვებდა.

როგორც უკვე ვთქვით, იმავე დღეს ინგლისმაც გადააგზავნა ბერლინში ულტიმატუმი. დღის ბოლოს კი ომშიც ჩაება (მას შემდეგ, რაც ბერლინისგან ულტიმატუმზე დადებითი პასუხი ვერ მიიღო).

ახლა, როცა მოსახდენი მოხდა, როცა დედაქალაქებში აღტყინებული მოსახლეობა ომის დაწყებას ზეიმობდა და მტრისათვის ჭკუის სწავლებას ითხოვდა; როცა სოციალისტებიც კი (რომლებიც მანამდე ომს გმობდნენ და მშრომელთა შორის მეგობრობასა და სოლიდარობას ქადაგებდნენ) ომის მხარეს დადგნენ იმის შიშით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ამომრჩევლის მხარდაჭერას დაკარგავდნენ; ახლა, როცა სამხედრო მანქანა ბოლომდე იყო ჩართული, იმპერატორები თუ მეფეები, კანცლერები თუ პრემიერ-მინისტრები ხვდებოდნენ, უკან დახევას აღარავითარი აზრი არ ჰქონდა. ახლა საჭირო იყო, ყველაფერში მოწინააღმდეგე მხარე დაედანაშაულებინათ, საკუთარი სიმართლის მოწმედ ღმერთი მოეყვანათ და შემდეგ სწრაფად დაესრულებინათ ყველაფერი.

სწრაფად, რადგან მათში ძალიან ცოტა იყო ისეთი, ვინც ვარაუდობდა, რომ ომი რამდენიმე კვირაზე (ყველაზე ცუდ შემთხვევაში – რამდენიმე თვეზე) მეტს გაიწელებოდა. საკმარისი იყო რამდენიმე გადამწყვეტი ბრძოლის მოგება (ან წაგება), შემდეგ კი სამშვიდობო კონფერენციის ჩატარება და ყველაფერი ამით დასრულდებოდა. ევროპა ასეთ ომებს იყო მიჩვეული. გარდა ამისა, ევროპა კარგ ცხოვრებასაც მიჩვეულიყო, ხანგრძლივ ომზე ფიქრი არავის სურდა და შესაბამისად, მისთვის არც არავინ ემზადებოდა. გრეიმ პარლამენტს განუცხადა, რომ ომში ჩარევა ინგლისს დაახლოებით ისეთივე ზარალს მოუტანდა, როგორსაც – არჩარევა. ამ ფრაზით ძალიან ბევრი იყო ნათქვამი: ყველა, ვინც ომში ჩაება, ფიქრობდა, არჩარევა უფრო ძვირი თუ არა, ნაკლები მაინც არ დაუჯდებოდა.

ევროპული დედაქალაქებიდან ყველაზე აღტყინებული ბერლინი იყო. გერმანია ბოლოს და ბოლოს ყველას ასწავლიდა ჭკუას და მოიპოვებდა კუთვნილ ადგილს. იტალიელები და ინგლისელები „მოღალატეებად“ გამოცხადდნენ, რომელთაც ცოტა მოგვიანებით დასჯიდნენ, მას შემდეგ, რაც საფრანგეთსა და რუსეთს გაუსწორდებოდნენ. ასეთმა ერთსულოვნებამ ნიკისა და ჯორჯის საქციელით გულგატეხილი ვილჰელმიც გამოაცოცხლა. ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური პარტიები აღარ არიან, მხოლოდ გერმანელები არიანო, – იმეორებდა იგი გახარებული.

ანალოგიურის თქმა ნაკლებად შეეძლო ნიკის. მის გარშემო ბევრი იყო ისეთი, რომლებიც ომისგან მოსალოდნელ საფრთხეზე მიუთითებდნენ. ყველაზე ჭკვიანური არგუმენტი ვიტეს ჰქონდა: მისი თქმით, რუსეთის მმართველი რეჟიმის მთავარი საყრდენი ჯარი იყო და თუკი ჯარი ომში სერიოზულ დარტყმას მიიღებდა, ასეთსავე დარტყმას მიიღებდა რეჟიმიც, რომელსაც მრავლად ჰყავდა მტრები. მტრებს შორის განსაკუთრებით ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ, რომელთა ლიდერებიც საზღვარგარეთ იყვნენ გადახვეწილნი და დაბრუნებისათვის ხელსაყრელ დროს ელოდნენ.

ანალოგიურის თქმა უფრო მეტად შეეძლოთ პუანკარესა და ვივიანის. საფრანგეთში ნამდვილად ყველანი ფრანგები იყვნენ. ზუსტად ერთი საუკუნე იყო გასული ნაპოლეონის დამარცხებიდან, იმპერიული დიდება ჯერ კიდევ ცოცხლობდა ერში და ამიტომ ისინი ვერასოდეს შეეგუებოდნენ იმ დამცირებას, რომელიც 1870-71 წლებში გერმანელებისგან განიცადეს და რომელსაც ელზასი და ლორენი ერქვა. თუკი ვინმეს „ღირსების დაცვისა და აღდგენის“ სერიოზული მიზეზი ჰქონდა, ესენი სწორედ ფრანგები იყვნენ.



ფრანგების შეუცვლელი ელჩი
ინგლისში და მათი ერთ-ერთი
საუკეთესო დიპლომატი პოლ კამბონი
(1843-1924)



გრეი (1862-1933)

ფრანც-ფერდინანდისა და სოფის (1868-1914) უკანასკნელი წუთები სარაევოში



პაშიჩი (1845-1926)

ფრანც-ფერდინანდისა და სოფის მკვლელის, პრინციპის (1894-1918) დაპატიმრება სარაევოში

პრინციპი სატუსაღოში

ჩერჩილი (1874-1965) მეუღლესთან ერთად

ჟიუიანი (1863-1925)

ევროპაში ომის ერთ-ერთი უმთავრესი მოწინააღმდეგე, ფრანგ სოციალისტთა ლიდერი ჟორესი (1859-1914)



საზონოვი (1860-1927)



ბეტმანი (1856-1921)

თავი 3. აგვისტო და მარნა

შლიფენი და წითელშარვლიანები

რუსეთმა მე-20 საუკუნის დასაწყისში რევოლუცია გამოიარა, ინგლისმა ბურებთან ომი, საფრანგეთმა კი დრეიფუსის საქმე. ერთი შეხედვით, ვიღაცის საქმე რევოლუციასთან და ომთან ვერ მოვა, მაგრამ დრეიფუსის საქმე იყო მოვლენა, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა და საფრანგეთი ორ ბანაკად გახლიჩა. 1894 წელს დრეიფუსის, ებრაელი წარმოშობის უდანაშაულო ფრანგი ოფიცრის, დაპატიმრება (გერმანიის სასარგებლოდ შპიონაჟის ბრალდებით) გასცდა სამართლებრივ და უსაფრთხოების ჩარჩოებს და იქცა არა მხოლოდ საზოგადოებრივი განხილვის ნომერ პირველ თემად, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საფრანგეთის პოლიტიკური სისტემა და ალბათ, საერთოდ, ფრანგული ფასეულობებიც. წარმოუდგენელ მასშტაბს მიაღწია საზოგადოების პოლარიზაციამ. ადამიანის შესახებ პირველად იმას კი არ კითხულობდნენ, იგი მემარჯვენე იყო თუ მემარცხენე, დახვეწილი თუ უგემოვნო, არამედ დრეიფუსარი იყო თუ ანტიდრეიფუსარი. ამ საქმეზე უთანხმოების გამო ერთმანეთს შორდებოდნენ უახლოესი მეგობრები და ამ საქმეში თანამოაზრეობის გამო მეგობრდებოდნენ დაუძინებელი მტრები და სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები.

ანტიდრეიფუსართა მოტივაცია გასაგებია: გერმანელებთან ომის წაგებისა და ელზას-ლორენის დაკარგვის შემდეგ ბერლინზე ჯაშუშობის ბრალდება ყველა პატრიოტ ფრანგს სიძულვილით აბრმავებდა, მით უმეტეს, თუკი ბრალი ებრაელს ედებოდა. საფრანგეთი ტოლერანტობით ევროპაშიც კი გამოირჩეოდა, მაგრამ მტერზე ჯაშუშობის ბრალდებამ ამ ქვეყანაშიც გააღვიძა რაღაც დოზით ანტისემიტიზმი. როცა თანდათანობით დრეიფუსის უდანაშაულობის საბუთები გამოიკვეთა და მას დამცველები გამოუჩნდნენ (მათ შორის, ჟორესი და ცნობილი მწერალი ემილ ზოლა), აგრესია დამცველებზეც გავრცელდა, მაგრამ თანდათანობით მათმა რიცხვმა იმატა და მთელი ქვეყანა, შეიარაღებული ძალების ჩათვლით, ორ დაპირისპირებულ მხარედ გაიყო. საქმის საჯარო გარჩევებმა, შეთქმულების თეორიებმა და ისტერიკებმა მთელ საზოგადოებას აუბნია თავგზა და ფრანგებს საკუთარი თავის რწმენა საგრძნობლად შეურყია. საბოლოოდ სიმართლემ იზეიმა და დრეიფუსი გაათავისუფლეს (1906), მაგრამ მისმა საქმემ ქვეყანაზე მეტად მძიმე კვალი დატოვა. მით უფრო, როცა გაირკვა, რომ გერმანელებს მართლაც ჰყავდათ ჯაშუში შეიარა-

ღებულ ძალებში და ეს იყო არაებრაელი ოფიცერი, ცნობილი ფრანგი გენერლისა და ყირიმის ომის ერთ-ერთი გმირის ვაჟი, შარლ ესტერჰაზი.

იმ გერმანელი სამხედროებისა და პოლიტიკოსებისათვის, რომელთაც საფრანგეთთან ომი გარდაუვლად მიაჩნდათ, დრეიფუსის საქმე ნამდვილად დიდი საჩუქარი იყო. მათთვის საფრანგეთი ისედაც „დეკადენტურ“ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელიც თავდაყირა დააყენა საპარლამენტო დემოკრატიამ და მთავრობათა სწრაფმა ცვლილებებმა. ომის მინისტრები საფრანგეთში, საერთოდ, ელვისებური სისწრაფით იხსნებოდნენ და ინიშნებოდნენ (მარტო 1898 წელს ქვეყანამ ომის ხუთი მინისტრი გამოიცვალა) და გერმანელთათვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასეთ ვითარებაში ქვეყანას შეიძლებოდა ხეირიანი ჯარი ჰყოლოდა. დრეიფუსის საქმეს ფრანგული შეიარაღებული ძალებისათვის საერთოდ ჯვარი უნდა დაესვა.

გერმანელთა ამ სიხარულში ნამდვილად იყო სიმართლე, მაგრამ მხოლოდ ნახევარსიმართლე. მთლიანი სიმართლე იმაში მდგომარეობდა, რომ სწორედ გერმანელთა წყალობით ფრანგული ჯარიცა და მთლიანად ფრანგული საზოგადოება ყველა მძიმე გამოცდის მიუხედავად ერთიანობას მაინც ინარჩუნებდა და ელზასის დაბრუნებაზე ოცნებობდა.

ეს კარგად უწყოდა საფრანგეთის სამხედრო ელიტამ და როცა ისინი გერმანიასთან მომავალი ომის გეგმას ადგენდნენ, ბევრი არ უფიქრიათ იმაზე, თუ საიდან უნდა შეეტიათ მტრისათვის. ცხადია, სწორედ ელზასიდან და ლორენიდან. მტრის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების ჟინს ნამდვილად ერთ მუშტად უნდა შეეკრა ჯარიცა და ხალხიც. მართალია, ელზასი და ლორენი ფორტიფიკაციების წყალობით მტერს კარგად ჰქონდა გამაგრებული, მაგრამ ეს პრობლემად არ მიიჩნეოდა, რადგანაც, ჯერ ერთი, ამ ტერიტორიებზე მცხოვრებთა უმრავლესობა ფრანგულ ჯარს მოუთმენლად ელოდა; მეორეც, ფრანგ სამხედროებს მიაჩნდათ, რომ მაღალ საბრძოლო სულსა და გრიგალისებურ შეტევას ყველანაირი დაცვის გარღვევა შეეძლო.

ბუნებრივია, გერმანელებთან ომის წაგების შემდეგ ფრანგი სამხედროები თავიანთი შეცდომების გააზრებას ცდილობდნენ და დოქტრინებსაც ცვლიდნენ. მთავარ შეცდომად ისინი 1870 წელს გერმანელთათვის ინიციატივის დათმობას და პასიურობას მიიჩნევდნენ. ეს მოსაზრება ყველაზე უკეთ გამოჩნდა სამხედრო სასწავლებლის რექტორის, გენერალ ფერდინანდ ფოშის ნაშრომებში. ფოშმა განავითარა თეორია, რომლის მიხედვითაც ომში უმთავრესი იყო სწრაფი მოქმედება და იერიში. საბრძოლო სულთან და ჟინთან შედარებით სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანი იყო. შეტევა, მოქმედება და მანევრი, როგორც ამას ნაპოლეონი აკეთებდა. გერმანელები 1870 წელს სწორედ ნაპოლეონისებურად მოქმედებდნენ და ამიტომაც გაიმარჯვეს.

ფოშის ნაშრომებმა ფრანგი სამხედროების გონება დაიპყრო, მაგრამ მისი თეორია საბოლოოდ ზედმეტად გამარტივდა და ერთ მოსაზრებამდე დავიდა: მხოლოდ შეტევა და მეტი არაფერი. ფრანგული ჯარი სხვა არაფერს ცნობდა.

ასეთი განწყობით მიდიოდნენ ფრანგები შეტევაზე ელზასისა და ლორენის მიმართულებით. მათი არმიები შვეიცარიის საზღვრიდან ბელგიის საზღვრამდე გადაიჭიმა. ზურგში დარჩენილი მოსახლეობა მათგან საგმირო საქმეებს ელოდა.

ფრანგთა არმიები (რომლებიც ე.წ. გეგმა XVII-ის მიხედვით განლაგდა) მარჯვნიდან მარცხნივ იყო დანომრილი (პრიორიტეტის მიხედვით – პრიორიტეტი კი მარჯვენა ფლანგი იყო, ანუ ელზასი და ლორენი). პირველ არმიას ელზასისკენ უნდა მიეტანა იერიში, მეხუთე არმია კი მარცხენა ფლანგზე იდგა, ბელგიის საზღვართან. ასევე მარჯვნიდან მარცხნივ იყო დანომრილი გერმანელთა არმიები (მათი პრიორიტეტი ასევე მათგან მარჯვენა ფლანგი იყო, ანუ ბელგია). პირველი არმია ბელგიის ჩრდილოეთით მოდიოდა, მეშვიდე არმია კი ელზასს იცავდა. მერვე აღმოსავლეთ პრუსიაში იდგა. ერთ-ერთ არმიას (მეხუთეს) გერმანიის კრონ-პრინცი ვილჰელმი მეთაურობდა.

გერმანელთა მარჯვენა ფლანგის არმიები ძალიან მალე გადავიდნენ სრულმასშტაბიან შეტევაზე. ევროპაში ყველაზე უკეთ განვითარებული სარკინიგზო ქსელითა და ბოლო დეტალებამდე დამუშავებული გეგმის წყალობით ისინი უსწრაფესად მოვიდნენ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში და დასავლეთის მიმართულებით ისეთი რაოდენობითა და შეიარაღებით დაიძრნენ, რაზეც ფრანგებს წარმოდგენა არ ჰქონდათ.

ფრანგებს ბოლო მომენტამდე არ სჯეროდათ, რომ გერმანელები მათ ბელგიის გავლით შეუტევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ შლიფენის გეგმა ჯერ კიდევ 1904 წელს ჩაუვარდათ ხელში (იგი მათ უფროსობაზე გამწყრალმა გერმანელმა ოფიცერმა გადასცა). ფრანგებს უბრალოდ ვერ წარმოედგინათ, რომ გერმანია ბელგიის ნეიტრალიტეტს შეეხებოდა და ამით ინგლისს აიმხედრებდა (ისინი მტერს საკუთარი ლოგიკის გადასახედიდან უყურებდნენ). ამიტომ მიაჩნდათ, რომ მათ მიერ მოპოვებული გეგმა მტრის მიერ საგანგებოდ იყო შემოგდებული, რათა ისინი შეცდომაში შეეყვანა. მოგვიანებით გეგმის დეტალები უცნაური გზით გერმანულ პრესაში მოხვდა. უკვე თანამდებობიდან წასულმა შლიფენმა ფსევდონიმით დაწერა სტატია, რომელშიც მის გეგმაში ცვლილებების შეტანას აკრიტიკებდა. მაგრამ არც ამან იქონია რაიმე გავლენა არც ფრანგებზე, არც ინგლისელებზე. ფრანგული სარდლობის პასუხი საბოლოოდ ასეთი იყო: მით უკეთესი, თუ ბელგიიდან წამოვლენ, ჩვენ უფრო ნაკლები წინააღმდეგობა შეგვხვდება ჩვენი შეტევის მიმართულებითო.

ფრანგების ამ ქედმაღლურ დამოკიდებულებას კიდევ ერთი ფაქტორი ხსნიდა. შლიფენის მიერ გაწერილი პარიზის აღების გეგმა ფანტასმაგორიულად ჟღერდა. მის მიხედვით გერმანელთა მთავარ (პირველ) არმიას ბელგიის უკიდურესი ჩრდილოეთიდან უნდა მოევლო, იქიდან შეჭრილიყო

საფრანგეთში, ზემოდან დაერტყა პარიზისათვის და ფრანგები ყულფში მოექცია. ასეთი მანევრის განხორციელებას დიდძალი ცოცხალი ძალა სჭირდებოდა (თავი რომ დავანებოთ ლოჯისტიკის სირთულეებსა და სხვა ფაქტორებს), რომლებიც გერმანელებსაც კი ვერ ექნებოდათ. და აქ ფრანგები კიდევ ერთხელ უშვებდნენ მეტად ტიპურ შეცდომას – მტერს საკუთარი გადასახედიდან უყურებდნენ. ამჯერად ეს შეცდომა იმაში გამოიხატებოდა, რომ თავად ფრანგები იგნორირებას უკეთებდნენ რეზერვებს და მიაჩნდათ, გერმანელებიც ასე მოიქცეოდნენ.

გერმანელები კი რეზერვებს იყენებდნენ და ამის წყალობით ბელგიაში ცოცხალი ძალის ნაკლებობას არ განიცდიდნენ. ეს იმის მიუხედავად, რომ მოლტკემ შლიფენის გეგმაში ცვლილებები შეიტანა და დასავლეთის ფრონტისათვის გამწესებული შეიარაღებული ძალების ნაწილი აღმოსავლეთი ფრონტისათვის გაამწესა. ეს გადაწყვეტილება ლოგიკას მოკლებული არ იყო, რადგან შლიფენის მიერ თავდაპირველი გეგმის შემუშავების შემდეგ რუსეთის შეიარაღებული ძალები საკმაოდ გაძლიერდა და ასევე, ფრანგული კრედიტების წყალობით, რუსეთში განვითარდა სარკინიგზო ქსელი. შესაბამისად, რუსეთის წინააღმდეგ მინიმალური ძალებით ბრძოლა მეტად სარისკო ჩანდა. თუმცა, შლიფენისათვის ეს ლოგიკაც მიუღებელი იყო და გადმოცემით, იგი სიკვდილის წინაც იმაზე ჩურჩულებდა, რომ გერმანელებს ძალების უდიდესი ნაწილი დასავლეთის ფრონტზე და კონკრეტულად, მარჯვენა ფლანგზე უნდა მიემართათ. თუკი მარჯვენა ფლანგს არ აღმოაჩნდებოდა საკმარისი ძალა, ბელგია სწრაფად გაევლო და პარიზი აეღო, მაშინ გერმანია ორ ფრონტზე ერთდროულ ომში იქნებოდა ჩათრეული.

ბედის ირონიით, შლიფენმა 80 წელი იცოცხლა და ომის დაწყებამდე სულ ერთი წლით ადრე გარდაიცვალა. მისი გეგმის შესახებ გერმანიის მთავრობაში თითქმის არავინ იცოდა. თვით კანცლერმა გეგმის შესახებ მხოლოდ 1912 წლის ბოლოს შეიტყო. საუბარი ზედმეტია იმაზე, რომ გერმანიის გენერალურ შტაბს საქმის კურსში არ ჰყავდა ჩაყენებული მოკავშირე ქვეყნები.

როგორც უკვე ვთქვით, საფრანგეთის დროულად დასამარცხებლად ბელგიის სწრაფი გავლა იყო საჭირო და აქ გერმანელები, მათდა მოულოდნელად, სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. თუკი ბელგიელებს ბოლო მომენტამდე არ სჯეროდათ, რომ გერმანია მათ ნეიტრალიტეტს დაარღვევდა და იმავესი არ სჯეროდათ ფრანგებს, გერმანელები ვერაფრით დაიჯერებდნენ, რომ ბელგია მათ რეალურ წინააღმდეგობას გაუწევდა. მათი აზრით, დამხვდურნი ზრდილობისათვის, ნეიტრალიტეტის ფორმალურად დასაცავად, რამდენიმეჯერ გაისროდნენ და შემდეგ გერმანელთა არმიებს უბრალოდ გაეცლებოდნენ. მაგრამ ომი ყოველთვის მოულოდნელობითაა აღსავსე, მაშინაც კი, როცა მსოფლიოს უძლიერესი ჯარი პატარა ქვეყანას უტევს. 5 აგვისტოს გერმანელები

ლიეჟს მიადგნენ, ფორტებით საუცხოოდ გამაგრებულ ქალაქს, რომელიც საბოლოოდ, ცხადია, დაეცა, მაგრამ ამას დასჭირდა ათი დღე, ქალაქის ცეპელინებიდან დაბომბვა (ახალი სიტყვა სამხედრო საქმეში, რომელიც შემდეგ სხვა ქალაქების წინააღმდეგაც გამოსცადეს, ყველაზე წარმატებით კი ლონდონში) და იქამდე არნახული ზომის საალყო ქვემეხების გამოყენება. გერმანელებმა საგრძნობი ზარალი ნახეს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ძვირფასი დროც დაკარგეს.

7 აგვისტოს ელზასის მიმართულებით შეტევაზე გადავიდნენ ფრანგები. მართალია, მათ დაინახეს, რომ გერმანიამ ბოლოს და ბოლოს ნამდვილად შეუტია ბელგიას, მაგრამ ამის გამო გეგმაში ცვლილების შეტანა არ უფიქრიათ. ჯერ ერთი, გერმანელები ლიეჟს ვერა და ვერ გამოსცდნენ და მეორეც, ფრანგების მთავარსარდალი ჟოსეფ ჟოფრი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ბელგიის გავლის შემდეგ გერმანელები ამ ქვეყნის სამხრეთიდან შეიჭრებოდნენ საფრანგეთის ტერიტორიაზე. იქ კი ფრანგთა მეხუთე არმია იდგა. მართალია, ამ არმიის მეთაური სულ უფრო და უფრო შიშობდა, რომ გერმანელები ჩრდილოეთიდან შეიჭრებოდნენ და მას ფლანგიდან მოუვლიდნენ, მაგრამ ჟოფრი ამას ყურადღებას არ აქცევდა. სართოდ იგი, რბილად რომ ვთქვათ, მთავარსარდლის პოსტზე საუკეთესო არჩევანი არ ყოფილა. მისი გამოცდილება ძირითადად სამხედრო ინჟინრად მუშაობით შემოიფარგლებოდა. როცა გერმანელები ფრანგულ ჯარს დასცინოდნენ, საამისო მიზეზები ნამდვილად ჰქონდათ. მათთან ჟოფრისნაირი ოფიცერი ნამდვილად ვერ გახდებოდა მთავარსარდალი. ფრანგებს ამ პოსტზე უკეთესი კანდიდატურაც ჰყავდათ ჟოზეფ გალიენის სახით, რომელიც სედანთან იყო ნაომარი და რამდენიმე წელი გერმანელების ტყვეობაშიც კი გაეტარებინა. ამის შემდეგ მან კოლონიურ ომებში შესანიშნავად გამოიჩინა თავი და სამხედრო ინოვაციებიც დანერგა. ჟოფრი ერთ დროს მისი ხელქვეითიც იყო და იგი მთავარსარდლად მხოლოდ მას შემდეგ დაინიშნა, რაც გალიენიმ შემოთავაზებაზე უარი თქვა.

მაგრამ, ფრანგების საუბედუროდ, ჟოფრი მათი ერთადერთი პრობლემა არ ყოფილა.

7 აგვისტოს მათ პირველი დასახლებული პუნქტი აიღეს ელზასში და როცა დასახვედრად გამოფენილი ბედნიერი მოსახლეობა დაინახეს, ომი ლამის მოგებულად ჩათვალეს. მართლაცდა, ფრანგები სწრაფად მიიწევდნენ წინ და მტერი უკან იხევდა. თუკი ასე გაგრძელდებოდა, ისინი ელზასსა და ლორენს მალე დაიკავებდნენ და გერმანიის ტერიტორიის სირღმეშიც შეიჭრებოდნენ. სინამდვილეში, გერმანელების უკან დახევა მხოლოდ გათვლილი მანევრი იყო. მოლტკე ფრანგების სიღრმეში შეტყუებას გეგმავდა და ფრანგებიც სიხარულით ებმებოდნენ მახეში მანამდე, სანამ გერმანელთა მეექვსე არმიის მეთაურს, ბავარიის კრონ-პრინც რუპრეხტს მოთმინების ძაფი არ გაუწყდა და მტერს არ მიუბრუნდა (20 აგვისტო). აქ დაიწყო ფრანგების კატასტროფა. როგორც შეტევის კულტის

ერთგული მიმდევრები და ნაპოლეონის მემკვიდრეები, ისინი ხიშტებით გადადიოდნენ იერიშზე და ათასობით ეცემოდნენ ბრძოლის ველზე. საბრძოლო სული მათ არ აკლდათ, მაგრამ ეს ფაქტორი სრულიად უძლური იყო არტილერიისა და, მით უმეტეს, ტყვიამფრქვევის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს რადიკალურად შეეცვალა ომის ბუნება. თუკი იქამდე ბრძოლებს ხიშტებით იერიში ან კავალერიით შეტევა იგებდა, ახლა მოიგებდა ის, ვინც მოწინააღმდეგეს ცეცხლით აჯობებდა. მაგრამ ფრანგები ცეცხლს ამრეზით უყურებდნენ. მათ ჯარში არტილერიაც არც ისე დიდი ოდენობით ჰქონდათ, რადგან იგი სწრაფად გადაადგილებაში ხელს უშლიდათ. ფრანგული ჯარი მე-19 საუკუნეში იყო ჩარჩენილი და ეს მათ ჩაცმულობაზეც აისახებოდა. მეომრებს ტრადიციული და საამაყო წითელი შარვლები ეცვათ, რაც მათ მოწინააღმდეგეთათვის საუცხოო სამიზნედ აქცევდა. ომამდე რამდენიმე საღად მოაზროვნე ფრანგი (მათ შორის, გალიენი) წითელი შარვლების უფრო ნაკლებად მყვირალა ფერის (მაგალითად, ხაკის) სამოსით შეცვლის აუცილებლობაზე ალაპარაკდა, მაგრამ ისინი ტრადიციის ხელყოფით შეურაცხყოფილმა პატრიოტებმა დაადუმეს და ამით საბოლოოდ ძალიან ასიამოვნეს გერმანელ სამხედროებს.

20 აგვისტოსვე სერბეთში კატასტროფულად დამარცხდნენ ავსტრიელები. მაგრამ დასავლეთის ფრონტზე ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია. ფრანგები ელზასსა და ლორენში უამრავ მეომარს კარგავდნენ და უკანაც კი იხევდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მათ რამდენიმე დღის წინ სიხარულით ხვდებოდა, ისევ გერმანელების ხელში ვარდებოდა, რომელთაც კარგად უწყოდნენ, რომელი მოქალაქეები შეხვდნენ განსაკუთრებული ენთუზიაზმით ფრანგების გამოჩენას, და მათ შესაბამისად ექცეოდნენ.

ლიეჟის გავლის შემდეგ გერმანელები ბელგიაშიც სწრაფად მიიწევდნენ წინ. ალბერის ბრძანებით ჯარმა ანტვერპენისკენ დაიხია, რაც გადარჩენის უკანასკნელი შანსი იყო. ჟოფრი ალბერს სთავაზობდა, სამხრეთისკენ დაეხია, სადაც იგი ფრანგული არმიის გვერდით აღმოჩნდებოდა, მაგრამ ბელგიის მეფე ფრანგების მთავარსარდალზე უფრო საღად აფასებდა ვითარებას და ხვდებოდა, რა ხიფათს შეიცავდა სამხრეთით გაჩერება. ბელგიელთა ჯარი არ ნებდებოდა. დამხვდურებს წინააღმდეგობას მოსახლეობაც უწევდა, რის საპასუხოდაც გერმანელები უსასტიკეს ზომებს მიმართავდნენ. დიდძალი ოდენობით სამოქალაქოებს იყვანდნენ ტყვეებად და მათგან ბევრს ხვრეტდნენ კიდეც. ასევე ხვრეტდნენ უდანაშაულო სასულიერო პირებსაც, რადგან შიშობდნენ, ამ უკანასკნელებს მოქალაქეები შეიძლებოდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად განეწყოთ (ასეთი რაღაცეები საფრანგეთში ხდებოდა 1870 წელს). მთელი ევროპა შეძრწუნებული იყო გერმანელთა საქციელით, მაგრამ ამ უკანასკნელებს დასავლური ცივილიზაციის საზოგადოებრივი აზრისათვის არ სცხელოდათ. ვილჰელმი ნეიტრალური სახელმწიფოების

ლიდერებს არწმუნებდა, რომ ყველაფერი ბელგიელების მხრიდან გერმანელ სამხედროებზე მუხანათური თავდასხმების ბრალი იყო. იმპერატორი იმედოვნებდა, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებდნენ, გამარჯვების იმედი კი ნამდვილად არსებობდა, რადგან ლიეჟთან ძვირფასი დღეების დაკარგვის მიუხედავად გერმანელთათვის ყველაფერი მაინც კარგად მიდიოდა და ჯერ კიდევ ჰქონდათ საკმარისი დრო, გეგმა განეხორციელებინათ – საფრანგეთი მანამდე გაენადგურებინათ, სანამ რუსეთი სრულფასოვნად ჩაერთვებოდა საქმეში.

20 აგვისტოს მდუმარედ ჩაბარდა მტერს ბრიუსელი და რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში უყურებდა, როგორ გადიოდა მისი ქუჩების გავლით გერმანელთა უზარმაზარი არმია. ეს იყო გერმანელთა უკიდურესი მარჯვენა ფლანგის ანუ პირველი არმია, რომელიც ბელგიის დედაქალაქის შემდეგ საფრანგეთის დედაქალაქზე მიდიოდა. პირველ (და მთავარ) არმიას ბრძოლებში გამოცდილი გენერალი, ალექსანდრ ფონ კლუკი მეთაურობდა, სწორედ ის გენერალი, რომელიც ოდესღაც ალბერს პარიზის მომავალ ამღებად გააცნეს.

ავსტრიასა და საფრანგეთთან ომებგამოვლილი კლუკისათვის არც დიდი გამარჯვებები იყო უცხო და არც პარიზში შესვლა. მაგრამ ახლა 68 წლის გენერალს განსაკუთრებული მისია ჰქონდა – პარიზი მას უნდა აეღო. საქმე ისე მიდიოდა, რომ, თუკი რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდებოდა, იგი ამას შეძლებდა. კლუკს წინ არავინ ეღობებოდა, ფრანგები ჟოფრის გამოისობით სამხრეთით იყვნენ განლაგებულნი, თავიანთი სისულელეებით დანაკარგს დანაკარგზე განიცდიდნენ და საკუთარი ნებით ყოფდნენ თავს დიდ ყულფში, რომლის შეკვრაც გერმანელებს ბოლო დეტალებამდე ჰქონდათ გაწერილი.

23 აგვისტოს კლუკი სწორედ გაუთვალისწინებელს გადაეყარა. ეს იყო ინგლისელთა საექსპედიციო ძალები.

ლეგენდები და სიურპრიზები

გაუთვალისწინებელი ფაქტორები და სიურპრიზები უკვე აგვისტოში არ აკლდა არც ერთ მხარეს. გერმანელების წილი სიურპრიზი ბელგიის ჩრდილოეთში ინგლისელების გამოჩენა იყო. მაგრამ გერმანელებმა თავიანთი მხრიდან მოწინააღმდეგეებს კიდევ მეტი სიურპრიზი შესთავაზეს. ბელგია ბელგიად, მაგრამ ამას სულ მალე სრუტეების აღება დაემატა.

4 აგვისტოს ხმელთაშუა ზღვაში მყოფმა ორმა გერმანულმა კრეისერმა („გობენმა“ და „ბრესლაუმ“) კონსტანტინოპოლისკენ დაძვრის ბრძანება მიიღო. როგორც ვიცით, ამ დროისათვის გერმანიასა და თურქეთს შორის უკვე ალიანსი იყო გაფორმებული და ბერლინში იმედოვნებდნენ, რომ თურქები მათ სრუტეებს იოლად გაუხსნიდნენ და რუსეთსაც ომს

გამოუცხადებდნენ. „გობენი“ და „ბრესლაუ“ ფრანგულ ფლოტსა და ხმელთაშუა ზღვაში დარჩენილ ინგლისურ ხომალდებს სასწაულებრივად დაუსხლტნენ და დანიშნულების ადგილს მიუახლოვდნენ, მაგრამ 6 აგვისტოს მიიღეს ინფორმაცია, რომ სრუტეებში მათი შესვლის საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელი იყო. თურქები ყოყმანობდნენ და გერმანიასთან ალიანსით გათვალისწინებული პირობების შესრულებას არ ჩქარობდნენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სულთანს არ ჰქონდა შეთანხმებაზე ხელი მოწერილი. მართალია, ეს უკანასკნელი ახალგაზრდა თურქების მარიონეტი იყო, მაგრამ მისი ხელმოწერის გარეშე ალიანსის ლეგიტიმურობა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, უთანხმოება სუფევდა თავად ახალგაზრდა თურქებში. ენვერი (ახლა უკვე ომის მინისტრი) გერმანიასთან ალიანსს უპირობოდ უჭერდა მხარს, მაგრამ მისი კოლეგები ფრთხილობდნენ. სრუტეების გახსნა უკიდურესი ნაბიჯი იყო და ამის შემდეგ თურქებს უკან დასახევი გზა აღარ დარჩებოდათ – ისინი ბოლომდე გერმანიის გვერდით უნდა მდგარიყვნენ და მისი დამარცხების შემთხვევაში კატასტროფა ელოდათ.

მაგრამ გერმანელთა ადმირალმა ვილჰელმ სუშონმა მაინც გადაწყვიტა სრუტეებზე წასვლა. სხვა გზა მას მაინც აღარ ჰქონდა – ხმელთაშუა ზღვაში მტერი იდგა და უკან დახევა თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. ამასობაში გერმანელთა სამხედრო ატაშეს ზეწოლით ენვერმა გარისკა და ერთპიროვნულად მიიღო სრუტეებში გერმანული კრეისერების შეშვების გადაწყვეტილება. ისტორიაში ალბათ ძნელია მაგალითის პოვნა, როცა ასე გაამართლა ერთი სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში გერმანიის) მიერ მეორე სახელმწიფოს (თურქეთის) მოქალაქეში (ენვერში) ჩადებულმა ინვესტიციამ. 10 აგვისტოს „გობენი“ და „ბრესლაუ“ დარდანელში შევიდნენ. ამას, ცხადია, ადგილობრივი დიპლომატიური კორპუსის მხრიდან სასტიკი პროტესტი მოჰყვა, მაგრამ მალე პრობლემის გადაჭრის ორიგინალური ხერხი იპოვეს: კრეისერები ვითომცდა არა გერმანული, არამედ თურქული იყო – ისინი თურქებმა გერმანიისგან იყიდეს (გერმანელებმა კი ისინი, ინგლისელებისგან განსხვავებით, არ მოატყუეს). „გობენსა“ და „ბრესლაუს“ სახელები თურქულ ყაიდაზე გადაარქვეს, მათი ეკიპაჟები კი თურქებივით შემოსეს. მოკლედ, თურქეთი ფორმალურად არავითარ შეთანხმებას არ არღვევდა. გარდა ამისა, იგი კვლავაც არ ჩქარობდა რუსეთისათვის ომის გამოცხადებას. რუსები კი გერმანელების სრუტეებში გამოჩენამ ისე დააფრთხო, რომ თურქეთს ტერიტორიული მთლიანობის გარანტია შესთავაზეს (ქურდს ქუდი ეწვის), ნეიტრალიტეტის დაცვის შემთხვევაში კი ბულგარეთისა და საბერძნეთის ხარჯზე კომპენსაციასაც კი შეჰპირდნენ.

ჩერჩილი, რომელსაც იქამდე თურქები თვალში ეპატარავებოდა, ცოფებს ყრიდა და სრუტეების ფორსირებასა და „თურქული კრეისერების“ ჩაძირვას ითხოვდა. მაგრამ ინგლისის ახალმა ომის მინისტრმა ჰორაციო კიჩნერმა მისი ინიციატივა დაბლოკა. მას კარგად ესმოდა, რომ „გობენისა“ და „ბრესლაუს“ სენსაციური დემარშის შემდეგ თურქეთის ომში ჩაბმა მხოლოდ დროის საქმე იყო, მაგრამ ამის მიუხედავად ინგლისელებს უფრო მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანა ჰქონდათ – საფრანგეთის გადარჩენა.

კიჩნერი ომის მინისტრად 4 აგვისტოს დაინიშნა. პოლიტიკოსებს იგი დიდად არ ეხატებოდათ გულზე, მაგრამ ომში სიმპათია-ანტიპათიების დრო არ იყო. ველინგტონის შემდეგ არც ერთი ინგლისელი ოფიცერი არ ყოფილა ხალხში კიჩნერივით პოპულარული. სულ 20 წლისამ მან ფრანგების მხარეს იომა 1870 წლის ომში, შემდეგ კი კოლონიურ ომებში გამოიჩინა თავი. 1898 წელს სუდანში იგი ფრანგებს დაუპირისპირდა (რომლებიც კვლავაც ეპოტინებოდნენ ეგვიპტესა და მისი შემოგარენს), მშვიდობიანად დაახევინა უკან და იქაურობაც ინგლისს შემოუმტკიცა. 1902 წელს ინგლისელებმა კიჩნერის მეთაურობით წარმატებით დაასრულეს ბურებთან ომიც, ერთ-ერთი უმძიმესი გამოცდა მათი იმპერიის ისტორიაში.

როცა თანამდებობაზე ახლად დანიშნულ კიჩნერს მთავრობამ აცნობა, რომ მზად იყო ინგლისური შენაერთების კონტინენტზე გადასხმის გეგმა, ომის ახალი მინისტრი ნასიამოვნები არ დარჩენილა. მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებად კმაყოფილნი დარჩნენ მისი კოლეგები, როცა კიჩნერის პასუხი მოისმინეს.

ნურავის ექნება ილუზია, რომ ომი რამდენიმე თვეში დასრულდებაო, განაცხადა კიჩნერმა. მისი აზრით, ომი, სულ ცოტა, სამ წელიწადს გასტანდა და ინგლისელებიც შესაბამისად უნდა მომზადებულიყვნენ.

კიჩნერის მსგავსად ევროპაში ძალიან ცოტა თუ ფიქრობდა. ამათგან ერთ-ერთი მოლტკე იყო, თუმცა ამ უკანასკნელის სკეპტიციზმი ალბათ უფრო იმით აიხსნებოდა, რომ იგი ზოგადად სკეპტიკოსი იყო. მეტ-ნაკლებად სკეპტიკოსი ყველა სამხედრო უნდა იყოს, მაგრამ საქმეში და არა ზოგადად. მოლტკესა და კიჩნერს შორის საქმეში ერთი დიდი განსხვავება იყო: მოლტკე მოქმედებდა იმ გეგმის მიხედვით, რომელიც ომის სწრაფად დასრულებაზე (ოპტიმისტურ გათვლაზე) აკეთებდა აქცენტს. კიჩნერმა კი წამოაყენა გეგმა, რომელიც ომის სამ-ოთხწლიან პროგნოზს ემყარებოდა. თუმცა, სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიას გეოგრაფია მოქმედების საშუალებას გაცილებით უფრო უზღუდავდა, ვიდრე ინგლისს.

კიჩნერის გეგმის მიხედვით, ინგლისს სასწრაფოდ უნდა გამოეცხადებინა ჯარში გაწვევა (განსხვავებით სხვა დიდი ევროპული სახელმწიფოებისგან, მას მოხალისეების ჯარი ჰყავდა), რათა სამ-ოთხ წელიწადში უკვე მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალები ჰყოლოდა. ინგლისის ხელთ არსებული მცირერიცხოვანი, მაგრამ მეტად გამოცდილი ჯარი მომავალი დიდი ჯარის ბირთვად უნდა ქცეულიყო. მას ახალწვეულები უნდა გაეწვრთნა. სამ-ოთხ წელიწადში გერმანია, საფრანგეთი და რუსე-

თი ერთმანეთს დაასუსტებდნენ, ინგლისს კი ამ დროისათვის ძლიერი, თითქმის ხელუხლებელი ჯარი ეყოლებოდა და იოლად დაასრულებდა ომს თავისი ინტერესების შესაბამისად.

გეგმა ნამდვილად საინტერესო იყო, მაგრამ ერთი პრობლემა ჰქონდა – ინგლისს თავისი ჯარი კონტინენტზე გადასხმის ნაცვლად შინ უნდა დაეტოვებინა, ეს კი შეიძლებოდა საფრანგეთის კატასტროფით დასრულებულიყო, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავდა, რომ ომი გაჭიანურების ნაცვლად სწრაფად დასრულდებოდა, ოღონდ დასრულდებოდა ინგლისელთა მოკავშირის დამარცხებით და შესაბამისად, ინგლისელთა პოზიციის შესუსტებით. ამიტომაც კონტინენტზე ჯარის გადასხმის გეგმა კიჩნერს დიდად არ გაუპროტესტებია, თუმცა, იგი შეეცადა გაეპროტესტებინა ჯარის განლაგების გეგმა, რომლის მიხედვითაც ინგლისელებს ფრანგების მარცხენა ფლანგზე უნდა დაეკავებინათ ადგილი. საბოლოოდ მთავრობამ გადაწყვიტა, თავდაპირველი გეგმა ხელუხლებლად დაეტოვებინა (ისევე როგორც იქცეოდნენ იმ დღეებში გერმანელები და ფრანგები). 12 აგვისტოს ინგლისელთა საექსპედიციო ძალების კონტინენტზე ტრანსპორტირება დაიწყო. მათ მეთაურად სერ ჯონ ფრენჩი დაინიშნა – ინგლისელთა ყოფილი მთავარსარდალი, რომელიც მანამდე ოლსტერის მოვლენების გამო გადადგა. მაშინდელი პოზიორობის შემდეგ მისი კარიერა დასრულებული ჩანდა, მაგრამ ომი ხომ ძალიან ბევრ რამეს ცვლის.

კიჩნერმა ისღა მოახერხა, რომ ფრენჩს უბრძანა, შეძლებისდაგვარად გაფრთხილებოდა თავის ჯარს (80 ათასამდე კაცს) და მოკავშირეთა არც ერთ გენერალს არ დაქვემდებარებოდა.

დაუჯერებელია, მაგრამ ინგლისელთა საექსპედიციო ძალების კონტინენტზე გადასხმა ისე განხორციელდა, რომ კლუკმა ამის შესახებ მხოლოდ ბელგიური პრესიდან შეიტყო. ამ ცნობას იგი დიდად არ შეუშფოთებია, რადგან პრესაში უბრალოდ კიჩნერის ციტირება იყო იმის თაობაზე, რომ ინგლისმა ფრანგულ ფრონტზე ჯარი გაგზავნა. როდის გაგზავნა, რა ოდენობით ჯარი გაგზავნა, ნამდვილად გაგზავნა თუ არა, ეს კლუკმა ნამდვილად არ უწყოდა, ამიტომაც, როცა 23 აგვისტოს ინგლისელებს ზედ ბელგიის ტერიტორიაზე, ქალაქ მონსთან (ვატერლოოსთან ახლოს) გადააწყდა, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. კიდევ უფრო მეტად გაოცდა გერმანელი გენერალი, როცა შეტევაზე გადასული მისი მეომრები ინგლისელთა ცეცხლმა მოცელა და მათ დიდი დანაკარგებით დაახევინა უკან.

ომის კიდევ ერთი სიურპრიზი ის იყო, რომ დიდ სახელმწიფოებს შორის ყველაზე მცირერიცხოვანი ჯარი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მეტად გამოცდილი და გაწაფული აღმოჩნდა. ეს ჯარი, რომლის „დაპატიმრებასაც“ ბისმარკი პოლიციის ძალებით აპირებდა, კოლონიურ ომებში ისე გამობრძმედილიყო, რომ მასზე ორჯერ დიდ

კლუკის არმიას აკავებდა (ინგლისელთა მთელი საექსპედიციო შენაერთი მხოლოდ კლუკის არმიაზეც კი გაცილებით პატარა იყო და ეს იმის გათვალისწინებით, რომ ამ არმიის ნაწილი ბელგიაში დარჩა). ინგლისელებს სანაქებო მსროლელები ჰყავდათ და, განსხვავებით ფრანგებისგან, ხიშტებით კი არ გადადიოდნენ შეტევაზე, არამედ კარგად გამაგრებულები ესროდნენ მტერს. მათ ევროპაში არ ეომათ, მაგრამ სამაგიეროდ იმები გადაეხადათ მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე (მათ შორის, აფრიკაში, ბურებთან), სადაც ნაპოლეონის ეპოქის წესებით ბრძოლის ველზე შეტაკების ნაცვლად ჩასაფრებებთან და პარტიზანულ რაზმებთან უწევდათ გამკლავება. ეს კი გაცილებით უკეთესი გამოცდილება იყო უკვე მიმდინარე დიდი ომისათვის.

ინგლისელების გამოისობით კლუკმა კიდევ ერთი დღე დაკარგა. მაგრამ საბოლოოდ მონსი ვატერლოოდ მაინც არ იქცა. უკვე 24 აგვისტოს ინგლისელებმა შეიტყვეს, რომ მათი მომიჯნავე ფრანგების მეხუთე არმია უკან იხევდა. ჟოფრის გამოისობით მანაც დიდი მსხვერპლი ნახა. გარდა ამისა, თავად ჟოფრიც ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ შეტევის კულტს კატასტროფული დანაკარგების მეტი არაფერი მოჰქონდა და მთელ ფრონტზე უკან დახევა და გამაგრება ბრძანა. რახან ფრანგები უკან იხევდნენ, გაჩნდა საფრთხე, რომ ინგლისელებს მტერი სამხრეთიდან შემოუვლიდა, ამიტომაც სხვა გამოსავალი არ იყო – თავადაც უკან უნდა დაეხიათ.

სწორედ აქ იშვა მონსის ანგელოზის ლეგენდა, რომელიც ბრძოლის ველზე გამოცხადდა, გერმანელები შეაჩერა და ინგლისელებს უკან დაახევინა. რთული სათქმელია, რატომ გამოცხადდა ანგელოზი სწორედ მონსთან, სადაც ინგლისელებს უკან დახევა მაინდამაინც არ გასჭირვებიათ. მონსამდე და, მით უმეტეს, მონსის შემდეგ არაერთი ისეთი მომენტი დადგა, როცა ინგლისელები თუ ფრანგები ისე სასწაულებრივად გადარჩნენ, რომ შეიძლებოდა ეს ზებუნებრივი ძალების ჩარევით აეხსნათ. მაგრამ რა გაეწყობა – ლეგენდა გარკვეულ მომენტში და გარკვეულ ადგილას იბადება და სამუდამოდ ცოცხლობს. ტროელები ათი წელი იგერიებდნენ ბერძნებს და შემდეგ დიდი ხის ცხენის გამო წააგეს ომი. აქილევსი, რომელიც მარტო ასეულებს ანადგურებდა, ქუსლში მორტყმული ისრისგან გარდაიცვალა. ასეთი ამბების ფონზე მონსის ანგელოზსაც აქვს არსებობისა და უკვდავების უფლება.

რუსული კატასტროფა. აქტი 1

ამასობაში გერმანიას ანგელოზებზე უფრო სერიოზული პრობლემა გამოუჩნდა. რუსული მობილიზაცია კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წავიდა, ვიდრე ამას მოლტკეს საკმაოდ პესიმისტური გათვლები ითვალისწინებდა. იმ უბრალო გარემოების დამსახურებით, რომ მათი ძალების

დიდი ნაწილი პოლონეთში იყო თავმოყრილი, რუსებმა ძალიან მალე მოახერხეს რამდენიმე არმიის მობილიზება და 17 აგვისტოს აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრნენ, 18-ში კი – გალიციაში. ეს ნამდვილად არ იყო კარგი სიახლე ავსტრიელებისათვის, რომლებიც სერბების მცირერიცხოვან, მაგრამ ფანატიკურ ჯარს ვერაფერს უხერხებდნენ და ახლა იძულებულნი ხდებოდნენ, მეორე ფრონტზეც ეომათ. მაგრამ მათი პრობლემა გერმანიის გაჭირვებასთან ახლოს ვერ მივიდოდა – რუსები საზღვრიდან არც ისე შორს მდებარე ბერლინისკენ მიიწევდნენ. აღმოსავლეთ პრუსიაში განლაგებული გერმანელთა მერვე არმია მტრის ჭარბი ძალების წინაშე უკან იხევდა, ვილჰელმი კი ნერვიულობისგან ადგილს ვეღარ პოულობდა.

რუსების გამოსვლა ერთი შეხედვით მართლაც თავზარდამცემი იყო უბრალოდ იმ მიზეზის გამო, რომ ეს რუსეთი გახლდათ. სრული მობილიზაციის პირობებში ამ ქვეყანას 6 მილიონ კაცზე მეტის გამოყვანა შეეძლო. ერთი საუკუნის წინ რუსი ჯარისკაცები პარიზამდე მივიდნენ და რა შეუშლიდათ ხელს ბერლინის აღებაში, რომელიც მათგან გაცილებით უფრო ახლოს მდებარეობდა?!

ფრანგები აგვისტოს პირველი დღეებიდანვე ევედრებოდნენ ნიკოლოზს, რაც შეიძლებოდა მალე დაეძრა ჯარი გერმანიისკენ. თუმცა რუსთა იმპერატორს დიდი შეგულიანება არ სჭირდებოდა. მასზე ფრანგების პრინციპულმა პოზიციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და აპირებდა, თავადაც სათანადო პატივი ეცა მოკავშირეთათვის. რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად იმპერატორის უფროსი ნათესავი (ნიკოლოზ პირველის შვილიშვილი), დიდი ჰერცოგი ნიკოლოზი დაინიშნა – ერთადერთი მამაკაცი სამეფო ოჯახში, როგორც ეძახდნენ მას ზურგს უკან. დიდი ჰერცოგი სძულდა დედოფალ ალექსანდრას და შესაბამისად, იგი ეზიზღებოდა ომის მინისტრ ვლადიმირ სუხომლინოვსაც, რომელიც რასპუტინის ფავორიტი იყო. რასპუტინი კი, როგორც ცნობილია, ალექსანდრაზე დიდი გავლენით სარგებლობდა, რადგან მის ჰემოფილიით დაბადებულ შვილს მკურნალობდა.

დიდი ჰერცოგი სამხედრო გენია ნამდვილად არ იყო, მაგრამ მაშინდელი რუსეთის ფონზე ნორმალურ არჩევანს წარმოადგენდა. 1905 წელს, როცა ნიკი რეფორმების თაობაზე ყოყმანობდა და სამხედრო დიქტატურის დამყარებაზე ფიქრობდა, დიდმა ჰერცოგმა გადამწყვეტი სიტყვა თქვა და სუსტი იმპერატორი აიძულა, ახალ სისულელეზე უარი ეთქვა. ამის შემდეგ დიდი ჰერცოგი კიდევ უფრო შეიზიზღა ალექსანდრამ, რომელიც მასში ისედაც მუდამ ნიკის მეტოქეს ხედავდა და რომელიც მონარქიის შეზღუდვას ვერ ეგუებოდა (სურდა, მის ვაჟს მამისგან აბსოლუტური ძალაუფლება გადაებარებინა). როცა აგვისტოში დიდი ჰერცოგი ფრონტზე გაემგზავრა, იმპერატორი ცოლის გავლენით მის გასაცილებლადაც არ მივიდა.

რაც შეეხება სუხომლინოვს, ეს იყო ტიპური რუსი მინისტრი – კორუმპირებული და არაკომპეტენტური. იგი არ ცნობდა არანაირ ინოვაციას და უარს ამბობდა იარაღის მრეწველობის განვითარებაზე უბრალოდ იმ მიზეზით, რომ, მისი აზრით, ომის პრინციპები საუკუნეების განმავლობაში არ იცვლებოდა და, შესაბამისად, თოფი თუ არტილერია მეორეხარისხოვანი ატრიბუტი იყო. მის სამინისტროში გამეფებული საშინელი კორუფციის გამო ჯარს იარაღის გარდა ჩასაცმელიც აკლდა და როცა აღმოსავლეთ პრუსიაში რუსების ორი უზარმაზარი არმია შეიჭრა, ჯარისკაცების ნაწილი ნახევრად ჩაუცმელი იყო და ტყვია-წამალიც აკლდა. ჯარის საკვებით მომარაგებასა და ჯანდაცვაზე საუბარი საერთოდ აღარ ღირდა. მიუხედავად ყველაფერ ამისა, რუსი ოფიცრები იქადნებოდნენ, რომ ვილჰელმს წმინდა ელენას კუნძულზე გაუშვებდნენ.

ნიკოლოზი ფრანგებს შეჰპირდა, რომ ძირითად დარტყმას სწორედ ბერლინზე მიმართავდა და არა გალიციაზე (ავსტრია-უნგრეთის პოლონურ მხარეზე), რათა გერმანელთათვის გეგმები აერია და ამგვარად მოკავშირისათვის უმძიმესი ამოცანა შეემსუბუქებინა. მობილიზაცია იმანაც დააჩქარა, რომ ჯერ კიდევ ივლისში ნიკოლოზმა არყის მოხმარება შეზღუდა. აგვისტოში კი უფრო შორსაც წავიდა და „ომთან დაკავშირებით“ ალკოჰოლი საერთოდ აკრძალა (მისი მიღება მხოლოდ რესტორნებში შეიძლებოდა). ეს ნამდვილად საჭირო ნაბიჯი იყო, რადგან იაპონიასთან ომის დროს არყის გამოისობით მობილიზაცია დაგეგმილზე გაცილებით დიდხანს გაიწელა. ტერმინი „ომთან დაკავშირებით“ იმას ნიშნავდა, რომ ომის შემდეგ აკრძალვა წესით უნდა გაუქმებულიყო. თუმცა, ნიკოლოზმა კარგად ცნობილი მიზეზების გამო ეს ვერ მოახერხა. რა შედეგი მოიტანა არყის აკრძალვამ (რუსეთის შემთხვევაში ალკოჰოლი სხვას თითქმის არაფერს ნიშნავდა), რთული სათქმელია. ლოთობასთან ბრძოლამ შრომის ნაყოფიერება კი გაზარდა, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფო, როგორც არყის მონოპოლისტი, დიდ შემოსავალს კარგავდა (და ისიც – ომის დროს). აქვე შეუძლებელია ისიც არ მოგვაგონდეს, რომ აკრძალვიდან ოთხ წელიწადში რუსეთის იმპერია დაიშალა და ზუსტად იგივე განმეორდა XX ს-ის 80-იან წლებში, როცა ალკოჰოლს ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირის ლიდერმა მიხეილ გორბაჩოვმა. იგი საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ლიდერად იქცა, ისევე, როგორც ნიკოლოზი იქცა რუსეთის უკანასკნელ იმპერატორად.

ცუდად ჩაცმულ-აღჭურვილი, მაგრამ ფხიზელი რუსების ორი უზარმაზარი არმია აღმოსავლეთ პრუსიაში წინ მიიწევდა და მათი გაჩერება შეუძლებელი ჩანდა. მაგრამ, როგორც მალე გაირკვა, სინამდვილეში ისე არ წვიმდა, როგორც ქუხდა. არმიებს გადაადგილებაში ბევრი რამ უშლიდა ხელს. აღმოსავლეთ პრუსიის რთულ ლანდშაფტსა და სუხომლინოვისეულ ფაქტორებს ემატებოდა ის გარემოება, რომ რუსეთის რკინიგზა ევროპულისგან განსხვავებული ზომისა იყო. თავის

დროზე რუსებმა ეს განგებ გააკეთეს გერმანიიდან შემოტევის შიშით. მაგრამ ისე მოხდა, რომ პირველებმა თვითონ შეუტიეს და თავიანთი სიფრთხილის ზომების გამო თავად აღმოჩნდნენ რთულ მდგომარეობაში.

რუსების მოწინავე არმიას პაველ ფონ რენენკამპფი მეთაურობდა, მეორე არმიას – ალექსანდრ სამსონოვი. ვარსკვლავებს არც ერთი წყვეტდა. იგივე ითქმოდა აღმოსავლეთ პრუსიაში განლაგებული გერმანელების ერთადერთი არმიის მეთაურზე, მაქსიმილიან ფონ პრიტვიცზე. 20 აგვისტოს მან სცადა, რენენკამპფთან ბრძოლა გაემართა, სანამ ამ უკანასკნელს სამსონოვი შეუერთდებოდა, მაგრამ შეტაკება გერმანელთა მარცხით დასრულდა. დაპანიკებული პრიტვიცი მოლტკეს დაუკავშირდა და განუცხადა, რომ უკან დახევის გარდა სხვა გზა არ რჩებოდა. გენერალური შტაბის უფროსის განცდების აღწერა ალბათ არ ღირს. აღმოსავლეთ პრუსიისა და ბერლინის რუსეთისათვის ჩაბარების შემდეგ პარიზის აღებაც ხომ თითქმის აზრს კარგავდა.

და აქ მოლტკემ ორი გადაწყვეტილება მიიღო – აქედან პირველმა გერმანიის აღმოსავლეთ ფრონტი იხსნა, მეორემ კი შესაძლოა მას დასავლეთის ფრონტზე გამარჯვების შანსი დააკარგვინა.

მან პრიტვიცი გადააყენა და მერვე არმიაში მიავლინა გერმანიის ალბათ ორი საუკეთესი გენერალი – მეორე არმიის შტაბის უფროსის მოადგილე, ლიეჟის ამღები, შლიფენის ერთგული მოწაფე, უკიდურესად შრომისმოყვარე და საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული ერიხ ლუდენდორფი (რომელიც არმიის შტაბის უფროსად დაინიშნა) და პაულ ფონ ჰინდენბურგი (იგი მეთაურად დაინიშნა). ეს უკანასკნელი პენსიაზე იყო გასული და ალბათ ვეღარც წარმოედგინა, რომ სამშობლოს კიდევ დასჭირდებოდა. ცხადია, სრულებით ვერ წარმოედგინა, რომ სამშობლოსმისი თავი იმდენად დასჭირდებოდა, რომ მოგვიანებით გერმანიის პრეზიდენტიც კი გახდებოდა. ლუდენდორფსა და ჰინდენბურგს აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ მათი მომავალი ჰიტლერის სახელს დაუკავშირდებოდა. პირველი ჰიტლერის წარუმატებელ პუტჩში მიიღებდა მონაწილეობას, მეორე კი, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ჰიტლერს კანცლერად დანიშნავდა.

პარალელურად მოლტკემ გადაწყვიტა, დასავლეთის ფრონტიდან ძალების ნაწილი აღმოსავლეთით გადაესროლა. ეს უკვე შლიფენის გეგმიდან სერიოზული გადახვევა იყო. იქამდე მოლტკემ კიდევ ერთი გადახვევა დაუშვა– როცა რუპრეხტმა ელზასსა და ლორენში ფრანგები შეავიწროვა, მან დამატებითი ძალები მოითხოვა. მოლტკემ კრონ-პრინცის თხოვნა დააკმაყოფილა. ამ უკანასკნელმა ფრანგებს მართლაც შავი დღე აყარა და დიდი დანაკარგით დაახევინა უკან, მაგრამ სტრატეგიულად ამ წარმატებას არც ისე დიდი ფასი ჰქონდა. ჯერ ერთი, ფრანგები ამგვარად მათთვის დაგებული ხაფანგიდან გავიდნენ (თუნდაც დიდი მსხვერპლის ფასად); მეორეც, რუპრეხტის გასამაგრებლად მოლტკემ

კელავაც დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფლანგიდან მოხსნა ძალები, რომელთაც შლიფენის გეგმაში გადამწყვეტი როლი ეკისრებოდათ. ახლა ამას ისიც დაემატა, რომ ამ ფლანგიდან ძალების ნაწილი აღმოსავლეთ ფრონტზე იგზავნებოდა.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ 20 აგვისტოსვე პრიტვიცმა უკან დახევა გადაიფიქრა. მასთან შტაბში იმყოფებოდა კიდევ ერთი უნიჭიერესი გერმანელი ოფიცერი, პოლკოვნიკი მაქს ჰოფმანი. მან პრიტვიცი დაარწმუნა, რომ უკან დახევა შეუძლებელი იყო, რადგან მათ არმიას სამსონოვი უკვე სახიფათოდ უახლოვდებოდა და იგი გზას გადაუჭრიდა. უფრო მეტიც, ჰოფმანმა წამოაყენა გაბედული გეგმა, რომლის მიხედვითაც გერმანელები რუსთა არმიებს შორის ღიობში უნდა გამძვრალიყვნენ და ჯერ ერთი მოესპოთ, შემდეგ კი მეორე. პრიტვიცი დათანხმდა, მაგრამ რატომღაც მოლტკეს არ აცნობა, რომ უკან აღარ იხევდნენ. უფრო მეტიც, მან თავის შტაბში არავის გააგებინა, რომ მოლტკეს უკან დახევის შესახებ ესაუბრა.

ამასობაში რენენკამპფი ადგილზე იდგა. წესით იგი უკუქცეულ გერმანელებს უნდა დასდევნებოდა, მაგრამ სუხომლინოსეული ფაქტორები ამის საშუალებას არ იძლეოდა.

ლუდენდორფი და ჰინდენბურგი მალე მერვე არმიას შეუერთდნენ. ლუდენდორფს ჯერ კიდევ გზაში იგივე იდეა დაებადა, რაც ჰოფმანს და ამის წყალობით რუსების ნაწილ-ნაწილ განადგურების გეგმა მისი ჩასვლისთანავე გაიწერა. მოკლედ, აღმოსავლეთის ფრონტზე თავი მოიყარა სამმა გამოჩენილმა გერმანელმა ოფიცერმა, რომლებიც პარალელურად თანამოაზრეებიც იყვნენ. მათ წინააღმდეგ ომობდა რუსეთის ორი საშუალო მეთაური. ამას ისიც დაემატა, რომ რუსები კომუნიკაციისათვის რადიოს იყენებდნენ, მათი კოდი კი მეტად პრიმიტიული იყო და გერმანელები ყველაფერს უპრობლემოდ კითხულობდნენ. ყველაფერი ეს იმან დააგვირგვინა, რომ გერმანელებმა დაღუპული რუსი ოფიცრის ჯიბეში რუსული არმიებისათვის გაწერილი გეგმა იპოვეს, რომლის შინაარსიც მათ მიერ ხელში ჩაგდებულ რუსების მიწერ-მოწერას ემთხვეოდა. ამდენი ბედის საჩუქრის არგამოყენება ნამდვილად დანაშაული იქნებოდა და გერმანელთა მერვე არმია სამსონოვისკენ დაიძრა.

და კიდევ ერთი: ჰოფმანი ირწმუნებოდა, რომ რენენკამპფი სამსონოვის საშველად არ წამოვიდოდა, რადგან ეს ორი გენერალი ერთმანეთს ვერ იტანდა. ჰოფმანი თავის დროზე რუსეთ-იაპონიის ომს აკვირდებოდა, რომლის მსვლელობისასაც, მისი თქმით, რენენკამპფი და სამსონოვი ერთმანეთს წაეჩხუბნენ. რთული სათქმელია, ამან მართლაც მოახდინა თუ არა რაიმე გავლენა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ როცა 26 აგვისტოს გერმანელთა არმიამ სამსონოვს შეუტია, რენენკამპფი ადგილიდან მართლაც არ დაძრულა. 30 აგვისტოს სამსონოვის არმია აღარ არსებობდა და აღარ არსებობდა თავად სამსონოვიც, რომელ-

მაც იქვე მოიკლა თავი. რუსებმა 250 ათასი კაცი დაკარგეს, აქედან 90 ათასზე მეტი ტყვედ ჩავარდა. გერმანელებმა ამ სასწაულებრივ გამარჯვებას ტანენბერგის ბრძოლა უწოდეს. მართალია, ტანენბერგი ბრძოლის ველიდან საკმაოდ შორს იყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ტანენბერგი იქამდე გერმანელთა კატასტროფის სიმბოლოს წარმოადგენდა – რამდენიმე საუკუნით ადრე აქ ტევტონელი რაინდები (პრუსიელები) პოლონელებთან და ლიტველებთან დამარცხდნენ – და ახლა გაჩნდა შანსი, რომ იგი ტრიუმფის სიმბოლოდ ექციათ. იმ წაგებულ ბრძოლაში ჰინდენბურგის წინაპრებს მიეღოთ მონაწილეობა და ამაზე კარგ შურისძიებას ვერც ერთი ოფიცერი ვერ ინატრებდა. მოყოლებული იქიდან იშვა ჰინდენბურგის მითი. არადა, როცა არმიის მეთაურად დაინიშნა, იგი თითქმის არავის ახსოვდა, ტანენბერგის წარმატება კი ძირითადად ჰოფმანისა და ლუდენდორფის დამსახურება იყო.

გერმანელებისათვის ყველაფერი იდეალურად არ მიდიოდა. ზუსტად იმავე დღეებში რუსებმა გალიციაში ავსტრიელთა ჯარს სძლიეს. 28 აგვისტოს კი შედგა პირველი მსოფლიო ომის პირველი საზღვაო ბრძოლა, რომელიც გერმანელებმა წააგეს. ინგლისელები გერმანელთა საზღვაო ბაზასთან ახლოს, ჰელიგოლანდთან მათ ფლოტილიას დაესხნენ თავს. დამხვდურები დაუფიქრებლად ჩაებნენ ბრძოლაში, რის შედეგადაც რამდენიმე მათი ხომალდი განადგურდა და ინგლისელებს ტყვედ ჩაუვარდათ ტირპიცის ვაჟი. მოყოლებული იქიდან, ვილჰელმმა გადაწყვიტა, თავის ფლოტს გაფრთხილებოდა და ბრძანა, მისი ნებართვის გარეშე სანაპიროებს არავინ გასცილებოდა. მეჰენის წიგნით შთაგონებული, ტირპიცის მეცადინეობითა და ვილჰელმის ამბიციებით შექმნილი ფლოტი, რომელმაც გერმანია ინგლისს გადაამტერა, ტყუილად უნდა მდგარიყო. მასზე დახარჯული ფული და რესურსები პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით წყალში გადაიყარა.

მაგრამ გერმანელებს ეს გუნებას მაინც ვერ უფუჭებდა, რადგან ხმელეთზე ყველაფერი კარგად მიდიოდა. აღმოსავლეთის ფრონტზე მრისხანე მტერმა საშინელი დარტყმა მიიღო და აქედან საფრთხე დროებით მაინც მოხსნილი იყო. არავინ დარდობდა იმაზე, რომ მოლტკეს მიერ დასავლეთიდან გადმოსროლილმა ძალებმა (ორმა კორპუსმა) ტანენბერგის ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო და ამგვარად დასავლეთის ფრონტი ტყუილუბრალოდ დასუსტდა. სამაგიეროდ, გერმანელებმა მალე რენენკამპფის არმიაც უკუაქციეს (თავად რენენკამპფი ავტომობილით გაიქცა რუსეთში). პარალელურად დასავლეთის ფრონტზეც კარგად მიდიოდა საქმე. ბელგია უკან დარჩა. ლიეჟის შემდეგ კიდევ ერთი აუღებელი ქალაქი, ნამური, იოლად დაეცა საქმეში ახალი საალყო არტილერიის ჩართვის შემდეგ. ბელგიის ჯარი ანტვერპენში იყო გამოკეტილი და ალყაშემორტყმული. ცეცხლს მისცეს ქალაქი ლუვენი თავისი უნიკალური ბიბლიოთეკით. ბელგიის მოსახლეობა წინააღმდეგობის გამო სასტიკად

ისჯებოდა და მათი ისტორია ყველასათვის მაგალითად უნდა ქცეულიყო.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ფრანგებიცა და ინგლისელებიც უკან იხევდნენ. ამ უკანასკნელებს მონსის შემდეგ გერმანელები კიდევ ერთხელ შეეტაკნენ და ამჯერად უფრო იოლად დაახევინეს უკან. ისე იოლად და სწრაფად, რომ გერმანელთა თვალთახედვიდან მალე საერთოდ გაქრნენ. პარიზისკენ გზა ხსნილი ჩანდა.

ფრანგების ხსნა

ფრანგებმა ბოლოს და ბოლოს აღმოაჩინეს, რომ გერმანელები გაცილებით დიდი ძალებით მოდიოდნენ შეტევაზე, ვიდრე მათ ეგონათ. თითქმის ორჯერ მეტი ძალებით – ასეთი შედეგი ჰქონდა რეზერვების ჩართვას.

ფრანგებმა ისიც აღმოაჩინეს, რომ ინგლისელები თავის ჭკუაზე მოქმედებდნენ და ჟოფრის არამცთუ ბრძანებას, თხოვნასაც არ ითვალისწინებდნენ. გერმანელებთან უმძიმესი შეტაკებების შემდეგ ფრენჩს დამატებითი მსხვერპლისა ეშინოდა და მტერს ერიდებოდა.

აგვისტოს ბოლოსთვის პარიზი პანიკამ მოიცვა. ქალაქი ალყისთვის ემზადებოდა. თუკი ფრონტზე სასწაული არ მოხდებოდა ან საქმეში ისევ ანგელოზები არ ჩაერეოდნენ, გერმანელები 5 სექტემბერს უკვე პარიზთან იდგებოდნენ. საუბარია დგომაზე, თორემ სხვა მხრივ გერმანელები ფრანგების დედაქალაქთან უკვე მისულები იყვნენ – ჰაერიდან ბომბავდნენ (თუმცა, დაბომბვები დიდ ზიანს ვერ იწვევდა და მხოლოდ დამატებით პანიკას თესავდა). ჟოფრმა, რომელიც ასეთ მძიმე კრიზისში გასაოცარ სიმშვიდეს ავლენდა, მთავრობას დედაქალაქის დატოვება ურჩია და ისიც მიანიშნა, რომ მისთვის ფრანგული ჯარის გადარჩენა იყო პრიორიტეტი და არა პარიზის დაცვა. ამან პანიკის ახალი ტალღა გამოიწვია მთავრობაში, რომელიც იმ დღეებში საგანგებოდ გადაახალისეს. გამოითქვა აზრიც, რომ ჯობდა პარიზი მტერს პირდაპირ დანებებულიყო, რათა ლიეჟის ბედი არ გაეზიარებინა.

საბოლოოდ გადაწყდა, დედაქალაქი მაინც დაეცვათ, მით უმეტეს, რომ მას კარგი კომენდანტი დაუნიშნეს გალიენის სახით. ამის მიუხედავად ყველასთვის ცხადი იყო, რომ თუკი ფრონტზე გარღვევა არ მოხდებოდა (ან ახალი ანგელოზი არ გამოჩნდებოდა), პარიზი დიდხანს ვერ გაძლებდა. სასწაულის მოლოდინმა მალე ფანტასმაგორიული ფორმები მიიღო. გავრცელდა ხმები, რომ საშველად დაიძრა რუსული არმია, რომელმაც არხანგელსკიდან გამოცურა, გერმანიას ზემოდან მოუარა (ინგლისელებმა სწორედ ამიტომ გამართეს ჰელიგოლანდის ბრძოლა, რათა რუსებისთვის ზღვით გასხლტომის საშუალება მიეცათ) და შოტლანდიის სანაპიროსკენ დაიძრა. იქიდან ეს არმია საფრანგეთის სანაპიროზე უნდა გადმომსხ-

დარიყო და პარიზის დასაცავად ფრანგებთან გაერთიანებულიყო.

მაგრამ მალე პარიზამდე ტანენბერგის ამბავი ჩავიდა, რამაც ანგელოზების რწმენა სერიოზულად შეარყია. პანიკა იწყებოდა ინგლისშიც. კიჩნერმა შოკისმომგვრელი წერილი მიიღო. მას ფრენჩი ატყობინებდა, რომ აღარ აპირებდა გერმანელებთან კიდევ შეტაკებასა და საექსპედიციო ძალების ხიფათში ჩაგდებას (რაც თავის დროზე სწორედ კიჩნერისგან მიღებულ ინსტრუქციებში ჯდებოდა). ამიტომაც, ჟოფრის შეგონებების მიუხედავად, იგი თავის შენაერთთან ერთად უკან იხევდა და პარიზიდან სამხრეთ-დასავლეთით დაბანაკებას აპირებდა. მოკლედ, მას საფრანგეთი უკვე განწირულად მიაჩნდა.

კიჩნერი ფრენჩზე კარგი აზრის არასოდეს ყოფილა, მაგრამ ის კი ველარ წარმოედგინა, რომ მისი სარდალი ასე იოლად დაიხევდა უკან და პარიზს გერმანელებს დაუტოვებდა. ინგლისელთა ომის მინისტრმა მთავრობასთან შეთანხმების შემდეგ ფრენჩს მოსთხოვა, ჟოფრის გეგმის მიხედვით ემოქმედა და ასევე გადამოწმების მიზნით მაინც ჰკითხა (ბოლომდე მაინც ვერ დაეჯერებინა, რომ ფრენჩი აცნობიერებდა, რას მოიტანდა მისი უკან დახევა), ხომ არ ქმნიდა ინგლისელთა საექსპედიციო ძალების პარიზისგან სამხრეთ-დასავლეთით განლაგება იმის საფრთხეს, რომ მათსა და ფრანგულ ძალებს შორის ღიობი გაჩნდებოდა და ფრანგების ფლანგი დაუცველი დარჩებოდა. როცა ფრენჩმა ამაზე არხეინად მიუგო კიო, კიჩნერმა ყველაფერი მიატოვა და სასწრაფოდ პარიზისკენ დაიძრა. 1 სექტემბერს იგი უკვე ადგილზე იყო. მალევე გაიმართა მისი და ფრენჩის შეხვედრა ჟოფრთან.

ფრანგთა მთავარსარდალი ყველაფრის მიუხედავად ოპტიმისტურად იყო განწყობილი. იგი რკინის ხელით მართავდა არმიებს და ამის წყალობით ქაოტური უკან დახევა თავიდან აიცილა. გარდა ამისა, იგი აცხადებდა, რომ ახალი არმიები შეაკონწიწა, რაც გერმანელებისათვის სიურპრიზი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც ახლა ერთობლივი ქმედება იყო საჭირო. ფრენჩი ჯიუტობდა, მაგრამ საბოლოოდ კიჩნერის ნებას დაჰყვა. ამის შემდეგ ჟოფრმა მეხუთე არმიის სარდალი გადააყენა (ძირითადი მიზეზი ალბათ ის იყო, რომ ამ მეთაურს ინგლისელებთან დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა). იმ დღეებში მან კიდევ არაერთი მეთაური გაათავისუფლა. მათ ადგილას ახლად დაწინაურებულებში იყო ფოშიც, რომელსაც ერთ-ერთი ახალი არმია ჩაბარდა. ერთ-ერთი ახლად შეკონწიწებული, მეექვსე არმია კი ჟოფრმა გალიენის დაუქვემდებარა. ფრანგთა მთავარსარდალი ბოლოს და ბოლოს გონივრულ გადაწყვეტილებებს იღებდა. მან პარიზთან ძალების მობილიზაცია მოახდინა და მტერზე დარტყმისათვის ხელსაყრელ მომენტს ელოდა.

ამასობაში გერმანელთა გეგმები შეიცვალა. მოლტკეს დაზვერვისგან ინფორმაცია მისდიოდა, რომ პარიზთან ფრანგებმა ახალ ძალებს მოუყარეს თავი. იგი შეშინდა, რომ პირველი არმია მეტისმეტად გაიჭრა

წინ და მას ხიფათი ელოდა, ამიტომ 28 აგვისტოს კლუკს უბრძანა შეჩერებულიყო, რათა მეორე არმიას შეერთებოდა და ამის შემდეგ გაეგრძელებინა გზა (პარიზთან შემჩნეულ ახალ ჯარებზე მან კლუკს რატომღაც არაფერი უთხრა). გენერალური შტაბის უფროსი ხედავდა, რომ მის არმიებს შორის ღიობები ჩნდებოდა და ახლა უკვე (დაგვიანებით) იაზრებდა, რამდენად მართალი იყო მისი წინამორბედი, როცა ბოლომდე დაჟინებით ითხოვდა მარჯვენა ფლანგზე მაქსიმალური ძალების თავმოყრას. მოლტკეს მიერ ფლანგის დასუსტებამ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში იჩინა თავი. ამის გამო მას პარიზზე მიმავალი არმიის შეჩერება უხდებოდა. არც სხვა მიმართულებებით მიდიოდა საქმე მთლად კარგად. ელზას-ლორენის ფრონტზე ფრანგები მედგრად იდგნენ (ამაში ფოშის დიდი დამსახურება იყო). გენერალურ შტაბში არ წყდებოდა ცნობები ფრანგების უკან დახევაზე და დიდ დანაკარგებზე (რაც სიმართლისგან შორს არ იყო), მაგრამ ეს ცნობები მხოლოდ ვილის და მისნაირებს აჯერებდათ გამარჯვებაში. მოლტკე კი ხვდებოდა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ იყო. ჯერჯერობით არამცთუ მოწინააღმდეგე არ იყო ალყაში მოქცეული, არამედ ფრონტის გარღვევაც ვერ ხერხდებოდა. ტყვეებად ფრანგები მეტად მცირე რაოდენობით უვარდებოდნენ მტერს ხელში, რაც ნიშნავდა. რომ ისინი ორგანიზებულად იხევდნენ უკან და საბრძოლო სულისკვეთებასაც ინარჩუნებდნენ.

კლუკს გენერალური შტაბიდან მიღებული ბრძანება დიდად არ მოეწონა. იგი ფრანგების მეხუთე არმიას მისდევდა და იმედი ჰქონდა, სულ მალე მათ დაეწეოდა და საბოლოოდ მოსპობდა. მით უმეტეს, პარიზზე მიმავალი გენერალი ინგლისელებისგან წინააღმდეგობას აღარ ელოდა. იმისათვის, რათა მეორე არმიასთან კონტაქტში მოსვლის ბრძანება არ დაერღვია და ამავე დროს მეხუთე არმია ხელიდან არ გაეშვა, კლუკმა გადაწყვიტა არმია სხვა მიმართულებით დაეძრა – სამხრეთ-აღმოსავლეთით. თანაც 30 აგვისტოს მან დახმარების თხოვნა მიიღო მეორე არმიის მეთაურისგან, რომელიც ფრანგების მეხუთე არმიისგან გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა. ამ ცვლილებას მოლტკეც დათანხმდა, რადგან მას ახლა მხოლოდ მის არმიებს შორის გაჩენილი ღიობები ადარდებდა. ამიტომაც ჩრდილოეთიდან მიმავალ არმიებს (მარჯვენა ფლანგი) ჯერ ერთიანი ფრონტი უნდა შეეკრათ და მხოლოდ ამის შემდეგ გადასულიყვნენ იერიშზე. იქამდე გერმანელთა მარცხენა ფლანგი შეუტევდა მოწინააღმდეგეს და ფრონტის გარღვევას შეეცდებოდა. ყულფი შეიკვრებოდა, ოღონდ ცოტა გვიან – მაშინ, როცა პირველი, მეორე და მესამე არმიებიც შეუტევდნენ.

ფრანგებისათვის ეს ყველაფერი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ პარიზის აღება გადაიდო. მათ დედაქალაქზე დაგეშილ არმიას ჯერ მოწინააღმდეგე უნდა გაენადგურებინა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნებოდა თავის მთავარ ამოცანას. ეს ცვლილება გერმანელთა სამხედრო დოქტრი-

ნაში ჯდებოდა – გამაგრებული ქალაქის ალყა არ უნდა დაწყებულიყო, სანამ ბრძოლის ველზე მტერი იყო. გარდა ამისა, დოქტრინა ბრძოლის ველზე გენერლებს მაქსიმალური ინიციატივის გამოჩენისკენ მოუწოდებდა

31 აგვისტოს კლუკი ახალი მიმართულებით დაიძრა. საშინელ სიცხეში, უკვე უზარმაზარი მანძილის გავლის შემდეგ, მის ჯარისკაცებს ქანცი უწყდებოდათ და ზეზეურად ეძინათ. გასამხნევებლად მათ ალკოჰოლის მიღების უფლებაც კი მიეცათ. მიმართულების შეცვლის შესახებ ჯარისკაცებმა არაფერი იცოდნენ, რადგან თუკი ისინი ჯერ კიდევ ფეხზე იდგნენ, ეს პარიზის დამსახურება იყო. საოცნებო ქალაქში მათ ომის დასრულება და გმირებისათვის შესაფერისი გართობა და დასვენება ელოდათ. პარიზზე ბოდვით (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) პირველი არმია დღეში 40 კილომეტრს ფარავდა. კლუკს ეჩქარებოდა. მან მძიმე არტილერიის ნაწილიც მიაგდო, რადგან ფრანგებისგან დიდ წინააღმდეგობას აღარ ელოდა. ჟოფრის მიერ თავმოყრილი ახალი არმიების შესახებ მას წარმოდგენა არ ჰქონდა. მხოლოდ ყურმოკვრით იცოდა ის გარემოება, რამაც იგი ერთხელ (23 აგვისტოს) უკვე შეაფერხა.

მოწინააღმდეგეთა ძალები თანაბრდებოდა. გერმანელები სულ უფრო და უფრო წყდებოდნენ მომარაგების ბაზებს. მათი არმიების კომუნიკაცია გენერალურ შტაბთან (რომელიც უკვე ლუქსემბურგში იყო განთავსებული) რთულდებოდა. რადიო მაშინ ჯერ კიდევ აუთვისებელი სიახლე იყო. გარდა ამისა, ეიფელის კოშკი გერმანელთა კომუნიკაციას ახშობდა. ჟოფრს მოლტკესგან განსხვავებით ყველა მეთაური იქვე ჰყავდა და საბრძოლო მოქმედებათა არენასაც უშუალოდ აკვირდებოდა. მისი არმიები იოლად მარაგდებოდნენ და შევსებასაც იღებდნენ. მოლტკე ფრონტზე არ მიდიოდა და საამისოდ კარგი მიზეზიც ჰქონდა – მის არყოფნაში გენერალურ შტაბს ვილჰელმი დაეპატრონებოდა და რაიმე სიგიჟეს ჩაიდენდა.

კლუკის მოულოდნელი მანევრი ფრანგებმა 2 სექტემბერს (სედანის წლისთავზე) შენიშნეს. ჟოფრმა დასკვნების გაკეთება არ იჩქარა და ამიტომ იმავე ღამეს მთავრობამ პარიზი დატოვა. 3 სექტემბერს ფრანგულმა თვითმფრინავებმა საბოლოოდ დააფიქსირეს კლუკის არმიის მიმართულების შეცვლა – უკვე ეჭვი აღარ რჩებოდა, რომ იგი პარიზზე წასვლის ნაცვლად აღმოსავლეთისკენ უხვევდა და თავის მარჯვენა ფლანგს დაუცველს ტოვებდა. გალიენი მიხვდა, რომ ეს იყო უნიკალური შანსი, რომელიც სასწრაფოდ უნდა გამოეყენებინათ – გერმანელთა პირველი არმიის მარჯვენა ფლანგზე დარტყმა იყო საჭირო და ეს შეიძლებოდა ფრანგების მეექვსე არმიას გაეკეთებინა. კლუკმა ამ არმიის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ სამაგიეროდ იცოდა მოლტკემ. იგი შიშობდა, რომ მეორე არმიასთან შეერთების მიუხედავად პირველი არმია მაინც ხიფათში იგდებდა თავს და ერთი პერიოდი გადაწყვიტა, ფრონტის მარჯვენა ფლანგი მარცხენას ხარჯზე გაემაგრებინა, მაგრამ

აქ წინააღმდეგობას წააწყდა ვილჰელმის მხრიდან, რომელიც სწორედ ამ დროს რუპრეხტთან იმყოფებოდა და თავის არმიასთან ერთად ლორენის ფრონტიდან ფრანგულ მიწაზე ტრიუმფალურ შესვლას გეგმავდა (რაც არ გამოვიდა).

მოლტკემ, რომელიც უკვე ნერვული კრიზისის ზღვარზე იმყოფებოდა, ამის საპასუხოდ ის მოიმოქმედა, რომ 4 სექტემბერს ახალი ბრძანება გასცა, რომელშიც პირველ და მეორე არმიებს ავალებდა შეჩერებულიყვნენ და პარიზთან მტრის მოსაგერიებლად დაეკავებინათ პოზიცია (იმის იმედით, რომ ამასობაში გერმანელთა მარცხენა ფლანგი წინ წაიწევდა). კლუკმა ეს ბრძანება 5 სექტემბერს დილით ადრე მიიღო და მის იგნორირებას აპირებდა (ის ვერა და ვერ იჯერებდა, რომ მოწინააღმდეგეს კიდევ ჰყავდა სერიოზული ძალები), მაგრამ მოლტკემ, რომელიც კარგად იცნობდა კლუკის ხასიათს, მას დაზვერვის უფროსიც მიუგზავნა, რომელმაც იმავე საღამოს ჩაუსწრო პირველი არმიის სარდალს და არსებული ვითარება აუხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა კლუკმა თავდაცვითი პოზიციის დაკავება.

ფრანგებმა კი 4 სექტემბერსვე კლუკზე დარტყმა გადაწყვიტეს, თუმცა გალიენის ამაში თავიდან ჟოფრის დარწმუნება დასჭირდა. ფრანგების მთავარსარდალი თავის ყოფილ მეთაურზე ეჭვიანობდა და თავიდან მის იდეას არც ისე დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა. საბოლოოდ მისი დარწმუნება მოხერხდა, ოღონდ ამის შემდეგ უკვე ინგლისელების დარწმუნება გახდა საჭირო (მათ გარეშე ფრანგებს შეტევისათვის ძალები არ ეყოფოდათ). ფრენჩმა ამ იდეის შესახებ გვიან გაიგო და თანხმობა მხოლოდ მეორე დღეს მისცა, იქამდე კი ფრანგები გვარიანად ანერვიულა. ასე იწყებოდა ცნობილი ბრძოლა პარიზთან, მდინარე მარნაზე. ეს იყო ფრანგების უკანასკნელი შანსი. როცა გალიენის ჰკითხეს, საით უნდა დაეხიათ, თუკი ამ ბრძოლასაც წააგებდნენ, გენერალმა უპასუხა: „ვერსაით“.

იმავე ღამით ფრანგების მეექვსე არმია შეტევაზე გადავიდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კლუკს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა თავდაცვითი პოზიციების დაკავება, იერიში წარუმატებლად დასრულდა. ფრანგებმა საკმაოდ დიდი დანაკარგებით დაიხიეს უკან და კლუკს იმედი მიეცა, რომ სულ მალე მტერსაც მოსპობდა და პარიზზეც წავიდოდა. თუმცა ამ დროს მაინც იჩინა თავი გერმანელთა მთავარმა პრობლემამ – ძალების უკმარისობამ. კლუკი იძულებული გახდა, მარჯვენა ფლანგი დაეცვა, რის გამოც მის მარცხენა ფლანგსა და მეორე არმიას შორის დიდი ღიობი გაჩნდა. ამის წყალობით 6 სექტემბრიდან ფრანგთა მეხუთე არმია ინგლისელებთან ერთად პირველ და მეორე არმიას შორის შეიჭრა და ორივენი ფლანგებიდან შეავიწროვა. კლუკს იმედი ჰქონდა, რომ ამასობაში მეექვსე არმიას საბოლოოდ გაანადგურებდა, მაგრამ ეს უკანასკნელი პარიზიდან მუდმივად იღებდა შევსებას (დედაქალაქის დასაცავად გამზადებულ მეომრებს გალიენი ტაქსებით აგზავნიდა ფრონ-

ტზე). ფოში გერმანელთა მესამე არმიას ებრძოდა და დიდი დანაკარგების მიუხედავად მათ წინსვლის საშუალებას არ აძლევდა (მას ბრძოლებში შვილი დაეღუპა, რამაც ფოშის თავდადება მხოლოდ უფრო გაზარდა). კიდევ ერთი ახლად დაწინაურებული გენერალი, ძალზე გამოცდილი ფილიპ პეტენი (მეორე მსოფლიო ომში ფრანგების კოლობორაციონისტული მთავრობის ხელმძღვანელი) მეორე არმიას ავიწროებდა. ამასობაში გერმანელთა მარცხენა ფლანგი ამაოდ ცდილობდა ფრონტის გარღვევას. ყველაზე მეტად ფრანგების მესამე არმიას უჭირდა, მაგრამ იგი ვერდენის ფორტიფიკაციებთან იყო გამაგრებული და ამის წყალობით პოზიცია საბოლოოდ მაინც შეინარჩუნა.

გენერალურ შტაბში ვილჰელმთან ერთად მყოფი მოლტკე ბრძოლის ველიდან ცნობებს თითქმის ველარ იღებდა და იძულებული გახდა, პირველ და მეორე არმიებში თავისი ოფიცერი მიევლინა. ამ უკანასკნელმა აღმოაჩინა, რომ უკვე 8 სექტემბერს მეორე არმია იმდენად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, უკან დახევის გარდა სხვა გზა აღარ რჩებოდა. 9 სექტემბერს ოფიცერი კლუკის სანახავად დაიძრა. ეს უკანასკნელი მთლიანად მეექვსე არმიით იყო დაკავებული და საბოლოოდ თავისას მიაღწია კიდეც – მეექვსე არმია საერთოდ გაფანტა და ახლა უკვე პარიზისკენ გზა მართლაც ხსნილი იყო. მაგრამ ეს გამარჯვება დაგვიანდა. 23 აგვისტოს სიურპრიზი – ინგლისელთა საექსპედიციო ძალა – უკვე ძალიან ღრმად შეჭრილიყო ღიობში და თუკი კლუკი უკან არ დაიხევდა, მას მარცხენა ფლანგიდან საშინელი დარტყმა ელოდა. მეორე არმია უკვე უკან იხევდა და იგი კლუკს ვერანაირად დაეხმარებოდა. ამის შემხედვარე პირველმა არმიამაც უკან დახევა დაიწყო.

შლიფენის გეგმა ჩავარდა და დაიწყო ის, რისაც შლიფენს ასე ეშინოდა: გამომფიტავი ომი ორ ფრონტზე. იმავე დღეებში ავსტრიელებმა ახალი საშინელი მარცხი იწვნიეს გალიციაში რუსებისგან და გერმანელთა ერთადერთი რეალური მოკავშირე ახალ დიდ ტვირთად იქცა.

მოლტკეს ნერვულმა სისტემამ ამდენს ველარ გაუძლო. იგი მალე ომის მინისტრმა ერიხ ფონ ფალკენჰაინმა შეცვალა გენერალური შტაბის უფროსის პოსტზე. ამის შემდეგ მოლტკეს ჯანმრთელობა სწრაფად გაუარესდა და ორ წელიწადში გარდაიცვალა კიდეც. ომის წაგებას ვერ მოესწრო, თუმცა იგი მარნადან უკან დახევის შემდეგ უკვე ხვდებოდა, რომ დამარცხება მხოლოდ დროის საქმე იყო.

5 სექტემბერს ლონდონში ინგლისელები, ფრანგები და რუსები შეთანხმდნენ, რომ ომს გააგრძელებდნენ და მოწინააღმდეგესთან სეპარატულ ზავს არ გააფორმებდნენ. ეს ჯერ კიდევ მარნამდე მოხდა, როცა პარიზის დაცემის საფრთხე კვლავ არსებობდა. სამთა ანტანტა შედგა, მაშინ როცა სამთა ალიანსი აღარ არსებობდა.





„პარიზის ამღები“ გენერალი ფონ კლუკი (1846-1934)



გერმანული ფლოტის მთავარი შემოქმედი ტირპიცი (1849-1930)

პუანკარე (1860-1934)

მოლტკე უმცროსი (1848-1916)



ჟოფრი (1852-1931)



ესკუიტი (1852-1928)

თავი 4. სანგრეების დიპლომატია

1914 წლის განაჩენები

სექტემბერი გერმანელებისათვის განაჩენი იყო, მაგრამ ამას ყველა ვერ აცნობიერებდა. რუსებისათვის კი განაჩენის დრო მაშინ დადგა, როცა „გობენი“ და „ბრესლაუ“ სრუტეებში შევიდნენ.

ომის დაწყების პირველი დღეებიდან საზონოვმა დაპირებების გაცემასა და ზურგსუკან ვაჭრობაში ყველანაირი რეკორდი მოხსნა. თურქეთს რა შესთავაზა, უკვე ვნახეთ. ბულგარეთს ალიანსის სანაცვლოდ თავად თურქულ, რუმინულ და სერბულ ტერიტორიებს სთავაზობდა, რუმინეთს – სერბულსა და ბულგარულს. იტალიას (მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა დაიწუწუნა, რომ ავსტრიელებმა კომპენსაცია არ შესთავაზეს) ტრიესტი, ტიროლი და ალბანეთის ტერიტორიაც კი შესთავაზა. მაგრამ ასეთ ისტერიულ ვაჭრობას შედეგი იშვიათად მოაქვს. იტალიამ ყველაფერთან ერთად დალმაციაც მოითხოვა, რომელიც რუსეთს სერბეთისათვის უნდოდა და ამიტომაც აქედან არაფერი გამოვიდა. რუმინეთმა ომის დაწყებისთანავე კი გამოაცხადა, რომ სამთა ალიანსს არ დაეხმარებოდა, მაგრამ საზონოვი მაინც შიშობდა – რუმინეთს შეეძლო რაიმე სიურპრიზი მოეწყო, როცა რუსეთი ავსტრია-უნგრეთს დაარტყამდა – და ამიტომ მხოლოდ ნეიტრალიტეტის სანაცვლოდაც უკვე მტკიცედ შეჰპირდა ტრანსილვანიას.

27 სექტემბერს კი სპექტაკლში კედელზე ჩამოკიდებული თოფის პრინციპით „გობენისა“ და „ბრესლაუს“ ფაქტორიც ამუშავდა. თურქებმა სრუტეები კომერციისათვის დახურეს და რუსეთს გარესამყაროსთან კავშირი ფაქტობრივად მოუსპეს. სრუტეები მისთვის მშვიდობიანობის დროსაც უმთავრესი სავაჭრო გზა იყო და მით უფრო გაიზარდა მათი მნიშვნელობა ომის დროს. ახლა რუსეთი მოკავშირეებს მხოლოდ არხანგელსკის პორტიდან თუ დაუკავშირდებოდა, რომელიც წლის განმავლობაში უმეტესად გაყინული იყო. დაახლოებით ერთ თვეში კედელზე ჩამოკიდებულმა თოფმა კიდევ ერთხელ გაისროლა: 28 ოქტომბერს „გობენმა“ და „ბრესლაუმ“ ყირიმის სანაპიროები და ოდესა დაბომბეს და ამგვარად თურქეთი რუსეთთან ომში ჩაითრიეს. თურქები თავს იმართლებდნენ, მაგრამ გვიანი იყო. ომის თავიდან აცილების ერთადერთი შანსს „გობენისა“ და „ბრესლაუს“ გაძევება იძლეოდა, მაგრამ მთავრობის ნაწილს (მაგალითად, ენვერს) ეს სულაც არ უნდოდა, ნაწილისათვის კი ამ კრეისერების ქვემეხები საკმარისზე მეტი არგუმენტი იყო, რათა

ხმა არ დაეძრა. თურქებს ჯერ რუსეთმა, შემდეგ ანტანტას დანარჩენმა წევრებმაც გამოუცხადეს ომი. ამის შემდეგ უკვე არა მხოლოდ გერმანია და რუსეთი, არამედ თურქეთიც განწირული იყო.

ცხადია, ჯერ კიდევ არსებობდა შანსი, ყველას აეცილებინა თავიდან ომის გაჭიანურება, რუსეთს აეცილებინა რევოლუცია და სამოქალაქო ომი, თურქეთს – იმპერიის დაკარგვა, ავსტრია-უნგრეთს – დაშლა და ა.შ. ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო უილსონი მზად იყო, შუამავლობა გაეწია და მეომარი სახელმწიფოები შეერიგებინა. გერმანიაში ფალკენჰაინი (ერთ-ერთი მცირეთაგანი, ვინც ხვდებოდა, რომ ომი გაიწელებოდა) ბეტმანს ურჩევდა, სასწრაფოდ დაეწყო მოლაპარაკებები. მაგრამ ეს მხოლოდ სათქმელად იყო იოლი. ომის დაწყებიდან ასე მალე არც ერთი დიდი სახელმწიფო არ იყო მზად კომპრომისებისა და სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის – ყველას ჯერ რაღაც გამარჯვება, რაღაც მონაპოვარი სჭირდებოდა. შესაძლოა მე-19 საუკუნეში კონფლიქტი სწრაფად დაესრულებინათ, მაგრამ უკვე მე-20 დამდგარიყო, რაც შემდეგს ნიშნავდა: ერთი საუკუნის განმავლობაში ეკონომიკა და მრეწველობა ძალიან წინ წასულიყო. მოხდა გარღვევები ქიმიაში, მეტალურგიაში, დაინერგა მასობრივი წარმოება და ეს ყველაფერი (როგორც მალე გახდებოდა ცხადი) ქვეყნებს საშუალებას აძლევდა, გაცილებით მეტხანს ეომათ, ვიდრე წინა საუკუნეში იყო შესაძლებელი. გენერალური შტაბები სამხედრო კამპანიებს მე-19 საუკუნის რეალობებიდან გამომდინარე გეგმავდნენ და ვერ იაზრებდნენ, რომ მათი ჯარების უკან უზარმაზარი სამხედრო მრეწველობა და ზოგადად, დიდი ეკონომიკები იდგა (1914 წელს ევროპული სახელმწიფოების უმეტესობას იმდენად მაღალი ეკონომიკური მაჩვენებელი ჰქონდა, რომ დამანგრეველი მსოფლიო ომის შემდეგ მსგავსი შედეგების მისაღწევად ბევრ მათგანს ათწლეულები დასჭირდა. ხოლო საბჭოთა კავშირი თითქმის მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში 1914 წლის რუსეთს ედრებოდა).

და ერთიც: შესაძლოა ლონდონშიც, პარიზშიც, პეტერბურგშიც, ვენასა და ბერლინშიც იყვნენ ჭკვიანი ადამიანები, რომლებიც ხვდებოდნენ, რომ ყველანაირი მონაპოვრისა და გამარჯვების გარეშე მოლაპარაკებების დაწყება იყო საჭირო, მაგრამ მე-20 საუკუნეში მთავრობები გაცილებით მეტად იყვნენ დამოკიდებულნი საზოგადოებრივ აზრზე, ვიდრე ოდესმე მანამდე, და ამიტომ მტერთან შერიგება ასე მარტივი არ იყო. წარსულს ჩაბაროდა ის დრო, როცა, მაგალითად, მეტერნიხი ათწლეულების განმავლობაში თავის ჭკუაზე ატრიალებდა ავსტრიის იმპერიას და ანგარიშს მხოლოდ მონარქს აბარებდა ხოლმე და ისიც ზოგჯერ – მხოლოდ პოსტფაქტუმ.

თუმცა, ამგვარი ჭკვიანი ადამიანები, სამწუხაროდ, არც ისე მრავლად იყვნენ და ამ მხრივ განსაკუთრებით გერმანიას არ გაუღიმა ბედმა.

როცა ბეტმანისგან სახეირო პასუხი ვერ მიიღო, ფალკენჰაინი კამპანიის გაგრძელებისათვის მზადებას შეუდგა. მას ორი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი: ანტვერპენის აღება და ფრონტზე მარცხენა ფლანგის დაცვა. ეს უკანასკნელი ამოცანა ფალკენჰაინმა მარტივად გადაჭრა – გერმანელთა ფრონტი ატლანტიკის სანაპირომდე გადაიჭიმა.

რაც შეეხება ფრანგებს, მარნაზე მტრის მოგერიების მიუხედავად ისინი მეტად რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. გერმანელების ხელში რჩებოდა მათი ტერიტორიის ნაწილი, სადაც თავმოყრილი იყო საფრანგეთის რკინის საბადოების 90% და სამრეწველო ობიექტების დიდი ნაწილი. შესაბამისად, ფრანგებს მტერი როგორმე თავიანთი მიწიდან უნდა გაეძევებინათ. ეს კარგი ამბავი იყო ჟოფრისათვის, რომელსაც შეტევაზე გადასვლისათვის ისედაც არ სჭირდებოდა დიდი მიზეზი. ფრანგების შეტევებს ყოველთვის ერთი შედეგი ჰქონდა – მეტი მსხვერპლი სწორედ ფრანგების რიგებში, მაგრამ ჟოფრი იხტიბარს არ იტეხდა. თუკი აგვისტოს ბოლოს მთავრობაში მის გადაყენებაზე ფიქრობდნენ, მარნას შემდეგ იგი ხელშეუხებელი გახდა და თავის ჭკუაზე იქცეოდა.

ფალკენჰაინის პირველი ამოცანა ოქტომბრის დასაწყისში გადაიჭრა, როცა აშკარა გახდა, რომ ანტვერპენი ლიეჟისა და ნამურის ამღებ საალყო ქვემეხებს ვერ გაუძლებდა. ჩერჩილი, რომელიც რამდენიმე ხნის წინ პატარა რაზმთან ერთად იყო იქ და თავის მთავრობას სთავაზობდა, ანტვერპენის ინგლისური გარნიზონის მეთაურად დამნიშნეთო, 6 ოქტომბერს იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. მალე ანტვერპენი ალბერმაც დატოვა და თავის ჯართან ერთად ფრანგებს შეუერთდა.

რაც შეეხება ინგლისელებს, მათ ფრანგების მარცხენა ფლანგზე გადაწყვიტეს პოზიციის დაკავება, სანაპიროსთან ახლოს, სადაც თავიანთი ფლოტისგან მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. მალე ფრენჩი სანაპიროსთან გამაგრების მიზნით ბელგიის ჩრდილოეთისკენ დაიძრა და იქ გერმანელებს გადაეყარა, რომლებიც თავიანთი ფრონტის მარჯვენა ფლანგს ამაგრებდნენ. ასე დაიწყო 19 ოქტომბერს იპრის (ქალაქი ფლანდრიაში) პირველი ბრძოლა. ინგლისელებთან ერთად იბრძოდნენ ფრანგები და ბელგიელებიც. ამ უკანასკნელთა მეფე ძალიან იყო მოწადინებული, თავისი ქვეყნის ნაწილი მაინც გაეთავისუფლებინა. ბრძოლამ დაახლოებით ერთ თვეს გასტანა და იყო მომენტები, როცა ანტანტა და ბელგიელები მხოლოდ ფოშის თავდადების წყალობით არ იხევდნენ უკან. ბოლოს, როცა აშკარა ხდებოდა, რომ გერმანელები იმარჯვებდნენ, ალბერმა ზღვის შემაკავებელი კაშხლების აფეთქება ბრძანა. ბრძოლის ველი დაიტბორა, გერმანელებს წინ წასვლა გაუძნელდათ და ამის წყალობით ანტანტამ პოზიციები ასე თუ ისე შეინარჩუნა. მსხვერპლი ორივე მხრიდან დიდი იყო და საბოლოოდ მოწინააღმდეგეები უბრალოდ

დადგნენ. მარტო ინგლისელთა დანაკარგებზე ალბათ კარგად მეტყველებს შემდეგი სტატისტიკა: მათ დაეღუპათ 66 პერი, 16 ბარონეტი და 6 რაინდი. ერთ-ერთი მცირეთაგანი, რომელსაც იპრის პირველი ბრძოლა კარგად დაამახსოვრდა, გახლდათ კაპრალი შიკლგრუბერი (ადოლფ ჰიტლერი), რომელმაც იქ გამოჩენილი მამაცობისათვის რკინის ჯვარი მიიღო.

აღმოსავლეთ ფრონტზე სამეული (ჰინდენბურგი, ლუდენდორფი, ჰოფმანი) ავსტრიელთა მარცხენა ფლანგთან შეერთებაზე ფიქრობდა. ამ მიზნით ოქტომბერში ახალი, მეცხრე არმია სამხრეთით დაიძრა, მაგრამ ვარშავასთან მას რუსებმა დაარტყეს და დიდი დანაკარგებით უკუაქციეს. ნოემბრის დასაწყისში დიდი ჰერცოგი პოლონეთის გავლით ორი არმიით სილეზიაში შეიჭრა. პირადად მას პრიორიტეტად გერმანიის დამარცხება მიაჩნდა და რაც კი შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა საამისოდ. მაგრამ ნიკოლოზი ვერაფრით ჩამოყალიბდა სტრატეგიაში და გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის არჩევანს ვერ აკეთებდა. ამიტომაც სილეზიაში შეჭრის პარალელურად რუსები კარპატებისკენაც დაიძრნენ, საიდანაც უნგრეთში უნდა გადასულიყვნენ. გერმანელებს უკვე ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდათ, რომ რამდენი რუსული არმიაც უნდა გაენადგურებინათ, რუსები სულ ცოტა ერთ იმდენს მაინც გამოიყვანდნენ. ჰინდენბურგმა დამატებითი ძალები მოითხოვა და როცა ფალკენჰაინისგან უარი მიიღო (ეს უკანასკნელი იპრთან გარღვევას იმედოვნებდა), მან და მისი შტაბის უფროსებმა კიდევ ერთი სასწაული მოახდინეს: მათ მერვე არმია მეცხრესთან გააერთიანეს და როცა რუსები მომარაგების ბაზას საკმარისად მოწყდნენ, მთელი ძალით დაარტყეს და უკან დაახევინეს. გერმანელები მტერს დაედევნენ და დეკემბერში ისინი მხოლოდ სიცივემ შეაჩერა. დიდმა ჰერცოგმა 18 დეკემბერს მოკავშირეებს აცნობა, ჯარს ტყვია-წამალი ელევა და აქედან მოყოლებული ალბათ შეტევაზე გადასვლას ვეღარ შევძლებთო (თავი იჩინა სამმა ფაქტორმა – სრუტეების ჩაკეტვამ, სუხომლინოვის პოლიტიკამ და დიდი ჰერცოგის უუნარობამ, გამკლავებოდა გერმანულ სამეულს). ტყვია-წამალი აშკარად უარესი პრობლემა იყო, ვიდრე ცოცხალი ძალა, რომელიც რუსებს არ ელეოდათ – 1914 წლის ბოლოსთვის მარტო გერმანიის ფრონტზე მათ დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი დაკარგეს, მაგრამ პეტერბურგში ეს არ ადარდებდათ.

იმ დროისათვის რუსებმა უნგრეთის ფრონტზეც წაიფორხილეს. კონრადმა 3 დეკემბერს მათი უკუგდება შეძლო. რუსები კარპატებთან დადგნენ. კონრადი წარმატებამ გაათამამა და წლის ბოლოს კიდევ ერთხელ შეუტია სერბეთს. თავიდან საქმე კარგად მიდიოდა და ავსტრიელებმა ბელგრადიც აიღეს, მაგრამ სერბები მეფემ შეაგულიანა და თავიანთი გენერლის მეთაურობით (სწორედ იმ გენერლის, რომელსაც ომის დაწყებამდე ფრანც-იოზეფის დაჟინებით სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცეს) მათ მტერი კიდევ ერთხელ გააძევეს. ომის გამჩაღებელ ქვეყანას ომი ყველაზე ცუდად მისდიოდა. თუკი რუსებს ცოცხალი ძალის დაკარგვა არ ადარდებდათ, ავსტრიელებს ეს ფუფუნება ნამდვილად არ ჰქონდათ და ამის გათვალისწინებით მათი საქმე ძალიან მძიმედ იყო – 1915 წლისათვის მათ 200 ათასი მეომარი დაეღუპათ. გერმანელთა დაღუპულების რიცხვი ცოტა ნაკლები იყო – 140 ათასი. ფრანგებმა 300 ათასამდე დაკარგეს. ინგლისელებს კი, მათი მცირერიცხოვანი შეიარაღებული ძალების კვალობაზე, საშინელი დანაკარგები ჰქონდათ, მაგრამ მალე დამხმარე ჯარი მოუვიდათ დომინიონებიდან და ინდოეთიდან (მათ შორის ცნობილი გურქჰები) და ამიტომ მაინც თავდაჯერებულები იყვნენ.

დეკემბერში ორი დიპლომატიური ინიციატივა აღინიშნა –გერმანელებმა ინგლისთან შერიგება სცადეს და მას ბელგიიდან გასვლა და ამ ქვეყნისათვის კომპენსაციის გადახდაც კი შესთავაზეს. გრეიმ ცივად და არაორაზროვნად უპასუხა, რომ მსგავსი შეთავაზება საკმარისი არ იყო, რადგან იგი არ იძლეოდა გარანტიას, რომ მომავალში გერმანია ისევ არ დაესხმოდა თავს ინგლისსა თუ მის მოკავშირეებს. ევროპულ დიპლომატიაში უნდობლობა გაჩენილიყო. თუმცა გერმანელებს, რომლებმაც ლუქსემბურგისა და ბელგიის ნეიტრალიტეტი დაარღვიეს, მათდამი უნდობლობა არ უნდა გაჰკვირვებოდათ.

გაცილებით უფრო საინტერესო მეორე ინიციატივა იყო. დიდმა ჰერცოგმა ასევე ინგლისელებს მიმართა და სთხოვა, რაიმე მოემოქმედებინათ თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც კავკასიის ფრონტიდან უქმნიდა რუსეთს საფრთხეს. მოქმედებაზე საუბრისას დიდი ჰერცოგი კონკრეტულად სრუტეებისკენ უთითებდა. ამაში ნამდვილად იყო ლოგიკა, რადგან სანამ სრუტეები მტრის ხელში რჩებოდა, რუსები იზოლირებულნი იყვნენ და მოკავშირეებისგან იარაღსა და ტყვია-წამალსაც ვერ იღებდნენ. ინგლისელებმა ამ ნათქვამში სხვა ლოგიკაც დაინახეს – რუსეთს სრუტეები სურდა (და ეს ნამდვილად ასე იყო). სრუტეებს რუსეთისათვის ახლა ისეთი დატვირთვა ჰქონდა, როგორც არასოდეს. საქმე ისაა, რომ 5 სექტემბერს ანტანტისადმი ერთგულების დადასტურების მიუხედავად, პეტერბურგში საქმე არც ისე მარტივად იყო. ტანენბერგის შემდეგ რამდენიმე რუსი მინისტრი ნიკოლოზს გერმანიასთან მოლაპარაკებას ურჩევდა, სამხედრო ელიტა კი ფიქრობდა, რომ ომი მხოლოდ სრუტეების გამო თუ ღირდა. თავად რუსებს თურქეთთან ომის საშუალება ნაკლებად ჰქონდათ, მაგრამ სამაგიეროდ შანსი მიეცათ, მოკავშირეებთან ევაჭრათ – ომში დარჩენის სანაცვლოდ სრუტეები.

ლონდონში ამას კარგად მიხვდნენ და დიდი წინააღმდეგობა არ გამოუხატავთ. ჯერ ერთი, ინგლისელების პრიორიტეტმა სრუტეებიდან უკვე დიდი ხნის წინ გადაინაცვლა ეგვიპტისკენ, რომელიც ფაქტობრივად მათი იმპერიის ნაწილი იყო (1914 წლის ნოემბერში კი მისი ანექსიაც მოხდა); მეორეც, თურქეთი თავისი სულსწრაფობით აღმოჩნდა

მტრის ბანაკში და ყველაფერი საკუთარი თავისათვის უნდა დაებრალებინა; მესამეც, პეტერბურგის ომში დარჩენა მეტად მნიშვნელოვანი იყო. მოკლედ, რუსეთის ოცნების ახდენა ინგლისელებისათვის დასაშვები ჩანდა. მართალია, თურქები კავკასიიდან რუსეთს არც ისე დიდ საფრთხეს უქმნიდნენ (რუსები მათ აქეთ ავიწროებდნენ და ამაში დიდი წვლილი ენვერს მიუძღოდა, რომელიც იქაურ ფრონტს ერთობ უნიჭოდ მეთაურობდა), მაგრამ ამას ყველაზე ნაკლებად ჰქონდა მნიშვნელობა.

ასე მიილია 1914 წელი. 1915 წლის დასაწყისისთვის კი იპრთან შობა ერთობლივად აღნიშნეს ინგლისელებმა და გერმანელებმა, რომლებიც დალევის შემდეგ ფეხბურთშიც კი გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ეს მე-19 საუკუნის რაინდობის ერთ-ერთი უკანასკნელი გამოვლინება უნდა ყოფილიყო. მოყოლებული იქიდან, ორივე ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მსგავსი შემთხვევები აღარ დაეშვა. მათი ჯარისკაცები თვეობით უნდა მსხდარიყვნენ სანგრებში – მე-20 საუკუნის ომის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვარში. შეტევაზე გადასვლას დიდი აზრი არ ჰქონდა, რადგან ორი ამერიკული გამოგონება – ტყვიამფრქვევი და მავთულხლართი – თითქმის ყველანაირ სიმამაცეს ანულებდა. მაგრამ, ჯარისკაცთა საუბედუროდ, მათი ხელმძღვანელობებიდან ამ რეალობას არცთუ ისე ბევრი ხვდებოდა. ეს ალბათ ყველაზე მძიმე განაჩენი იყო უკლებლივ ყველა ქვეყნისათვის.

სანგრები და დარდანელი

ჟოფრი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვისაც ომის სწრაფი დამთავრების სჯეროდა და იანვრის დასაწყისში მან შამპანისა და არტუას მიმართულებით ისევ შეუტია. ისევ იგივე განმეორდა – არანაირი წინსვლა და უაზრო მსხვერპლი. ჟოფრი სწრაფად ფლანგავდა თავის პოლიტიკურ კაპიტალს და, რაც უფრო სამწუხაროა, კიდევ უფრო სწრაფად – ფრანგ ჯარისკაცებს. თავს კი იმით იმშვიდებდა, რომ გერმანელები უფრო მეტ ცოცხალ ძალას კარგავდნენ, რაც სისულელე იყო.

გერმანელებს ამის ფონზე საქმე არც ისე ცუდად მისდიოდათ, მაგრამ იანვარში მათ შეიარაღებულ ძალებში განხეთქილებამ იჩინა თავი. კონრადმა მოინდომა რუსეთისათვის შეეტია და ამით ორი კურდღელი დაეჭირა – რუსებიც განედევნა და იტალიაც ისე დაეფრთხო, რომ ამ უკანასკნელს ომში ჩარევა ვერ გაებედა. საამისოდ ავსტრიელთა მთავარსარდალს გერმანელთა დახმარება ესაჭიროებოდა, მაგრამ იგი ფალკენჰაინმა უარით გაისტუმრა. მას ჯარი ფრანგულ ფრონტზე უფრო საჭიროდ მიაჩნდა გამომდინარე იქიდან, რომ ომის დასრულების მხოლოდ ერთ პერსპექტივას ხედავდა – გერმანიას როგორმე საფრანგეთი უნდა დაემარცხებინა, რაც (ფალკენჰაინის აზრით) ინგლისის

წინააღმდეგობასაც დაასრულებდა. იმავე მიზეზით ფალკენჰაინი ჰინდენბურგსაც უარს ეუბნებოდა დამხმარე ძალების მიწოდებაზე, რადგან მიაჩნდა, რომ რუსეთის დამარცხება შეუძლებელი იყო და ამ საკითხზე მოლაპარაკებები მას შემდეგ აჯობებდა, რაც რუსეთი საკმარის ზარალს სახავდა. ჰინდენბურგმა და ლუდენდორფმა ჩათვალეს, რომ მოკავშირისათვის უარის თქმა მათ ფალკენჰაინზე დარტყმის კარგ შანსს აძლევდა და კონრადს თავად შესთავაზეს დასახმარებლად რამდენიმე შენაერთი. ამას სერიოზული სკანდალი და დაპირისპირება მოჰყვა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ვილჰელმი ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის სამხედრო ტრიბუნალისათვის გადაცემასაც კი აპირებდა, მაგრამ ბეტმანმა გადააფიქრებინა – ტანენბერგის გმირებს გაფრთხილება სჭირდებოდათ და არა გასამართლება. საბოლოოდ იმპერატორმა ფალკენჰაინი ომის მინისტრის პოსტიდან გადააყენა და მხოლოდ გენერალური შტაბის უფროსად დატოვა, რაც არ იყო კარგი გადაწყვეტილება, რადგან ფალკენჰაინი, როგორც კარგი ადმინისტრატორი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ომის მინისტრად ვარგოდა. საბოლოოდ სკანდალმა ფალკენჰაინის რეპუტაცია და ვილის ნერვები შეიწირა. ეს უკანასკნელი იმ დღეებში საერთოდ ვერ იძინებდა და დასამშვიდებლად შეშას ჩეხდა.

იანვრის ბოლოს კონრადმა რამდენიმე გერმანული დივიზიის დახმარებით რუსებს შეუტია და, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრს ვერაფერს გახდა. სამაგიეროდ, თებერვალში სამეულმა რუსებს კიდევ ერთი მძიმე დარტმა მიაყენა და 100 კილომეტრზე მეტით დაახევინა უკან. ჰინდენბურგიც კიდევ ერთხელ იქცა ეროვნულ გმირად ჰოფმანისა და ლუდენდორფის ხარჯზე. კონრადი კი ამ დროს ისევ უტევდა. მას გალიციაში რუსების მიერ ალყაშემორტყმული პრჟემისლის ციხესიმაგრის გამოხსნა სურდა, რომელიც იქიდან კარპატებზე გასასვლელს ბლოკავდა. საბოლოოდ იგი ვერაფერს გახდა და ექვსჯერ იმაზე მეტი მეომარი დაკარგა, რაც პრჟემისლის ციხესიმაგრეში ჰყავდა. მარტის ბოლოსთვის, როცა ციხესიმაგრე ბოლოს და ბოლოს დაეცა, ავსტრიელებს სულ ნახევარ მილიონამდე ჯარი ჰყავდათ დარჩენილი.

ახლა, თუკი სრუტეების გასხნა და რუსეთის მომარაგება მოხერხდებოდა, ანტანტას წესით ორივე ფრონტიდან დაწოლით გერმანია უნდა გაეტეხა. ინგლისურ ფლოტს სრუტეები უკვე მოესინჯა. სულ რაღაც ერთი სამხედრო ხომალდი დარდანელს მიადგა და ერთ-ერთი ფორტი ისე გაასწორა მიწასთან, თვითონ არაფერი დაშავებია. ამ იოლმა გასეირნებამ ჩერჩილს აფიქრებინა, რომ სრუტეების დალაშქვრა არც ისე რთული ამოცანა იქნებოდა და უკვე იანვრიდან ინგლისელები სერიოზულად შეუდგნენ ამ საკითხზე მუშაობას. მაგრამ მალე მოულოდნელ წინააღმდეგობას ფრანგებისგან წააწყდნენ. მართალია, ამ უკანასკნელთა ახალი საგარეო მინისტრი ტეოფილ დელკასე იმდენად პრორუსული იყო, რომ დელკასოვს ეძახდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად ისიც და მთელი

მთავრობაც რუსებისათვის სრუტეების გადაცემის წინააღმდეგი გამოიდნენ. მათთვის არც ისე სასიამოვნო იყო, რომ ინგლისს ეგვიპტე რჩებოდა, რუსეთს – სრუტეები, ფრანგებს კი საერთოდ არაფერი. დელკასე ითხოვდა, ამ საკითხის გადაწყვეტა ომის დასრულებამდე გადაედოთ და იმასაც უსვამდა ხაზს, რომ დარდანელის დალაშქვრა დასავლეთის ფრონტის დასუსტებას გამოიწვევდა.

მაგრამ კიჩნერს მიაჩნდა, რომ მისი ჯარი დარდანელთან უფრო მეტ სარგებლობას მოიტანდა, ვიდრე ბელგიაში. მით უმეტეს, რომ თებერვლის დასაწყისში თურქებმა სუეცის არხს შეუტიეს. შეტევა კი მოიგერიეს, მაგრამ ლონდონი მაინც ძალიან დაფრთხა. დარდანელის გარდა ინგლისელები ჯარის სალონიკაში გადასხმის შესაძლებლობასაც განიხილავდნენ. ბერძნები ამის წინააღმდეგნი არ იყვნენ. მათი პრემიერ-მინისტრი, ნიჭიერი და ამბიციური ელეფთერიოს ვენიზელოსი ანტანტას ღიად უჭერდა მხარს, რადგან იმედოვნებდა, რომ მათ მხარეს ომში ჩართვით საბერძნეთი ახალ მიწებს შემოიერთებდა (მანამდე ბალკანეთის ომებში მან ეს მშვენივრად მოახერხა).

როცა ფრანგებმა დაინახეს, რომ ინგლისელები დარდანელზე ლაშქრობის გეგმას არ ცვლიდნენ, გადაწყვიტეს, საქმეში ჩართულიყვნენ და ყველაფერი ისე წარემართათ, რომ რუსებს ამ ოპერაციის შესახებ ვერაფერი გაეგოთ. თუმცა ინგლისელებს მიაჩნდათ, რომ პეტერბურგს ეს უნდა სცოდნოდა, რათა გერმანიასთან სეპარატულ ზავზე არ ეფიქრა. რუსები, ცხადია, საქმის კურსში ჩაყენებისთანავე დაფრთხნენ და 4 მარტს სრუტეების მიღების გარანტია მოითხოვეს. ისინი შიშობდნენ, რომ დარდანელის დალაშქვრის შემდეგ დამლაშქრავები იქ სამუდამოდ დარჩებოდნენ (ამავე მიზეზით საზონოვმა ოპერაციაში ბერძნების მონაწილეობაც დაბლოკა – ინგლისელებისა და ფრანგების მონაწილეობა უკვე საკმარისი იყო. თანაც ბერძნებს თავად ეჭირათ თვალი კონსტანტინოპოლზე). ლონდონი ამას სწრაფად დათანხმდა, მაგრამ დელკასე თავის მეტსახელს კვლავაც არ ამართლებდა და აცხადებდა, რომ სრუტეების საკითხი კონფერენციაზე უნდა განხილულიყო.

საზონოვმა პასუხად შანტაჟს მიმართა და ფრანგებს გადადგომით დაემუქრა (მუქარის არსი ის გახლდათ, რომ მის ნაცვლად თანამდებობაზე ვინმე პროგერმანული მოვიდოდა, ასეთები კი ნიკოლოზის გარშემო ნამდვილად ბევრნი იყვნენ). ნიკოლოზი პირიქით მოიქცა – მან ფრანგებს რაინის სანაპირო და კიდევ რამდენიმე გერმანული ტერიტორია, ასევე სირია, პალესტინა და კილიკია შესთავაზა. აპრილში რუსებმა ფრანგების თანხმობაც მიიღეს და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მათი ოცნება სრულდებოდა. თანაც, სრუტეებისათვის ომი მათ არ სჭირდებოდათ. ამას რუსეთის ნაცვლად ის სახელმწიფოები გააკეთებდნენ, რომლებიც იქამდე მას სრუტეებს არაფრით უთმობდნენ და ამის გამო ეომებოდნენ კიდეც. ცხადია, რუსებმა ოპერაციაში რაღაც დონეზე ჩართვა მაინც

მოიწადინეს და ინგლისელებსა და ფრანგებს ერთი კორპუსით დახმარებას შეჰპირდნენ. ოღონდ ეს კორპუსი მაშინ ჩაერთვებოდა საქმეში, როცა მოკავშირეები დარდანელს აიღებდნენ. ანუ რუსეთი ერთობ სიმბოლურად, კონსტანტინოპოლის აღებაში მიიღებდა მონაწილეობას მას შემდეგ, რაც ძირითადი საქმე მოთავებული იქნებოდა. ლონდონსა და პარიზშიც დამშვიდდნენ – ახლა წესით რუსეთს ბოლომდე უნდა ეომა გერმანიასთან. მით უმეტეს, რომ იმ დროისათვის გარდაიცვალა ვიტე – გერმანიასთან სეპარატული ზავის მთავარი მომხრე.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუ არ ჩავთვლით იმ ამბავს, რომ ლაშქრობაში ბერძნების მონაწილეობის დაბლოკვას ამ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი და გერმანიისადმი უფრო კეთილგანწყობილი მთავრობის მოსვლა მოჰყვა. ამან ძალიან გაახარა საბერძნეთის მეფე კონსტანტინე, რომელსაც ვილჰელმის და ჰყავდა ცოლად და ამიტომ ნეიტრალიტეტს უჭერდა მხარს. ბერძნების სახით ანტანტას მომავალი ოპერაციისათვის საკმაოდ დიდი ძალა დააკლდა. მაგრამ ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ ოპერაციას ინგლისელები და ფრანგები მარტოები ვერ გაართმევდნენ თავს. მით უმეტეს, სრუტეები ფლოტს უნდა დაელაშქრა და ჯარი ნაკლებად იყო საჭირო. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნდათ ინგლისის ადმირალიტეტში. სულსწრაფ ჩერჩილს ერთი სული ჰქონდა, როდის განახორციელებდა მისი ფლოტი მისიას, რომლის მსგავსიც ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში (ინგლისის ნაპოლეონისგან დაცვის შემდეგ) არ ჰქონია. ჩერჩილს ყველა არ უჭერდა მხარს. 10 მარტს ფრენჩი კანადელებისა და ინდოელების დახმარებით არტუასთან შეტევაზე გადავიდა, რათა (ალბათ) დაემტკიცებინა, რომ მთავარი საქმე აქ იყო გასაკეთებელი და გერმანელთა ფრონტის გარღვევა შეიძლებოდა. ალბათ არ ღირს საუბარი იმაზე, რომ ამ შეტევიდან არაფერი გამოვიდა.

სრუტეებზე შეტევა კი თებერვალში რამდენჯერმე სცადეს. ინგლისურ-ფრანგული ფლოტილია დარდანელს მიუხლოვდა და იქაურობა დაბომბა. რამდენიმე დღეში ანტანტა დარდანელის ნაღმებისგან გაწმენდასაც შეუდგა. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ ერთი ღამით თურქებმა ჩუმად მოახერხეს ნაღმების ხელახლა დაწყობა. 18 მარტს დარდანელზე ლაშქრობაც დაიწყო. უზარმაზარი ინგლისურ-ფრანგული ფლოტილია მტრისკენ დაიძრა და სრუტეებში ფორტების დაბომბვას შეუდგა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუმცა მალე რამდენიმე ხომალდი ნაღმს შეეჯახა და ზოგიერთი ჩაიძირა კიდეც. ჩერჩილმა თავდამსხმელებს დამატებითი ძალები მიაშველა, მაგრამ უკვე აშკარა ხდებოდა, რომ სრუტეების აღება ფლოტს ძალიან გაუჭირდებოდა და ხმელეთზე დიდძალი ჯარის გადასხმის გარეშე ოპერაცია ჩავარდნისათვის იყო განწირული.

ამ დროს კი თურქები ხმელეთზე სრუტეების დასაცავად მზად არ იყვნენ და მათი მთავრობა უკვე კონსტანტინოპოლიდან გარბოდა. მაგრამ

ხმელეთიდან შეტევისათვის არც ანტანტა ემზადებოდა. ჩერჩილს შეტევის გაგრძელება სურდა, მაგრამ ადმირალთა უმრავლესობა წინააღმდეგი წავიდა და მანაც უკან დაიხია. რთული სათქმელია, რა მოხდებოდა ჩერჩილს რომ თავისი გაეტანა. თურქებს უკვე ჭურვები ელეოდათ და აღარც ნაღმები ჰქონდათ დარჩენილი, ინგლისელებს კი საკმაოდ დიდი შენაერთის გადასხმა შეეძლოთ. მაგრამ ყველაფრის აწონ-დაწონვის შემდეგ გადაწყდა, აღარ გაერისკათ. მით უმეტეს, რომ რუსებმა ამასობაში პრუემისლი აიღეს და სიტუაცია აშკარად გამოუსწორდათ. ოპერაცია გადაიდო. მისი საბოლოო გაუქმება არა მხოლოდ ინგლისელთა მძლეთამძლე ფლოტის დამარცხებას ნიშნავდა, არამედ საერთოდ პრესტიჟის შელახვას და ბალკანეთზე პოტენციური მოკავშირეების დაკარგვას, რომლებიც მოვლენათა განვითარებას ელოდნენ, რათა არჩევანი გაეკეთებინათ. 22 მარტს ინგლისელებმა თავიანთი შენაერთი ალექსანდრიისკენ გაამწესეს, სადაც სახმელეთო ოპერაციისათვის მზადება უნდა დაწყებულიყო. რაც შეეხება თურქებს, ენვერმა სრუტეების დაცვა სანდერსს მიანდო. ეს ერთ-ერთი უიშვიათესი შემთხვევა იყო, როცა ამბიციურმა თავდაცვის მინისტრმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

დრო კი ერთი შეხედვით მართლაც ანტანტაზე მუშაობდა. რუსების საუკეთესო გენერალი ალექსანდრ ბრუსილოვი ავსტრიელებს კარპატებიდან ნაბიჯ-ნაბიჯ დევნდა. დასავლეთის ფრონტზე ინგლისის დომინიონებისა და ინდოეთის წყალობით ანტანტას უკვე რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა. დამხმარე ძალები ფრანგებსაც მოსდიოდათ აფრიკიდან, თუმცა ნაკლები რაოდენობით. ყველაფერ ამას იტალიის ასპარეზზე გამოსვლაც დაერთო. ეს უკანასკნელი ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა თავისი ნეიტრალიტეტი რაც შეიძლება ძვირად გაეყიდა. მაგრამ ამ ლოდინს მანამდე ჰქონდა აზრი, სანამ ითვლებოდა, რომ იტალიას შეეძლო ავსტრია-უნგრეთის დამარცხებაში დახმარებოდა ანტანტას. როცა ბრუსილოვმა ავსტრიელები შეავიწროვა, რომში დაფრთხნენ, რომ ავსტრია-უნგრეთი შეიძლებოდა მანამდე დამარცხებულიყო, სანამ იტალია ნეიტრალიტეტს გაყიდდა. მერე კი, ცხადია, მის ნეიტრალიტეტს იმხელა ფასი აღარ ექნებოდა.

იტალია რომ ანტანტას მხარეს აპირებდა ჩარევას, ამას გეოგრაფიაში ზერელედ გარკვეული ნებისმიერი ადამიანი მიხვდებოდა და ბერლინსა და ვენაში უკვე დიდი ხანი თავს იმტვრევდნენ გამოსავალზე ფიქრით. ბეტმანმა წინადადება წამოაყენა, ავსტრიელებს იტალიისათვის „კომპენსაცია“ მიეცათ და სამაგიეროდ გერმანელებს ავსტრიელთათვის გადაელოცათ სილეზია, რომელიც მათ ოდესღაც ფრიდრიხ დიდმა წაართვა. ფრიდრიხ დიდის ხსოვნისა და კიდევ სხვა გასაგები ფაქტორების გამო ეს ინიციატივა არავინ მოიწონა. კიდევ უფრო შორს წავიდნენ ვენაში – კონრადი და ბერხტოლდი მზად იყვნენ, იტალიისათვის ტიროლი მიეცათ, რუსეთისათვის კი გალიცია და სრუტეები. ფრანც-იოზეფისათვის ეს

მეტისმეტი აღმოჩნდა და მან ბერხტოლდი დაითხოვა. იტალიელები მაინც აგრძელებდნენ ვაჭრობას ყოფილ მოკავშირეებთან (თუნდაც იმ მიზნით, რომ მომავალი მოკავშირეებისათვის უფრო ძვირად მიეყიდათ საკუთარი თავი). გერმანელებს უკვე ჰყავდათ რომში მივლენილი ბიულოვი, რომელიც ადრე აქ ელჩად მუშაობდა და თავს სხვა ყველაფერთან ერთად იტალიის მცოდნედაც აცხადებდა. ცხადია, ბიულოვს არანაირი შანსი არ ჰქონდა – იტალიელთა იდენტობა და სახელმწიფოებრიობა ავსტრიელთა იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენდა და ძნელი წარმოსადგენი იყო, მათთვის სხვა ისეთი რა უნდა შეეთავაზებინათ. მოსახდენი 26 აპრილს მოხდა. იტალიელებმა ლონდონში ანტანტასთან გააფორმეს შეთანხმება და თითქმის ყველაფერი მიიღეს, რასაც თავის დროზე საზონოვი სთავაზობდა (ასევე მათ შეჰპირდნენ ახლო აღმოსავლეთის გარკვეულ ტერიტორიებსაც, ოღონდ უკვე მას შემდეგ, რაც ომს გერმანიას გამოუცხადებდნენ). მხოლოდ ის იყო, რომ დალმაციის საკმაოდ დიდი ნაწილი სერბებს დარჩათ. საზონოვმა აქ თავისი გაიტანა, რადგან ამ მომენტისათვის რუსებს მიაჩნდათ, რომ იტალიელთა ჩარევა დიდად აუცილებელი აღარ იყო. მათ რომ ვაჭრობა ცოტა ადრე დაეწყოთ (როცა ავსტრიელები ასე თუ ისე მტერს უმკლავდებოდნენ) მაშინ ალბათ დალმაციას მთლიანად მიიღებდნენ.

სანამ იტალია ვაჭრობდა, ჟოფრმა ვერდენის სამხრეთით ახალი უაზრო შეტევა წამოიწყო, რომელიც მოსალოდნელი შედეგით დასრულდა, მაგრამ ჟოფრი თავის სიმართლეში ვერ გადაარწმუნა. ამასობაში ფალკენჰაინმა აღმოსავლეთ ფრონტის გაძლიერება გადაწყვიტა, რაც ცხადია მხოლოდ დასავლეთიდან შენაერთების მოხსნის გზით უნდა განხორციელებულიყო. იმისათვის, რომ მტერი ამას ვერ მიმხვდარიყო, ფალკენჰაინმა იპრთან შეტევა განიზრახა. მაგრამ სანამ ამას იზამდა, ინგლისელებმა ახალი სიურპრიზი გამოაცხვეს – გერმანელების მიერ დაკავებული იპრის ერთ-ერთი შემაღლებული ტერიტორიის ქვეშ გვირაბი გათხარეს და შემდეგ ეს მაღლობი ააფეთქეს. ამის მიუხედავად, 22 აპრილს გერმანელებმა შეუტიეს და ქიმიური იარაღიც (მომწამვლელი გაზი) გამოიყენეს. ეს არ იყო პირველი მცდელობა – მანამდე ქიმიური იარაღი რუსების წინააღმდეგ გამოიყენეს ზამთარში, მაგრამ სიცივის გამო მას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ამჯერად კი ეფექტი იმდენად გასაოცარი იყო, რომ მას გერმანელებიც არ ელოდნენ და ამიტომ წინსვლა და პოზიციების დაკავება ვერ მოასწრეს. მოყოლებული იქიდან, ქიმიურმა იარაღმა სიურპრიზის ძალა დაკარგა – მასთან გამკლავება დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა – საბოლოოდ მისი ეფექტი იქამდე დავიდა, რომ გერმანელებს კიდევ უფრო მეტად გაუფუჭა სახელი, რადგან ქიმიური იარაღის გამოყენებას ჰააგის კონვენცია გმობდა.

შეიძლება იმაზე დავა, რომელი უფრო დასაგმობი იყო – ქიმიური იარაღი (გერმანელთა სიახლე) თუ გვირაბის გათხრა და დანაღმვა (ინგ-

ლისელთა სიახლე), მაგრამ როგორც ცნობილია, ომში ყველანაირი ასაფეთქებელი მაინც დასაშვებად მიიჩნევა, მით უფრო, რომ გვირაბის გათხრაზე ჰააგის კონვენცია არაფერს ამბობდა. 25 აპრილს ფრენჩი საპასუხო შეტევაზე გადავიდა და 60 ათასამდე ინგლისელი, კანადელი და ინდოელი დაკარგა. ცხადია, უშედეგოდ (თუ შედეგად გერმანელთა 40 ათასიან დანაკარგს არ ჩავთვლით). თუკი არჩევანი სანგრების ომსა და ასეთ შეტევებს შორის უნდა გაკეთებულიყო, ცხადია, ისევ სანგრები ჯობდა მთელი თავისი თანმდევი „კომფორტით“ – დამომბვებით, სნაიპერების ტყვიებით, წვიმით, ტალახით, ტილებით, ვირთხებითა და ათასნაირი ავადმყოფობით. მაგრამ ისევ და ისევ ეს ძალიან ცოტას ესმოდა. არ ესმოდა კიჩნერსაც. „ეს ომი არ არის,“ – ამბობდა იგი გაოგნებული, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ეს არ იყო ის ომი, რომელიც იქამდე მას (და საერთოდ ვინმეს) ენახა ან გაეგო. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ იგი ხვდებოდა, როგორ უნდა ებრძოლა მის ჯარს ამ აქამდე არნახულარგაგონილ ომში.

25 აპრილსავე დაიწყო სრუტეებზე ახალი შეტევა. სანდერსი ოცნებობდა, რომ მისთვის რვა დღე მაინც მიეცათ, რათა თავდაცვისათვის რამენაირად მომზადებულიყო. საბოლოოდ მას თვეზე მეტი მისცეს და მომზადებაც შესაბამისად მოასწრო. მაგრამ ასევე შესაბამისად მომზადებულიყო ანტანტაც: 18 საბრძოლო ხომალდი, 29 დესტროიერი, 8 წყალქვეშა ნავი და 200 სატრანსპორტო ხომალდი 27 ათასი ინგლისელით, 30 ათასი ავსტრალიელითა და ახალზელანდიელით, 16 ათასი ფრანგით. ამ არნახული ძალის ექსპედიციას გალიპოლი უნდა აეღო (დიდი ნახევარკუნძული, რომელიც ევროპის მხრიდან აკრავს დარდანელის სრუტეს). სანდერსი მათ 84 ათასი კაცით ხვდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა, მოწინააღმდეგე სად გადმოსხდებოდა, მაინც წარმატებულად წარმართა დაცვა. იყო მომენტი, როცა გალიპოლის დაცემამდე თითქოს რამდენიმე საათიღა რჩებოდა, მაგრამ ამ დროს საქმეში ჩაერთო მაშინ ჯერ კიდევ შედარებით უცნობი ოფიცერი მუსტაფა ქემალი. აპრილის ბოლოსთვის ნახევარკუნძული კიდევ ერთ დიდ სასაკლაოდ გადაიქცა. მაისში კი გადაიზარდა იმაში, რაც ანტანტას ისედაც არ აკლდა – სანგრების დაუსრულებელ ომში, დაუსრულებელი შეტევებითა და უაზრო ორმხრივი მსხვერპლით. განიხილებოდა სრუტეების კვლავაც ფლოტის მეშვეობით ფორსირების საკითხი, მაგრამ ამაზე საუბარი მაშინვე დასრულდა, როცა დარდანელთან ერთ-ერთი საბრძოლო ხომალდი ჩაიძირა.

ჩერჩილი დამატებითი ძალების გაგზავნას მაინც აპირებდა, მაგრამ ამას პასუხად ადმირალიტეტში ხმაურიანი გადადგომები მოჰყვა. 25 მაისს საბრძოლო ხომალდები ჩაძირა გერმანულმა წყალქვეშა ნავმა და იმავე დღესვე თანამდებობა დაატოვებინეს ჩერჩილს. გარდა იმისა, რომ გალიპოლის კატასტროფას მას აბრალებდნენ, მისი გადაყენება კონსერვატორებმა მოითხოვეს (რომლებმაც ჩერჩილს მათი პარტიიდან ლიბერალებში „გადახტომა“ არ აპატიეს). სწორედ მაშინ ინგლისში კოალიციური მთავრობა შეიქმნა და ჩერჩილის თავი კონსერვატორთა მთავარი პირობა იყო კაბინეტში შესვლის სანაცვლოდ. კოალიცია მას შემდეგ შეიქმნა, როცა ფრენჩმა კიჩნერისათვის ძირის გამოთხრა მოინდომა (რადგანაც ომის მინისტრმა დასავლეთის ფრონტის ნაცვლად შეიარაღება გალიპოლიზე გაგზავნა) და სკანდალების თავიდან ასაცილებლად ესკუიტმა კონსერვატორებს უხმო.

ლონდონში უკვე ყველას ესმოდა, რომ ოპერაცია ჩავარდა. ფლოტს სასწრაფოდ დაახევინეს უკან, გალიპოლიზე მყოფ ჯარს კი იქაურობის აღების უნარი არ ჰქონდა. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ გალიპოლიზე მყოფი ჯარი ვერც წინ მიდიოდა და ვერც უკან – მისი გამოყვანა ალბათ კიდევ დიდ მსხვერპლს მოიტანდა. გარდა ამისა, შიშობდნენ, უკან დახევას ეგვიპტეში აჯანყება მოჰყვებოდა. მოკლედ, აჯობებდა ჯარი ადგილზე დარჩენილიყო. როდემდე დარჩენილიყო – ამაზე პასუხი არავის ჰქონდა.

9 მაისს ჟოფრმა ისევ არტუადან შეუტია. მას არ გამოეპარა გერმანელთა დასავლური ფრონტის შეთხელება და გული მოეცა. ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც უნდა დასრულებულიყო. ფრანგებმა ისეთი მსხვერპლი ნახეს, რომ პეტენმა (იგი არტუასთან კორპუსს მეთაურობდა) გაბედა და შეტევის კულტი დაგმო. ის ერთადერთი იყო, რომელიც დიდი ხნის წინ მიხვდა, რომ ახალ დიდ ომში შეტევას დიდი მსხვერპლის მეტი არაფერი მოჰქონდა და საბოლოოდ ის გაიმარჯვებდა, ვინც ძალებს უკეთ შეინარჩუნებდა. შეტევის კულტს, როგორც იქნა, ბზარი გაუჩნდა, პეტენის სახით კი გამოჩნდა ოფიცერი, რომელიც ხვდებოდა, როგორ უნდა ეომა იქამდე არნახულ ომში. მოყოლებული აქედან, დასავლეთის ფრონტზე შეტევებს ყველა შეეშვა და ზაფხულის ბოლომდე იქაურობა დამშვიდდა (თუკი ასე შეიძლება ეწოდოს სანგრების ზემოთ აღწერილ ყოფას).

რუსული კატასტროფა. აქტი 2

სანამ დასავლეთის ფრონტზე ჟოფრს შეტევის ხალისი თუ არა ძალა მაინც ელეოდა, აღმოსავლეთით გერმანელებმა სიურპრიზი მოამზადეს. ფალკენჰაინი კვლავაც იმ აზრზე იდგა, რომ რუსეთის დამარცხება შეუძლებელი იყო, მაგრამ სამაგიეროდ შეიძლებოდა, მისთვის ძლიერი დარტყმა მიეყენებინა და დროებით გაეთიშა მაინც, რის შემდეგაც გერმანია მთელ თავის ძალებს საფრანგეთზე მიმართავდა. ამიტომაც, როცა ფალკენჰაინს კონრადმა კიდევ ერთხელ მიმართა და აუხსნა, რომ გალიციაში რუსების ფრონტის გარღვევის შანსი არსებობდა, ამჯერად გენერალური შტაბის უფროსმა ეს იდეა აიტაცა. მან ავსტრიელებს სერიოზული

ძალები მიაშველა და 2 მაისს შეტევაც დაიწყო. მანამდე ჰინდენბურგის შენაერთი რუსების ყურადღების გაფანტვის მიზნით ბალტიისპირეთისკენ გაიჭრა და კურლანდია დაიკავა. ავსტრიულ-გერმანული იერიში წარმატებით ვითარდებოდა და რუსებმა მალე უკან დახევა დაიწყეს.

ასეთ ვითარებაში ყველას იტალია გაახსენდა. ამ უკანასკნელმა 26 აპრილის შეთანხმებით ვალდებულება აიღო, რომ ომში ერთი თვის განმავლობაში ჩაერთვებოდა. მაგრამ დრო გადიოდა და იტალიისგან არაფერი ისმოდა, არადა, რუსებს ახლა ნამდვილად სჭირდებოდათ დახმარება. საკმაოდ მალე დახმარებაც წამოვიდა და მან ყველა მოლოდინს გადააჭარბა – ოღონდ მხოლოდ კომიკურობით.

საქმე ისაა, რომ იტალიელთა მთავრობისათის ომში ჩაბმა იოლი საქმე არ იყო. ამას ეწინააღმდეგებოდნენ სოციალისტები და ასევე ეწინააღმდეგებოდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც ტრადიციულად ავსტრია-უნგრეთის იმპერიას უფრთხილდებოდა. 9 მაისს ავსტრიელებმა საკუთარ სიამაყეს გადააბიჯეს და იტალიას ტიროლის მიერთება და ტრიესტის ავტონომია შესთავაზეს. რომიდან ამას არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია და ამის შემხედვარე ბიულოვმა გადაწყვიტა, საქმის კურსში ნეიტრალიტეტის მომხრე პოლიტიკოსები ჩაეყენებინა. ამას სკანდალი და პარლამენტის მიერ მთავრობის გადაყენება მოჰყვა, მაგრამ ბიულოვის ტრიუმფმა ძალიან ცოტა ხანს გასტანა: საქმეში მაშინვე ჩაერთნენ ომის მომხრეები მომავალი დიქტატორის, ბენიტო მუსოლინისა და ნიცშეს თაყვანისმცემელი მწერლის, გაბრიელე დანუნციოს მეთაურობით. მათ პარლამენტის შენობაზე იერიში მიიტანეს, რის შედეგადაც მეფემ მთავრობის დათხოვნაზე უარი თქვა.

23 მაისს იტალიელებმა ავსტრია-უნგრეთს ომი გამოუცხადეს (გერმანიას, როგორც მისალოდნელი იყო, იგივე ვერ გაუბედეს). მაგრამ საომარი მოქმედებები მხოლოდ ერთი თვის შემდეგ წამოიწყეს და პირველივე ბრძოლაში უკუიქცნენ, იმის მიუხედავად, რომ მოწინააღმდეგეებზე სამჯერ მეტი ძალები ჰყავდათ. შემდეგ მაინც განაახლეს შეტევები და ისევ უშედეგოდ. წლის ბოლოსთვის 160 ათასი კაცი დაკარგეს და ვერც ვერაფერს მიაღწიეს. ასე დაიწყო ე.წ. ისონძოს (მდინარე იტალიისა და თანამედროვე სლოვენიის ტერიტორიაზე) ბრძოლების ეპოპეა, რომელიც 1917 წლის ბოლომდე უნდა გაგრძელებულიყო და განსაკუთრებული სიახლე არაფერი უნდა მოეტანა გარდა იმისა, რომ ორივე მხარემ არნახული უნიჭობითა და უნიათობით გამოიჩინა თავი და ჯარისკაცები სასაკლაოზე გაუშვა. თუმცა, ორივე ასპექტში უფრო მეტად ისევ იტალიელებმა „ისახელეს თავი“. მათ მეთაურობდა ლუიჯი კადორნა, რომელმაც არა მხოლოდ ასეულ ათასობით კაცი დაკარგა ბრძოლის ველზე, არამედ ათასამდე თავისი მეომარი დაახვრეტინა უკან დახევის გამო. საბოლოოდ მისმა ამ ზომებმა იტალიელთა ბრძოლისუნარიანობას ვერაფერი უშველა, კადორნა კი ისტორიაში ჯალათად შევიდა.

სანამ იტალიური კომედიის პირველი აქტი სრულდებოდა, გერმანელები აღმოსავლეთით ახალ დარტყმაზე ბჭობდნენ. ჰინდენბურგსა და ლუდენდორფს რუსებისათვის ჩრდილოეთიდან შემოვლა სურდათ, მაგრამ ფალკენჰაინი ამის წინააღმდეგი იყო და ვილჰელმმა გადაწყვიტა, გალიციაზე შეტევა გაეგრძელებინა, ოღონდ უკვე ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის ძალების დახმარებით. შეტევას 22 ივნისს ლემბერგის (ლვოვი) აღება და რუსების გალიციიდან განდევნა მოჰყვა. ეს საკმარისი აღმოჩნდა რუსეთში ახალი რევოლუციის პირველი ნაპერწკლისთვის. მოსკოვში დიდი დემონსტრაცია გაიმართა, რომელზეც რასპუტინის ჩამოხრჩობა და „გერმანელი დედოფლის“ ციხეში ჩასმა მოითხოვეს. ნიკოლოზის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან იქამდე უკვე მოახერხა და რასპუტინის ფავორიტი სუხომლინოვი თანამდებობიდან გადააყენა. ეს უკანასკნელი ალექსანდრ პოლივანოვმა შეცვალა, რომელმაც სამხედრო მრეწველობა ასე თუ ისე დაალაგა და დუმასთან თანამშრომლობაც კი დაიწყო, რითაც მაშინვე შეაძულა თავი „გერმანელ დედოფალს“.

მაგრამ ახალ მინისტრს ვითარების გამოსასწორებლად დრო სჭირდებოდა, რის ფუფუნებასაც გერმანელები არ იძლეოდნენ. ლუდენდორფს კვლავაც ჩრდილოეთიდან შემოვლა და რუსების ალყაში მოქცევა სურდა, მაგრამ ფალკენჰაინი პეტერბურგთან მოლაპარაკებებს ითხოვდა. მოლაპარაკებები ფარულად უკვე მიდიოდა კიდეც. ჯერ კიდევ თებერვალში ნიკოლოზს დაუკავშირდა რუსეთის სამეფო კარის ფრეილინა (რომელიც ამ დროს გერმანიაში იმყოფებოდა). მან იმპერატორს მისწერა, რომ გერმანელებიცა და ავსტრიელებიც მზად იყვნენ, მისთვის სრუტეები დაეთმოთ. მოგვიანებით ისიც მისწერა, რომ ინგლისელებს რუსების მოტყუება და სრუტეების „მეორე გიბრალტარად“ ქცევა ჰქონდათ ჩაფიქრებული. ნიკოლოზი წერილებს ყურადღებას არ აქცევდა. აპრილში ალექსანდრას (მის მეუღლეს) სამშვიდობო წერილით მისმა ძმამ, ჰესეს ჰერცოგმა მისწერა. მაისში კი უკვე იაგოვიც ჩაერთო საქმეში და იმავე ფრეილინას მეშვეობით ნიკოლოზს შეუთვალა, რომ ომი ორივე დინასტიას უდიდეს ხიფათს უქმნიდა (თუმცა ხიფათის მასშტაბზე იაგოვისნაირი გაქანების ადამიანს ძნელად თუ ექნებოდა რაიმე წარმოდგენა) და რომ ყველაფერი „მასონების“ წამოწყებული იყო, რომლებიც ბერლინისა და პეტერბურგის სამეფო კარებს ვერ იტანდნენ. მასონებზე საუბარი და შეთქმულების თეორიები ოდესღაც კარგად ჭრიდა ნიკოლოზის პაპის პაპაზე (იმპერატორ ალექსანდრე პირველზე), მაგრამ ამჯერად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

მოკლედ, ნიკი სეპარატულ მოლაპარაკებებზე არ მოდიოდა და ლუდენდორფისა და ფალკენჰაინის შემოთავაზებებს შორის ვილჰელმმა კომპრომისული ვარიანტი მიიღო – რუსების პოლონეთიდან განდევნა. 12 ივლისს შეტევის ახალი ფაზა დაიწყო. დიდი ჰერცოგი უმძიმეს დღეში იყო – მისი ჯარი გერმანელთა დაწოლას ვერ უძლებდა, მაგრამ პოლონეთის

დატოვებას მაინც ვერ ბედავდა. ევროპაში მისი ბასტიონიდან განდევნა რუსეთის პრესტიჟს უმძიმეს დარტმას მიაყენებდა. პეტერბურგში იმასაც შიშობდნენ, რომ ასეთი დანაკარგის მერე მათ აღარც სრუტეებს აღირსებდნენ. დიდმა ჰერცოგმა ფორტების იმედად წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტა, რაც, ცხადია, წინასწარ განწირული მცდელობა იყო, რადგან გერმანელებს საალყო ქვემეხების წყალობით უკვე პოლონურზე გაცილებით ძლიერი ფორტები ჰქონდათ განადგურებული. 5 აგვისტოს ვარშავა დაეცა და მალე რუსებმა პოლონეთი დაკარგეს, რომელიც ზუსტად ერთი საუკუნის წინ (ვენის კონგრესზე) „სამუდამოდ გადაეცათ“.

გერმანელები და ავსტრიელები ასიათასობით რუს ტყვეს იყვანდნენ (მთლიანობაში მილიონნახევარი აიყვანეს) და ამის საპასუხოდ რუსეთის მთავრობამ სასწრაფოდ გამოსცა დადგენილება, ტყვედ ჩავარდნილები გაეციმბირებინათ, მათი ოჯახებისათვის კი დახმარება მოეხსნათ. გერმანელებმა მალე კურლანდიიდანაც წაიწიეს წინ და ვილნო აიღეს. საფრთხე უკვე პეტერბურგსაც დაემუქრა, რომელსაც რუსებმა ომის დაწყებიდან მალე სახელი შეუცვალეს და პეტროგრადი დაარქვეს (რათა გერმანული ჟღერადობა მოეშორებინათ). მაგრამ ამის შემდეგ გერმანელების წინსვლა შეჩერდა. მათ წინსვლას და რუსების უკან დახევას პოლონეთში ნამდვილი ჰუმანიტარული კატასტროფა მოჰყვა. რუსებმა დაწვეს ბეღლები, გაანადგურეს პირუტყვი და შიმშილობისთვის გაწირეს ადგილობრივი მოსახლეობა, პირველ რიგში კი – ებრაელები, რომლებიც სახლებიდან გამოყარეს და ყველანაირი საკუთრება წაართვეს.

აგვისტოს ბოლოს ნიკიმ თავისი ცოლის გასახარად დიდი ჰერცოგი გადააყენა და შეიარაღებული ძალები თავად გადაიბარა. ეს გადაწყვეტილება ევროპაში ყველას გაუხარდა – ფრანგებისა და ინგლისელებისათვის ეს იმის ნიშანი იყო, რომ რუსეთი გერმანიასთან ბრძოლის გაგრძელებას ნამდვილად აპირებდა, გერმანელებსა და ავსტრიელებს კი ის გაუხარდათ, რომ რუსებს უნიათო და საცოდავი იმპერატორი უმეთაურებდა, ხოლო პეტროგრადში არც ისე ბედნიერები იყვნენ: ახლა დედაქალაქი ალექსანდრასა და რასპუტინს რჩებოდათ, რუსული ჯარის წარუმატებლობა კი ამიერიდან პირადად ნიკის დაბრალდებოდა, რაც რეჟიმს კიდევ უფრო მეტად შეურყევდა საფუძველს. ერთადერთი ის იყო სასიხარულო, რომ თავისი შტაბის უფროსად ნიკოლოზმა მიხეილ ალექსეევი დანიშნა – კარგი და გამოცდილი სამხედრო.

სხვა კატასტროფები

პოლონეთში ებრაელების ჰუმანიტარული კატასტროფა არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც 1915 წელს სომხებს დაატყდათ თურქეთში. „ახალგაზრდა თურქები“ დიდი ხანი იყო განტევების ვაცს ეძებდნენ და

იმპერიის არათურქი ერებისგან „გაწმენდაზე“ ოცნებობდნენ. ამისთვის მშვენიერი საბაბიც მიეცათ 1914 წლის მიწურულს, როცა რუსეთიდან სომხებით დაკომპლექტებული დივიზია თურქეთში შეიჭრა და 120 ათასი კაცი (თურქები და ქურთები, ანუ მუსლიმები) დახოცა. ამ საშინელ ქმედებას პასუხად ცხადია ასევე საშინელება მოჰყვა, ოღონდ უფრო მსხვილი მასშტაბის – თურქეთის მთავრობამ ჯერ ჯარში მომსახურე სომხები განაიარაღა (ომის დაწყების შემდეგ ბევრი მათგანი თავისი ნებით წავიდა ფრონტზე) და შემდეგ სომხურ მოსახლეობას დაერია. ნაწილი ადგილზე დახოცეს, დიდი ნაწილი კი სირიასა და მესოპოტამიაში გარეკეს და გზაში კიდევ უამრავი დაიხოცა. ორი წლის განმავლობაში ასეულ ათასობით სომეხი დაიღუპა.

სანამ ეს ხდებოდა, თურქები გალიპოლის გმირულად იცავდნენ. რუსეთის უკან დახევის შემდეგ ანტანტაში ხვდებოდნენ, რომ რაიმე გარღვევა იყო საჭირო. კიჩნერს კვლავაც იმედი ჰქონდა, რომ ეს სწორედ გალიპოლისთან მოხდებოდა. აგვისტოს დასაწყისში აქ მომხვდურებს დამატებითი ძალები მიუვიდათ, მაგრამ ქემალთან მაინც ვერაფერს გახდნენ. სექტემბრის დასაწყისში ანტანტას ახალი ცუდი სიურპრიზი ელოდა: ბულგარეთი მათ მოწინააღმდეგეთა ბანაკს შეუერთდა. ისევე როგორც იტალიის, ბულგარეთის მომავალი ორიენტაციაც თავიდანვე თითქმის გარკვეული იყო. მას მაკედონია სურდა, რომელიც ჯერ იყო ბერლინის კონგრესზე ააცალეს, შემდეგ კი სერბეთმა წაართვა. მაგრამ ანტანტა მას სწორედ რომ მაკედონიას არც ისე დამაჯერებლად ჰპირდებოდა (სერბეთს ამ მხარეს მხოლოდ მაშინ დაათმობინებდნენ, თუკი იგი ბოსნიას და კიდევ სხვა არაერთ მსუყე კომპენსაციას მიიღებდა). გერმანიას, ცხადია, ამ მხრივ არანაირი პრობლემა ჰქონდა. იგი ბულგარელებს მაკედონიის გარდა რუმინეთისა და საბერძნეთის ტერიტორიებსაც კი შეჰპირდა (იმ შემთხვევაში, თუ ეს ორი მის წინააღმდეგ ჩაერეოდა ომში), რაც იმას ნიშნავდა, რომ ბულგარელებს შანსი ჰქონდათ, 1913 წლის ზაფხულის გამო შური თითქმის ბოლომდე ეძიათ (მხოლოდ თურქეთზე ვერ იძიებდნენ შურს, რადგან ეს უკანასკნელი გერმანიის მოკავშირე იყო).

ანტანტასთვის გასაგები იყო, ეს ამბავი რასაც ნიშნავდა. სერბეთს ახალი დარტყმა ემუქრებოდა და მისი გადარჩენა იყო საჭირო. მაგრამ მანამდე ჟოფრმა კიდევ ერთხელ მოინდომა ომის სწრაფად დასრულება. 25 სექტემბერს მან შამპანიდან შეუტია. არტუადან ფოში გადავიდა იერიშზე, უფრო ჩრდილოეთიდან – ფრენჩი. შეტევა დიდი ძალებით ხორციელდებოდა, მაგრამ ფალკენჰაინმა აღმოსავლეთის ფრონტიდან რამდენიმე შენაერთის გადმოსროლა მოასწრო, რაც ტყვიამფრქვევებთან ერთად საკმარისზე მეტი აღმოჩნდა მომხვდურთა შესაჩერებლად. ჟოფრი პრესას ატყუებდა, რომ გერმანელები ფრანგებზე გაცილებით მეტს კარგავდნენ და შეტევის გაგრძელებას ბრძანებდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ პეტენი (რომელიც უკვე შამპანთან განლაგებულ მეორე

არმიას მეთაურობდა) მის ბრძანებებს უბრალოდ აღარ ასრულებდა. რაც შეეხება ფრენჩის შეტევას, მისი იერიში ცუდად დაიწყო და ცუდად დასრულდა. დაწყებისას მან ქიმიური იარაღის გამოყენება მოინდომა, მაგრამ ქარმა მიმართულება იცვალა და მისი ჯარი დაიწამლა. იერიშის დასრულებისას კი ფრენჩი გადააყენეს (თუმცა, ინგლისში დაბრუნების შემდეგ მას იპრის ვიკონტის ტიტული უბოძეს). მისგან განსხვავებით ჟოფრი კვლავ გადარჩა. შეტევა მხოლოდ ნოემბერში დასრულდა დაახლოებით იმავე სტატისტიკით, როგორც სრულდებოდა ძველი შეტევები.

სერბეთის ხსნა კი ამასობაში დაგვიანდა. ინგლისელები და ფრანგები 5 ოქტომბერს სალონიკაში გადასხდნენ (რასაც ადრე გეგმავდნენ), საიდანაც წესით ბალკანეთზე საჭირო პოზიცია უნდა დაეკავებინათ. საამისო თანხმობა მათ ვენიზელოსმა მისცა, რომელიც აგვისტოში კვლავ დაბრუნდა ხელისუფლებაში. ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიის ერთ-ერთი მეომარი მხარისათვის დათმობა სახუმარო საქმე არ იყო და ამიტომაც ვენიზელოსს ისევ მოუხდა გადადგომა.

ინგლისელებმა და ფრანგებმა კი, როგორც უკვე ვთქვით, სალონიკაში გადასხდომა დააგვიანეს. სერბეთი უკვე ორ ცეცხლს შუა იყო – მას ჯერ გერმანიამ დაარტყა, შემდეგ კი ბულგარეთმა. ამდენს უკვე სერბების ჯარიც ვეღარ გაუმკლავდებოდა და იგი ალბანეთისკენ გაიქცა, რათა ზღვიდან ეშველა თავისათვის. ჯარს სამოქალაქოებიც გაჰყვნენ და ალბანეთის მთებში მათ ყველას ჭეშმარიტად ბალკანური დახვედრა მოუწყვეს ძარცვით, ხოცვითა და დევნით. შედეგად ჯარის მხოლოდ ნაწილმა ჩააღწია სანაპირომდე, საიდანაც ისინი ინგლისელებმა კუნძულ კორფუზე გადაიყვანეს. სერბეთი უკვე დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე იდგა. 4.5-მილიონიანმა ქვეყანამ მარტო დაღუპული ჯარისკაცების სახით 120 ათასზე მეტი კაცი დაკარგა. ომის ბოლოსთვის მისი მთლიანი დანაკარგი ნახევარ მილიონამდე ავიდა. ამის შემყურე ბერძნებმა ომში ჩარევაზე უარი თქვეს, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი მათ კვიპროსს ჰპირდებოდა. საფრანგეთში კი მთავრობა დაეცა. რამდენიმე თვეში დაეცა სერბეთის „უმცროსი ძმა“ მონტენეგროც.

ანტანტას ახლა ერთი რამეღა დარჩენოდა – დამატებითი კატასტროფის თავიდან აცილება. საამისოდ კი გალიპოლის დატოვება იყო საჭირო. ნოემბერში ადგილობრივი ძალების მეთაურმა კიჩნერს მოახსენა, რომ ევაკუაციის დროს პირადი შემადგენლობის ნახევარი მაინც დაიხოცებოდა. კიჩნერმა მეთაური გადააყენა და გალიპოლისკენ გაეშურა, რა დროსაც იგი თავად ჩამოაქვეითეს. ესკუიტმა ომის კომიტეტის რეფორმირება მოახდინა და იქიდან ისიც და ჩერჩილიც გაუშვა. ჩერჩილი ამის საპასუხოდ მისთვის ნაჩუქარი გაურკვეველი თანამდებობიდან გადადგა და ფრონტზე მაიორის რანგში გაემგზავრა. დეკემბერში გალიპოლიდან გამოსვლის, უფრო სწორად კი, გამოპარვის ოპერაცია დაიწყო. ევაკუაცია სიბნელეში, თურქებისგან უჩუმრად ხორციელდებოდა და ვითარება

დღეითი დღე იძაბებოდა. რაც უფრო ცოტანი რჩებოდნენ გალიპოლიზე მიმხვედურნი, სულ უფრო იზრდებოდა შანსი, რომ თურქები ბოლოს და ბოლოს გამოფხიზლდებოდნენ და შეუტევდნენ მათ, მაშინ როცა მათი რიგები სულ უფრო და უფრო თხელდებოდა. 7 იანვარს ეს თითქმის მოხდა კიდეც. სანდერსმა შეტევა ბრძანა და გალიპოლიზე ჩარჩენილები ალბათ იქ სამუდამოდ დარჩებოდნენ, რომ მოულოდნელად თურქებმა შეტევაზე უარი განაცხადეს. ეს ალბათ იმიტომ, რომ მათთან ერთად ქემალი აღარ იყო (იგი სამკურნალოდ განაწესეს). სულ მალე გალიპოლიდან ყველანი გაიყვანეს. ლონდონსა და პარიზში მარნას შემდეგ კიდევ ერთხელ იწამეს სასწაულის – ევაკუაციას არამცთუ იქაური ჯარის ნახევარი, არამედ ერთი ჯარისკაციც კი არ ემსხვერპლა. 140 ათასი კაცი უვნებლად გამოვიდა.

ანტანტასთვის ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო. ინგლისელებს სულ უფრო და უფრო მეტი დამხმარე ძალა მოსდიოდათ დომინიონებიდან და ინდოეთიდან. 1916 წლის დასაწყისში მათ ჯარში გაწვევაც გამოაცხადეს, რაც უკვე ანტანტას სერიოზულ უპირატესობას მისცემდა. 1915 წლის დეკემბერში ჟოფრმა მოკავშირეთა სარდლებს უმასპინძლა – რუსებს, ინგლისელებს, იტალიელებს, ბელგიელებსა და იაპონელებს. ეს უკანასკნელნი 1914 წლის აგვისტოში შეუერთდნენ ანტანტას, თუმცა ომში დიდ მონაწილეობას ვერ (ან არ) იღებდნენ და ჩინეთის გერმანული კოლონიების მიტაცებითაც კმაყოფილდებოდნენ. შეხვედრაზე ყველა ოპტიმისტურად იყო განწყობილი – გერმანია წესით უკვე სერიოზულად იყო დასუსტებული და 1915 წელს ყველაფერი უნდა დასრულებულიყო. ამისათვის გარკვეული დრო იყო საჭირო – რუსეთი მიღებული დარტყმების შემდეგ გონს უნდა მოსულიყო, ინგლისი კიდევ მეტ ჯარისკაცს გამოიყვანდა ბრძოლის ველზე – და ზაფხულისათვის გერმანია ერთი მძლავრი შეტევის შედეგად დაეცემოდა. მთავარი იყო არ ეჩქარათ, დროხომ მათზე მუშაობდა. შეხვედრისას იმაზეც ისაუბრეს, რომ, თუკი რომელიმე მხარეს გაუჭირდებოდა, მოკავშირე მის საშველად სასწრაფოდ განახორციელებდა შეტევას მტერზე.

დეკემბერშივე პეტროგრადს ზემოთ ნახსენები ფრეილინა ეწვია, რომელმაც საზონოვის ნახვა მოახერხა და მას კვლავაც „გერმანულ-რუსულ ძმობაზე“ ჩამოუგდო საუბარი. ნიკოლოზი ამაზე განრისხდა, ფრეილინას ტიტული ჩამოართვა და რომელიღაც მიყრუებულ პროვინციაში გაასახლა. ნიკი-ვილის ეპოპეა ფაქტობრივად ამით დასრულდა. გერმანელებს არ ესმოდათ, რომ მათ არა მხოლოდ ინგლისელების ნდობა დაკარგეს. მათ რუსებს სანდერსის დანიშვნის სიმწარე არ აკმარეს, სრუტეები მიიტაცეს და ამას ზედ პოლონეთიც დაუმატეს. ამის შემდეგ უნიათო ნიკოლოზის გულის მოგებაც კი რთული იყო.

იმავე პერიოდში ფრანგებმა პრეტენზიები გამოთქვეს, რომ მათ მოკავშირეები უსამართლოდ ეპყრობოდნენ. რუსებს სრუტეები ჰქონდათ

დაბევებული, ინგლისელებს კი ეგვიპტე შემოემტკიცებინათ და ირანის
ნაწილსაც აკონტროლებდნენ. რაღაცა ფრანგებსაც უნდა მიეღოთ, მაგ
უმეტეს, ამის საშუალება არსებობდა – ისევ და ისევ თურქეთის ტერი
ტორიების სახით. ომის დროს მეომრები და საკვები ძვირდება, მაგრამ
კოლონიები იაფდება – მოკავშირის არგანაწყენებისათვის ლონდონმ
ფრანგების პრეტენზიები მიიღეს და რუსების თანხმობით მათ შორის
რამდენიმე თვეში გარიგება შედგა, რომელსაც საიკს-პიკოს შეთანხმება
ეწოდა (ინგლისელი და ფრანგი დიპლომატების, მარკ საიკსისა და ფრან
სუა ჟორჟ-პიკოს სახელების მიხედვით). ფრანგებს სირიას შეჰპირდნენ,
მაგრამ, ცხადია, სანაცვლოდ ინგლისმაც მიიღო დამატებითი კომპენ
საცია მესოპოტამიის სახით. რუსეთს ამაზე თანხმობის სანაცვლოდ
მოგვიანებით სომხეთისა და ქურთისტანის ტერიტორიებს შეჰპირდნენ.
ასე დაიწყო თურქეთის იმპერიის ნგრევის გაფორმება.

პატრიოტულ პლაკატზე გამოსახული
კიჩნერი (1850-1916)



აღმოსავლეთ ფრონტზე გერმანელთა
გამარჯვებების მთავარი
ხელისჩამდგმელი ჰოფმანი (1869-1927)

დიდი ჰერცოგი ნიკოლოზი (1856-1929)

ჰინდენბურგი (1847-1934) და
ლუდენდორფი (1865-1937)



ინგლისური სამხედრო ხომალდი
გალიპოლის უტევს



თურქების მომავალი ლიდერი
მუსტაფა ქემალი (1881-1938)

თავი 5. 1916

რა იყო ვერდენი

843 წელს კარლ დიდის სამი შვილიშვილი პაპის დანატოვარი იმპერიის გასაყოფად შეიკრიბა. იქამდე კაროლინგების მთელ იმპერიაზე უფლებას კარლის უფროსი შვილიშვილი ლოტარი იჩემებდა, მაგრამ ძმებმა მისი პრეტენზიები არ ცნეს და იგი ბრძოლაში დაამარცხეს კიდეც. ამის შემდეგ ლოტარი მოლაპარაკებას დათანხმდა და 843 წელს იმპერია გაიყო. ერთ-ერთ ძმას იმპერიის დასავლეთი ნაწილი ერგო, რომელიც შემდეგ საფრანგეთად იქცა, მეორემ იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი (პირობითად, მომავალი გერმანია) მიიღო. ლოტარმა კი მათ შორის მიწები დაისაკუთრა, რომელშიც შევიდა: ბელგია, ჰოლანდია, ელზასი, ლორენი, ბურგუნდია, პროვანსი, ჩრდილო იტალია. ამ მემკვიდრეობას მისი გამგებლის სახელის მიხედვით ლოტარინგია ეწოდა. ზომით იგი დანარჩენ ორს არანაირად არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ თავისი მდებარეობიდან გამომდინარე – ორ გიგანტს შორის იყო მოქცეული – ასეთი სახით დიდი დრო არ ეწერა და მისგან თანდათანობით არც არაფერი დარჩა გარდა სახელისა: ლოტარინგია. ასე გერმანელები უწოდებდნენ იმ მხარეს, რომელიც ფრანგულად ლორენადაა ცნობილი.

843 წელს კი იმპერიის გაყოფა შედგა ვერდენში, ლოტარინგიის (ლორენის) ლეგენდარულ ციხესიმაგრეში, რომელიც კეისარსა და ატილას მოესწრო. თავისი სახელი ჯერ კიდევ რომაელების დროს დაერქვა (ლათინურად „ვეროდუნუმ“ ძლიერ ფორტს ნიშნავს). ლოტარინგიის დასუსტების შემდეგ ვერდენი წმინდა რომის იმპერიამ მიიტაცა, მაგრამ მოგვიანებით ფრანგებმა იმარჯვეს და ვერდენზე მათი უფლება ვესტფალიის ზავით იქნა აღიარებული. ეს იმის წყალობითაც მოხდა, რომ 30-წლიან ომში ვერდენმა არნახულ ალყას გაუძლო. მალე ლუი მეთოთხმეტემ ვერდენი სანაქებოდ გაამაგრა, მაგრამ ამის მიუხედავად იგი შემდეგ ორჯერ აიღეს და ეს ორივეჯერ პრუსიელებმა მოახერხეს. პირველად ეს 1792 წელს მოხდა, როცა რევოლუციურ საფრანგეთს მთელი ევროპა ეომებოდა, მეორედ კი 1870 წლის ომის დროს. თუმცა, მაშინაც ვერდენი ყველაზე ბოლოს დაეცა და ამანაც განაპირობა ის, რომ იგი საფრანგეთს დარჩა. გერმანელებმა უფრო იოლად აიღეს ელზასის ციხესიმაგრე ბელფორი და იგი მხოლოდ პარიზში ტრიუმფალურად შესვლის უფლების სანაცვლოდ დათმეს. სამაგიეროდ, თითქმის მთელი დანარჩენი ელზასი და ლორენი მათ დაისაკუთრეს და ამით ფრანგები საშვილიშვილოდ გადაიმტერეს.

ფრანგების გადამტერებას ისიც დაემატა, რომ ვერაფრით ხერხდებოდა ელზას-ლორენის მოსახლეობის „გაგერმანელება“. ეს მათი ფრანგული იდენტობის გარდა იმის დამსახურებაც იყო, რომ ამ მხარეებს არანაირი ავტონომია არ მიეცათ (მაშინ როცა გერმანიის ბევრი მხარე საკმაოდ უართო თვითმმართველობის უფლებით სარგებლობდა) და ამის შედეგად ადგილობრივებში ფრანგული სულისკვეთება კიდევ უფრო გაღვივდა. ელზას-ლორენისათვის ავტონომიის მიცემაზე გერმანიის მთავრობაში მხოლოდ 1914 წლის აგვისტოში ალაპარაკდნენ (როცა ორ ფრონტზე ომის მძიმე პერსპექტივისგან თავის დაღწევაზე ფიქრობდნენ), მაგრამ საქმე ლაპარაკის იქით არ წასულა. მას შემდეგ, რაც აქაური მოსახლეობა ფრანგულ ჯარს ტაშით დახვდა, ბერლინში გადაწყვიტეს, ელზასისა და ლორენისათვის არა მხოლოდ ავტონომია არ მიეცათ, არამედ ისინი ომის შემდეგ ბავარიისა და პრუსიისათვის დაექვემდებარებინათ და ამგვარად დაესაჯათ. გარდა ამისა, ადგილობრივები ჯარშიც გაიწვიეს.

1914 წლის აგვისტო-სექტემბრის შეტევის დროს ვერდენმა უკვე გერმანელებსაც გაუძლო. ჟოფრს, მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ლიეჟისა და ნამურის აღება შეძლეს, ლეგენდარული ფორტის შენარჩუნების იმედი არ ჰქონდა და ამიტომ მისი დატოვების ბრძანებაც გასცა, მაგრამ ადგილობრივმა სარდლობამ ციხესიმაგრე არ დატოვა. ვერდენის, ტულის, ეპინალისა და ბელფორის ფორტები იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რის გამოც თავის დროზე შლიფენმა საფრანგეთზე ბელგიიდან დარტყმა გადაწყვიტა.

და, აი, 1916 წლის 21 თებერვალს ვერდენთან დაიწყო საარტილერიო დაბომბვა, რომლის მსგავსიც იქამდე კაცობრიობას არ ენახა. ფრანგი ჯარისკაცები ჭურვების ქვეშ არა უბრალოდ იჭრებოდნენ და იხოცებოდნენ, არამედ ქრებოდნენ. ეს იყო არა ჩვეულებრივი დაბომბვა და ხოცვა-ულეტა, ეს გახლდათ ენით აუწერელი შოკი და საშინელება, რომლითაც პირველმა მსოფლიო ომმა პიკს მიაღწია.

ეს იმიტომ რომ, სანამ ანტანტა 1915 წლის ბოლოს გერმანიის დამარცხების გეგმებს აწყობდა, გულხელდაკრეფილები არც ბერლინში ისხდნენ. აქ კარგად აცნობიერებდნენ, რომ დრო მათ წინააღმდეგ მუშაობდა და საჭირო იყო სერიოზული გარღვევა და გარდატეხა. ფალკენჰაინმა ვითარება გააანალიზა და დაასკვნა, რომ რუსეთს წესით პრობლემა ვეღარ უნდა შეექმნა და მასზე ძალების ხარჯვას აზრი არ ჰქონდა. უფრო მეტიც, ფალკენჰაინი ვარაუდობდა, რომ რუსეთს რევოლუცია ელოდა (ამ მხრივ ნამდვილად გამჭრიახობა გამოავლინა). ფალკენჰაინი უკვე იმასაც ხვდებოდა, რომ თავის დროზე შლიფენი შეცდა, როცა მიიჩნია, რომ საფრანგეთის დამარცხებაზე გაცილებით რთული რუსეთის დამარცხება იქნებოდა (და თავისი ცნობილი გეგმაც შესაბამისად შეადგინა), მაგრამ ამ შეცდომის გამოსწორება უკვე გვიანი იყო: გერმანელთა ძალების უდიდესი ნაწილი დასავლეთ ფრონტზე იდგა და იქ ერთდროულად

ფრანგებსა და ინგლისელებს ეომებოდა. ამიტომაც გარღვევა სწორედ აქ უნდა მომხდარიყო. მთავარი დარტყმა ფრანგებზე უნდა მიეტანათ, დარტყმა კი იმდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო, რომ ფრანგებს ომის გაგრძელების ყველანაირი ხალისი დაეკარგათ და მორალურად გატეხილიყვნენ. მაგრამ ამ დარტყმის საბოლოო სამიზნეს, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, არა საფრანგეთი, არამედ ინგლისი წარმოადგენდა. ვილჰელმისათვის უმთავრესი მტერი ინგლისი იყო, მისი ყოფილი მეფე, მისი გარდაცვლილი ბიძა. ნათესავებზე განაწყენებულ იმპერატორს მისი მრჩევლებიც ეთანხმებოდნენ. მათი აზრით, დასავლეთ ფრონტზე მთავარი პრობლემა სწორედ ინგლისი იყო, საფრანგეთი კი უბრალოდ „მის იარაღს“ წარმოადგენდა.

ინგლისისადმი ასეთ განწყობას ხელს ისიც უწყობდა, რომ ომის დაწყებისთანავე მისმა ფლოტმა გერმანიას სრული ბლოკადა მოუწყო. ლონდონმა საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევით მთელი ჩრდილოეთ ზღვა საომარ ზონად გამოაცხადა, სადაც ინგლისური ხომალდები ყველა (მათ შორის ნეიტრალურ) გემს აკავებდნენ, რათა მათ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთისათვის არაფერი მიეწოდებინათ. ამის საპასუხოდ გერმანელებმა საომარ ზონად გამოაცხადეს ბრიტანეთისა და ირლანდიის მომიჯნავე წყლები და იქ გააჩაღეს წყალქვეშა ნავებით ნადირობა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სავაჭრო გემებზეც. გერმანელები თავიდან წესებს იცავდნენ და შეტევის მიტანის წინ გემებს აფრთხილებდნენ, რათა მათ ევაკუაცია მოესწროთ, მაგრამ პასუხად ინგლისელებმა ეშმაკობას მიმართეს – სამხედრო ხომალდების სავაჭრო გემებად შენიღბვა დაიწყეს, რის წყალობითაც გერმანელთა წყალქვეშა ნავები გაფრთხილების პასუხად ცეცხლს იღებდნენ და იძირებოდნენ. ამაზე პასუხად გერმანელები შეტევის წინ გაფრთხილებებს შეეშვნენ, რის შედეგადაც მათმა რეპუტაციამ დამატებითი დარტყმა მიიღო – წყალქვეშა ნავები, ქიმიური იარაღისა არ იყოს, უსამართლო იარაღად ითვლებოდა, მით უმეტეს როცა შეტევები უკვე გაფრთხილების გარეშე ხორციელდებოდა.

მაგრამ რეპუტაციის შელახვა პრობლემის მხოლოდ ნაწილი იყო. გერმანელთა სამიზნე გემებში ამერიკული ხომალდებიც ხვდებოდნენ. ინგლისური ბლოკადის გამო ომის დაწყების შემდეგ ამერიკის ვაჭრობა გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან, ცხადია, დაეცა, ანტანტასთან კი მკვეთრად გაიზარდა. ინგლისს დამოუკიდებლად თავის გამოკვება უჭირდა და ამიტომაც ამერიკიდან იმპორტზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული. გერმანელ სამხედროებს ხელები ექავებოდათ, რათა წყალქვეშა ნავებით ინგლისისათვის იმპორტი გადაეკეტათ (მისთვის სხვა ზიანის მიყენება შეუძლებელი იყო), მაგრამ 1915 წლის მაისში წყალქვეშა ომს ემსხვერპლა მსოფლიოში უდიდესი, ინგლისური სამოქალაქო ხომალდი „ლუსიტანია“, რომელზეც ამერიკის არაერთი მოქალაქე იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში გერმანიის საელჩო იქაურებს აფრთხ-

ილებდა, „ლუსიტანიით“ მგზავრობა უსაფრთხო არ იქნებაო და მიუხედავად იმისა, რომ ხომალდს ინგლისში ამერიკული იარაღი მიჰქონდა, მის ჩაძირვას ვაშინგტონის მხრიდან სასტიკი პროტესტი მოჰყვა. გერმანიის მთავრობაში ყველაზე საღად მოაზროვნე ბეტმანი მიხვდა, რომ ამერიკის გადაკიდება უკვე მეტისმეტი იქნებოდა და ვილჰელმს წყალქვეშა ომის შეწყვეტა ჩააგონა. იმპერატორი დათანხმდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ტირპიცი საწინააღმდეგოსკენ აგულიანდებდა. ეს უკანასკნელი ირწმუნებოდა, რომ ინგლისისათვის ტოტალური წყალქვეშა ომის გამოცხადების შემთხვევაში მას ორ თვეში დააჩოქებდნენ (ამ ხნის განმავლობაში კი ამერიკა რომც ჩარეულიყო, კონტინენტზე ჯარის გადმოსხმას მაინც ვერ მოახერხებდა). ეს იდეა მაცდუნებლად ჟღერდა და ფალკენჰაინის მხარდაჭერითაც სარგებლობდა, მაგრამ ვილჰელმმა არ გარისკა.

რადგანაც ამერიკის ომში ჩარევის შიშით ინგლისის წყალქვეშა ნავებით დაჩოქების გეგმაზე უარი ითქვა, მისი მოტეხის მხოლოდ ერთი გზა რჩებოდა – საფრანგეთზე საშინელი დარტყმა და ამგვარად ლონდონის დარწმუნება იმაში, რომ ომის გაგრძელებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. დარტყმის მიმართულებად ვერდენი ძირითადად ორი მიზეზის გამო შეირჩა – ჯერ ერთი, რომ ეს ფორტი გერმანელთა ფრონტის ხაზში იყო შეჭრილი; მეორეც, ვერდენთან განლაგებული იყო გერმანელთა მეხუთე არმია, რომელსაც კრონ-პრინცი ვილჰელმი მეთაურობდა. ამ უკანასკნელთან ფალკენჰაინს კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა და ეს ფაქტორი მარჯვედ გამოიყენა იმისათვის, რათა იმპერატორი თავის გეგმაზე დაეყოლიებინა. შვილი ფრონტს გაარღვევდა, მამა კი თავის ერთ-ერთ საუკეთესო მუნდირში გამოწყობილი საზეიმოდ შეაჭენებდა ლეგენდარულ ფორტში. ამაზე უკეთესს ვილისნაირი ადამიანი ნამდვილად ვერაფერს ინატრებდა. მიუხედავად იმისა, რომ თავის ვაჟთან და სეხნიასთან მუდამ საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

მაგრამ სინამდვილეში ფალკენჰაინს ვერდენის აღება სულაც არ ჰქონდა ჩაფიქრებული. მისი მიზანი, როგორც ვთქვით, ფრანგების მორალურად გატეხა იყო. საამისოდ კი მას იმდენად ვერდენის მიტაცება კი არ უნდოდა, რამდენადაც ფრანგებისათვის საშინელი ზარალის მიყენება, იმდენად საშინელის, რომ მათ ომის ხალისი დაკარგვოდათ. ფალკენჰაინს ეოფრის „იმედი“ ჰქონდა – ვარაუდობდა, რომ ფრანგების მთავარსარდალი ვერდენის დასაცავად დაუნანებლად გასწირავდა ათიათასობით თავის ჯარისკაცს. გერმანელები მხოლოდ დაბომბავდნენ და მოჩვენებითად შეუტევდნენ, რითაც ფრანგებს ბრძოლაში გამოიწვევდნენ და მათ მუსრს გაავლებდნენ. ამის შემდეგ ვერდენის აღებაც არ იყო გამორიცხული. ბოლოს და ბოლოს გერმანელებმა ეს უკვე ორჯერ მოახერხეს.

სწორედ ამ გათვლებით დაიწყო პირველი მსოფლიო იმის ყველაზე საშინელი ბრძოლა.

სომამდე

ვერდენი კატასტროფა იყო, რომელმაც მხოლოდ დროებით გადაავადა მეორე კატასტროფა – ბრძოლა სომასთან (მდინარე პიკარდიაში), რომელსაც ანტანტა გეგმავდა. სომასთან შეტევისათვის საგულდაგულო მზადება მიმდინარეობდა, მაგრამ ვერდენმა ყველაფერი ჩაშალა. სომასათვის გამზადებული ფრანგული შენაერთები სასწრაფოდ ვერდენისკენ გადაისროლეს, ვერდენის დაცვა კი პეტენს მიანდეს, რომელსაც ზუსტად იმ დღეებში ფილტვების ანთება დაემართა, მაგრამ, ამის მიუხედავად საქმეს არ გარიდებია. პეტენი კარგად ხვდებოდა, რომ ვერდენი ფრანგების დიდ სასაკლაოდ უნდა ქცეულიყო და მზად იყო, საერთოდ გასცლოდა იქაურობას. ამის შემდეგ გერმანელები ლეგენდარულ ფორტს კი დაეპატრონებოდნენ, მაგრამ ეს სიმბოლური და ტაქტიკური გამარჯვება უფრო იქნებოდა, რადგან ვერდენიდან წინ წაწევა გერმანელებს ძალიან გაუჭირდებოდათ – ამისათვის მათ ძალები არ ეყოფოდათ. ფრანგები მხოლოდ ერთ რამეს დაკარგავდნენ – ვერდენის მხრიდან ვერ შეუტევდნენ. მაგრამ ამას ისინი ისედაც არ აპირებდნენ.

მაგრამ ვერდენის დაკარგვისათვის არც ჟოფრი, არც საფრანგეთის მთავრობა და არც ფრანგული საზოგადოებრივი აზრი არ იყო მზად და პეტენიც თავდაცვაში ჩადგა. იგი როტაციას შეუდგა – ფორტის დამცველებს პერიოდულად ცვლიდა – გერმანელთა დაბომბვას გადარჩენილ, მაგრამ დაბომბვისგან შოკირებულ და ფსიქოლოგიურად განადგურებულ მეომრებს ახლები ანაცვლებდნენ. ამის წყალობით მეომრები გონს მოდიოდნენ და რაღაც პერიოდის შემდეგ მათი ბრძოლაში გადასროლა ისევ შესაძლებელი ხდებოდა. მათი შემცვლელები კი მედგრად იდგნენ და, დიდი მსხვერპლის მიუხედავად, გერმანელებს არნახულ წინააღმდეგობას უწევდნენ. დამცველთა შორის იყო საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტი და მისი უდიდესი ლიდერი, შარლ დე გოლი, რომელიც იქ მესამედ დაიჭრა ომის დაწყების შემდეგ, გაზით მოიწამლა და ტყვედაც ჩავარდა. მიუხედავად იმისა, რომ ხუთჯერ სცადა გაქცევა, საბოლოოდ მან თითქმის სამი წელი (ომის დასასრულამდე) გაატარა ტყვეობაში. ვერდენთან თავი გამოიჩინა ერთ დროს გერმანელთა ჯაშუშად შერაცხულმა დრეიფუსმაც.

ვილი თავის ვაჟთან ერთად ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა და ვერდენში ტრიუმფით შესვლისათვის ემზადებოდა. მან ნაკლებად უწყოდა ფალკენჰაინის გეგმის შესახებ, რომლის მიხედვითაც ვერდენის აღება მეორეხარისხოვანი მიზანი იყო. თუმცა, აშკარა ხდებოდა, რომ გერმანელებს სურვილის შემთხვევაში ამ მეორეხარისხოვანი მიზნის განხორციელება ძალიან გაუჭირდებოდათ – ფრანგები იხოცებოდნენ, მაგრამ ფეხს არ იცვლიდნენ. ეს იმის მიუხედავად, რომ იმ პერიოდისათვის გერმანელებმა გაუმჯობესებული თვითმფრინავები გამოუშვეს და

ჰაერში, ვერდენის თავზე, დიდი უპირატესობა მოიპოვეს. 27 თებერვალს ვილის ლოდინი მობეზრდა და ფრონტი მიატოვა. ამის მიუხედავად, ფალკენჰაინი უკმაყოფილო ნამდვილად არ იყო – ფრანგები იხოცებოდნენ. მართალია, არა იმ რაოდენობით, რამდენსაც იგი იმედოვნებდა (პეტენის დანიშვნამ გერმანელთა გეგმები საგრძნობლად აურია), მაგრამ გერმანელებზე დიდი მსხვერპლი ნამდვილად ჰქონდათ. 29 თებერვალს ფალკენჰაინმა კრონ-პრინცთან ერთად ვითარება შეაფასა. მას შეეძლო ბრძოლა შეეწყვიტა – ფრანგების ზარალი უკვე ძალიან დიდი იყო და ასევე დიდი იყო შოკიც. მაგრამ ფრანგების მორალურად გატეხვისთვის ეს ჯერ არ კმაროდა. მიზნის ბოლომდე მისაღწევად შეტევა უნდა გაეგრძელებინათ.

და აქ გერმანელებმა ფრანგებსაც და საკუთარ თავსაც განაჩენი გამოუტანეს – ისევ უნდა შეეტიათ. შეტევა მხოლოდ მაშინ დასრულდებოდა, როცა გერმანელთა დანაკარგები ფრანგების დანაკარგებს გაუტოლდებოდა. ვერდენის აღება კვლავაც მეორეხარისხოვან მიზნად დარჩებოდა.

ფალკენჰაინი ერთ რამეს ვერ ითვალისწინებდა – ომში ვერასდროს გეცოდინება მეორეხარისხოვანი მიზანი როდის გადაიზრდება პირველხარისხოვანში. არასოდეს იცი, სად სრულდება მოწინააღმდეგის შეტყუება და სად იწყება შენი ჯარისკაცების სასაკლაო. პირველხარისხოვანი მიზანი შეიძლება მოწინააღმდეგის ჯარისკაცების სასაკლაო იყოს, მაგრამ ამის განხორციელებას საბოლოოდ შეიძლება საკუთარი ჯარისკაცების სასაკლაო დასჭირდეს. როცა ამას აღმოაჩენ, შეიძლება უკვე ძალიან გვიანი იყოს.

შეტევა გაგრძელდა. პეტენის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ფრანგებს მაინც ძალიან უჭირდათ. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მათ ერთადერთი რამ თუ უშველიდათ – რუსების შეტევა და გერმანელთა ყურადღების აღმოსავლეთ ფრონტზე გადატანა. პალეოლოგსაც კიდევ ერთხელ დაევალა, მოკავშირისგან სასწრაფო შველა ეთხოვა.

რუსები, ყველასდა მოულოდნელად, საფრანგეთს არა მხოლოდ შველას დაპირდნენ, არამედ მაშინვე დიდი შეტევისათვის მზადება დაიწყეს. იმ დროისათვის დიდმა ჰერცოგმა თურქეთთან ომში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია, რაც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რათა ნიკოლოზს გამარჯვების რწმენა დაჰბრუნებოდა. გათამამებულმა რუსებმა გადაწყვიტეს, პირდაპირ გერმანელებისათვის შეეტიათ და 18 მარტს ვილნოსთან მიიტანეს იერიში, მაგრამ გერმანელები თურქები ნამდვილად არ იყვნენ. შეტევა საბოლოოდ კრახით დასრულდა და რუსებმა თითქმის მთლიანად დაკარგეს ერთი არმია. მაგრამ მათ არმიები მაინც არ ელეოდათ. გარდა ამისა, მართალია გერმანელთა ძლევა არაფრით არ ხერხდებოდა, მაგრამ გერმანელებს სუსტი ადგილი ჰქონდათ მათი მოკავშირე ავსტრია-უნგრეთის სახით.

ამასობაში გერმანელები თავად ეფლობოდნენ ვერდენის ჭაობში. ფრანგებთან ერთად ისინიც იხოცებოდნენ და ასეთ ვითარებაში უკვე რაიმე წინსვლაზე ფიქრი იყო საჭირო. მაგრამ წინსვლა არაფრით ხერხდებოდა. მარტში გერმანელებმა ერთი სიმაგრის აღება მოახერხეს, მაგრამ სიმაგრე აფეთქდა. სასწაულებრივად გადარჩენილი და ნანგრევებიდან გამომძვრალი რამდენიმე ათეული გერმანელი ჯარისკაცი კი მათივე თანამემამულეებმა იქვე ჩახოცეს – გადარჩენილები ისე იყვნენ გამურულები, რომ ისინი შავკანიანები ეგონათ, შავკანიანი მეომრები კი მხოლოდ ფრანგებს ჰყავდათ კოლონიური ჯარის სახით. მთლიანობაში პეტენი ბრწყინვალედ იცავდა ვერდენს და რამდენიმე კვირაში ახალ ეროვნულ გმირად იქცა. ამან ცხადია ჟოფრში ეჭვიანობა გააღვიძა, მით უმეტეს, რომ პეტენი შეტევის კულტს არაფრად აგდებდა და დაცვაში იდგა. მოთმინებიდან გამოსულმა ჟოფრმა ბოლოს და ბოლოს თავის გენერალს იერიშზე გადასვლა უბრძანა და აქ ფრანგები ახალი უაზრო მსხვერპლისგან გერმანელებმა იხსნეს, რომლებმაც აპრილის დასაწყისში თავად შეუტიეს და საშინელი მსხვერპლი ნახეს. კრონ-პრინცი ვილჰელმი, მამისგან განსხვავებით მშვიდი და საღად მოაზროვნე ადამიანი, უკვე ხვდებოდა, ვერდენს კარგი არაფერი მოჰქონდა, მაგრამ მას ნაკლებად უსმენდნენ. ვილის თავისი მემკვიდრე, როგორც უკვე ვთქვით, დიდად არ უყვარდა. ფალკენჰაინი კი უკვე უკან ვეღარ იხევდა – მან ყველაფერი ვერდენზე დადო და გამოსვლა უკვე გვიანი იყო. გენერალური შტაბის უფროსი იმპერატორს არწმუნებდა, ფრანგები ჩვენზე გაცილებით მეტს კარგავენო, რაც უკვე აღარ იყო მართალი – ვერდენი პირველი შემთხვევა იყო დიდ ომში, როცა გერმანელთა დანაკარგები ფრანგებისას გაუტოლდა.

მოკლედ, ერთი შეხედვით ფრანგებისათვის ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ აქ საქმეში ჟოფრი ჩაერია. მან პეტენი ვერდენს მოაშორა, რისთვისაც გენერლის დაწინაურება მოუხდა (მას მთელი ცენტრალური ფრონტი ჩააბარა). ვერდენის დაცვა ჟოფრმა რობერ ნიველს მიანდო, შეტევის კულტის ერთ-ერთ ყველაზე მხურვალე ტრფიალს ფრანგულ სარდლობაში. ეს ფრანგებისათვის ათიათასობით ახალ დანაკარგს ნიშნავდა. ჟოფრმა გერმანელებს ბოლომდე მაინც „არ გაუცრუა იმედი“.

საკადრო ცვლილებები ხდებოდა რუსეთშიც. ნიკოლოზმა უნარიანი პოლივანოვი გადააყენა. ამის მიზეზად მინისტრის რასპუტინთან დაპირისპირება იქცა, რომელმაც თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ავტომობილები „იჩუქა“. დედოფალი ალექსანდრა კმაყოფილი იყო და ასევე კმაყოფილნი იყვნენ მისი თანამემამულეები გერმანიაში. მათ არც ნიკიმ „არ გაუცრუა იმედი“. 28 აპრილს ლუდენდორფი იერიშზე გადავიდა და მტერს თანდათანობით უკან დაახევინა. 15 მაისს იტალიელებს შეუტია კონრადმა. მას მობეზრდა, რომ გერმანელები არაფრის საქმის კურსში არ აყენებდნენ და რომ ფალკენჰაინი მას თითქმის ყველაფერზე უარს

ეუბნებოდა. ამიტომ ახლა მან ინიციატივა ხელში აიღო, გალიციიდან შენაერთები მოხსნა და იტალიელებს დაარტყა, ოღონდ არა ისონძოსთან, არამედ ტრენტინოს მიმართულებიდან. მართალია, შეტევა არც ისე კარგად იყო მომზადებული და თავად კონრადი ამ დროს ბრძოლის ველზე არც იმყოფებოდა, მაგრამ იტალიელებისათის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ავსტრიელებმა რამდენიმე ასეულ ათასობით კაცი დაატყვევეს და წინ წაიწიეს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი. შეტევის კულტის ტრფიალმა ნიველმა 22 მაისს ვერდენთან შეტევა გადაწყვიტა და საბოლოოდ 50 ათას კაცზე მეტი დაკარგა. დანაკარგი პირველი მსოფლიო ომის მასშტაბებითაც კი საშინელი იყო. ასეთ პირობებში სომასთან შეტევაზე ფიქრისათვის პარიზში ნამდვილად აღარ სცხელოდათ.

31 მაისს შედგა პირველი მსოფლიო ომის ერთადერთი სერიოზული შეტაკება ზღვაზე, ე.წ. იუტლანდიის (დანია) ბრძოლა. ინგლისელთა ფლოტილია გერმანელებს შეეტაკა და მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა ნაკლები დანაკარგი ნახეს, ბრძოლამ ვერაფერი შეცვალა. გერმანული ფლოტი ამის შემდეგაც თავის დოკებში ჩაკეტილი რჩებოდა, გერმანია კი – ზღვიდან ბლოკირებული.

მაგრამ ხმელეთზე გერმანელებს ბადალი მაინც არ ჰყავდათ. იმ დღეებში გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მათ, როგორც იქნა, ვერდენთან წინ წაიწიეს. ლეგენდარული ფორტი განწირული ჩანდა და მასთან ერთად განწირული ჩანდა ფრანგების მორალიც.

მაგრამ 4 მარტს დაიწყო ის, რასაც გერმანელები უკვე ნამდვილად აღარ ელოდნენ. რუსეთმა გაისროლა, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი გასროლა. პოლივანოვის გაშვების პარალელურად ნიკოლოზმა ერთი ხეირიანი გადაწყვეტილება მიიღო – ავსტრიული ფრონტი ბრუსილოვს ჩააბარა. ამ უკანასკნელმა მოსამზადებელი სამუშაოები უმოკლეს დროში დაასრულა და მტერს საშინელი ძალით დაარტყა. დარტყმა მთელ ფრონტზე ხორციელდებოდა – რუსების უნიჭიერესი გენერალი ვარაუდობდა, რომ ამგვარი გზით იგი სუსტ ადგილებს მიაგნებდა და შემდეგ სწორედ იქ გააგრძელებდა დაწოლას. ალექსეევიც კი, რომელსაც ბრუსილოვის ტალანტისა სჯეროდა, ფიქრობდა, რომ საჭირო იყო დარტყმა ერთ კონკრეტულ ადგილას მიემართათ (როგორც ამას აკეთებდა ჩვეულებრივად ყველა), მაგრამ ბრუსილოვმა თავისი გაიტანა და შედეგსაც მიაღწია. მისმა სიახლემ მტერი გააოგნა, მით უმეტეს, რომ სუსტი ადგილები ავსტრიელთა ფრონტზე საკმარისზე მეტი აღმოჩნდა (იმის გათვალისწინებით, რომ კონრადმა რამდენიმე შენაერთი იტალიისკენ გადაისროლა) და მათი ორი არმია რამდენიმე დღეში მთლიანად დაიშალა. გადარჩენილებმა კარპატებისკენ იწყეს დახევა. პირწმინდა განადგურებისგან ისინი იმან გადაარჩინა, რომ რუსებმა გერმანული ფრონტიდან არ მიაშველეს ბრუსილოვს ძალები. კონრადი, რომელიც ავსტრიელ დიდებულებთან ერთად დროს ახალი ერჰერცოგის დაბადე-

ბას აღნიშნავდა, ბერლინში გაიქცა, შველა რომ ეთხოვა. ფალკენჰაინს რამდენადაც არ ეზიზღებოდა კონრადი, იძულებული გახდა გალიციაში რუსებზე შეტევა დაეწყო და დასავლეთიდან შენაერთები გადმოესროლა. იმ დროისათვის ავსტრიელებმა უკვე იტალიის ფრონტზეც წაიფორხილეს და მათი საქმე მართლაც მძიმედ იყო.

ბრუსილოვის გარღვევა პირველ დღეებში მართლაც რომ თავბრუდამხვევად მიდიოდა, მაგრამ მალე თანდათანობით შენელდა და ტემპი დაკარგა. პოლივანოვის გაშვების შემდეგ რუსული სამხედრო მრეწველობა ისევ უნიათობამ და კორუფციამ მოიცვა. რუსების გრანდიოზული შეტევა მათი ყოველდღიური, ბანალური პრობლემების გამო უნდა ჩავარდნილიყო – ისევე, როგორც ემართება ყველა გრანდიოზულ რუსულ პროექტს. ივლისში კი ნიკოლოზმა პოლივანოვის გაშვებას კიდევ ერთი სისულელე დაუმატა: მან საზონოვი გადააყენა. ეს იმიტომ, რომ საგარეო მინისტრი პოლონეთისათვის ავტონომიის იდეის მიცემით გამოვიდა. იდეა ცარიელ ადგილას არ გაჩენილა – საზონოვმა კარგად იცოდა, რომ საფრანგეთსა და ინგლისში პოლონელი ხალხის თავისუფლების იდეას ლამის ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ეთამაშებოდნენ. ეს ძირითადად იმიტომ, რომ ანტანტა საკუთარ თავს თავისუფლების ბურჯად აცხადებდა, რომელიც გერმანულ და ავსტრიულ ტირანიებს ებრძოდა. რუსეთი თავისუფლების ბურჯის იმიჯში საკმაოდ ცუდად ჯდებოდა, მით უმეტეს, პოლონეთის გამო. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა და რაც უფრო იზრდებოდა მსხვერპლი, ფრანგებსა და ინგლისელებს სულ უფრო და უფრო მეტად სჭირდებოდათ თავიანთი მოსახლეობის დასარაზმად „თავისუფლების, დემოკრატიისა და პატარა ერების გათავისუფლებაზე“ საუბარი და საზონოვმაც საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ჯობდა რუსეთს მოკავშირეებისათვის დაესწრო და თავად მიეცა პოლონეთისათვის ავტონომია. მაგრამ ნიკოლოზი ამ იდეას აღტაცებით არ შეხვდა და საზონოვი დაითხოვა. მისი თანამდებობა პრემიერ-მინისტრმა ბორის შტურმერმა შეითავსა, რომელიც, ცხადია, რასპუტინთან იყო ახლოს და ძირითადად მლიქვნელობაში თუ ვარგოდა. მან საზონოვის წამოწყება სასტიკად გააპროტესტა და განაცხადა, რომ რუსეთმა საკმარისი მსხვერპლი გაიღო იმისათვის, რათა მოკავშირეებს მისთვის პოლონეთი არ შეეხსენებინათ. ნიკოლოზს ეს ნათქვამი ისე მოეწონა, რომ შტურმერს საგარეო მინისტრობაც უბოძა.

ამ საკადრო ცვლილებამ ინგლისელები და ფრანგები სერიოზულად დააფრთხო. გერმანული გვარის პოლიტიკოსის საგარეო მინისტრად დანიშვნა შესაძლოა იმის ნიშანი ყოფილიყო, რომ რუსები გერმანიასთან მორიგებაზე ფიქრობდნენ. მაგრამ სინამდვილეში ნიკოლოზს მსგავსი აზრი თავში არც მოსვლია, თუმცა, ასევე არ უფიქრია, რომ ასეთი გვარის მქონე კაცის ჯერ პრემიერ-მინისტრად და შემდეგ კიდევ საგარეო მინისტრად დანიშვნა გერმანიასთან ომის მსვლელობის დროს სერიოზული

წინდაუხედაობა იყო. ინგლისელები და ფრანგები მალე დარწმუნდნენ იმაში, რომ პეტროგრადი საგარეო პოლიტიკას არ ცვლიდა და კვლავ პეტერბურგად გადაკეთებას არ აპირებდა, მაგრამ თავად რუსეთის მოსახლეობაში შტურმერის დანიშვნამ დამატებითი უკმაყოფილება გამოიწვია და ამგვარად, რევოლუციისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა.

მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ იყო გარკვეული დრო დარჩენილი და ბრუსილოვის გარღვევაც ინერციით კარგად მიდიოდა, რაც გერმანელთა ვერდენზე დაწოლას პრობლემებს უქმნიდა. ივნისის ბოლოს გერმანელებმა კიდევ უფრო წაიწიეს წინ, რამაც ფრანგები იმდენად დააფრთხო, რომ ინგლისელებს სთხოვეს მათ რაც შეიძლებოდა სწრაფად შეეტიათ სომასთან. საექსპედიციო ძალების ახალი სარდალი დაგლას ჰეიგი დათანხმდა და მალე ინგლისელთა არტილერიამ ცეცხლი გახსნა, 1 ივლისს კი ისინი შეტევაზეც გადავიდნენ. ასე დაიწყო სომა. ასე გაერთიანდა ორი დიდი კატასტროფა.

სანამ ეს ყველაფერი ხდებოდა, ფრანგებს გარდაეცვალათ მარნას ნამდვილი გმირი, გალიენი, რომელსაც ჯანმრთელობა სერიოზულად ჰქონდა შერყეული. ინგლისელებმა კი დაკარგეს კიჩნერი. იგი კრეისერში იმყოფებოდა, რომელიც ბრიტანეთის სანაპიროსთან ნაღმზე აფეთქდა. ლეგენდარული ოფიცერი ომის მინისტრის პოსტზე ლოიდ-ჯორჯმა შეცვალა, რომელმაც უკვე იქამდე შეიარაღებათა მინისტრის პოსტზე მუშაობა მოასწრო და სამხედრო მრეწველობა კარგად აამუშავა. თუკი 1914 წლის აგვისტოში ლოიდ-ჯორჯი ომში ჩარევისგან ყველანაირად ფეხს ითრევდა, ახლა იგი ერთ-ერთ წამყვან ძალად იყო ქცეული და გერმანიისათვის ჭკუის სწავლებას ითხოვდა.

ორმხრივი თვითმკვლელობა

ლოიდ-ჯორჯის წყალობით ინგლისელებს სომასთვის ჭურვები და ტყვია-წამალი არ აკლდათ, კიჩნერის წყალობით კი ცოცხალი ძალა – განწვევის შედეგად მათ ფრონტზე ნახევარი მილიონი კაცი ჰყავდათ. სომასთან მათ სატელეფონო ხაზები დაფლეს და სასმელი წყლის მილიც კი გაიყვანეს. პარალელურად ისინი ტრადიციულად გერმანელთა პოზიციების ქვემოთ გვირაბებს თხრიდნენ და ნაღმავდნენ. ინგლისელთა სამხრეთით ფოში იდგა. მათ პირისპირ მდგარი გერმანელები მტერს რიცხობრივად მკვეთრად ჩამორჩებოდნენ, მაგრამ მათ დრო არ დაეკარგათ და საუცხოოდ გამაგრებულიყვნენ – მიწისქვეშ ნამდვილი დასახლება მოეწყოთ თავისი ვენტილაციითა და განათებით.

ინგლისელთა საექსპედიციო ძალების ახალი მეთაური ჰეიგი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც ომის პირველი წლებიდან გაკვეთილი ვერ გამოეტანა და ამიტომ გერმანელთა დაცვის ხაზის გრიგალისე-

ბური შეტევით გარღვევა სურდა. შედეგად სომა სულ მალე იქცა ინგლისელთა ვერდენად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი წინსვლას ვერ ახერხებდნენ. ამას ვერ უშველა ვერც გერმანელთა მინისქვეშიდან აფეთქებამ და ვერც ჰაერში უპირატესობის მოპოვებამ.

2 ივლისს ბოლოს და ბოლოს ბრუსილოვმა ჩრდილოეთის ფრონტიდან მიიღო დახმარება, მაგრამ უკვე გვიანი იყო – ავსტრიელებმა გერმანელთა დახმარებით მტერი მოიგერიეს. ბრუსილოვის გარღვევა სულ უფრო და უფრო სწრაფად ღაფავდა სულს, მაგრამ უფრო სწრაფად ღაფავდნენ სულს გერმანელები ვერდენთან. 10 ივლისს მათ აქ უკანასკნელად სცადეს შეტევა და ყველაფერი ამით დასრულდა. ბრუსილოვის შესაჩერებლად ფალკენჰაინი დამატებით ძალებს გზავნიდა აღმოსავლეთის ფრონტზე, რითაც მისდაუნებურად ორ კურდღელს იჭერდა – რუსებს აკავებდა და ინგლისელებს მეტ ზარალს აყენებდა. გერმანელთა გადაადგილებით შეგულიანებული ჰეიგი სომასთან უფრო და უფრო მეტს უტევდა და, შესაბამისად, მეტი ჯარისკაცი ეღუპებოდა. წლის ბოლოსთვის ინგლისელთა საბოლოო დანაკარგს ამ ბრძოლაში ნახევარი მილიონისათვის უნდა მიეღწია.

რუსებს სულ უფრო და უფრო უკეთ მისდიოდათ საქმე თურქეთის ფრონტზე. აქ ისინი მტერს იქამდე ავიწროვებდნენ, სანამ საქმეში თავად ქემალი არ ჩაერთო. მაგრამ საბოლოო ჯამში ბრუსილოვის გარღვევა იყო რუსების ერთადერთი ქმედება მთელი ომის განმავლობაში, რომელმაც ანტანტას საქმეები რეალურად გამოასწორა და მართლაც რომ გარღვევა მოახდინა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ დიპლომატიურ ფრონტზეც. ბრუსილოვმა შეტევისას ბუკოვინა დაიკავა, რამაც რუმინელები დააშინა – ცოტაც და, იგი ტრანსილვანიაშიც შევიდოდა და ამის შემდეგ რუსები ამ მხარეს ან დათმობდნენ, ან არა (რუმინელები მათ საკმარისად კარგად იცნობდნენ). მოკლედ, რუმინელებმა სასწრაფოდ წამოიწყეს მოლაპარაკება ომში ჩართვის თაობაზე და აგვისტოში ანტანტასთან შეთანხმებაც გააფორმეს, რომლის მიხედვითაც მათ ტრანსილვანიასაც შეჰპირდნენ, ბუკოვინასაც და ბანატსაც. ასეთი გულუხვობა იმით იყო გამოწვეული, რომ რუმინელებს სერიოზული დიპლომატიური მხარდაჭერა აღმოუჩინეს ფრანგებმა, რომელთაც ბალკანეთზე სლავების გაძლიერება დიდად არ მოსწონდათ და გამანეიტრალებლად სწორედ რუმინეთი ესახებოდათ, რომლის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასაც ოდესღაც თავად შეუწყვეს ხელი.

რუმინელთა საქმეში ჩართვა ანტანტაში ყველას არ უხაროდა. ალექსეევი შიშობდა, რომ რუმინელთა სუსტი შეიარაღებული ძალები ანტანტისათვის ტვირთად უფრო იქცეოდა, მაგრამ შტურმერი გენერალს არ დაეთანხმა და ნიკოლოზი დაარწმუნა ახალ მოკავშირესთან ერთად ავსტრიელებს მალე სულ გავანადგურებთო. ფრანგებმა თავიანთ მხრივ ახალი მოკავშირეები შეაგულიანეს და უთხრეს, რომ ბულგარელებისგან მათ სალონიკაში მდგარი მათი (ფრანგების) შენაერთი დაიცავდა. შეგულიანებული რუმინელები 27 აგვისტოს ომში ჩაერთვნენ და სანატრელი ტრანსილვანისკენაც დაიძრნენ. მათმა ამ გამოხდომამ საბოლოოდ გამოუთხარა ძირი ვერდენთან წარუმატებლობით ისედაც დასუსტებულ ფალკენჰაინს, რომელიც ბოლომდე ირწმუნებოდა, რომ რუმინეთი ომში არ ჩაებმებოდა. ჰინდენბურგმა ლუდენდორფისა და ჰოფმანის მხარდაჭერით იმპერატორს კატეგორიულად მოსთხოვა საძულველი გენერალური შტაბის უფროსის მოშორება და წინააღმდეგ შემთხვევაში გადადგომით დაიმუქრა. 29 აგვისტოს ფალკენჰაინი გადადგა. ჰინდენბურგი გენერალური შტაბის ახალ უფროსად დაინიშნა, თუმცა ყველა კარგად ხვდებოდა, რომ სინამდვილეში უფროსი ლუდენდორფი იქნებოდა. ჰინდენბურგი უკვე დიდი ხანია დროსტარებასა და გართობაზე იყო გადართული და ყველაფერს ლუდენდორფი აკეთებდა, რომელიც ტანენბერგის გმირს იყო ამოფარებული. წასვლის წინ ფალკენჰაინმა ვილი გააფრთხილა, ჰინდენბურგი და ლუდენდორფი რეალურ ძალაუფლებას წაგართმევენო. ვილი ამას ისედაც კარგად ხვდებოდა და გულზე არც ჰინდენბურგი და არც ლუდენდორფი არ ეხატებოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა – აღმოსავლეთ ფრონტის გმირები ძალიან სჭირდებოდა როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

დანიშვნისთანავე ჰინდენბურგი და ლუდენდორფი დასავლეთ ფრონტზე გაემგზავრნენ და გადაწყვიტეს, აქ შეტევებისათვის სასწრაფოდ მოეღოთ ბოლო.

ამასობაში რუმინელთა მრავალრიცხოვანი, მაგრამ ერთობ სუსტი ჯარი ტრანსილვანიაში კუს ნაბიჯით გადაადგილდებოდა. სალონიკის ფრანგულმა შენაერთმა კი, რომელმაც მანამდე სერბეთს ვერ უშველა, ვერც ახლა გამოიჩინა თავი. იგი ჯერ კიდევ რუმინეთის ომში ჩაბმამდე შეეტაკა ბულგარელთა არმიას გერმანელი გენერლის მეთაურობით და უკუიქცა. ლუდენდორფმა რუმინეთის ფრონტი ფალკენჰაინს ჩააბარა (მას ერთგვარად თვითრეაბილიტაციის შანსი მისცა) და საკმაოდ მალე ის, რაც გერმანელთა დიპლომატიურ და სამხედრო მარცხად ჩანდა, მათ დიდ გამარჯვებად იქცა. ფრანგების უკუგდების შემდეგ გერმანულ-ბულგარული არმია რუმინეთში შეიჭრა, ამასობაში კი გერმანელებმა უნგრეთშიც გადაისროილეს ძალები ფალკენჰაინის მეთაურობით და რუმინელები ორ ცეცხლს შუა მოაქციეს. საქმის ბოლომდე მიყვანა, როგორც ჭადრაკში იტყვიან, მხოლოდ ტექნიკის საქმე იყო. დეკემბრის დასაწყისისათვის ფალკენჰაინი თავისი არმიით ბულგარელებთან გაერთიანდა და ამ დროისათვის რუმინელთა ჯარი აღარ არსებობდა. 6 დეკემბერს ბუქარესტი დაეცა და გერმანიამ ხელში ჩაიგდო რუმინეთის ნავთობი, ხე-ტყე, ხორბალი და ა.შ. რაც საგრძობლად მიეშველა საზღვაო ბლოკადით დასუსტებულ ქვეყანას. ასე ნამდვილად არ მოხდებოდა, რუმინეთი ომში რომ არ ჩაბმულიყო და გერმანიისათვის მასზე დარტყ-

მის საბაბი არ მიეცა. რუმინეთმა ანტანტასთვის იმაზე უარესი როლი შეასრულა, ვიდრე გერმანიისათვის ავსტრია-უნგრეთი ასრულებდა.

სანამ რუმინეთი ყულფში ექცეოდა, სომასთან ტანკის დებიუტი შედგა. ამ გამოგონებას ენთუზიაზმით თავიდან მხოლოდ ჩერჩილი უყურებდა და ერთი პერიოდი მის წარმოებას ფლოტის ბიუჯეტიდან აფინანსებდა. 1916 წლის დასაწყისში პირველი მოდელი დამზადდა და გადაწყდა, რამდენიმე ათეული ცალი სომასთან გაეგზავნათ. ამან შოკში ჩააგდო ჩერჩილი, რომელიც ხვდებოდა, რომ რამდენიმე ათეული ტანკის ფრონტზე გამოჩენა გარდატეხას ვერ მოახდენდა, მაგრამ მას მოულოდნელობის ეფექტს კი დაუკარგავდა. საჭირო იყო ასზე მეტი ტანკის გაშვება მაინც, რომლებიც მოწინააღმდეგეს ფსიქოლოგიურ შოკსაც მიაყენებდნენ და ფრონტის გარღვევასაც შეძლებდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჩერჩილი უკვე აღარ იყო თანამდებობაზე და მის შეგონებებს ყური არ ათხოვეს. 15 სექტემბერს სომასთან 60 ტანკი გამოჩნდა, მაგრამ აქედან მხოლოდ 32 აღმოჩნდა ვარგისიანი, რაც გარღვევისათვის საკმარისი ნამდვილად არ იყო. ჰეიგმა დამატებით ათასი ტანკი მოითხოვა, მაგრამ რამდენი ტანკიც უნდა მიეღო, მოულოდნელობის ეფექტი უკვე დაკარგულიყო. სადაც ტანკებს არაფერი შეეძლოთ, მით უმეტეს აღარაფერი შეეძლოთ ადამიანებს...

წლის ხმაურიანი დასასრული

სომასთან ყველაფერი ფაქტობრივად დასრულებულიყო. ასევე სრულდებოდა ვერდენიც, თუმცა არა ფრანგებისათვის. ოქტომბერში ისინი აქეთ გადავიდნენ შეტევაზე და მალე დაკარგული პოზიციები დაიბრუნეს. მთელი ერი სიხარულისგან ჭკუიდან იშლებოდა – ფალკენჰაინის გათვლა არასწორი გამოდგა, ვერდენმა საბოლოოდ ფრანგების მორალი კი არ დასცა, არამედ ასწია, მიუხედავად მათი მხრიდან უზარმაზარი მსხვერპლისა. მსხვერპლი გერმანელებმაც არნახული ოდენობით ნახეს ვერდენთანაც და სომასთანაც. თუკი 1914 წლის ბოლოსთვის გერმანელთა დანაკარგი ასე თუ ისე მისაღები იყო, 1916 წლის ბოლოს დანაკარგი მარტო დაღუპულთა სახით მილიონამდე ავიდა (ამაზე სულ ოდნავ ნაკლები დანაკარგი ჰქონდათ ფრანგებს და ეს იმ პირობებში, როცა ისინი მხოლოდ გერმანიას ეომებოდნენ). ბეტმანი უკვე კარგად ხვდებოდა, რომ ომის გაგრძელებას აღარანაირი აზრი აღარ ჰქონდა და ამერიკას შუამდგომლობის თხოვნით მიმართა. მაგრამ უილსონი საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო გადართული და ამიტომ მსოფლიო ომისთვისაც არ ეცალა. ამის შემხედვარე, დეკემბრის დასაწყისში გერმანიის კანცლერმა ევროპის ნეიტრალურ სახელმწიფოებს მიმართა ნოტათი და მოლაპარაკებებისათვის მზადყოფნა გამოთქვა. მოლაპარაკებებს აქტიურად უჭერდა მხარს

რომის პაპი ბენედიქტ XV-ც, რაც ბეტმანს იმედებს აძლევდა.

მაგრამ სამშვიდობო მოლაპარაკებები 1916 წლის ბოლოს კიდევ უფრო რთული საქმე იყო, ვიდრე 1914 წლის ბოლოს. ჯერ ერთი, რომ ბეტმანი თავის ნოტაში კონკრეტულს არაფერს ამბობდა – არც პირობებს აყენებდა და არც არაფრის დათმობაზე საუბრობდა – და ამასთან, გერმანიის გამარჯვებებს უსვამდა ხაზს. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ გერმანიას რაღაც ტერიტორიების შენარჩუნება სურდა. ანტანტას მოლაპარაკებებზე დასაყოლიებლად კი, სულ მცირე, ბელგიის დათმობა იქნებოდა საჭირო. კანცლერის ნება რომ ყოფილიყო, ბელგიას უყოყმანოდ დათმობდა, მაგრამ ამას არაფრით არ თანხმდებოდა ლუდენდორფი, გერმანიის ახალი არაფორმალური მმართველი. თუკი ანტანტა მოლაპარაკებაზე წავიდოდა, მაშინ 1914 წლის სტატუსკვოს აღდგენას მოითხოვდა, მაგრამ ლუდენდორფის გერმანიას 1916 წლის სტატუსკვოს შენარჩუნება სურდა. ამას დიდად არ დაუდარდიანებია ინგლისის ახალი პრემიერ-მინისტრი ლოიდ-ჯორჯი, რომელიც გერმანიის სრული დამარცხების დაპირებით მოვიდა ხელისუფლების სათავეში. „ჩვენ დავთანხმდით ამ ომს ერთი მიზნით, ღირსეული მიზნით, და ომი მაშინ დასრულდება როცა ამ მიზანს მივაღწევთ," – ლინკოლნის ამ ფრაზით უპასუხა ლოიდ-ჯორჯმა გერმანულ ინიციატივას. დეკემბერშივე ბეტმანს უარი შეუთვალეს პარიზიდან. რაც შეეხება რუსებს, მათ (როგორც ეს ჩვევიათ), სამშვიდობო ინიციატივა მტრის სისუსტის გამოვლინებად მიიჩნიეს და პასუხად დუმამ დაადგენილება გამოიტანა, სამშვიდობო მოლაპარაკებები მხოლოდ გერმანიის დამარცხების შემდეგ ეწარმოებინათ.

უილსონმა მალე არჩევნები მოიგო და დეკემბერშივე სამშვიდობო კონფერენციის იდეითაც გამოვიდა, ოღონდ საამისოდ მოითხოვა, ყველას თავისი მიზანი ჩამოეყალიბებინა. ბეტმანი ამას ზოგადი ფრაზებით პასუხობდა – იცოდა, რომ მისგან მიზნებზე კონკრეტული საუბარი ყველას დააფრთხობდა და სამშვიდობო პროცესს მაშინვე ჩაშლიდა. ლუდენდორფი ამ მხრივ ისედაც არაფერს აკლებდა. მისი დაჟინებით 5 ნოემბერს გერმანელებმა დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნის შესახებ გამოაცხადეს და ამით საბოლოოდ დასაამარეს რუსეთთან მორიგების თუნდაც ბუნდოვანი პერსპექტივა. ლუდენდორფი იმედოვნებდა, რომ პოლონელები „დამოუკიდებლობის" სანაცვლოდ გერმანულ ჯარში ასიათასობით ჩაეწერებოდნენ. მას კარგად ახსოვდა ნაპოლეონის ჯარში პოლონელების გმირობა და ვარაუდობდა, რომ მათი დახმარებით გერმანიის შეიარაღებულ ძალებს სერიოზულად გააძლიერებდა.

მაგრამ ნაპოლეონის ჯარზე მოგონებებს თუ არ ჩავთვლით, ამ გადაწყვეტილების უკან ისტორიის სრული უცოდინარობა იდგა. პოლონელებს რუსული ჩექმის ქვეშ აღმოჩენის შემდეგ უცხო ქვეყნის ჯარში სამსახური ჭირივით ეზიზღებოდათ. მით უფრო, რომ მათი „დამოუკიდებელი სამეფო" მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ უნდა

გაჩენილიყო რუკაზე და იგი გერმანელ პრინცს უნდა ემართა. ამ სამეფოში მხოლოდ რუსეთის მიერ კონტროლირებადი პოლონეთი უნდა შესულიყო, გერმანელებისა და ავსტრიის მიერ კონტროლირებადი პოლონური მიწები კი ისევ ამათ უნდა დარჩენოდათ. მოკლედ, საბოლოოდ გერმანულ ჯარს ორი ათასი პოლონელიც კი არ შეუერთდა.

იმავე პერიოდში ლუდენდორფმა გადაწყვიტა გერმანიის სამხედრო მრეწველობისათვის არაგერმანელი, მაგრამ ასეთივე კვალიფიციური მუშახელი დაეხმარებინა. მისი ინიციატივით ბელგიიდან ათიათასობით მუშა ჩამორეკეს და გერმანიის ქარხნებში გაამწესეს. ეს იყო კიდევ ერთი ნაბიჯი, რომლითაც ლუდენდორფმა თავის ქვეყანას უფრო ავნო, ვიდრე არგო. სამხედრო მრეწველობის მოცულობა იმდენად არ გაიზარდა, რამდენადაც გერმანია კიდევ ერთხელ მოინათლა ბარბაროსულ ქვეყნად, რომელთან ბრძოლაც აუცილებლად ბოლომდე უნდა მიეყვანათ და რომელიც შემდეგ განსაკურებულად უნდა დაესაჯათ.

ამ ხნის განმავლობაში ევროპულ პოლიტიკაში კიდევ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი რამეები ხდებოდა:

10 ნოემბერს დუმაში ნამდვილი განკითხვის დღე მოუწყვეს შტურმერს. მას ფაქტობრივად გერმანიის ჯაშუშობა დასწამეს. ამ ბრალდების უკან მხოლოდ პოლიტიკანობა იდგა და არანაირ ფაქტებს არ ეყრდნობოდა, მაგრამ საბოლოოდ ამას შტურმერის გადაყენება მოჰყვა. ლუდენდორფის პოლონური ავანტიურისა და „გერმანელი მინისტრის" წასვლის შემდეგ გერმანულ-რუსული შერიგება თითქოსდა საბოლოოდ განწირული იყო...

21 ნოემბერს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. გარდაიცვალა ფრანც-იოზეფი, რომელიც თითქმის 70 წლის განმავლობაში მართავდა თავის იმპერიას და მასთან ერთად დაბერდა და დაჩაჩანაკდა. იგი ავსტრია-უნგრეთის სიმბოლო იყო და ახლა, როცა ამ ქვეყანას ჯარი თითქმის აღარ ჰყავდა, აშკარა ხდებოდა, რომ იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ აღარც იმპერიას ეწერა დიდი დრო. ფრანც-იოზეფი, რომელიც დიდი ხანია სიკვდილს ნატრობდა, თავის იმპერიაზე უფრო ადრე მიიცვალა და ყოველივე ამის გამო სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ალბათ არც ისე უბედური უნდა ყოფილიყო.

იმავე თვეში იაგოვი გერმანიის საგარეო მინისტრის თანამდებობაზე მისმა მოადგილემ, არტურ ციმერმანმა შეცვალა. ქარიზმისა და კომუნიკაბელურობის მიუხედავად, არც ის იყო საუკეთესო არჩევანი ამ პოსტზე. მისი დანიშვნის უმთავრესი მიზეზი ბეტმანსა და ჰიდენბურგ-ლუდენდორფს შორის დაპირისპირება იყო, რომელშიც იაგოვი მუდმივად კანცლერის მხარეს იჭერდა.

5 დეკემბერს თანამდებობა დატოვა ესკუიტმა. მას ვაჟი სომასთან დაეღუპა, რის შემდეგაც არა მხოლოდ საქმის, არამედ ცხოვრების მიმართაც დაკარგა ინტერესი. ახალ პრემიერ-მინისტრად ინგლისს,

როგორც უკვე ვთქვით, ლოიდ-ჯორჯი მოევლინა. ეს მართლაც დიდი მოვლენა იყო ქვეყნის ცხოვრებაში – ტრადიციულად არისტოკრატული ელიტის მიერ მართულ იმპერიას სათავეში ღარიბი ოჯახიდან გამოსული, ადრეულ ასაკში დაობლებული, უელსში გაზრდილი იურისტი ჩაუდგა. ასეთი რამ ალბათ მხოლოდ მსოფლიო ომის დროს თუ მოხდებოდა. ესკუიტთან ერთად გადადგა გრეიც, რომელიც იმ დროისათვის თითქმის ბოლომდე დაბრმავებულიყო და ამის ფონზე ყველას ახსენდებოდა 1914 წლის აგვისტოში მის მიერ წარმოთქმული ფრაზა: „ევროპაში სინათლეები ქრება და სანამ ცოცხლები ვართ, მათ ანთებულს ვეღარასოდეს ვიხილავთ". გრეი შეცვალა არტურ ბალფურმა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა.

27 დეკემბერს თანამდებობა დაატოვებინეს ჟოფრს. მისი მეთოდები დიდი ხანი იყო კითხვის ნიშნებს აჩენდა საფრანგეთის მთავრობაში და ბოლოს მოსახდენი მოხდა. მაგრამ ჟოფრის ნაცვლად დაინიშნა არა პეტენი (ფრანგების უდავოდ საუკეთესო არჩევანი), არამედ ნიველი, რომელიც ვერდენთან წარმატების შემდეგ ახალ გმირად იყო ქცეული და კარგი ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის მთავრობასთანაც და ინგლისელებთანაც.

მაგრამ ესეც არ უნდა ყოფილიყო 1916 წლის უკანასკნელი დიდი მოვლენა. 30 დეკემბერს პეტროგრადში რასპუტინი მოკლეს. მას უკვე საკმარისზე მეტი მტერი ჰყავდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკაში ერეოდა და დედოფალზე გავლენის წყალობით ლამის მინისტრთა კაბინეტებს ნიშნავდა, არამედ იმიტომაც, რომ გავრცელებული ხმებით ომსაც ის წარმართავდა (თუმცა ეს ნამდვილად არ იყო მართალი – მართალია რასპუტინი დედოფლის პირით ნიკოლოზსა და მის შტაბს რჩევებით ამარაგებდა, მაგრამ მათ არავინ ითვალისწინებდა). რასპუტინი ნიკოლოზის ახლო ნათესავის სახლში მიიტყუეს და მისი მოწამვლა სცადეს. მაგრამ სტუმარი მოწამლულ საკვებს არ გაეკარა, რის შემდეგაც მას რამდენჯერმე ესროლეს... ალექსანდრას ვერაფრით დაეჯერებინა მომხდარი. მით უმეტეს, რომ რასპუტინი მთელი წლის განმავლობაში იმეორებდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ რუსეთს საშინელი განსაცდელი ელოდა. სიკვდილამდე სულ რამდენიმე დღით ადრე კი უცნაურმა ბერმა ისიც იწინასწარმეტყველა, რომ იგი ახალ წელს ვერ მიატანდა და რომ თუკი მის სიკვდილში სამეფო ოჯახი იქნებოდა გარეული, მაშინ სამეფო ოჯახს რუსი ხალხი გაუსწორდებოდა და მასაც რასპუტინის კვალს გააყოლებდა.



იაგოვი (1863-1935)

ფალკენჰაინი (1861-1922)



„შეტევის კულტის“ მოწინააღმდეგე, ფრანგების ერთ-ერთი საუკეთესო სარდალი პეტენი (1856-1951)



ფრენჩი (1852-1925)

კადორნა (1850-1928)



რასპუტინი (1869-1916)



ბრუსილოვი (1853-1926)

თავი 6. საუკუნოვანი რყევები

გიგანტის შემოსვლა

5 იანვარს ლოიდ-ჯორჯი რომში იმყოფებოდა ანტანტის ლიდერთა შეკრებაზე, რომელიც ვერაფრით თანხმდებოდა, საიდან უნდა მიეტანათ ახალი იერიში მტერზე. ყველას თავისი გამარჯვების გეგმა ჰქონდა. ლოიდ-ჯორჯს ყველაზე მეტად კადორნას ავსტრიელებზე შეტევის იდეა მოეწონა, მაგრამ არც ინგლისელი და არც ფრანგი სამხედროები ამ გეგმას მხარს არ უჭერდნენ. ყველაფერი ღიად დარჩა, მაგრამ ინგლისში გამგზავრებამდე ლოიდ-ჯორჯმა პარიზში შეიარა, სადაც ნიველს შეხვდა და მისეული გეგმით მოიხიბლა. ფრანგების ახალ მთავარსარდალს გულწრფელად სწამდა, რომ ვერდენთან პოზიციების დაბრუნება მისი გენიის დამსახურება იყო და არა იმ ფაქტის, რომ გერმანელებმა უბრალოდ ვერდენის დათმობა გადაწყვიტეს. ნიველმა ლოიდ-ჯორჯს აუხსნა, რომ აპირებდა, ვერდენთან „უკვე წარმატებით დაცდილი“ ტაქტიკა გამოეყენებინა ენასთან (დეპარტამენტი და მდინარე ჩრდილო საფრანგეთში), სადაც მოწინააღმდეგის ფრონტს აუცილებლად გაარღვევდა. ლოიდ-ჯორჯი გეგმითაც მოიხიბლა და თავად ნიველითაც. მან ფრანგი ლონდონში იახლა და იქაურ სარდლობას შეახვედრა. ამასობაში ჰეიგი ფლანდრიაში თავისი შეტევის გეგმას ამზადებდა, მაგრამ ლონდონში ნიველის გეგმას დაეთანხმნენ (ლოიდ-ჯორჯს ერჩია ძირითადი დარტყმა ისევ ფრანგებს აეღოთ საკუთარ თავზე). შეტევის დაწყების თარიღად 1 აპრილი დათქვეს. ცოტა მოგვიანებით შეთანხმდნენ, თუკი ფრანგების შეტევა წარუმატებლად წარიმართებოდა, ჰეიგი ფლანდრიაში თავის იერიშს განახორციელებდა.

იმავე დღეებში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ბერლინში მიიღეს.

9 იანვარს იმპერატორთან მისი უახლოესი მრჩევლები შეიკრიბნენ. მათ უნდა განეხილათ ერთი საკითხი: განეახლებინათ თუ არა წყალქვეშა ომი. მას შემდეგ, რაც ვერდენი ჩავარდა, ომში გარღვევის ახალი გზა უნდა ეპოვათ და ასეთად სარდლობას მხოლოდ წყალქვეშა ომი ესახებოდა. ეს უნდა ყოფილიყო არა უბრალოდ ომი, არამედ შეუზღუდავი ომი, უნდა ჩაეძირათ ინგლისისკენ მიმავალი ყველა ტვირთი. ეს, წესით, ამერიკის ომში ჩარევას გამოიწვევდა (ინგლისისკენ ტვირთები სწორედ აქედან მოდიოდა), მაგრამ რისკის გაწევა ალბათ ღირდა. ბერლინში კარგად იცოდნენ, რომ ინგლისში უჭირდათ. მოსახლეობის ნაწილს საკვები

აკლდა. საქმე შიმშილობამდე არ იყო მისული, მაგრამ წყალქვეშა ნავების „დახმარებით“ შიმშილობა რეალობად უნდა ქცეულიყო და ინგლისიც დაეცემოდა. გერმანელ სამხედროთა გათვლით, ეს წყალქვეშა ომის დაწყებიდან ექვს თვეში უნდა მომხდარიყო. ამ დროის განმავლობაში ამერიკა გერმანიას ვერაფერს დააკლებდა. მით უმეტეს, რომ მისი ჯარი 130 ათას კაცს შეადგენდა. ეს რიცხვი გერმანელს კი არა, სერბებსაც არ ეყოფოდათ სასაცილოდ.

სხვა გზას გერმანული სარდლობა ვერ ხედავდა. ხმელეთზე გარღვევის მიღწევა 1916 წლის შემდეგ ნამდვილად შეუძლებელი იყო. გარღვევის გარეშე კი გერმანია დიდხანს ვეღარ გაძლებდა. ინგლისისგან განსხვავებით, აქ (ისევე როგორც ავსტრია-უნგრეთში) შიმშილი ჩვეულებრივ ამბად იქცა. ინგლისურ საზღვაო ბლოკადას თავისი შედეგი მოჰქონდა. ვითარება დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა. რუმინეთის დაპყრობამ და იქიდან დიდძალი ოდენობით საკვების გაზიდვამ გერმანიას გარკვეული შვება კი მისცა, მაგრამ მხოლოდ დროებით.

გერმანიისგან განსხვავებით, საფრანგეთში საკვების პრობლემა საერთოდ არ იდგა. მართალია, საფრანგეთი (ომში ჩართული ყველა სხვა ქვეყნის დარად) ომისგან უკვე გაკოტრების პირას იდგა (ისიც და ინგლისიც ამერიკისგან უზარმაზარ ვალებს იღებდნენ), მაგრამ ამას ყურადღებას თითქმის არავინ აქცევდა. მთავარი იყო, ომი გაეგრძელებინათ და გარდა ამისა, მოსახლეობა გამოეკვებათ. გერმანია ამ უკანასკნელ ამოცანას თავს ვეღარ ართმევდა.

ცხადია, არსებობდა ერთი გზაც: სამშვიდობო მოლაპარაკებები და ყველა დაპყრობაზე უარის თქმა. მაგრამ ამაზე ლუდენდორფი და კომპანია არასოდეს წავიდოდა. ეს უკვე კარგად უწყოდა ბეტმანმა და ამიტომაც, როცა სამხედროებმა წყალქვეშა ომის სასარგებლო არგუმენტები ჩამოთვალეს, მას წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. „ჩვენმა გენერლებმა უკეთ იციან“ – ასეთი იყო მისი კომენტარი. შეუზღუდავი წყალქვეშა ომის დაწყება 1 თებერვლიდან გადაწყდა.

მეორე დღეს ანტანტამ გერმანელები თავიანთი ამ გაწყვეტილების სიმართლეში დაარწმუნა (ან, ყოველ შემთხვევაში, თვითდამშვიდების საბაბი მისცა). უილსონის თხოვნაზე, ყველას თავისი მიზანი ჩამოეყალიბებინა, ასეთი პასუხი მოვიდა: ბელგიის, სერბეთისა და მონტენეგროს აღდგენა და მათთვის ზარალის ანაზღაურება, ერების თვითგამორკვევა (ეს ფრაზა უილსონის გულის მოსაგებად გაჩნდა) და კონკრეტულად – რუმინელების, იტალიელების, სლავებისა და ჩეხოსლოვაკების გათავისუფლება (ანუ ავსტრია-უნგრეთის დაშლა). ასევე, „თურქების სისხლიან ტირანიაში მცხოვრები ხალხის გათავისუფლება“. ერების თვითგამორკვევის კონტექსტში ნახსენები არ იყო პოლონეთი (რუსეთის ხათრით). იქვე უილსონს საყვედურობდნენ, რომ იგი ანტანტასა და მის მოწინააღმდეგე ბანაკს მორალურად თანასწორად განიხილავდა.

გერმანია და მისი მოკავშირეები ხომ ცივილიზაციისა და ჰუმანურობის მტრები იყვნენ, ჩადიოდნენ რა ისეთ საშინელ დანაშაულს, როგორიც იყო ცეპელინებით ქალაქების დაბომბვა, წყალქვეშა ნავებით სამგზავრო გემების ჩაძირვა, ასიათასობით სომხის გაჟლეტა და ა.შ.

ანტანტას ეს პრეტენზიები მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ იგი საბოლოო გამარჯვებაში არა მხოლოდ დარწმუნებული იყო, არამედ აპირებდა ამ გამარჯვებისათვის ყველაფერი გაეკეთებინა. ასეთ პირობებში გერმანელებს მართლაც შეეძლოთ თავი დაემშვიდებინათ, რომ წყალქვეშა ომის გარდა სხვა გზა არ რჩებოდათ. ანტანტა მათ წყალქვეშა ომს ბარბაროსობად უთვლიდა, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ უწყოდნენ, „ბარბაროსობა“ სადამდე შეიძლებოდა მისულიყო, თუკი ბერლინს სხვა გამოსავალს არ დაუტოვებდნენ.

უილსონი კი ანტანტასა და მის მოწინააღმდეგეებს ნამდვილად თანასწორად განიხილავდა, მიუხედავად იმისა, რომ ომის დაწყების შემდეგ ამერიკიდან ანტანტას ქვეყნებში ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში კი – შემცირდა. უილსონი უდიდეს პატივს სცემდა გერმანელ ინტელექტუალებსა და პროფესორებს და იმედოვნებდა, მათი წყალობით გერმანიის დემოკრატიას მომავალი ჰქონდა. გასაგები მიზეზების გამო ამერიკელთა მორალისტი პრეზიდენტი ეჭვის თვალით უყურებდა რუსეთს და მაინცდამაინც არც საფრანგეთს ენდობოდა. ის კი არა, ბალფურსაც გაუწყრა, როცა ამ უკანასკნელმა ომის მსვლელობისას გაფორმებული საიდუმლო შეთანხმებები აჩვენა ტერიტორიების გაყოფის თაობაზე.

22 იანვარს მორალისტმა კონგრესს მიმართა და ისაუბრა არა იმდენად ომზე, რამდენადაც მომავალ მშვიდობაზე. მან ახსენა თავისი უმთავრესი პრიორიტეტი – ერთა ლიგაც, რომელიც ჯამში უილსონის ყველაზე დიდ დანატოვრად უნდა ქცეულიყო. თუმცა, ერთა ლიგა, როგორც ასეთი, მისი იდეა არ იყო. ეს ფენომენი პირველად გრეიმ ახსენა 1915 წლის სექტემბერში პოლკოვნიკ ედუარდ ჰაუზთან (უილსონის პირად ემისართან და უახლოეს მრჩეველთან) მიმოწერაში. გრეი იმ დროს უკვე სერიოზულად ფიქრობდა ამერიკელთა დაინტერესებასა და, სულ ცოტა, სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩართვაზე, მაგრამ ვინაიდან კარგად უწყოდა მათ იზოლაციონიზმში, ხვდებოდა, რომ რაიმე განსაკუთრებულის მოფიქრება იყო საჭირო – ისეთის, რაც ამერიკელებისა და მათი პრეზიდენტის იდეალიზმზე იმოქმედებდა (გრეის კარგად ახსოვდა, როგორ გაუჭირდათ ფრანგებს პირადად მისი დარწმუნება, რომ გერმანიასთან ომში თანამშრომლობა იყო საჭირო).

და ასეთ განსაკუთრებულ შეთავაზებად იქცა ერთა ლიგა – მშვიდობის დამცველი ორგანიზაცია, რომელიც ყველანაირ ომს დაასრულებდა. ასეთი რამის გამო ამერიკელები მართლაც შეიძლებოდა ჩართულიყვნენ ევროპის საქმეებში. გრეი უილსონის ერთ-ერთი კერპი იყო (კიდევ პრეზი-

დენტი გლადსტონს ეტრფოდა) და ალბათ ამის წყალობითაც ერთა ლიგის იდეა, რომ იტყვიან, ათიანში მოხვდა. მართალია, 1916 წლის არჩევნები უილსონმა ძირითადად იმის წყალობით მოიგო, რომ „ქვეყანა ომში ჩარევას გადაარჩინა“, მაგრამ „მსოფლიო ორგანიზაციაზე“ იგი უკვე იმავე წელს აბოდებდა. სასულიერო პირის ოჯახში გაზრდილ და თავადაც ღრმად მორწმუნე ამერიკის პრეზიდენტს სწამდა, რომ მსოფლიო ისტორიას ღმერთი წარმართავდა და ამ საქმეში ყოველ ადამიანს თავის მისიას ანიჭებდა. ერთა ლიგა და მსოფლიოსათვის მშვიდობის მოტანა ის დიდი მისია იყო, რომელიც ღმერთმა უილსონს ანდო, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, მეტად ჯიუტი და საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ადამიანი გახლდათ. იმდენად დარწმუნებული, რომ საწინააღმდეგო პოზიციაზე მდგარი ადამიანები, თავისი რელიგიურობის მიუხედავად, სძულდა და ლამის მოსისხლე მტრებად მიაჩნდა ხოლმე.

ერთა ლიგის გარდა უილსონმა კონგრესთან ისაუბრა „ზავზე გამარჯვებების გარეშე“, რითაც პარიზი და ლონდონი სეროზულად გააღიზიანა. მაგრამ ბერლინში ეს სათანადოდ ვერ შეაფასეს. გერმანიის ელჩი ამერიკაში იოჰან ბერნსტორფი (ერთ-ერთი ნათელი წერტილი გერმანულ დიპლომატიაში, ბისმარკის დანიშვნამდე პრუსიის საგარეო მინისტრისა და ავსტრიაში ყოფილი ელჩის, ალბრეხტ ბერნსტორფის ვაჟი) თავის მთავრობას სთხოვდა, სათავისოდ გამოეყენებინათ უილსონის გერმანიისადმი დამოკიდებულება და მოლაპარაკებები დაეწყოთ. მაგრამ ბერლინი მტკიცედ დუმდა. ბოლოს ბეტმანმა ჰაუზს მისწერა წერილი, რომელსაც ისევ დუმილი სჯობდა. წერილის მიხედვით, გერმანიას სურდა ახალი საზღვარი, რომელიც მას და პოლონეთს „დაიცავდა“ (ანუ პოლონეთი რუსეთს უნდა ჩამოშორებოდა, ხოლო ბალსტიისპირეთის უკვე გერმანელების მიერ დაკავებული ნაწილი რუსეთსა და პოლონეთს შორის ბუფერად იქცეოდა); ასევე სურდა ახალი კოლონიები, ახალი საზღვარი საფრანგეთთან (ანუ, საფრანგეთის უკვე დაკავებული ტერიტორიების მითვისება), ბელგიაში გერმანიის უსაფრთხოების გარანტია (ანუ ბელგიის რომელიმე ფორტის მითვისება). საინტერესოა, რომ წერილი 31 იანვარს გაიგზავნა – ზუსტად იმ დღეს, როცა ბერნსტორფს ამერიკის მთავრობისათვის წყალქვეშა ომის განახლების შესახებ უნდა ეცნობებინა.

ბერნსტორფს ომის დაწყების შემდეგ თავისი ნებისა და სურვილის საწინააღმდეგოდ არაერთ ავანტიურაში მოუხდა ჩართვა – მათ შორის, ამერიკული სამხედრო მრეწველობის წინააღმდეგ მიმართულ საბოტაჟის აქტებში (ამ გზით გერმანელები ინგლისის იარაღით მომარაგებას აფერხებდნენ). 31 იანვრის დავალებას მისთვის ერთი ხეირი მაინც ჰქონდა – ამერიკასა და გერმანიას შორის დიპლომატიური ურთიერთობები აუცილებლად გაწყდებოდა და ბერნსტორფი ახალ გიჟურ ინსტრუქციებს (დიპლომატიურსა და არადიპლომატიურს) აღარ მიიღებდა.

2 თებერვალს უილსონისგან მისი მთავრობის წევრებმა ომში ჩართვა მოითხოვეს. პრეზიდენტი ყოყმანობდა. იმავე დღეს გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ამერიკული გემი ჩაძირა და მეორე დღესვე დიპლომატიური ურთიერთობები გაწყდა. ევროპაში წასასვლელი, ათასნაირი საქონლით დატვირთული გემები პორტებში დადგნენ. ზღვაში გასვლას ველარავინ ბედავდა. ევროპასთან ვაჭრობა, ათასობით სამუშაო ადგილი საფრთხის ქვეშ დადგა. უილსონი მაინც დუმდა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ინგლისს შიმშილი ელოდა, ოღონდ ამერიკის ომში ჩარევის გარეშე.

მაგრამ აქ საქმეში ისევ გერმანიის დიპლომატიად წოდებული ფენომენი ჩაერია.

გერმანელთა ახალმა საგარეო მინისტრმა ციმერმანმა 9 იანვრის გადაწყვეტილების შემდეგ იფიქრა, რომ იმ შემთხვევისათვის, თუკი ამერიკა ომში ჩაებმებოდა, მის წინააღმდეგ მოკავშირეების პოვნა იქნებოდა საჭირო. ამისათვის მან, ასე ვთქვათ, თადარიგი დაიჭირა და 16 იანვარს მექსიკაში გერმანიის ელჩს ერთობ საინტერესო დეპეშა გაუგზავნა. თუ ამერიკა ომში ჩაერეოდა, ელჩს მექსიკისათვის ალიანსი უნდა შეეთავაზებინა. ალიანსის გარდა მექსიკას უნდა შეპირებოდნენ ფინანსურ დახმარებას, ტეხასს, არიზონას და ნიუ-მექსიკოს. ასევე ელჩს მექსიკელებისათვის უნდა ეთხოვა, მათ იაპონიასთან ეშუამდგომლათ და ისიც ჩაერთოთ საქმეში. ციმერმანს თამამი იდეების ნაკლებობა არასოდეს ჰქონია. ომის დაწყებიდან მალე იგი ირლანდიაში გერმანული შენაერთის გადასხმის იდეითაც გამოვიდა. მოკლედ, მისი გეგმები ყოველთვის ერთობ შორს მიდიოდა – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც.

მის საინტერესო დეპეშას ასეთივე ბედი ეწია და კიდევ უფრო საინტერესო შედეგები მოჰყვა.

საქმე ისაა, რომ გერმანიას დასავლეთ ნახევარსფეროსთან კომუნიკაცია ძალიან უჭირდა, რადგან ომის დაწყებისთანავე ატლანტიკის ოკეანეზე გამავალი გერმანული კაბელი ინგლისელებმა გადაჭრეს. ამის შემდეგ არსებობდა ორი არხი: ერთი იყო ბერლინის რადიოსადგურიდან სტოკჰოლმზე, იქიდან ბუენოს აირესზე და ბოლოს – ვაშინგტონზე. მეორე კი იყო პირდაპირი არხი უშუალოდ ამერიკის მთავრობასთან, რომელიც ვაშინგტონის ნებართვით ფუნქციონირებდა, რათა გერმანელებს ამერიკისათვის თავიანთი „სამშვიდობო ინიციატივები მიეწოდებინათ“. არხი ერთი შეხედვით ამერიკულს ჰგავდა, მაგრამ მას ინგლისელები „ასხდნენ“, რომლებიც გერმანელთა მიმოწერას ამერიკელთა მიმოწერისგან იოლად არჩევდნენ (რადგანაც კოდები იყო განსხვავებული) და თითქმის ყველაფერს კითხულობდნენ. ციმერმანი თავიდან სტოკჰოლმის არხის გამოყენებას აპირებდა, ოღონდ სურდა, მეტი უსაფრთხოებისათვის ეს ბერლინის რადიოსადგურიდან კი არა, სპეციალური წყალქვეშა ნავიდან გაეკეთებინა. მაგრამ ნავს აგვიანდებოდა და ბოლოს ისევ ამერიკული არხის გამოყენება გადაწყდა. დეპეშა, ცხადია, ინგლისელებს

ჩაუვარდათ ხელში. მას გერმანელთა ახალი კოდი ედო და ამიტომ ინგლისელებმა მისი მხოლოდ ნაწილობრივ წაკითხვა შეძლეს, თუმცა რაც გაიგეს, ისიც საკმარისი იყო დიდი სკანდალის ასატეხად. პრობლემას ის ქმნიდა, რომ ინგლისელებმა არ იცოდნენ, ამერიკელთათვის დეპეშის შინაარსი როგორ გაემხილათ: ეს იმის გამხელასაც ნიშნავდა, რომ ისინი მათი და გერმანელების მიმოწერას კითხულობდნენ. ასევე, გერმანელებიც გაიგებდნენ, რომ ინგლისელებს მათი კოდები გაეტეხათ.

დეპეშა ბერნსტორფმა მიიღო. მაგრამ იგი იძულებული იყო, დეპეშისათვის კოდი მოეხსნა და შემდეგ, მექსიკაში გაგზავნამდე, ხელახლა დაედო სხვა – უფრო ძველი კოდი – იმ მიზეზით, რომ მექსიკაში გერმანელთა ელჩს ახალი კოდი არ ჰქონდა. გერმანელთა ძველი კოდი ინგლისელებმა ზეპირად იცოდნენ. მათ მექსიკაში თავიანთი აგენტურის მეშვეობით ხელახლა კოდირებული დეპეშა ჩაიგდეს ხელში და ყველაფერი წაიკითხეს. 22 თებერვალს დეპეშა ამერიკელებს გადასცეს – ვითომცდა მის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს, რაც იგი მექსიკაში მოიპოვეს.

აქ უკვე უილსონიც გამოფხიზლდა. მან კონგრესს სავაჭრო გემების იარაღით აღჭურვის წინადადებით მიმართა. წარმომადგენელთა პალატამ ამას მაშინვე დაუჭირა მხარი, მაგრამ სენატში ომის მოწინააღმდეგეთა ფრთა გამოჩნდა. მათ დასადუმებლად თებერვლის ბოლოს ციმერმანის დეპეშა პრესაში გამოქვეყნდა, მაგრამ იგი იმდენად დაუჯერებლად ჟღერდა, რომ ბევრმა ყალბად მიიჩნია – როგორ შეიძლებოდა გერმანიის საგარეო მინისტრს მსგავსი სისულელე ჩაედინა?!

მაგრამ გერმანიის საგარეო მინისტრს ეს სისულელედ სულაც არ მიაჩნდა და დეპეშის გამოქვეყნებისთანავე აღიარა, რომ ავტორი ნამდვილად თვითონ იყო. რატომაც არა, ჩვენ ხომ ამ დეპეშის ამოქმედებას მხოლოდ მაშინ ვაპირებდით, თუკი ამერიკა ომში ჩაებმებოდაო, გაიკვირვა ციმერმანმა, რომელიც თავს ამერიკის დიდ მცოდნედ მიიჩნევდა.

ამის შემდეგ ამერიკაში ნეიტრალურად დარჩენის მომხრეები, რომ იტყვიან, სანთლით გახდნენ საძებნელნი, მაგრამ უილსონი მაინც ყოყმანობდა. იგი რამდენიმე დღით გადაიკარგა და როცა 12 მარტს გამოჩნდა, სავაჭრო გემების აღჭურვა ბრძანა. ამის შემდეგ ისევ გადაიკარგა. მალე გერმანელებმა სამი ამერიკული გემი ჩაძირეს. უილსონი 20 მარტს კვლავ გამოჩნდა და მთავრობა შეკრიბა. ამ დროისათვის მას უკვე ლანძღავდნენ და ლაჩარსაც კი ეძახდნენ.

2 აპრილს პრეზიდენტმა ბოლოს და ბოლოს ომში ჩართვის შესახებ განაცხადა, კონგრესის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ამერიკამ 6 აპრილს ომი გამოაცხადა. მონროს დოქტრინის გამოცხადებიდან საუკუნეც არ იყო გასული, რაც ამერიკა ევროპულ საქმეებში ებმებოდა. ასე იწყებოდა ამერიკის ძველ კონტინენტზე ჩარევის (და გარკვეული პაუზის შემდეგ იქ დარჩენის) დიდი ისტორია.

რუსული კატასტროფა. აქტი 3

კიდევ ერთ, საუკუნოვან რყევას პეტროგრადში ეყრებოდა საფუძველი. რუსეთი თითქოსდა ცუდ მდგომარეობაში არ იყო. მართალია, მისი იმპერიის ნაწილი გერმანიას დაეკავებინა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უკვე ამერიკაც გადაიკიდა და წესით განწირული იყო. რუსეთს როგორმე უნდა გაეძლო და შემდეგ საოცნებო სრუტეებსა და მთელ რიგ ტერიტორიებს მიიღებდა. ამას ისიც დაემატა, რომ თებერვალში ფრანგებისათვის ელზას-ლორენისა და საარის საბადოების შეპირების სანაცვლოდ პარიზმა თანხმობა გამოთქვა, რუსეთს თავისი დასავლეთ საზღვარი „სურვილისამებრ გადმოეწია.“ ანუ, რუსეთს შეეძლო, მთელი პოლონეთი წაეღო.

მაგრამ რეალურად რუსეთის იმპერიას და მით უფრო მის რეჟიმს ძირი გამომპალი ჰქონდა. გერმანიასთან ბრძოლების წაგება ხალხზე მეტად მძიმედ მოქმედებდა და მათ კიდევ უფრო მეტად აძულებდა „გერმანელ დედოფალს“. ეს უკანასკნელი კი დროს ძირითადად სპირიტულ სეანსებში რასპუტინის სულთან საუბარს უთმობდა. ქვეყანას რასპუტინის ფავორიტი უნიჭო და სასაცილო მინისტრები მართავდნენ და დედაქალაქი შიმშილობდა, მიუხედავად იმისა, რომ, გერმანიისგან განსხვავებით, საჭმელ-სასმელი ქვეყანაში საკმარისზე მეტი იყო (იმის წყალობითაც, რომ სრუტეების დაკეტვის გამო რუსეთს ექსპორტზე ფაქტობრივად ვერაფერი გაჰქონდა). 1916-1917 წლების ზამთარი უჩვეულოდ ცივი გამოდგა და გლეხები პროდუქტების ქალაქში გაზიდვას ერიდებოდნენ. ყინვისგან ორთქლმავლები წყობიდან გამოვიდა და რკინიგზა თითქმის გაჩერდა. შედეგად პეტროგრადს პურიც კი აღარ მიეწოდებოდა, მთავრობა კი ამ პრობლემის მოსაგვარებლად თითს თითზე არ აკარებდა.

რაც შეეხება ნიკოლოზს, იგი რეალობას კიდევ უფრო მოწყდა. რასპუტინის მკვლელებს იმედი ჰქონდათ, რომ საძულველი ბერის მოშორების შემდეგ იმპერატორს თავის ცოლის გავლენისგან გაათავისუფლებდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა – ნიკი ალექსანდრას კიდევ უფრო დაუახლოვდა. ამის შემხედვარე რასპუტინის მკვლელები უკვე ნიკოლოზის თავიდან მოცილებაზე დაფიქრდნენ (ოღონდ არა აუცილებლად მკვლელობის გზით), რის შემდეგაც ტახტზე მის ვაჟს დასვამდნენ, რეგენტად კი – მის ძმა მიხეილს. ამგვარი რადიკალური გზა უკვე აუცილებლობად ესახებოდათ, რადგან ნიკოლოზის ხელში ქვეყანა აშკარად რევოლუციისკენ მიექანებოდა, რომლის შემდეგაც რუსეთს ავანტიურისტები დაეპატრონებოდნენ.

რევოლუციის საფრთხეს ალბათ მხოლოდ ნიკი და ალექსანდრა ვერ ამჩნევდნენ. დედოფალთან ამ საკითხზე საუბარს პასუხად მხოლოდ ისტერიკები მოჰყვებოდა. რაც შეეხება ნიკის, იგი მღელვარებას ამჩნევდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, ყველაფერი დედაქალაქში თავმოყრილი

ერთი მუჭა ავანტიურისტების ბრალი იყო და ხალხის უმრავლესობას სამეფო ოჯახზე კვლავაც მზე და მთვარე ამოსდიოდა.

ნიკიმ თითქმის მთელი ზამთარი პეტროგრადთან ახლოს მდებარე ცარსკოე სელოს სამეფო რეზიდენციაში გაატარა ოჯახთან ერთად. იგი მაშინაც ვერ გამოფხიზლდა, როცა თებერვლის ბოლოს დუმაში მეფედედოფლის ძალისმიერი გზით მოშორების მოწოდებები გაისმა, რასაც მთელმა ქალაქმა აუბა მხარი. ერთი პერიოდი იმპერატორი დაფიქრდა, დუმაში მისულიყო და იქ მთავრობის შეცვლის შესახებ განცხადება გაეკეთებინა, მაგრამ ამის ნაცვლად 7 მარტს ფრონტზე გაემგზავრა და პრემიერ-მინისტრს დუმის დათხოვნის ბრძანება დაუტოვა (რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა ამოქმედებულიყო). როცა არეულობა დაიწყო, ალექსანდრა მას წერილს წერილზე წერდა, რომლებშიც აგულიანდებდა, არაფერი დაეთმო.

არეულობა, უფრო სწორად კი რევოლუცია, მეორე დღესვე დაიწყო. პეტროგრადში უეცრად დათბა და დამშეული და გამწარებული ხალხი გარეთ გამოვიდა. ბევრი მათგანი 8 მარტს აღნიშნავდა, მაგრამ მალე ყველა საერთო დიდ დემონსტრაციას შეუერთდა, რომელიც მეფის გადადგომასა და „გერმანელი დედოფლის“ დასჯას ითხოვდა. დემოსტრაციის წინააღმდეგ რეჟიმის ტრადიციული და ყველაზე ეფექტური დამცველები, კაზაკები, მიუშვეს, მაგრამ მათ დემონსტრანტების ნაცვლად პოლიციას გაუხსნეს ცეცხლი. თავად პოლიციაც დემორალიზებული იყო და დემონსტრანტებთან ბრძოლის სურვილს არ ამჟღავნებდა. მთავრობაში პანიკა დაიწყო, მისმა წევრებმა იმპერატორს თავიანთი გადადგომის შესახებ ამცნეს და დედაქალაქში დაბრუნება სთხოვეს. მაგრამ ნიკიმ ამის პასუხად „წესრიგის დამყარება“ ბრძანა. მალე დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე ჯარმაც თქვა უარი, მაგრამ ნიკიზე ვერც ამან მოახდინა შთაბეჭდილება. 11 მარტს პრემიერ-მინისტრმა იმპერატორის 7 მარტის ბრძანება მიიტანა დუმაში, რომელიც ამ უკანასკნელის დაშლას იუწყებოდა. დუმას ბრძანება სასაცილოდაც არ ეყო და პასუხად რევოლუციას შეუერთდა. მეორე დღეს მას მიბაძა ადგილობრივმა გარნიზონმაც.

13 მარტს ნიკი გამოფხიზლდა და პეტროგრადისკენ დაიძრა. უკვე ისედაც გვიანი იყო და ნიკი კიდევ უფრო აგვიანებდა – შემოვლითი გზით მიდიოდა, რათა ფრონტზე მიმავალი ჯარისათვის ხელი არ შეეშალა. ამ დროისათვის უკვე ცარსკოე სელოს გარნიზონიც კი აჯანყებულიყო. ალექსანდრა ამას ყურადღებას არ აქცევდა, რადგან მის შვილებს წითელა შეჰყროდათ და მათ მოვლაზე იყო გადართული. რასპუტინის მკვლელობის შემდეგ იგი პირველად დაუბრუნდა რეალურ ცხოვრებას, თუმცა პოლიტიკას რეალურად ისევ ვერ აფასებდა და ქმარს კვლავაც უთვლიდა, არაფერი დაეთმო.

ნიკი მიხვდა, რომ დედაქალაქში შესვლა სარისკო იყო და შორიახლო

გაჩერდა. იგი მართლაც არაფერს თმობდა და დუმას ახალი მთავრობის დაკომპლექტების უფლებაზე სასტიკ უარს ეუბნებოდა. ამასობაში რევოლუცია მოსკოვსაც მოედო და დუმა მიხვდა, რომ ნიკის დაუკითხავად უნდა ემოქმედა, მით უმეტეს, რომ უკვე თავი წამოყო ალტერნატიულმა ხელისუფლებამ, ე.წ. პეტროგრადის საბჭოს სახით (სრული სახელი – პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო). ეს იყო მენშევიკების (სოციალ-დემოკრატთა მუშათა პარტიის ზომიერი ფრთა, რომელიც 1903 წელს პარტიის ორ ფრთად – მენშევიკებად და ბოლშევიკებად – გაყოფის შედეგად გაჩნდა) მიერ 1915 წელს შექმნილი ორგანო. მისი ლიდერები 1917 წლის დასაწყისში დააპატიმრეს, როცა ისინი „სისხლიანი კვირის“ წლისთავზე დემონსტრაციის მოწყობას გეგმავდნენ, მაგრამ თებერვლის რევოლუციის დაწყებისთანავე (რუსეთში კვლავაც ძველი კალენდარი მოქმედებდა და ამიტომ ამ მოვლენებს არა მარტის, არამედ თებერვლის რევოლუცია ეწოდა) ისინი გაათავისუფლეს და პეტროგრადის საბჭო უკვე ძალაუფლებაზე აცხადებდა პრეტენზიას. მას ხელმძღვანელობდა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ტიფლისის გუბერნიის წარმომადგენელი დუმაში.

14 მარტს დუმამ პეტროგრადის საბჭოსთან ახალი, დროებითი მთავრობის შემადგენლობა შეათანხმა. ნიკი ისევ ყოყმანობდა, მაგრამ მეორე დღეს მან დიდი ჰერცოგის წერილი მიიღო, რომელიც მას კატეგორიულად ურჩევდა გადადგომას. იმავე აზრის იყვნენ სხვა წამყვანი გენერლები, მათ შორის, ბრუსილოვიც. დუმას იმედი ჰქონდა, რომ იმპერატორი თავისი ვაჟის სასარგებლოდ გადადგებოდა და ამგვარად მონარქია გადარჩებოდა, პეტროგრადის საბჭო კი პირიქით – არ მალავდა, რომ რესპუბლიკა სურდა.

ნიკიმ 15 მარტს ყველაფერი გადაწყვიტა. იგი უნდა გადამდგარიყო. მართალია, არაფრით სურდა, რაიმე დაეთმო დუმასთვის (პეტროგრადის საბჭოზე ხომ საუბარი საერთოდ ზედმეტია), მაგრამ კარგად ხვდებოდა, რომ გაჯიუტებას მხოლოდ ერთი რამ მოჰყვებოდა – ქაოსი შეიარაღებულ ძალებში და რუსეთის სამარცხვინო გამოსვლა მსოფლიო ომიდან მთელი აქედან გამომდინარე შედეგებით. ნიკის ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ თავისი იმპერიის სიყვარულის ნაკლებობას მას ვერავინ დასწამებდა – გადადგომით იგი რუსეთს ომის გაგრძელებისა და მოკავშირეთაგან დაპირებული ტერიტორიების მიღების შანსს უნარჩუნებდა.

გადასაწყვეტი იყო ერთი რამ: გადადგებოდა თუ არა ნიკოლოზი თავისი ვაჟის სასარგებლოდ. ამისათვის იმპერატორმა კარის ექიმს სთხოვა რჩევა და ჰკითხა, როდის განიკურნებოდა პატარა ალექსანდრე ჰემოფილიისგან. რასპუტინი ირწმუნებოდა, რომ ეს სწორედ 1917 წელს უნდა მომხდარიყო და ნიკის იმედი ჰქონდა, რომ ექიმი ამას დაუდასტურებდა. მაგრამ ექიმმა ეჭვი გამოთქვა. ავადმყოფი ვაჟისათვის დიდი ტვირთის აკიდება ნიკოლოზს ნამდვილად არ სურდა. ხოლო როცა ექიმმა თავის

იმპერატორს დელიკატურად შეახსენა, რომ მას ალბათ ემიგრაციაში წასვლა და გამეფებული შვილის რუსეთში დატოვება მოუხდებოდა, ნიკოლოზმა შვილის სასარგებლოდ გადადგომა საბოლოოდ გადაიფიქრა – ალექსანდრთან განშორება მას ნამდვილად გულს გაუხეთქავდა.

გადადგომის წინ ნიკოლოზმა ჯარს მიმართა და მოუწოდა, ომი ბოლომდე მიეყვანათ. გვირგვინი ნიკოლოზის ძმა მიხეილს დარჩა – კიდევ ერთ უუნარო რომანოვს, რომელიც ორ დღეში გადადგა, მას შემდეგ რაც დროებითი მთავრობის ყველაზე ენერგიულმა წევრმა, იუსტიციის მინისტრმა ალექსანდრ კერენსკიმ დაარწმუნა, ხალხს მონარქია, როგორც ასეთი, აღარ სჭირდებაო.

ასე დასრულდა რუსეთში რომანოვების დინასტია, ნიკოლოზი კი დაუბრუნდა იმ საქმეს, რომელიც მას ყველაზე მეტად შეეფერებოდა – თავისი ოჯახის მოვლას. დროებითი მთავრობა ოჯახის უცხოეთში, კონკრეტულად კი ინგლისში გაგზავნას ფიქრობდა და ამაზე თავდაპირველად ლონდონიდან თანხმობაც მოვიდა. მაგრამ სულ მალე პეტროგრადის საბჭომ სამეფო ოჯახის დაპატიმრება გადაწყვიტა და ისინი ცარსკოე სელოში ჩაკეტეს. ამის შემდეგ ინგლისელებისგან უარი მოვიდა, რამაც ნიკის ძალზე ატკინა გული. ლოიდ-ჯორჯმა მეფე დაარწმუნა, რომ სამარცხვინოდ დამხობილი რუსეთის იმპერატორის შეფარება ინგლისელი ლიბერალების მხრიდან სასტიკ პროტესტს გამოიწვევდა და ნიკის გამო რუსეთის ახალ მმართველებთან ვაჭრობა არ ღირდა. ვილისგან განსხვავებით, ნიკის ნამდვილად ჰქონდა საფუძველი ეთქვა, რომ მას ჯორჯმა (მისმა დეიდაშვილმა) უღალატა. ერთ დროს უდიდესი იმპერიის ერთპიროვნული მმართველი აღარავის სჭირდებოდა. ინგლისელებსა და ფრანგებს უუნარო ავტოკრატის მოშორება გაუხარდათ კიდეც. ისინი გერმანიასა და მის მოკავშირეებთან ომს ბარბაროსობისა და ტირანიის წინააღმდეგ და თავისუფლების გადასარჩენად ბრძოლად აცხადებდნენ, მაგრამ ეს პროპაგანდა მათ გვერდით რუსეთის ყოფნის გამო არც ისე დამაჯერებლად ჟღერდა. ნიკოლოზის რეჟიმის დამხობის შემდეგ რუსეთი უფრო ცივილიზებულ სახეს იღებდა და ზემოხსენებული პროპაგანდაც უფრო დასაჯერებელი ხდებოდა. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ლონდონისა და პარიზისათვის, რუსეთი ომში რჩებოდა.

მაგრამ რუსეთში ყველაფერი გაცილებით უფრო რთულად იყო, ვიდრე ეს მის მოკავშირეებს წარმოედგინათ. დროებით მთავრობას რეალურად კერენსკი მართავდა, ესერთა წარმომადგენელი. ესერებს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას ეძახდნენ, რომელიც ოდესღაც „ხალხის ნების“ წარმომადგენლებმა დააარსეს. კერენსკიც მუდამ ხალხზე, ხალხის ნებაზე და ხალხის სახელით ლაპარაკობდა. იგი ბრწყინვალე ორატორი იყო, რომელიც ლაპარაკის დროს აუდიტორიასთან, ხალხის მასასთან მიდიოდა, მასთან უშუალო კონტაქტში შედიოდა და მას ერწყმოდა. მაგრამ ამის გარდა სხვა რაიმე ნიჭი არ გააჩნდა. ყოველ შემთხვევაში,

იმდენად არა, რომ რუსეთს ასეთ რთულ პერიოდში გაძღოლოდა. ქვეყანაში რეალურად ორხელისუფლებიანობა იყო. დუმა და დროებითი მთავრობა ომის ბოლომდე მიყვანასა და რევოლუციის დასრულებაზე ფიქრობდნენ, პეტროგრადის საბჭოს კი რევოლუციის გაგრძელება სურდა და მარტის ბოლოს რევოლუციური მოწოდებებით მსოფლიოსაც კი მიმართა. საბჭო არც ომის მიმართ თავის უარყოფით დამოკიდებულებას მალავდა. როცა 9 აპრილს მთავრობამ ომის გაგრძელების შესახებ განაცხადა, საბჭოს გავლენით იძულებული გახდა, ასევე ალაპარაკებულიყო ომის სასწრაფოდ დასრულებასა და ზავზე ანექსიებისა და კონტრიბუციების გარეშე. ამ გამოხდომის შემდეგ დროებითი მთავრობის საგარეო მინისტრმა პაველ მილიუკოვმა მოკავშირეებს დასამშვიდებლად ნოტით მიმართა, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ რუსეთი ომს აუცილებლად მიიყვანდა ბოლომდე და იქვე მათ დანაპირებ სრუტეებს ახსენებდა. ნოტას საშინელი სკანდალი მოჰყვა და მილიუკოვი მალე იძულებული გახდა, გადამდგარიყო. თუმცა, ასე თუ ისე, რუსეთი ომში მაინც რჩებოდა.

9 აპრილსავე მოხდა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ციურიხიდან რუსეთისაკენ დაიძრა ვლადიმირ ულიანოვი (ლენინი). მის გამგზავრებაში ჩართული იყო გერმანიის მთავრობა, რომელიც ლენინს ყურადღებით აკვირდებოდა მას შემდეგ, რაც ბოლშევიკთა ბელადი მას ვინმე ალექსანდრ პარვუსმა ურჩია. ეს იყო რუსი წარმოშობის სოციალ-დემოკრატი და ავანტიურისტი, რომელიც ბევრ საქმეს მოსდებოდა და სხვა ყველაფერთან ერთად ე.წ. უკრაინის გათავისუფლების კავშირში მოღვაწეობდა (ეს ორგანიზაცია ბერლინიდან და ვენიდან ფინანსდებოდა და მასთან ლენინიც თანამშრომლობდა). პარვუსის თქმით, ლენინი „კერენსკისა და ჩხეიძეზე უარესი გიჟი“ იყო და შეეძლო რუსეთი გადაეტრიალებინა. ლენინი რომ რუსეთის რეჟიმის წინააღმდეგ კარგ იარაღად შეიძლებოდა ქცეულიყო, ამას მანამდეც კარგად ხვდებოდნენ როგორც ბერლინში, ასევე ვენაშიც. 1914 წლის აგვისტოში ლენინი ავსტრიულმა პოლიციამ დააპატიმრა (იმ პერიოდში იგი კრაკოვში ცხოვრობდა) როგორც მტრული ქვეყნის ქვეშევრდომი, მაგრამ ვენიდან მისი გათავისუფლების ბრძანება მოვიდა და მალე შვეიცარიაში გააცილეს (და საკმაოდ დიდი პატივითაც). გერმანელებს ლენინი დიდად არ მოსწონდათ, მაგრამ ისინი ძალიან მოხიბლა ერთმა ამბავმა – ეს უცნაური და ამბიციური ადამიანი რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლასა და რუსეთის ომიდან გამოყვანას გეგმავდა. ამიტომაც პარვუსის შეგონებები ბოლოს და ბოლოს შეისმინეს და ბოლშევიკთა ლიდერი საკუთარი ქვეყნის გადასატრიალებლად გაუშვეს.

ძნელი სათქმელია, სინამდვილეში რამდენად ჰქონდათ გერმანელებს ამის იმედი. თუ არა, ესე იგი ისინი ლენინს ძალიან ცუდად იცნობდნენ. ლენინი გახლდათ ადამიანი, რომლისთვისაც საქმესა და ცხოვრებას

შორის არანაირი განსხვავება არ იყო; ადამიანი, რომელიც თავის ძალებს თავიდან ბოლომდე საქმესა და დასახულ მიზანს უძღვნიდა და რომელსაც შეეძლო ამ მიზნის მისაღწევად სხვა ადამიანები არა მხოლოდ აეყოლიებინა, არამედ ისინიც მისნაირ ფანატიკოსებად ექცია. იგი კაცობრიობას ორ კატეგორიად ჰყოფდა: მისიანები და სხვისიანები, მისიანები და მტრები. პოლიტიკა მისთვის სხვა არაფერი იყო, თუ არა ომი, რომელშიც მოწინააღმდეგე მხარე უნდა განადგურებულიყო.

ასეთი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ალბათ ლენინის ძმის, ალექსანდრეს, ისტორიამ ითამაშა. ეს უკანასკნელი „ხალხის ნების" აქტიური წევრი იყო და 1887 წელს იმდროინდელი იმპერატორის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის დაგეგმვის გამო დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს. ლენინი მაშინ 17 წლის იყო და გიმნაზიას ამთავრებდა. როგორც ასეთი, ძმის სიკვდილს მასზე არც ისე მძიმე გავლენა მოუხდენია (საერთოდ, ძმასთან მას კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა). მაგრამ სულ მალე, უკვე უნივერსიტეტში მასთან კონტაქტი „ხალხის ნებამ" დაამყარა, რის გამოც ბოლშევიკთა მომავალი ბელადი სასწავლებლიდან გარიცხეს. ლენინისთვის ეს ნამდვილი ტრაგედია იყო, რადგან იგი თავისი დროის უდიდეს ნაწილს სწავლასა და განათლების მიღებას ანდომებდა და არაფერში აინტერესებდა გართობა და საზოგადოებრივი აქტივობები. იგი ყველანაირად ეცადა უნივერსიტეტში აღდგენას და როცა ეს ვერ მოახერხა, ერთი პერიოდი თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდა. არსებული რეჟიმის მიმართ საშინელი სიძულვილი გაუჩნდა და როცა იმ პერიოდში მარქსის კითხვა დაიწყო, თავისი ცხოვრების მისიაც იპოვა – რეჟიმის განადგურება. მარქსის მიხედვით, ჯერ ქვეყანაში კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას უნდა გაემარჯვა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა აეღოთ ხელში ძალაუფლება მუშებს, მაგრამ რუსეთი რეალურად ჯერ კიდევ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა (მოსახლეობის ოთხ მეხუთედს გლეხები შეადგენდნენ), ლენინს კი იმდენი ნამდვილად არ ეცალა, რომ კაპიტალიზმის გამარჯვებას დალოდებოდა და მერე მოეხდინა რევოლუცია. მან გადაწყვიტა, რომ რუსეთი უკვე კაპიტალისტური იყო და ოდნავ შეძლებული გლეხებიც ბურჟუები იყვნენ. ამიტომაც ქვეყანაში სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო რევოლუცია, რომელსაც უნდა გაენადგურებინა არა მხოლოდ მონარქია, არამედ ბურჟუაზიული კლასი როგორც ასეთი – ანუ ყველა, ვისაც ლენინი ბურჟუად ჩათვლიდა.

და, აი, ასეთი ადამიანი კიდევ ოცამდე ბოლშევიკის თანხლებით 9 აპრილს რუსეთისკენ დაიძრა. 11 აპრილს იგი უკვე ბერლინში იყო, სადაც მისი მატარებელი გერმანელთა დაცვის ქვეშ ოცი საათის განმავლობაში იდგა. იქიდან ბოლშევიკთა ბელადი შვედეთში გადავიდა. სტოკჰოლმში რუსეთის საკონსულომ მას ვიზა დაახვედრა და 16 აპრილს ფინეთის გავლით ლენინი უკვე პეტროგრადში იყო. მას სადგურში ჩხეიძე ელოდა,

რომელიც ბოლშევიკებს პეტროგრადის საბჭოს სახელით მიესალმა და იმედი გამოთქვა, რომ ისინი „საერთო სოციალისტურ საქმეს" მოემსახურებოდნენ.

ლენინამდე ადრე, მარტის ბოლოს, ნიუ-იორკიდან რუსეთისაკენ დაიძრა ლევ ბრონშტეინი (ტროცკი). ეს იყო ლენინზე კიდევ უფრო ქარიზმატული ლიდერი, უგანათლებულესი ადამიანი, ბრწყინვალე ორატორი და ასევე დიდებული ორგანიზატორი, მაგრამ, ამავე დროს, თვით ლენინზე უარესი ფანატიკოსი. მის გარდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან სამშობლოსკენ სხვა განდევნილი რუსი რევოლუციონერებიც დაიძრნენ, რომელთაც ნიკოლოზის დამხობამ იმედი ჩაუსახა, რომ სულ მალე თავიანთ საოცნებო რუსეთს შექმნიდნენ. მათი ოცნება ისე უნდა ახდენილიყო, ალბათ თავადაც რომ ვერ წარმოიდგენდნენ...

საყოველთაო ქაოსი

...თებერვლის დასაწყისში გერმანელებმა დასავლეთის ფრონტზე უკან დახევა დაიწყეს. მოწინააღმდეგეთა გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახეს, რომ გერმანელები თავიანთ პოზიციებს ბომბავდნენ. თუმცა, მალევე მიხვდნენ, რომ ამ პოზიციებზე აღარავინ იყო. გერმანელები უბრალოდ უკან დახევისას ყველაფერს ანადგურებდნენ. ისინი ახალ პოზიციებზე მაგრდებოდნენ და მთელ ფრონტის ხაზზე ახალ ფორტიფიკაციებს აგებდნენ, რომელთაც ანტანტამ ჰინდენბურგის ხაზი შეარქვა. ეს ხაზი ფაქტობრივად გაუვალი იყო. იგი იწყებოდა თხრილით (ტანკების ხაფანგი), შემდეგ მოდიოდა მავთულხლართი, შემდეგ ბლოკჰაუზები ტყვიამფრქვევებით. ამის უკან იყო მიწისქვეშა ფორტიფიკაცია და მის უკან კი არტილერია. გარდა იმისა, რომ გერმანელები სერიოზულად გამაგრდნენ, მათ თავიანთი ფრონტის ხაზიც შეამოკლეს და ამის წყალობით გარკვეული ძალები გამოათავისუფლეს.

უკან დახევა და ჰინდენბურგის ხაზის მეშვეობით გამაგრება ლუდენდორფის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო, მაგრამ ცხადია ასეთი გადაადგილება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული: ძველი პოზიციების დატოვების შემდეგ ახალ პოზიციებზე გამაგრებამდე, ასე ვთქვათ, შუა გზაზე, მოწინააღმდეგეს რომ შეეტია, გერმანელები ცხვრებივით ჩაიხოცებოდნენ. ამიტომ ლუდენდორფი ყოყმანობდა და უკან დახევის დაწყებას ვერ ბედავდა, მაგრამ თებერვლის დასაწყისში მოწინააღმდეგეთა მიმოწერა ჩაიგდო ხელში, საიდანაც შეიტყო, რომ ისინი შეტევას აპრილში გეგმავდნენ. ამის შემდეგ გადაწყდა უკან დახევა სასწრაფოდ დაეწყოთ, რათა აპრილამდე დაესრულებინათ.

სანამ გერმანელები დასავლეთის ფრონტზე მაგრდებოდნენ, ავსტრიელთა ახალი იმპერატორი კარლი მათგან უჩუმრად ანატანტასთან

გარიგებაზე დაფიქრდა. კარლი თავისი დინასტიის ტიპური წარმომადგენელი იყო. მამამისი, ფრანც-ფერდინანდის ძმა, სიფილისისგან გარდაიცვალა. თავად კარლი მეოცნებე ახალგაზრდა იყო, რომელსაც იმედი ჰქონდა, ავსტრია-უნგრეთის უკვე დანგრევამდე მისულ იმპერიას შეეძლო გერმანელთა გარეშე რაღაცისათვის მიეღწია და დამოუკიდებლად მოლაპარაკებები ეწარმოებინა ინგლისსა და საფრანგეთთან, რომლებიც არა მხოლოდ დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ გამარჯვებაში, არამედ ავსტრია-უნგრეთის დაშლაც სურდათ (ეს 10 იანვარს თავიანთ ერთ-ერთ მიზნად გამოაცხადეს). თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად კარლმა შუამავლობა ცოლისძმებს სთხოვა და მარტში მოლაპარაკებებიც დაძრა. ფრანგებს მან ელზასი და ლორენი შესთავაზა. გარდა ამისა, დათანხმდა სერბეთისათვის ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელის მიცემას და ასევე – გარკვეულ კომპენსაციებს იტალიისათვის.

ინგლისელებიცა და ფრაგებიც კარლის შემოთავაზებას თავიდან საკმაოდ დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. მათ რუსებს საერთოდ არაფერი გააგებინეს, ხოლო იტალიელებს შეაპარეს, რომ ვენასთან მოლაპარაკება ცუდი არ იქნებოდა. სანაცვლოდ იტალიელებს თურქეთის იმპერიაში კომპენსაციებსაც კი შეპირდნენ. იტალიელებს ამ ახალ წინადადებაზე უარი არ უთქვამთ, ოღონდ ვენასთან მოლაპარაკებაზე მაინც არ დათანხმდნენ.

გერმანელთა ზურგსუკან მოლაპარაკების პარალელურად ავსტრიელები გერმანელებთანაც ცდიდნენ ბედს. მათი ახალი საგარეო მინისტრი ოტოკარ ჩერნინი ბეტმანის დაყოლიებას შეეცადა. მან კანცლერს ელზას-ლორენის დათმობა და ამის სანაცვლოდ გალიცია შესთავაზა. ბეტმანი მშვიდობისათვის უკვე ძალიან ბევრ რამეზე იყო თანახმა, მაგრამ მისი გავლენა სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. 23 აპრილს ჰინდენბურგმა და ლუდენდორფმა ომის მიზნები მემორანდუმის სახით ჩამოაყალიბეს, სადაც გაწერილი იყო ბელგიის, საფრანგეთის, რუსეთისა და ბალკანეთის ტერიტორიების მიერთება. ბეტმანი მემორანდუმს მიემხრო. ამ ფანტაზიების გაპროტესტება სასაცილო იქნებოდაო, იმართლებდა იგი თავს. ჩერნინის ინიციატივა ამ მემორანდუმმა დაასამარა. იმავე დღეებში კი კარლის ცოლისძმების მისიის შესახებ ინფორმაციამ ფრანგულ პრესაში გაჟონა და ამით ყველაფერი დასრულდა. განრისხებული გერმანელების დასამშვიდებლად კარლმა ყველაფერი უარყო, რითაც უკვე ანტანტას თვალშიც გაიფუჭა სახელი.

აპრილშივე ანტანტამ ჩაფიქრებული შეტევა წამოიწყო. ამ გადაწყვეტილების საბოლოო მიღება იოლი არ ყოფილა. მას შემდეგ, რაც ლოიდ-ჯორჯმა ნიველის გეგმა მოიწონა, ბევრი რამ მოხდა. გერმანელებმა არა მხოლოდ უკან დაიხიეს და გამაგრდნენ, არამედ ბევრი ის ტერიტორიაც მიატოვეს, რომლებზეც ნიველი შეტევას აპირებდა. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო, ომში ამერიკაც ჩაება და ასეთ ვითარებაში დაცდა აჯობებდა.

მაგრამ ნიველი ამის პასუხად გადადგომით დაიმუქრა. „ვერდენის გმირის“ წასვლა საფრანგეთის მთავრობას ნამდვილად არ აწყობდა და 9 აპრილს ახალი სასაკლაოც გაჩაღდა.

პეტენი და ფოში ახალი იერიშის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ისინი ოპერაციას საერთოდ ჩამოაშორეს. შეტევა ჯერ ქალაქ არასთან დაიწყო (ენას ფრონტის ჩრდილოეთით) გერმანელთა ყურადღების გაფანტვის მიზნით და მასში სამი ინგლისური და ერთი ფრანგული არმია მონაწილეობდა. თავიდან ინგლისელებმა წინსვლა მოახერხეს. ამან შოკში ჩააგდო ლუდენდორფი, რომელიც ზუსტად იმ დღეს 52 წლის გახდა. მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ გერმანელთა წარუმატებლობის მიზეზი უბრალოდ ის იყო, რომ მათი შენაერთის მეთაურმა ჰინდენბურგის ხაზის დაცვის პრინციპებს გადაუხვია. მალე გერმანელები დალაგდნენ და თავს საკმაოდ იოლად იცავდნენ. 16 აპრილს ენასთან ნიველის შეტევაც დაიწყო. მას მილიონზე მეტი კაცი ჰყავდა. გერმანელთა ძალები გაცილებით მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ მათ კრონ-პრინცი მეთაურობდა, რომელიც ნიველის ტაქტიკას კარგად იცნობდა ვერდენიდან. ფრანგებს, დიდი მსხვერპლის მიუხედავად, არაფერი გამისდიოდათ. საქმეს არც მათმა ტანკებმა უშველა – გერმანელთა არტილერიამ ისინი იოლად მოსპო. უკვე 19 აპრილს მთავრობა მიხვდა, რომ ენა ახალ სომად იქცა. 21 აპრილს ფრანგულ ჯარში დაუმორჩილებლობა დაიწყო. მეომრები შეტევაზე წასვლაზე უარს აცხადებდნენ და „გაუმარჯოს მშვიდობას“ გაჰყვიროდნენ. 25 აპრილს პუანკარემ ნიველს შეჩერება უბრძანა. ამ უკანასკნელმა ყველაფერი ვერდენის კიდევ ერთ „გმირს“, ყასბად წოდებულ შარლ მანჟენს გადააბრალა, რომელიც ძირითად არმიას მეთაურობდა. მაგრამ ამან ვერ უშველა. როცა შეტევა ბოლოს და ბოლოს დასრულდა, ფრანგების დანაკარგი 270 ათას კაცს აღწევდა.

ნიველი ძალით გადააყენეს და გენერალური შტაბი ბოლოს და ბოლოს პეტენს ჩააბარეს. მას ჯარში სრული ქაოსი დახვდა, თუმცა ეს მხოლოდ ფრანგების პრობლემა არ იყო. 9 აპრილს პეტროგრადიდან გაკეთებულმა მიმართვამ ომის სასწრაფოდ დასრულებასა და ანექსიებისა და კონტრიბუციების გარეშე ზავის თაობაზე უკვე ყველას აურია ტვინი. 15 აპრილს რუსი ჯარისკაცები სანგრებიდან ამოვიდნენ და აღდგომა გერმანელებსა და ავსტრიელებთან ერთად აღნიშნეს. მთელ ევროპაში წამოყვეს თავი 1914 წლის აგვისტოში დადუმებულმა სოციალისტებმა. გერმანიაში გაფიცვები დაიწყო. ბეტმანი ხვდებოდა, რომ რაღაცის შეცვლა იყო საჭირო და კონსტიტუციური რეფორმის აუცილებლობაზე ალაპარაკდა, მაგრამ ამით მხოლოდ კიდევ უფრო გადაიკიდა ჰინდენბურგი და ლუდენდორფი. იმპერატორი ამ დავაში, მართალია, ბეტმანის მხარეს იდგა, მაგრამ სამაგიეროდ ჰინდენბურგსა და ლუდენდორფს მხარს უჭერდნენ გერმანიის მმართველი კლასები, რომლებიც კონსტიტუციური რეფორმის წინააღმდეგი იყვნენ და ამიტომაც ომის გამარჯვებამდე

გაგრძელებას ითხოვდნენ, რადგან იმედოვნებდნენ, რომ გამარჯვება რეფორმის აუცილებლობას ბოლოს მოუღებდა. თავიანთ უპირატესობაში დარწმუნებულმა ჰინდენბურგმა და ლუდენდორფმა ბეტმანის გადაყენება მოითხოვეს. მაგრამ ვილი ამას შეეწინააღმდეგა, ვინაიდან ხვდებოდა, რომ მისი კანცლერი მისი უკანასკნელი დასაყრდენი იყო სამხედროებთან დაპირისპირებაში.

რუსეთში ლენინი გერმანელთა ფულით გაზეთს უშვებდა, შეიარაღებულ ფორმირებას (ე.წ. წითელ გვარდიას ქმნიდა) და აღარ მალავდა, რომ „რევოლუციის ახალ ფაზაზე გადასვლას“ გეგმავდა. დროებით მთავრობას კი ამ დროს თავისი პრობლემები ჰქონდა. მილიუკოვის გადადგომის შემდეგ მისი შემადგენლობა შეიცვალა – მაისის დასაწყისში მინისტრთა კაბინეტში მენშევიკებიც შევიდნენ. კერენსკი – მილიუკოვის გადადგომის ერთ-ერთი აქტიური მომხრე – ომის მინისტრად იქცა. სწორედ იმ დღეებში რუსებს წესით ნიველის იერიშის მხარდასაჭერად თავიანთი შეტევა უნდა წამოეწყოთ, მაგრამ ჯარი სრულიად პარალიზებული იყო. ნახშირის არქონის გამო ორთქლმავლები ადგილიდან ვერ იძროდნენ და გადაადგილებაც კი არ ხერხდებოდა, სხვა პრობლემებზე რომ არაფერი ვთქვათ. კერენსკიმ ამას ისიც დაუმატა, რომ 43 წელს გადაცილებულები სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლა და დეზერტირობისათვის სიკვდილით დასჯა გააუქმა. შედეგად ბევრმა რუსმა ჯარისკაცმა იარაღი დაყარა და სახლისკენ გაეშურა. ჯარი კიდევ უფრო დიდმა ქაოსმა მოიცვა.

კატასტროფა ხდებოდა თურქეთშიც. მართალია, რუსეთში მიმდინარე ამბებმა ეს ქვეყანა ცოტა ამოასუნთქა, მაგრამ სამაგიეროდ მას არაბები აუჯანყდნენ, რაშიც დიდი წვლილი დაიდო ცნობილმა ინგლისელმა ოფიცერმა, ტომას ლოურენსმა. მარტში ინგლისელებმა ბაღდადი აიღეს, ივლისში კი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი აქაბა ლოურენსის მეთაურობით არაბებმა ჩაიგდეს ხელში.

პაპის ინიციატივა; მესამე იპრი; უკანასკნელი ისონძო; ვეფხვის შემოსვლა

ანტანტას ბანაკში თანდათანობით დაიწყეს გონს მოსვლა. არასითა და ენათი შოკირებულმა ინგლისელებმა მაისში წყალქვეშა ნავებისგან თავდაცვის ხერხსაც მიაგნეს – სავაჭრო გემებს დესტროიერების კონვოები მიუჩინეს – და ამით ინგლისის დაჩოქების კიდევ ერთი გერმანული გეგმა მარტივად ჩაშალეს. სულ მალე პეტენი ჯარში სასწრაფო ზომების მიღებას შეუდგა: მან შფოთისთავები დახვრიტა, ჯარისკაცებს ყოფითი პირობები გაუუმჯობესა და, რაც მთავარია, უაზრო შეტევები დაასრულა. ივლისისათვის ფრანგულ ჯარში წესრიგი აღდგა.

4 ივლისს აღტაცებული პარიზის ქუჩებში საგანგებოდ ჩამოსულმა ამერიკულმა დივიზიამ გაიარა გენერალ ჯონ პერშინგის მეთაურობით. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისი იყო. ამერიკა უკვე დუღდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით სამხედრო ბანაკები შენდებოდა და იქ ინგლისელი და ფრანგი ინსტრუქტორების დახმარებით ასიათასობით ამერიკელი ინტენსიურ წვრთნებს გადიოდა. პერშინგის შეფასებით, ომის მოსაგებად სამი მილიონი ჯარისკაცი მაინც იქნებოდა საჭირო. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ამერიკას, სურვილის შემთხვევაში, ამაზე გაცილებით მეტის გამოყვანაც შეეძლო.

მაგრამ ინგლისსა და საფრანგეთში ყველას არ სურდა ამერიკელების ლოდინი; გულის სიღრმეში იმედოვნებდნენ, რომ ომს მათი დახმარების გარეშე მოიგებდნენ და, შესაბამისად, ყველაფერს თავის ჭკუაზე, იდეალისტი უილსონის კარნახის გარეშე დაალაგებდნენ. ჰეიგი ირწმუნებოდა, რომ მას იპრთან გარღვევის გეგმა ჰქონდა. ხმელეთზე შეტევის პარალელურად ინგლისელები ზღვიდანაც გადასხდებოდნენ, გერმანელებს ბელგიის სანაპიროდან განდევნიდნენ და ამგვარად მათ ფრონტს ფლანგიდან გაარღვევდნენ. ლოიდ-ჯორჯს არასისა და ენას შემდეგ ომის ხალისი თითქმის გაჰქრობოდა. მის სკეპტიციზმს პეტენიც იზიარებდა, მაგრამ ამის მიუხედავად ჰეიგი შეტევისათვის მზადებას მაინც შეუდგა. ინგლისელებმა გერმანელთა პოზიციების ქვემოთ გვირაბი გათხარეს და იქაურობა დანაღმეს. 7 ივნისს გვირაბი ააფეთქეს. აფეთქება ისეთი იყო, რომ მისი ხმა ლონდონში გაიგონეს. ინგლისელებმა ამის შემდეგ მნიშვნელოვანი შემაღლება დაიკავეს. 19 ივნისს ჰეიგი ლონდონში იხმეს და მან ფლოტის სარდლობასთან ერთად ბოლოს და ბოლოს თავისი გეგმის სისწორეში ლოიდ-ჯორჯი დაარწმუნა. ამ უკანასკნელს არც ისე მყარი პოზიციები ჰქონდა და კონსერვატორებთან თავის ურთიერთობას უფრთხილდებოდა, ამიტომაც საკუთარ თავს ძალა დაატანა და სამხედროთა არგუმენტები შეისმინა. ისინი შეპირდნენ, რომ ზღვიდან ჯარს მხოლოდ მაშინ გადასხამდნენ, თუკი იპრთან ათი კილომეტრით წაიწევდნენ წინ. თუკი ხმელეთზე შეტევა ცუდად წავიდოდა, მაშინვე შეჩერდებოდნენ. ბელგიის სანაპირო მას უმნიშვნელოვანეს სამიზნედ დაუხატეს, რადგანაც იქიდან გერმანული წყალქვეშა ნავები მოქმედებდნენ (არადა, იქიდან მოქმედი წყალქვეშა ნავების რიცხვი სასაცილოდ ცოტა იყო).

სანამ ინგლისელები ახალი იპრისათვის ემზადებოდნენ, რუსებმა გალიციასთან შეუტიეს ისევ ბრუსილოვის მეთაურობით. მაგრამ გერმანელებს იქაც ჰინდენბურგის ხაზები აეგოთ, რაც უკვე დემორალიზებული რუსული ჯარისათვის საკმარისზე მეტი აღმოჩნდა. არც ისე დიდი დანაკარგის მიუხედავად მათ პანიკური უკან დახევა იწყეს. ოფიცრებს, რომლებიც ჯარისკაცთა შეჩერებას ცდილობდნენ, ეს უკანასკნელები იქვე ხვრეტდნენ. 19 ივლისს გერმანელებმა ჰოფმანის მეთაურობით რუსებს აქეთ შეუტიეს და მათი შეჩერება შეუძლებელი ჩანდა.

მაგრამ, ამ წარმატების მიუხედავად, გერმანელთა თვითრწმენაც შერყეული იყო. 6 ივლისს რაიხსტაგში (გერმანიის პარლამენტი) კათოლიკეთა პარტია წყალქვეშა ომის კრახსა და ანექსიებზე უარის თქმის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. სოციალ-დემოკრატებმა ამ წამოწყებას მხარი აუბეს და მათ გვერდით დადგა ბეტმანიც. ამის საპასუხოდ ჰინდენბურგმა და ლუდენდორფმა ბეტმანის წასვლა მოითხოვეს და წინააღმდეგ შემთხვევაში გადადგომით დაიმუქრნენ. შანტაჟმა ვილისთან ისევ გაჭრა. ბეტმანის ადგილას ბიულოვის დაბრუნების ვარიანტი განიხილებოდა, რაც, ალბათ, ყველაზე უარესი გამოსავალი არ ყოფილა, მაგრამ იმპერატორს „დეილი ტელეგრაფის“ ისტორიის შემდეგ ბიულოვის კანცლერად დანიშვნაზე საუბარი არ სურდა. შედეგად ახალი კანცლერი ჰინდენბურგმა და ლუდენდორფმა შეარჩიეს. ეს იყი სრულიად უსახური ჩინოსანი, ვინმე გეორგ მიხაელისი, რომელზეც ვილის არც კი სმენოდა. რაიხსტაგმა კი 19 ივლისს რეზოლუცია მიიღო, რომელშიც მშვიდობასა და ხალხების სამუდამო შერიგებას დაუჭირა მხარი, დაგმო ტერიტორიული მიტაცებები, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური შევიწროება... მოკლედ, საკუთარი მთავრობის პოლიტიკა დაგმო. მაგრამ რაიხსტაგი მაშინდელ გერმანიაში ბევრს არაფერს წყვეტდა – ოდნავ უფრო მეტს, ვიდრე დუმა რუსეთში რევოლუციამდე.

ბეტმანი გადადგა. იგი 1921 წელს გარდაიცვალა. ომმა მისი კარიერაც შეიწირა და ცხოვრებაც – მას ფრონტზე ვაჟი დაეღუპა. ბეტმანის გაშვება ისეთ დროს დაემთხვა, როცა სამშვიდობო მოლაპარაკებებში აქტიურად ჩაერთო რომის პაპი. მან კანცლერს შეუთვალა, რომ გერმანიას აუცილებლად უნდა დაეთმო ბელგია. ამას უკვე არა მხოლოდ ბეტმანი, არამედ ვილჰელმიც კი ეთანხმებოდა. კანცლერმა გადაყენებამდე მოასწრო და პაპს თანხმობა შეუთვალა, ელზას-ლორენზეც კი ალაპარაკდა. პაპმა მისი გადაყენების შემდეგაც გააგრძელა მცდელობა, მაგრამ რადგან მისი იდეა მხოლოდ გერმანიის მიერ ბელგიის დათმობა იყო, მას მხოლოდ ბალფური გამოეხმაურა, რასაც პარიზიდან და რომიდან პროტესტი მოჰყვა და ბალფურიც იძულებული გახდა მოლაპარაკებები შეეწყვიტა. გერმანელთა ახალი საგარეო მინისტრი რიხარდ ფონ კულმანი შეეცადა ყველას გვერდის ავლით გასულიყო ინგლისელებზე და მათთვის ბელგია შეეთავაზებინა, მაგრამ მიხაელისმა ამის უფლება არ მისცა. პაპის ინიციატივა კი საბოლოოდ, ადრეულ სექტემბერში ისევ გერმანელებმა დაასამარეს. ლუდენდორფი ბელგიის „დათმობას“ დათანხმდა, თუკი გერმანიას დარჩებოდა ლიეჟი (ლუდენდორფის პირველი ნადავლი ომში), მდინარე მაასამდე ტერიტორია და პორტები. უკვე არა მხოლოდ კულმანი, არამედ მიხაელისიც კი ბელგიის მთლიანად დათმობას ითხოვდა, მაგრამ მერყევი ვილჰელმი საბოლოოდ ისევ ლუდენდორფის მხარეს დადგა. ეს იყო გერმანული დიპლომატიის ერთ-ერთი უკანასკნელი გაფართხალება. ამის შემდეგ კულმანმა ესპანეთის

მეშვეობით სცადა ლონდონზე გასვლა, მაგრამ ეს მცდელობაც ისე დასრულდა, როგორც მაშინდელ გერმანულ დიპლომატიას შეშვენოდა. იმისათვის, რათა ბელგიის დათმობა გაემართლებინა, კულმანმა ოქტომბრის დასაწყისში განაცხადა, გერმანია ელზას-ლორენს არასოდეს დათმობსო. ამან ლოიდ-ჯორჯი ისე განარისხა, რომ ელზას-ლორენის საფრანგეთისათვის დაბრუნება ინგლისის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად გამოაცხადა.

ლონდონში ამ დროს ჯერ კიდევ ჰქონდათ ფრონტზე გარღვევის იმედი, თუმცა ეს იმედიც იწურებოდა...

31 ივლისს იპრის მესამე ბრძოლა დაიწყო. მას წინ უძღოდა ისეთი საარტილერიო დაბომბვა, რომელმაც ვერდენიც კი დაჩრდილა. დაბომბვამ ფაქტობრივად მოსპო ადგილობრივი დრენაჟის სისტემა, რაც იმას მოასწავებდა, რომ ნებისმიერი წვიმა ბრძოლის ველის დატბორვას ნიშნავდა, არადა ფლანდრიისათვის წვიმები, რბილად რომ ვთქვათ, უცხო არ იყო. გერმანელები მხნედ იყვნენ, მათ რუპრეხტი მეთაურობდათ. ანტანტამ შეტევის დაწყებამდეც ჰაერშიც სრული უპირატესობა მოიპოვა და ინგლისელებიც იერიშისათვის მოემზადნენ. ფლანგზე მათ ფრანგები ამაგრებდნენ და ისინი თითქოსდა ვერაფერს უნდა შეეჩერებინა. მაგრამ იერიშს გერმანული ტყვიამრქვევების გარდა დახვდა წვიმა, რომელმაც ყველაფერი აურ-დაურია. ტანკები დადგნენ, თვითმფრინავები ვეღარ დაფრინავდნენ. წინ სამი კილომეტრით თუ წაიწიეს და ზღვიდან ჯარის გადასხმაზე საუბარიც აღარ იყო. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ყველაფერი დასრულდა. ამ ოპერაციას ისედაც ბევრი უყურებდა სკეპტიკურად, მათ შორის, მუდამ მოუსვენარი ჩერჩილიც, რომელიც ივლისში შეიარაღებათა მინისტრად დაინიშნა.

მაგრამ სექტემბერში წვიმამ იკლო და 20-ში შეტევა განახლდა. ამჯერად ინგლისელებმა ტაქტიკა შეცვალეს. ისინი სწრაფი გარღვევის ნაცვლად საატრილერიო და საავიაციო მხარდაჭერის ქვეშ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ და თანდათანობით წარმატებასაც მიაღწიეს. გერმანელებს ჰინდენბურგის ხაზი ვეღარ შველოდათ, ისინი მომხვდურებზე გაცილებით ცოტანი იყვნენ და მათ ვეღარ აკავებდნენ. იპრთან გერმანელთა ძალების კონცენტრაცია არ ხერხდებოდა – ამის საშუალებას პეტენი არ იძლეოდა, რომელმაც ჯერ კიდევ აგვისტოში ვერდენთან წამოიწყო შეტევა. გერმანია განწირული ჩანდა, მაგრამ 3 ოქტომბერს მას ისევ გადაუღებელმა წვიმამ უშველა, რომელმაც ყველაფერი დატბორა და ჩარეცხა. ჰეიგი ინერციით მაინც ცდილობდა შეტევის გაგრძელებას – ენანებოდა წვალებით მოპოვებული ასეთი წარმატების შემდეგ ყველაფერი ფლანდრიული კლიმატისათვის დაეთმო, მაგრამ ნოემბერში მესამე იპრი დასრულდა და დასრულდა იმ წლის ომი დასავლეთ ფრონტზე. მსხვერპლი დიდი იყო: 236 ათასი ინგლისელი და ბრიტანეთის იმპერიის ქვეშევრდომი, 136 ათასი ფრანგი, 121 ათასი გერმანელი. ლოიდ-

ჯორჯმა გადაწყვიტა ინგლისში დარჩენილი ნახევარმილიონიანი, კარგად გაწვრთნილი ჯარი აღარსად გაეშვა.

გერმანელები გადარჩნენ. პარალელურად კი იტალიის ფრონტზე სასწაულებრივ წარმატებას მიაღწიეს. ისონძოსთან კადორნა მთელი წლის განმავლობაში უტევდა ავსტრიელებს. მხოლოდ 1916 წელს ისონძოსთან ხუთი ბრძოლა შედგა, რომელთაც არანაირი რეალური ცვლილება არ მოჰყოლია. 1917 წლის ოქტომბერში ისონძოსთან უკვე მესამე (მთლიანობაში კი – მეთორმეტე) ბრძოლა მიდიოდა. იტალიელთა ჯალათმა კადორნამ იმ წელიწადს უკვე 300 ათასამდე კაცი დაკარგა, მაგრამ ამის გამოისობით ავსტრიელებსაც დიდი ზარალი მიაყენა. სასოწარკვეთილმა კარლმა გერმანელებს სთხოვა შველა. ლუდენდორფმა ამას ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ საქმეში ვილჰელმი ჩაერია და ავსტრიელებს სახელდახელოდ შეკოწიწებული ერთი არმია მიაშველეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა არა მხოლოდ იტალიელთა მისაგერიებლად, არამედ ისონძოს ეპოპეის დასასრულებლადაც. 24 ოქტომბერს გერმანელები და ავსტრიელები შეტევაზე გადავიდნენ და მათზე გაცილებით მრავალრიცხოვანი იტალიელები 130 კილომეტრით, საშინელი დანაკარგებით მოისროლეს უკან. მარტო ტყვედ ჩავარდა 260 ათასზე მეტი იტალიელი, კადორნა გადააყენეს, იტალიის მთავრობა კი დაემხო. მაგრამ გერმანელების წინსვლაც ამით დასრულდა – მათ ძალები ელეოდათ.

ხელისუფლება საფრანგეთშიც შეიცვალა და ეს გაცილებით მნიშვნელოვანი იყო: 16 ნოემბერს პუანკარემ პრემიერ-მინისტრად „ვეფხვად" წოდებული ჟორჟ კლემანსო დანიშნა. ეს ნამდვილი ომის ლიდერი გახლდათ. როცა საფრანგეთი სედანთან ბრძოლაში პრუსიელებთან დამარცხდა, კლემანსო 29 წლის იყო და ამერიკაში ცხოვრობდა (იქ დაოჯახდა კიდეც). იქიდან სასწრაფოდ დაბრუნდა სამშობლოში. მალე აქტიურად ჩაერთო პოლიტიკაში და ჟურნალისტობასაც მიჰყო ხელი. დრეიფუსის საქმეში ზოლას მხარე დაიჭირა და მნიშვნელოვანი როლიც ითამაშა სიმართლის დადგენაში. ოპონენტებთან კლემანსო იმდენად დაუნდობელი იყო, რომ მას ვეფხვი შეარქვეს. ერთი პერიოდი პრემიერ-მინისტრიც გახდა და ინგლისთან დაახლოებასაც შეუწყო ხელი. 1909 წელს იგი გადადგა. როცა ომი დაიწყო, მას მინისტრთა კაბინეტში დაბრუნება შესთავაზეს, რაზეც უარი განაცხადა, რადგან ვივიანის მთავრობის იმედი არ ჰქონდა. თავისი გაზეთიდან ჯერ ვივიანის და შემდეგ, მომდევნო მთავრობებს სასტიკად აკრიკიტებდა ომის უუნაროდ წარმოების გამო. სარდლობასაც არ აკლებდა და მხოლოდ პეტენსა და ფოშს ინდობდა. მას გაზეთს უხურავდნენ, მაგრამ ის ახალს ხსნიდა და მთავრობებს ამხობდა...

1917 წლის ბოლოს აშკარა იყო, რომ საფრანგეთს ძლიერი ლიდერი სჭირდებოდა. ასეთები კი ორნი იყვნენ – კაიო და კლემანსო. კაიო გამორიცხული იყო, რადგან იგი მშვიდობას ქადაგებდა. შესაბამისად, ერთადერთ არჩევნად კლემანსო რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ პუანკარეს მთავრობათა დამამხობელი გულზე არ ეხატებოდა. დანიშვნისთანავე ახალმა პრემიერ-მინისტრმა ომის მინისტრობაც შეითავსა და საქმეს შეუდგა. ამჯერად თავად დახურა ის გაზეთები, რომლებიც მთავრობას აკრიტიკებდნენ და ციხეში გაუშვა შფოთისთავები და გერმანიასთან შერიგების მქადაგებლები. მალე თავად ციხეში მოხვდა კაიოც... მოკლედ, საფრანგეთი უკან დახევას აღარ აპირებდა.

ნოემბერში ახალი (კიდევ ერთი) მთავრობის მეთაური მოევლინა გერმანიასაც. მიხაელისმა ლუდენდორფსაც გაუცრუა იმედები, რადგან რაიხსტაგს ვერაფერი მოუხერხა. ახალ კანცლერად მიხაელისზე უფრო სერიოზული ფიგურა – გეორგ ფონ ჰერტლინგი დაინიშნა, რომელიც სამშვიდობო მოლაპარაკებებზე საუბრობდა, ოღონდ ამის წინაპირობად ლუქსემბურგისა და ბელგიის ნაწილის ანექსიას აყენებდა. თუმცა, ახლა ამას აღარანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: ლოიდ-ჯორჯი და კლემანსო გერმანიის დამარცხების გარდა სხვა არაფერზე ფიქრობდნენ. ლუდენდორფმა ბოლოს და ბოლოს მიიღო ის, რაც მას ასე ძალიან სურდა: რადგანაც მოლაპარაკებებმა აზრი დაკარგა, გერმანია მთლიანად სამხედროების ხელში იყო. ქვეყანას ისინი თუ იხსნიდნენ.

რუსული კატასტროფა. აქტი 4

უკვე ივნისში ბოლშევიკების გავლენა სერიოზულად გაიზარდა. დროებითი მთავრობა უსუსურობას იჩენდა, მენშევიკებმა კი მას შემდეგ, რაც მთავრობაში შესვლას დათანხმდნენ, ოპოზიციის ნიშა მთლიანად ბოლშევიკებს გადააბარეს. 22 ივნისს, რუსეთის საბჭოების ყრილობის დღეს, ბოლშევიკებმა შეიარაღებული გამოსვლა დაგეგმეს, მაგრამ ეს ამბავი გასკდა და ყველაფერი ჩაიშალა. ივლისში მთავრობამ პეტროგრადის გარნიზონის ფრონტზე გაშვება გადაწყვიტა, რათა იქ როგორმე საქმეები გამოესწორებინა. ეს ბოლშევიკებისათვის ცუდი ამბავი იყო, რადგან გარნიზონი თავიანთი პროპაგანდით მოწამლული ჰყავდათ და მისი დაკარგვა არ სურდათ. ამიტომ პროპაგანდა კიდევ უფრო გააძლიერეს და გარნიზონს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდეს. ამ დროისათვის მთავრობას ლენინის გერმანელებთან კავშირის არაერთი მტკიცებულება ჰქონდა, მაგრამ მენშევიკების ზეწოლის გამო მის დაპატიმრებას ერიდებოდა. ბოლოს და ბოლოს, 14 ივლისს ლენინისა და კიდევ რამდენიმე ბოლშევიკის დაპატიმრების სანქცია გაიცა, მაგრამ ლენინი ამ დროისათვის ფინეთში გაიქცა (მას ამაში სტალინი დაეხმარა, რომელმაც ბელადს წვერი გაპარსა და გარეგნობა შეუცვალა, რის შედეგადაც იგი ტიპურ ფინელ გლეხს დაამსგავსა). მეორე დღეს კი საქმეში ჩაერთო ბოლშევიკების ახალი შენაძენი ტროცკი, რომელმაც გარნიზონს

დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა და ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემა მოითხოვა. ტროცკის ქარიზმამ შედეგი გამოიღო: დედაქალაქს რევოლუციის ტალღა მოედო და ქუჩებში ხალხი მასობრივად გამოვიდა. მალე ლენინმაც გაბედა დაბრუნება, მაგრამ ვითარება სწორად ვერ შეაფასა, – მასაც ვერ წარმოედგინა თუ რამდენად სუსტი იყო დროებითი მთავრობა – და გადამწყვეტ მოქმედებაზე გადასვლა დააგვიანა. 19 ივლისს მთავრობის ერთგული შენაერთი პეტროგრადში შემოვიდა და ბოლშევიკთა პუტჩიც დამარცხდ. ტროცკი დააპატიმრეს, ლენინი მიყრუებულ სოფელში დაიმალა და მოგვიანებით ისევ ფინეთში გადავიდა (ეს უკანასკნელი მარტიდან ფაქტობრივად დამოუკიდებელ ქვეყნად იქცა, რადგან მის მეთაურს რუსეთის იმპერატორი წარმოადგენდა, ატარებდა რა სხვა ყველაფერთან ერთად ფინეთის დიდი ჰერცოგის ტიტულს). მთავრობა გერმანიასთან მისი კავშირების დამადასტურებელი საბუთების გასაჯაროებას ფიქრობდა, მაგრამ ლენინს ისევ მენშევიკებმა დააფარეს ხელი – მათთვის ბოლშევიკები გზააბნეული ძმები იყვნენ, რომლებიც გასანადგურებლად არ ემეტებოდათ.

პუტჩის შემდეგ კერენსკი მთავრობის მეთაურად იქცა და შანსი ჰქონდა, მენშევიკთა კეკლუცობის მიუხედავად ბოლშევიკები მაინც გაენადგურებინა. თავიდან იგი სწორ გზასაც დაადგა: დასახმარებლად ლავრ კორნილოვს მიმართა, მეტად გამოცდილ, ჯარში პოპულარულ, ქარიზმატულ და პატრიოტ გენერალს, რომელიც 1915 წელს ბრუსილოვის მხარდამხარ იბრძოდა და დაჭრილი ავსტრიელებს ტყვედ ჩაუვარდა, მაგრამ მათგან გაქცევა მოახერხა. კერენსკიმ იცოდა, რომ კორნილოვს ბოლშევიკები ეზიზღებოდა და ამიტომ მთავარსარდლად დანიშნა. გენერალმაც ჯარში წესრიგის დამყარება სცადა (მათ შორის, დეზერტირობისათვის სიკვდილით დასჯის აღდგენა მოინდომა), მაგრამ მთავრობამ ისევ მენშევიკთა გავლენით მას რეალურად არაფრის გაკეთების საშუალება არ მისცა. ცოტა ხანში კი კორნილოვსა და კერენსკის შორის გაუგებრობა მოხდა – კერენსკის მოეჩვენა, რომ მთავარსარდალი გადატრიალებას გეგმავდა. თუმცა ამგვარ განზრახვას არაფერი ადასტურებს – თუკი კორნილოვი რაიმეს გეგმავდა, ეს მხოლოდ პეტროგრადში ბოლშევიკური გადატრიალების თავიდან აცილება იყო. მაგრამ კერენსკი რატომღაც გადატრიალებას არა ბოლშევიკებისგან, არამედ მთავრობისგან ელოდა. მან კორნილოვის დაპატიმრება ბრძანა. გენერალი დამორჩილდა, კერენსკიმ კი ამ ინციდენტის შემდეგ სამხედროებთან საბოლოოდ გაიფუჭა ურთიერთობა. კორნილოვის დაპატიმრებას მან ახალი სიბრიყვე დაუმატა: ივლისის პუტჩის შემდეგ დაპატიმრებული ბოლშევიკები გამოუშვა. ამ უკანასკნელებს მათი ყველაზე სახიფათო მტრის განეიტრალებამ ფრთები შეასხა, გარდა ამისა, მოსკოვისა და პეტროგრადის საბჭოებში საკმაოდ ბევრი ადგილიც მოიპოვეს. 8 ოქტომბერს პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე ტროცკი გახდა.

ფინეთში გადასული ლენინი თავის თანაგუნდელებს წერილს წერილზე წერდა და სასწრაფოდ გადატრიალების მოწყობას ითხოვდა. იქვე იმასაც ამატებდა, რომ ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გერმანელები მათ სეპარატულ ზავს შესთავაზებდნენ (გასაგებია, ეს საიდანაც უნდა სცოდნოდა). სექტემბრის ბოლოს ბოლშევიკებმა ლენინის შეთავაზება სერიოზულად განიხილეს, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ გადატრიალებისათვის ვითარება მომწიფებული არ იყო. ლენინი ამაზე გაცოფდა. იგი შიშობდა, რომ ბოლშევიკებს საუკეთესო შანსი ეცლებოდათ ხელიდან: ნოემბრის ბოლოს მთავრობა არჩევნების ჩატარებას აპირებდა და ლენინს არ ჰქონდა ილუზია, რომ მისი პარტია არჩევნებში გაიმარჯვებდა. ბოლშევიკებს მხოლოდ პეტროგრადსა და მოსკოვში ჰქონდათ ძლიერი პოზიციები, გლეხობა კი (მოსახლეობის უმრავლესობა) მათ წესიერად არ იცნობდა ან მხარს არ უჭერდა. ლენინის თქმით, ჯობდა, ბოლშევიკებს ჯერ გადატრიალების გზით ძალაუფლება აეღოთ ხელში და ამის შემდეგ თავად ჩაეტარებინათ არჩევნები (ბოლშევიკები მაშინ ჯერ კიდევ ფიქრობდნენ მსგავს რამეებზე).

ყველაფერი გერმანელებმა დააჩქარეს, რომლებმაც ოქტომბრის შუაგულში რიგა აიღეს და უშუალოდ პეტროგრადს დაემუქრნენ. კერენსკიმ მთავრობის მოსკოვში გადაყვანა გადაწყვიტა, რაც სრულიად ნორმალური ნაბიჯი იყო. მაგრამ ტროცკიმ ეს სასტიკად გააპროტესტა. მთავრობას პეროგრადის – ამ „რევოლუციის აკვნის“ მტრის ხელში ჩაგდების მცდელობა დაბრალდა. კერენსკიმ მაშინვე დათმო. ტროცკიმ ძალა იგრძნო. თვის ბოლოს ლენინი ჩუმად დაბრუნდა დედაქალაქში და მალე გადატრიალების მოწყობაც გადაწყდა. ივლისის პუტჩისგან განსხვავებით ეს მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად შეიარაღებული და ორგანიზებული ჯგუფების ხელით გაკეთდებოდა. მანამდე ტროცკიმ აგიტაცია კიდევ უფრო გააძლიერა. იგი არ საუბრობდა ძალაუფლების ბოლშევიკებისათვის გადაცემის აუცილებლობაზე. მისი ლოზუნგი იყო „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, რაც ბოლშევიკთა განზრახვას კარგად ფარავდა.

ტროცკის ლოზუნგით ბევრი ტყუვდებოდა, მაგრამ არა კერენსკი. იგი ბოლოს და ბოლოს ხვდებოდა, ვინ უპირებდა გადატრიალებას, მაგრამ ამჯერად გადაწყვიტა ბოლშევიკებისათვის პუტჩის დაწყების საშუალება მიეცა, რითაც მათი საბოლოო და სრული დისკრედიტაცია მოხდებოდა. ამის შემდეგ კი კერენსკი იმავეს მოიმოქმედებდა, რაც ივლისში გააკეთა – ბოლშევიკებს სამხედროების ხელით დაამარცხებდა, ოღონდ უკვე საბოლოოდ. იგი ვერ იაზრებდა, რომ კორნილოვის ინციდენტის შემდეგ მას არცთუ ბევრი სამხედრო გაყვებოდა.

ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. 6-7 ნოემბრის ღამით ბოლშევიკებმა პეტროგრადის ყველა სტრატეგიული ობიექტი აიღეს. იმ ღამესვე ქალაქში გადაადგილებისას პარიკითა და გრიმით შენიღბული ლენინი

კინაღამ პატრულმა დააკავა და ამის შემდეგ 7 ნოემბერს იგი შეშინებული თითქმის მთელი დღის განმავლობაში ოთახში ჩაკეტილი იმალებოდა. გადატრიალების მთელ ოპერაციას ტროცკი ხელმძღვანელობდა. იმავე დღეს ბოლშევიკებმა მათ მიერ მოწვეული საბჭოების ყრილობა გახსნეს (თუმცა საბჭოების ყრილობის მოწვევის კანონიერი უფლება არ ჰქონდათ). ლენინი იქაც ცოტა ხნით გამოჩნდა და ყრილობაც ძირითადად ტროცკის მიჰყავდა. კერენსკის ამ დროს დედაქალაქი დაეტოვებინა. იგი ჯარის მოსაყვანად იყო წასული, მაგრამ მას მისდა გასაოცრად არავინ მიჰყვებოდა.

ამასობაში შედგა კრეისერ „ავრორას“ ლეგენდარული გასროლაც. თუმცა, სინამდვილეში „ავრორას“ ჭურვები არ ჰქონია და ცარიელზე გაისროლა. მთავრობა ამ დროს ზამთრის სასახლეში იმყოფებოდა და ელოდა ჯარს, რომელიც არა და არ ჩანდა. ბოლშევიკები ზამთრის სასახლესთან მიკარებას ვერ ბედავდნენ, რადგან იქაურობას კაზაკებისა და იუნკრების რაზმი იცავდა. მაგრამ დღის ბოლოს მათაც მობეზრდათ დამხმარე ძალის ლოდინი და სასახლე მიატოვეს. იქ მხოლოდ ქალთა ბატალიონი დარჩა. აი, ამის შემდეგ კი ბოლშევიკები სასახლეს მიაწყდნენ და შტურმით აიღეს. ასე დაიწყო საუკუნის ალბათ ყველაზე დიდი რყევა, თუმცა ამას ძნელად თუ აცნობიერებდა ვინმე. რუსეთშიც კი ზოგი უბრალოდ დაბნეული იყო, ზოგს ბოლშევიკების გამოხდომაზე ეცინებოდა, ბევრი კი ფიქრობდა, რომ ძალაუფლება უბრალოდ საბჭოების ხელში გადავიდა (როგორც ამას ტროცკი ქადაგებდა) და ამიტომაც საგანგაშო არაფერი იყო.

მეორე დღეს ლენინმა მთელ მსოფლიოს ე.წ. მშვიდობის დეკრეტით მიმართა: სამშვიდობო მოლაპარაკებები ანექსიისა და კონტრიბუციის გარეშე, თვითგამორკვევა ყველა ერისათვის, ფარულ დიპლომატიაზე უარის თქმა, საიდუმლო შეთანხმებების გასაჯაროება. გარდა ამისა, რუსეთი სამი თვით ცეცხლის შეწყვეტას აცხადებდა.

მშვიდობის დეკრეტს, როგორც მოსალოდნელი იყო, ანტანტამ უარით უპასუხა. ლენინსაც სწორედ ეს სურდა – ახლა მას მიზეზი ჰქონდა, გერმანიასთან სეპარატული მოლაპარაკებები დაეწყო.

7 ნოემბრის გადატრიალებიდან მალე ბოლშევიკებმა არჩევნებიც ჩაატარეს. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეთა პარტიები სასტიკად შეავიწროვეს, გამარჯვების მიღწევა თავად მაინც ვერ მოახერხეს და რამდენიმე ხანში არჩეული ორგანო საერთოდ დაშალეს. ამის შემდეგ მათ ჭკუა ისწავლეს და მომდევნო 70 წლის განმავლობაში (სანამ რუსეთს ერთპიროვნულად მართავდნენ) არჩევნები აღარ ჩაუტარებიათ.

რუსეთისათვის საშინელებები ჯერ კიდევ წინ იყო.

ნოემბერშივე შეინიშნა კიდევ ერთი საუკუნოვანი რყევა: ბალფურმა ბრიტანეთის სიონისტთა ფედერაციის პრეზიდენტს, უოლტერ როტშილდს მიმართა წერილით, რომელშიც მთავრობის სახელით მხარი

დაუჭირა პალესტინაში ებრაელთა „მამულის“ ჩამოყალიბებას. ინგლისელებს საამისოდ მრავალი მიზეზი ჰქონდათ: ებრაელთაგან ფულის მოზიდვა, მათი სახით ახლო აღმოსავლეთში ძლიერი მოკავშირის შეძენა, უილსონზე დამატებითი ზეგავლენის მოხდენა (უილსონის გავლენიან მრჩეველთა შორის სიონისტებიც იყვნენ, გარდა ამისა, ებრაელებთან მიმართებით თვითგამორკვევის პრინციპი ამუშავდა) და ასევე – ბოლშევიკთა გულის მოგება, რომელთა ლიდერებში ბევრი ებრაელი იყო, მათ შორის, ტროცკი.

ნოემბრის ბოლოსვე ბოლშევიკებმა გამოაქვეყნეს საიკს-პიკოს შეთანხმება და ომის დროს გაფორმებული სხვა საიდუმლო დოკუმენტები. ამან სერიოზული სკანდალი გამოიწვია და ფრანგებსა და ინგლისელებს არაბებთან ურთიერთობა საგრძნობლად გაურთულა, მაგრამ საბოლოოდ შეთანხმებების გამოქვეყნებას ერთადერთი სერიოზული შედეგი მოჰყვა: რუსეთმა შეთანხმებებით გათვალისწინებული ყველა ტერიტორია დაკარგა, მათ შორის – საოცნებო სრუტეებიც. მით უფრო, რომ მალე გერმანიასთან სეპარატული ზავი გააფორმა...



მსოფლიო ისტორიაში ყველაზე საბედისწერო დეპეშის ავტორი ციმერმანი (1864-1940)



ლოიდ-ჯორჯი (1863-1945)

უილსონი (1856-1924)



რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლე და წარუმატებელი ლიდერი კერენსკი (1881-1970)

კორნილოვი (1870-1918)

ჰინდენბურგი, ვილჰელმი და ლუდენდორფი

ფინეთში გადაპარვის წინ
გარეგნობაშეცვლილი ლენინი (1870-1924)

ავსტრია-უნგრეთის უკანასკნელი
იმპერატორი კარლი (1887-1922)

თავი 7. აგონია და დასასრული

14 პუნქტი; ბრესტის ზავი (რუსული კატასტროფა. აქტი 5)

3 დეკემბერს ბოლშევიკები ბრესტში (ადრე პოლონეთის, სადღეისოდ კი ბელორუსიის ქალაქი) გერმანელებთან სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩაერთნენ. ცეცხლი ორივე მხარემ მალე შეწყვიტა. ბოლშევიკთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა ტროცკის ახლო თანამებრძოლი ადოლფ იოფე. თავად ტროცკი, ბოლშევიკთა მთავრობის საგარეო მინისტრი (უფრო ზუსტად კი ე.წ. სახალხო კომისარი), მოლაპარაკებას არც ისე სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი გულწრფელად ფიქრობდა, რომ ამ თანამდებობაზე ძალიან ცოტა ხანს გაჩერდებოდა უბრალოდ იმ მიზეზით, რომ რევოლუცია თანდათანობით მთელ მსოფლიოს მოედებოდა, ყველგან პროლეტარიატის დიქტატურა დამყარდებოდა და საგარეო სამინისტროებიც აღარავის დასჭირდებოდა. შესაბამისად, ტროცკი არა იმდენად დიპლომატიით, რამდენადაც რევოლუციური პროპაგანდით იყო დაკავებული, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი სამიზნე სწორედ გერმანია იყო.

ტროცკის თვალსაზრისს არ იზიარებდა ლენინი. მას ევროპაში და მით უმეტეს, მთელ მსოფლიოში რევოლუციის გამარჯვების იმედი ნაკლებად ჰქონდა, ან თუ მაინც ჰქონდა, ეს მისთვის მეორეხარისხოვანი საკითხი იყო. უპირველესად იგი იმაზე ფიქრობდა, როგორ უნდა შეენარჩუნებინათ ბოლშევიკებს ხელისუფლება. გამოწვევები უამრავი იყო – უპირველესად კი გერმანელები და პოლიტიკური ოპონენტები ქვეყნის შიგნით. ამიტომაც ლენინს სურდა იოფეს დელეგაციას სასწრაფოდ გაეფორმებინა ზავი გერმანელებთან, რაც ბოლშევიკებს საშუალებას მისცემდა, მთლიანად შიდა პოლიტიკაზე („შიდა მტრებთან“ ბრძოლაზე) გადართულიყვნენ. მაგრამ ბელადს, მისი დიდი გავლენის მიუხედავად, გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქმოდა და იოფე უფრო მეტად ტროცკის ხაზს ატარებდა – მოლაპარაკებებს აჭიანურებდა იმის იმედით, რომ გერმანიას რევოლუცია მოედებოდა და ამის შემდეგ რუსეთს აღარაფრის დათმობა არ დასჭირდებოდა.

გერმანელთა დელეგაციას კულმანი და ჰოფმანი ხელმძღვანელობდნენ. მათთან ერთად იყვნენ გერმანიის მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლები. ამ დელეგაციის ფონზე ბოლშევიკები პაროდიულ

კონტრასტს წარმოადგენდნენ – უცნაურად ჩაცმულები ისინი დიპლომატებისათვის სრულიად შეუფერებლად იქცეოდნენ და საქმეზე ლაპარაკის ნაცვლად ლოზუნგებს გაჰყვიროდნენ, ზნეობაზე მსჯელობდნენ, ფილოსოფოსობდნენ. გერმანელები პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ნაწილის (ანუ, მათ მიერ უკვე დაკავებულ ტერიტორიას) ითხოვდნენ, მაგრამ ამაზე პასუხად ბოლშევიკებისგან კონტრიბუციისა და ანექსიის გარეშე ზავზე ლექციებს ისმენდნენ. დეკემბრის ბოლოს მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ტროცკის აგიტაციამ ამ დროს ახალი მწვერვალები დაიპყრო, მაგრამ გერმანიაში რევოლუცია მაინც არ ჩანდა. მართალია, ფრონტის ხაზზე რუსი და გერმანელი ჯარისკაცები მეგობრდებოდნენ, მაგრამ ეს აშკარად უფრო ომის სწრაფი დასრულების სურვილით იყო გამოწვეული, ვიდრე – რევოლუციის მოხდენის.

რაც შეეხება რუსეთის ყოფილ მოკავშირეებს (კონკრეტულად კი – ფრანგებსა და ინგლისელებს), მათ დეკემბრის ბოლოს გადაწყვიტეს, რაიმე მაინც ეღონათ რუსული ფრონტის შესანარჩუნებლად. თუკი რუსეთში დარჩენილი იყვნენ ძალები, რომლებიც გერმანიასთან ომს გააგრძელებდნენ, მათ უნდა დახმარებოდნენ. დახმარება თავად ნაკლებად შეეძლოთ და ამიტომაც საქმეში ჩართვა იაპონიას სთხოვეს, რათა მას ციმბირიდან რუსეთში ჯარი შეეყვანა და რუსეთისათვის მოკავშირეთა მიერ მიწოდებული სამხედრო აღჭურვილობა (რომელიც ჯერ კიდევ არხანგელსკის, მურმანსკისა და ვლადივოსტოკის პორტებში ეწყო) გერმანელთა ხელში ჩავარდნისგან ეხსნა. მაგრამ იაპონელები შიშობდნენ, რომ მათი ასეთი ნაბიჯი ამერიკელთა გაღიზიანებას გამოიწვევდა, რომელიც ისედაც ეჭვის თვალით უყურებდა ტოკიოს მზარდ ამბიციებს წყნარი ოკეანის რეგიონში. ამიტომაც მათ განაცხადეს, რომ ამერიკის ნებართვის გარეშე ნაბიჯს არ გადავდგამთო. უილსონმა ნებართვა არ გასცა. ის ალბათ კარგად ხვდებოდა, რომ ფრანგებსა და ინგლისელებს სამხედრო აღჭურვილობის გადარჩენის გარდა კიდევ სხვა მიზნებიც ჰქონდათ (მართლაცდა, ვლადივოსტოკამდე გერმანელთა მისვლა ძალიან დაუჯერებლად ჟღერდა) და ეს მიზნები მას არ მოსწონდა (ამაზე ცოტა ქვემოთ).

ამასობაში ბრესტიდან ბერლინში დაბრუნებული კულმანი და ჰოფმანი 1 იანვარს იმპერატორის კომპანიაში აღმოჩნდნენ. ვილი დაინტერესდა, რას ფიქრობდნენ ისინი რუსეთის საკითხზე. ლუდენდორფმა თავის ოფიცრებს იმპერატორთან მისი ნებართვის გარეშე აზრის გამოთქმა აუკრძალა, მაგრამ როცა ეს უკანასკნელი ჩააცივდა, ცხადია, იძულებული გახდნენ, ეპასუხათ: რუსეთის ძალიან შევიწროება არ ღირდა, საკმარისი იქნებოდა მისთვის პოლონეთისა და კიდევ რაიმე მომიჯნავე ტერიტორიის წართმევა. ლუდენდორფი ასე არ ფიქრობდა და როცა მეორე დღეს იმპერატორთან გამართულ თათბირზე ვილისგან ეს თვალსაზრისი მოისმინა და შემდეგ გაიგო, ეს აზრი ჰოფმანს მოუვიდა, მის

რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. მოყოლებული იქიდან, ლუდენდორფსა და ჰოფმანს შორის ურთიერთობები გაფუჭდა, რაც შემდგომ გერმანელთა სამხედრო ოპერაციებზე მეტად უარყოფითად აისახა.

ლუდენდორფი უმცირესობაში აღმოჩნდა. ჰოფმანის პოზიციას კულმანიც იზიარებდა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ რუსეთთან ზომიერების გამოჩენით გერმანია ინგლისელებზე კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდა და მათთან მოლაპარაკებების შანსიც გაუჩნდებოდა. ჰერტლინგიც იმავე აზრს იზიარებდა, რაც ლუდენდორფს არანაირად არ ესმოდა. მას მიაჩნდა, რომ მტერი დამარცხების შემდეგ მაქსიმალურად უნდა დაესუსტებინათ და არ იღებდა იმ არგუმენტს, რომ რუსეთის ზედმეტად შევიწროება ანტანტის სხვა წევრებს დააფრთხობდა და გერმანიასთან მორიგების ყველანაირ სურვილს ბოლომდე გაუქრობდა. რა საჭირო იყო მორიგება მტრებთან? მტრები უნდა განადგურებულიყვნენ და რუსეთის მაგალითმა დაამტკიცა, რომ ეს სრულიად შესაძლებელი იყო – ასეთი გახლდათ ლუდენდორფის პოზიცია. იგი სამხედრო იყო, რომელიც ყველა პოლიტიკურ საკითხს სამხედრო გზით ჭრიდა და რომელიც სწორედ ამ პროფესიის წყალობით გერმანიის არაფორმალურ მმართველად იქცა (ეს გერმანიის პოლიტიკური მოდელის გამოისობით გახდა შესაძლებელი, რომელიც პარლამენტს სამხედროებზე ზედამხედველობის შესაძლებლობას არ აძლევდა და მათ უშუალოდ იმპერატორს უქვემდებარებდა. იმპერატორი კი სუსტი ნებისყოფისა იყო და მისი მართვა დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა). რატომ არ შეიძლებოდა იმავე სამხედრო ხელობას გერმანია ევროპის ჰეგემონად ექცია?

და მაინც, ლუდენდორფი ალბათ ბოლომდე უმცირესობაში დარჩებოდა, რომ არა უილსონის ისტორიული გამოსვლა კონგრესში 8 იანვარს და ცნობილი 14 პუნქტის გახმოვანება. ესენი იყო (მოკლედ): 1. ღია სამშვიდობო მოლაპარაკებები და ფარულ დიპლომატიაზე უარის თქმა; 2. ზღვაზე გადაადგილების თავისუფლება; 3. შეძლებისდაგვარად ყველა ეკონომიკური ბარიერის მოხსნა და თავისუფალი ვაჭრობისათვის ხელშეწყობა; 4. შეიარაღებათა შემცირება; 5. კოლონიებზე პრეტენზიების გადაჭრა ადგილობრივ მოსახლეობათა ინტერესების გათვალისწინებით; 6. რუსეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობა; 7. ბელგიის ევაკუაცია და აღდგენა; 8. საფრანგეთის ევაკუაცია და ელზას-ლორენის პრობლემის საფრანგეთისათვის სამართლიანი გადაჭრა; 9. იტალიის საზღვრების დადგენა ეროვნულობის პრინციპის მიხედვით; 10. ავსტრია-უნგრეთის ხალხებისათვის ავტონომიის უფლების მინიჭება; 11. რუმინეთის, სერბეთისა და მონტენეგროს ევაკუაცია და აღდგენა და ასევე სერბეთისათვის ზღვაზე გასასვლელის მიცემა; 12. ოტომანთა იმპერიის თურქული ნაწილისათვის სუვერენიტეტის უზრუნველყოფა, იმპერიის სხვა ხალხებისათვის უსაფრთხოება და ავტონომია და სრუტეებში სავაჭრო გემების თავისუფალი გადაადგილება საერთაშორისო გარანტიების

ქვეშ; 13. დამოუკიდებელი პოლონური სახელმწიფოს შექმნა პოლონელებით დასახლებულ ტერიტორიებზე და მისთვის ზღვაზე გასასვლელის მიცემა; 14. ერთა გაერთიანების შექმნა, რომელიც დაიცავდა ყველა ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ყოველივე ამას ლაიტმოტივად გასდევდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. ეს იყო ის პროგრამა, რომლითაც ამერიკა ომში ებმებოდა.

საინტერესოა, რომ უილსონს მის გახმოვანებამდე ანტანტასთან კონსულტაციები არ გაუვლია. გამოსვლა 14 პუნქტის წარმოთქმის გარდა იმითაც იყო საინტერესო, რომ პრეზიდენტმა ხოტბა შეასხა რუსეთს და მასზე ისეთი გულისამაჩუყებელი სიტყვები წარმოთქვა, თითქოს ბოლშევიკური რეჟიმი მსოფლიოს უპირველესი დემოკრატია ყოფილიყოს (ცხადია, ამერიკის შემდეგ) ან, სულ მცირე, უპირველეს დემოკრატიას აშენებდა. თუკი გავითვალისწინებთ მშვიდობის დეკრეტსა და 14 პუნქტს შორის გარკვეულ მსგავსებებს და ასევე ლენინისა და უილსონის ხასიათთა მსგავსებას, ამერიკის პრეზიდენტის მაშინდელი რუსეთისადმი სიმპათია დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს. ლენინიც და უილსონიც უკიდურესი მაქსიმალისტები იყვნენ და ორივეს სურდა, მსოფლიო თავისი შეხედულებისამებრ გადაეკეთებინა. ოღონდ იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ ლენინს მთელ მსოფლიოში რევოლუცია, ბურჟუაზიის განადგურება (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და ერებს შორის ყველანაირი განსხვავების წაშლა სურდა; უილსონს არც არავის განადგურება სურდა და არც ერებს შორის განსხვავების წაშლა – მისი აზრით, ყველა ერს ამერიკული დემოკრატიის პრინციპებით უნდა ეცხოვრა, რაც საყოველთაო მშვიდობას მოიტანდა. მას რატომღაც ისიც ეგონა, რომ ლენინის შეხედულებები მისას ემთხვეოდა.

მოკლედ, უილსონის გამოსვლას ბევრი შედეგი მოჰყვა და მათ შორის ერთი ის, რომ ლუდენდორფის პოზიციები გაამყარა. 14 პუნქტის მიხედვით გერმანიას არა მხოლოდ ბელგია და საფრანგეთის დაკავებული ტერიტორიები უნდა დაეცალა, არამედ აშკარად ელზას-ლორენიც უნდა დაეთმო. სწორედ ამიტომ, 9 იანვარს ბრესტში მოლაპარაკებების განახლებიდან რამდენიმე დღეში გერმანელებმა ბოლშევიკებს დიდი სიურპრიზი შესთავაზეს – მათ უკრაინის დამოუკიდებლობა ცნეს. ტროცკი, რომელიც ამჯერად პირადად ხელმძღვანელობდა დელეგაციას, შოკში ჩავარდა. მისმა პროტესტმა, ცხადია, ვერავითარი ხეირი გამოიღო: ძალა გერმანელთა მხარეს იყო და ამას გარდა, უკრაინის დამოუკიდებლობა ლენინის მიერ გაცხადებულ ერთა თვითგამორკვევის პრინციპში ჯდებოდა – დამოუკიდებლობა რადამ (უკრაინის პარლამენტმა) გამოაცხადა. გერმანელები უკვე კარგად ხვდებოდნენ, რომ ერების თვითგამორკვევა ბოლშევიკთათვის უბრალო შირმა იყო, მაგრამ ამას ვერ ხვდებოდა უილსონი.

ტროცკი პეტროგრადში დაბრუნდა და ყველაფერი ლენინს მოახ-

სენა. ეს უკანასკნელი კიდევ ერთხელ დარწმუნდა თავის სიმართლეში და კვლავ მოითხოვა ზავის სასწრაფო გაფორმება. მას მხარს უჭერდა სტალინი და კიდევ რამდენიმე გავლენიანი ბოლშევიკი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ტროცკის აზრით, საჭირო იყო მოლაპარაკებათა შეწყვეტა და ცალმხრივად ზავის გამოცხადება, ხოლო თუ ამის შემდეგ გერმანია ტერიტორიებს მიიტაცებდა, იგი თავად „ჩამოიხსნიდა ნიღაბს". სხვებმა აზრი გამოთქვეს, რომ საჭირო იყო ომის გაგრძელება და ევროპაში რევოლუციის ლოდინი. საბოლოოდ საკითხი პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე გაიტანეს და იქ ტროცკის ვარიანტმა გაიმარჯვა. იგი იანვრის ბოლოს ბრესტში დაბრუნდა და ისევ მოლაპარაკებების გაწელვას შეუდგა. მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ გერმანიაში რევოლუცია დაიწყებოდა. მართლაც, იმ დღეებში გერმანია გაფიცვებმა მოიცვა. მართალია, გაფიცვების მიზეზი გაჭირვება და შიმშილი იყო, მაგრამ ამავე დროს შეუძლებელი იყო არ შეგემჩნიათ, რომ გაფიცული მუშები ბოლშევიკური პროპაგანდის ტექსტებს იმეორებდნენ – თვითგამორკვევაზე და ანექსიების გარეშე მშვიდობაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ გერმანიის მთავრობამ საქმეში ჯარი ჩართო და არეულობას მალე მოუღო ბოლო, თუმცა საამისოდ ათიათასობით კაცის დაპატიმრება მოუხდა.

ყველაფერ ამას ისიც დაემატა, რომ ვილჰელმი ბოლშევიკთა პროპაგანდამ გააცოფა. მას განსაკუთრებით ის ფაქტი აღიზიანებდა, რომ რუსები გერმანიის ჯარს დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდნენ. იმპერატორმა ტროცკისათვის ულტიმატუმის წამოყენება მოითხოვა. ამ უკანასკნელმა, ვინაიდან ხედავდა, რომ გერმანიაში რევოლუციას აშკარად აგვიანდებოდა, გადაწყვიტა, დროის გაწელვას აღარანაირი აზრი აქვსო და 10 თებერვალს გერმანელებს განუცხადა, რომ რუსეთი ომიდან გამოდიოდა და ჯარის დემობილიზაციას იწყებდა. ამის შემდეგ ბოლშევიკთა საგარეო მინისტრმა გაოგნებული გერმანელები მიატოვა და პეტროგრადში დაბრუნდა.

13 თებერვალს ვილჰელმთან კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ მისი მრჩევლები. ლუდენდორფი ამჯერად უკვე რუსეთისათვის არა მხოლოდ ტერიტორიების წართმევას, არამედ ბოლშევიკთა დამხობასაც ითხოვდა. კულმანი ამ აზრს არ დაეთანხმა და საფრანგეთის რევოლუცია გაიხსენა, რომელიც ინტერვენციებმა მხოლოდ უფრო გააძლიერა. ვილჰელმი ამასობაში ლუდენდორფზე უფრო შორსაც წავიდა და რუსეთის ოთხ ნაწილად დაშლის იდეით გამოვიდა (ძირეული რუსეთი, უკრაინა, ციმბირი, სამხრეთ-აღმოსავლეთი). მან იქვე იმაზეც იწუწუნა, რომ ინგლისელები ვერ ხვდებოდნენ, ვინ იყო სინამდვილეში მათი და ყველას მთავარი მტერი (ბოლშევიკები და არა გერმანია) და რომ საცოდავი რუსეთი „მასონებსა და ებრაელებს" ჩაუვარდა ხელში... საბოლოოდ „მასონებისა და ებრაელების" დამხობაზე მაინც უარი თქვეს. გადაწყდა, უბრალოდ საომარი მოქმედებები გაეგრძელებინათ და ამგვარად მოეყვანათ ჭკუაზე ისინი.

17 თებერვალს ბოლშევიკებმა გერმანელებისგან შესაბამისი ნოტაც მიიღეს. ლენინმა ისევ სცადა თავისი გაეტანა და ისევ ამაოდ. იმავე დღეს გერმანელები შეტევაზე გადავიდნენ, თუმცა შეტევა ალბათ ხმამაღალი ნათქვამია: ისინი უბრალოდ წინ მიიწევდნენ, უფრო სწორად, მგზავრობდნენ, რადგან არანაირი წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ. ლენინმა ხვეწნა-მუდარით აავსო თანამებრძოლები და ბოლოს და ბოლოს მას ტროცკიმ დაუჭირა მხარი. გერმანელებს სასწრაფოდ აცნობეს, რომ ყველაფერზე თანახმანი იყვნენ და რომ ბრესტში დელეგაციას იმ დღესვე გზავნიდნენ, მაგრამ გერმანელებმა ამის პასუხად წინსვლა გააგრძელეს. სასოწარკვეთილმა ლენინმა ბრძანა, „ბურჟუები" სანგრების სათხრელად ძალით გაერეკათ და თუკი უარს იტყოდნენ, დაეხვრიტათ; ასევე ყველანაირი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, ადგილზევე დაეხვრიტათ ყველა „მტრის აგენტი, პროვოკატორი, კონტრრევოლუციონერი" და ა.შ. ასე ჩაეყარა საფუძველი ტერორს, რომელსაც ათეულ მილიონობით ადამიანი უნდა ემსხვერპლა რუსეთის იმპერიაში. პარალელურად ბოლშევიკებმა გადასარჩენად ანტანტასთან დაიწყეს მოლაპარაკებები. ამ უკანასკნელისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა ბოლშევიკთა იდეოლოგიას, მთავარი იყო, რუსეთი ომში დარჩენილიყო. ამიტომაც მოლაპარაკებები შედგა, მაგრამ მას ბევრი აღარაფრის შეცვლა აღარ შეეძლო, რადგან ამასობაში გერმანელები პეტროგრადს მიადგნენ. ლენინი ისე დაფრთხა, რომ „რევოლუციის აკვნის" დაცვა აღარ ახსოვდა და მარტის დასაწყისში (უკვე ზავის გაფორმების შემდეგ) მოსკოვში გადაბარგდა კიდეც. მოყოლებული იქიდან, მოსკოვმა დედაქალაქის სტატუსი დაიბრუნა.

როცა გერმანელთაგან პასუხი მოვიდა, ბოლშევიკთა შეძრწუნებას საზღვარი არ ჰქონდა. ახლა უკვე საუბარი არა მხოლოდ პოლონეთის, ბალტიისპირეთის ნაწილისა და უკრაინის დათმობაზე მიდიოდა, არამედ ყველა იმ ტერიტორიაზე, რაც გერმანელებმა წინსვლისას დაიკავეს. გარდა ამისა, კავკასიაში შეტევაზე გადავიდა თურქეთი. ლენინმა კვლავ გამოავლინა ლიდერის ხასიათი და თანამებრძოლები დაარწმუნა, გერმანელთა პირობები მიეღოთ: ახლა მთავარი იყო, ბოლშევიკები ხელისუფლებაში დარჩენილიყვნენ, სხვა ყველაფერს კი როგორმე მოგვიანებით მოევლებოდა. 24 თებერვალს ბოლშევიკთა დელეგაცია ისევ გაემგზავრა ბრესტში. ტროცკიმ წასვლაზე უარი განაცხადა და მალე საგარეო მინისტრის თანამდებობიდანაც გადადგა. მინისტრის პოსტზე იგი გიორგი ჩიჩერინმა შეცვალა. მანვე 3 მარტს ხელი მოაწერა რუსეთისათვის ყველაზე დამამცირებელ შეთანხმებას – მსოფლიოს უდიდესი იმპერია კარგავდა პოლონეთსა და ბალტიისპირეთს, ბელორუსიასა და უკრაინას, ფინეთსა და სამხრეთ კავკასიას (ცხადია, იმ ტერიტორიებსაც, რომლებიც ომის დროს რუსებმა თურქეთს წაართვეს). ბოლშევიკები ასევე დათანხმდნენ ჯარისა და ფლოტის დემობილიზაციას. ზავი ითვალისწინებდა

მოგვიანებით დამატებითი ეკონომიკური შეთანხმების გაფორმებასაც, რომელიც, ცხადია, გერმანიას დიდ პრივილეგიებს მიანიჭებდა.

საინტერესოა, რომ ვილის ხელიც არ გაუნძრევია დატყვევებული ნიკისა და მისი ოჯახის გამოსახსნელად. ცხადია, თავის გადასარჩენად ბოლშევიკები ამ მოთხოვნასაც დაუყოვნებლივ შეასრულებდნენ. მაგრამ ისევე როგორც ჯორჯს, აღარც ვილის აინტერესებდა ნათესავი. მათი საქციელის გამართლება იმით შეიძლება, რომ ვერც ერთი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რა ბედი ელოდათ რომანოვებს ბოლშევიკების ხელში.

ბრესტის ზავს ჯერ კიდევ სჭირდებოდა რატიფიკაცია რუსეთში, რაც საბჭოების ყრილობას უნდა გაეკეთებინა. საბჭოებში ბოლშევიკებს უმრავლესობა ჰქონდათ და ამიტომაც არ არსებობდა თითქმის არანაირი რისკი, რომ რატიფიკაცია არ შედგებოდა (მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ლენინს ტროცკიმ დაუჭირა მხარი). მაგრამ ზავის გაფორმებისთანავე ტროცკი ამერიკელებს დაუკავშირდა და ჰკითხა, უნდა ჰქონოდათ თუ არა ბოლშევიკებს მათი და მათი მოკავშირეების მხრიდან სამხედრო და ეკონომიკური დახმარების იმედი იმ შემთხვევაში, თუკი ყრილობა რატიფიკაციაზე უარს იტყოდა და გერმანია რუსეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს განაახლებდა. განსაკუთრებით ტროცკის აინტერესებდა, რას მოიმოქმედებდა ამერიკა, თუკი იაპონელები ციმბირში გადმოსხდებოდნენ. ისევ და ისევ, რატიფიკაციის ჩავარდნა მოსალოდნელი არ იყო, მაგრამ ბოლშევიკებს იმედი ჰქონდათ, რომ გერმანიის მხრიდან რუსეთზე ახალი შეტევის შიშით მოკავშირეებს რაიმეს გამოსტყუებდნენ. ლენინს გერმანელების ძალიან ეშინოდა, ვინაიდან იცოდა, რომ ბერლინში ბოლშევიკების დამხობას განიხილავდნენ. ამიტომაც ყველაფრისთვის მზად იყო.

9 მარტს მურმანსკში ინგლისელები და ფრანგები გადმოსხდნენ. ეს მთლად ის დახმარება არ იყო, რისი მიღებაც ბოლშევიკებს სურდათ, მაგრამ უკმაყოფილონიც არ დარჩენილან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში პორტს აუცილებლად გერმანელები დაეპატრონებოდნენ. გერმანელთა მოთხოვნით ბოლშევიკებმა მოკავშირეებს პროტესტი კი განუცხადეს, მაგრამ პარალელურად მათ ჩუმად შეუთვალეს, რომ პროტესტი ფორმალური იყო. სხვა დახმარება კი აგვიანებდა და ლენინი ნერვიულობდა, რადგან კარგად ხვდებოდა, რომ ბრესტის ზავის რატიფიცირების შემდეგ ბევრს ვეღარაფერს მიიღებდა.

საბჭოების ყრილობა 14 მარტს გაიხსნა. იქამდე, როგორც იქნა, უილსონისგან პასუხი მოვიდა. მორალისტი საბჭოებს მიმართავდა და მათ მორალურ მხარდაჭერას უცხადებდა, მაგრამ ეს იყო და ეს. კონკრეტულ დახმარებაზე ამერიკა უარს ამბობდა. ანალოგიური პასუხი მივიდა ინგლისელებისგანაც.

გამწარებულმა ლენინმა პასუხად შეადგინა წერილი „ამერიკელი

ხალხის“ (და არა მისი მთავრობის) სახელზე, რომელშიც იმედი გამოთქვა, რომ იგი სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების მშრომელ მასებთან ერთად მალე დაამხობდა კაპიტალიზმს და დაამყარებდა სამართლიან წყობას. ყრილობამ ხორხოცითა და მოწონების შეძახილებით დაუჭირა მხარი ამ მიმართვას. „ბურჟუების, კაპიტალისტებისა და იმპერიალისტებისათვის“ ამ „სილის გაწვნამ“ ყველა ისეთ ხასიათზე დააყენა, რომ თითქმის დაავიწყა, რა იყო მათი შეკრების მთავარი მიზანი – სამარცხვინო ზავის რატიფიცირება.

რუსეთი განადგურებული იყო და ამაში გერმანელთა სამხედრო მანქანისა და ნიკოლოზის რეჟიმის უნიათობის გარდა გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ ბოლშევიკებისათვის არ არსებობდა არანაირი მისწრაფება და ფასეულობა გარდა ერთისა – ეს იყო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და მისი ნებისმიერი გზით შენარჩუნების სურვილი. თუმცა, აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ოპოზიციის განადგურება, სამოქალაქო ომში გამარჯვება და შემდეგ 70 წლის განმავლობაში უზარმაზარი იმპერიის ერთპიროვნული მართვა მათ საბოლოოდ სწორედ ამ ფასეულობის წყალობით შეძლეს.

არსებობს ვერსია, რომ ლენინმა ბრესტის ზავზე ხელმოწერით უბრალოდ დრო მოიგო; რომ იგი დარწმუნებული იყო გერმანიის დამარცხებაში და, შესაბამისად, აღნიშნული ზავით ხელისუფლება შეინარჩუნა და გერმანიის კრახს დაელოდა, რის შემდეგაც დაკარგული ტერიტორიები იოლად დაიბრუნა. მაგრამ ფაქტები ამ ვერსიას ნაკლებად ადასტურებს. ლენინი პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამდე ზედმიწევნით იცავდა ბრესტის ზავის და მოგვიანებით გერმანიასთან გაფორმებული მეტად მძიმე დამატებითი ეკონომიკური შეთანხმების პირობებს (ამაზე ცოტა ქვემოთ). გარდა ამისა, ბოლშევიკთა ბელადი ვიწრო წრეშიც კი არ განიხილავდა იმ ვარიანტს, რომ გერმანიას შეიძლებოდა ომი წაეგო და რომ რუსეთი მალე დაიბრუნებდა დაკარგულს. ერთადერთი, რაც ბოლშევიკებმა გააკეთეს, ის იყო, რომ ბერლინში გახსნილი საელჩოს მეშვეობით (ელჩად იოფე დაინიშნა) იქ რევოლუციური აგიტაცია გააჩაღეს. მაგრამ ასეთივე აგიტაციას საელჩოების მეშვეობით ისინი ყველგან გააჩაღებდნენ, სადაც კი ამის საშუალება ექნებოდათ – იმ პერიოდში მათი ხელისუფლება მხოლოდ გერმანიამ ცნო და, შესაბამისად, საელჩო მხოლოდ იქ ჰქონდათ.

გერმანიას კი ბრესტის ზავმა კარგი არაფერი მოუტანა. მან არა მხოლოდ საბოლოოდ გაუქრო სხვებს ბერლინთან მორიგების სურვილი, არამედ ძვირი სიამოვნებაც აღმოჩნდა. მართალია, ზავის შემდეგ ლუდენდორფმა დასავლეთ ფრონტზე დიდი ძალები გადაისროლა, მაგრამ ეს ძალები გაცილებით მრავალრიცხოვანი იქნებოდა, რომ არა რუსეთისათვის წართმეული ტერიტორიები და მათზე განთავსებული გერმანელთა საოკუპაციო ჯარები. ლუდენდორფი ამ ოკუპაციას იმით ამართლებდა,

რომ, მაგალითად, უკრაინიდან გერმანიამ დიდძალი ხორბალი გაზიდა, თუმცა ეს ხორბალი ოკუპაციის ხარჯთან შედარებით ბევრი არაფერი იყო.

როგორ შეიცვალა ყველაფერი დასავლეთის ფრონტზე

დასავლეთის ფრონტი უცვლელია. ეს ფრაზა (ცნობილი წიგნის სათაური) აღმოსავლეთ ფრონტზე მიმდინარე მოვლენების ფონზე კიდევ უფრო მრავლისმეტყველია. 1914 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, დასავლეთ ფრონტზე რეალურად არაფერი იცვლებოდა. რუსეთის დამარცხების შემდეგ გერმანელებს ალბათ შეეძლოთ დასავლეთ ფრონტზე უბრალოდ თავდაცვაში ჩამსხდარიყვნენ, მტერი შეეკავებინათ და პარალელურად სამშვიდობო ინიციატივებით გამოსულიყვნენ. დასავლეთის ფრონტის გარღვევა ხომ ურთულესი ამოცანა გახლდათ. აქ უკვე ოთხი წლის განმავლობაში არაფერი იცვლებოდა.

განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ დასავლეთ ფრონტს სულ უფრო და უფრო მეტი ამერიკელი ემატებოდა. ისინი ომში ჩაბმას არ ჩქარობდნენ, თუმცა ადრე თუ გვიან ეს დრო აუცილებლად დადგებოდა.

შესაძლოა სანგრებში ჩამსხდარ, გამობრძმედილ გერმანელებს გამოუცდელი ამერიკელების შეკავებაც მოეხერხებინათ გადაღლილ და გამოფიტულ ინგლისელებსა და ფრანგებთან ერთად. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლუდენდორფი თავდაცვით ვარიანტს თითქმის არ განიხილავდა. მან ყველაფრის 1918 წლის პირველ ნახევარში დასრულება გადაწყვიტა – სანამ ჯერ არც ისე ბევრი ამერიკელი გადმოსულიყო კონტინენტზე. გერმანულ ჯარში ის იყო ინოვაცია დაინერგა – მცირერიცხოვანი, 6-8-კაციანი ჯგუფებით (ე.წ. შტორმტრუპერებით) ფრონტის გარღვევა გამაგრებულ პოზიციებზე გვერდის ავლით გზით. საკითხავი იყო, სად უნდა დაერტყათ დასავლეთის ფრონტზე. სერიოზულად განიხილებოდა ფლანდრიის ვარიანტი, ინგლისელების დაცვითი ხაზის გარღვევა და ამგვარად ჩრდილოეთიდან დარტყმა. მაგრამ ფლანდრია კვლავაც დატბორილი იყო. ამიტომ ლუდენდორფმა ბევრი ფიქრის შემდეგ 1918 წლის 21 იანვარს დარტყმის მიმართულებად სენ კვენტინი (პიკარდია) შეარჩია. ეს სწორედ ის ადგილი გახლდათ, სადაც ინგლისელთა დაცვითი ხაზი ფრანგულს უერთდებოდა, სადაც იკვრებოდა დასავლეთ ფრონტი. ჩანაფიქრი ალბათ გარღვევის შემდეგ როგორც ფრანგების, ასევე ინგლისელების ფლანგებიდან შევიწროება და მათი განადგურება იყო.

რაც შეეხება ანტანტას მზადებას, ლოიდ-ჯორჯი იმავე პერიოდში თურქეთზე დარტყმის იდეით გამოვიდა, მაგრამ მას არ დაეთანხმა კლემანსო, რომელსაც უპირველესად ფრანგული მიწიდან გერმანელთა გაძევება სურდა. პეტენი ამ დროს გერმანელთა შეტევას ელოდა. იგი

დარტყმას სწორედ იქიდან უფრთხოდა, საიდანაც დარტყმა სინამდვილეში იყო დაგეგმილი და ჰეიგს იმ მონაკვეთზე დახმარება სთხოვა. ინგლისებმა თხოვნის პასუხად საბოლოოდ ფრანგების დაცვითი ხაზი დაახლოებით 40 კილომეტრზე გაამაგრეს. პეტენს დახმარება ეცოტავა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მან დანამდვილებით არ იცოდა, მტერი საიდან შეუტევდა.

„ოპერაცია წმინდა მიხაელად“ წოდებული შეტევა 1918 წლის 21 მარტს დაიწყო. შტორმტრუპერების გარდა გერმანელებმა გამოიყენეს აღმოსავლეთში უკვე აპრობირებული საარტილერიო ინოვაცია და ფრონტი სწრაფად გაარღვიეს. ანტანტას მოულოდნელობის ეფექტთან და მოწინააღმდეგის ინოვაციებთან ერთად პრობლემები ნისლმაც შეუქმნა. გერმანელები წინ მიიწევდნენ, ხელთ იგდებდნენ ტყვეებს, შეიარაღებას და ამაზე გაცილებით უფრო მონატრებულ ალკოჰოლსა და სხვადასხვა სასუსნავს. შეტევის მესამე დღეს გერმანელები სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვან ქალაქს, ამიენს მიადგნენ, სატრანსპორტო კვანძს, რომლის აღებითაც ანტანტას უმძიმეს დღეში ჩააგდებდნენ. მაგრამ სწორედ ამ მომენტში ლუდენდორფმა ძალები დაქსაქსა. მას ხომ ორივე მოწინააღმდეგის განადგურება სურდა (ჰოფმანის არყოფნა გერმანელთა სტრატეგიას უკვე სერიოზულად ეტყობოდა). რამდენიმე შენაერთი მან პარიზზეც კი გაუშვა და 24 მარტს გერმანელთა შორსმსროლელმა არტილერიამ ფრანგთა დედაქალაქის დაბომბვა დაიწყო. 1914 წლის შემოდგომა კიდევ ერთხელ დადგა. ვილჰელმმა იმაზე ფიქრი (და წინასწარ ტკბობა) დაიწყო, როგორ ეახლებოდნენ მას ინგლისელები დასაზავებლად.

მაგრამ სულ მალე იჩინა თავი იმავე პრობლემამ, რამაც გერმანელებს 1914 წლის შემოდგომაზე ყველაფერი ჩაუშალა: მათ ძალები აკლდათ. ფრანგებსა და ინგლისელებს შორის ღიობი კი გაჩნდა, მაგრამ მის ამოვსებასა და მოწინააღმდეგეთათვის ფლანგებიდან დარტყმა-განადგურებას კიდევ უფრო დიდი ძალები სჭირდებოდა. გერმანელები ჯერ კიდევ მიიწევდნენ წინ, მაგრამ ეს უფრო ინერციით ხდებოდა. თუმცა, წინსვლა ძალიან ტკბილი იყო: ჯარისკაცები ყველაფერს ძარცვავდნენ, საჭმელს აძღებოდნენ და თვრებოდნენ. ოფიცრები მათ ხელს აღარც უშლიდნენ.

ანტანტას ბანაკში კი ამასობაში პანიკაც იყო და უთანხმოებაც. ინგლისელებს ღიობი ადარდებდათ, მაგრამ პეტენი უპირველესად პარიზის დაცვაზე ზრუნავდა და ცდილობდა, ინგლისელები სამხრეთისკენ გადმოეწია. ეს ჰეიგს არ მოეწონა და ლოიდ-ჯორჯს სთხოვა ფრანგებთან პეტენის უკან დაწევისა და ფოშის დაწინაურების საკითხი დაეყენებინა. პეტენს ფოში კლემანსოსაც ერჩია, რადგან ფოში ომს გაცილებით უფრო ოპტიმისტური თვალით უყურებდა. შედეგად ფოში დასავლეთ ფრონტზე ანტანტას კოორდინატორად დანიშნეს, მოგვიანებით, 14 აპრილს კი მთლიანად მოკავშირეთა მთავარსარდლად აქციეს.

გერმანელების წინსვლა უკვე მარტის ბოლოსთვის შეფერხდა. მათ არასს შეუტიეს, მაგრამ იქაურობა კარგად გამაგრებული დახვდათ და მალე ორივე მხარე დადგა და სანგრების თხრას შეუდგა. გერმანელებს უკვე დიდი ტერიტორია დაეკავებინათ, მაგრამ ამას სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისინი ჰინდენბურგის ხაზს მოწყდნენ და მათი ფრონტი გაიწელა. მტერს დიდი ზარალი კი მიაყენეს, მაგრამ თავადაც 160 ათასი რჩეული მეომარი დაკარგეს. ამას ისიც დაემატა, რომ მათმა შეტევამ პერშინგი დააფრთხო. იგი ომში ჩაბმას მხოლოდ 1919 წელს გეგმავდა, მაგრამ ახლა გადაწყვიტა, რომ დაცდის ფუფუნება მოკავშირეებს არ ჰქონდათ და ფოშს თავისი ძალები შესთავაზა.

ლუდენდორფმა ამასობაში ბოლოს და ბოლოს ამიენის აღება სცადა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. „წმინდა მიხაელი“ რეალურად დასრულდა და გარდატეხა ვერ მოიტანა. თუმცა, ამავე დროს ანტანტა გერმანიაზე მძიმე დღეში იყო. ფრანგებს ცოცხალი ძალის ნაკლებობა სერიოზულად ეტყობოდათ. ამ მხრივ უკვე ინგლისსაც ისე უჭირდა, რომ მთავრობა ირლანდიაში გაწვევის გამოცხადებაზეც კი ფიქრობდა. გერმანელებს წესით ისევ შეეძლოთ თავდაცვაში ჩადგომა...

მაგრამ ლუდენდორფს ამერიკელთა ჩარევის იმდენად ეშინოდა, რომ, სანამ ეს მოხდებოდა, ყველაფერი უნდა დაესრულებინა. 9 აპრილს „ოპერაცია ჟორჟეტად“ წოდებული ახალი შეტევა დაიწყო, რომელიც მეოთხე იპრად იქცა. გერმანელებმა ისევ იოლად გაარღვიეს ფრონტი და ინგლისელებს გასულ შემოდგომაზე სიმწრით დაკავებული პოზიციებიდან უკან დაახევინეს. ფოშმა მათ ფრანგები მიაშველა და ამით პეტენი დაასუსტა. ლუდენდორფს ეს გადანაცვლება არ გამოჰპარვია და კრონპრინცს შამპანის მიმართულებით პეტენზე დარტყმა უბრძანა, მაგრამ ამასობაში გერმანელები იპრთან დასუსტდნენ. 24 აპრილს ლუდენდორფმა ამიენზე შეტევაც წამოიწყო, მაგრამ ისევ ამაოდ. შემდეგ ისევ შამპანზე დარტყმა და – ისევ ამაოდ.

აპრილის ბოლოს ჟორჟეტაც ისტორიას ჩაბარდა. გერმანელებს მან კვლავაც ვერ მოუტანა გამარჯვება, მაგრამ ანტანტას ახალი ფსიქოლოგიური დარტყმა მიადგა. 15 მაისს ბალფურმა მოლაპარაკებებისათვის მზადება გამოთქვა და საამისოდ გერმანელებისგან ბელგიის დაცლა მოითხოვა. ამ დროისათვის ლუდენდორფი ახალ შეტევებს გეგმავდა. 7 მაისს მან ახალი ბრესტი გამოაცხო: გერმანელებმა კიდევ ერთი უმძიმესი ზავი მოახვიეს თავს დამარცხებულ მეტოქეს, ამჯერად – რუმინეთს. ამ უკანასკნელმა ტერიტორიები დაკარგა და მისი ნავთობის საბადოები გერმანიას 90 წლით გადაეცა. 27 მაისს კი კიდევ ერთი შეტევა დაიწყო, ამჯერად ენასთან. ლუდენდორფს ჩაფიქრებული ჰქონდა წინ წაწია და პარიზისათვის საფრთხე შეექმნა. ეს წესით ჰეიგს აიძულებდა, სამხრეთით გადაესროლა თავისი ძალები, რის შედეგადაც გერმანელები ბოლოს და ბოლოს ინგლისელთა ფრონტს ბოლომდე გაარღვევდნენ.

გერმანელებმა მართლაც წაიწიეს წინ, ენასთან ჰიტლერმა კიდევ ერთი რკინის ჯვარი მიიღო. შეტევა შამპანის მხრიდანაც მიდიოდა, მაგრამ ამის მიუხედავად ფოში ფლანდრიიდან სამხრეთისკენ ძალებს მაინც არ ძრავდა. მაშინ ლუდენდორფმა ფლანდრიული ფრონტისთვის განკუთვნილი ძალები თავად გადაისროლა სამხრეთისკენ და მაისის ბოლოს გერმანელთა უზარმაზარი ჯარი კიდევ ერთხელ მიადგა მარნას.

გერმანელთა ამ მანევრმა მოკავშირეები სერიოზულად დააფრთხო. მარად ოპტიმისტი ფოშიც კი კლემანსოს პარიზიდან მთავრობის გაყვანას ურჩევდა. მოქალაქეები იქაურობას უკვე ტოვებდნენ. ფოშმა პარიზში მყოფ ლოიდ-ჯორჯს ინგლისიდან კონტინენტზე დამატებითი ძალების გადასროლა სთხოვა. ინგლისელთა პრემიერ-მინისტრი იმდენად თავზარდაცემული იყო, რომ ფრანგს ბევრი არ ახვეწნინა. სიმშვიდეს მეტ-ნაკლებად პეტენი თუ ინარჩუნებდა. ის კარგად ხვდებოდა, რომ გერმანელების შეტევა სულს ღაფავდა. მით უმეტეს, ივნისის დასაწყისში ბოლოს და ბოლოს ამერიკელებიც ჩაებნენ საქმეში. ისინი შამპანში შეეშველნენ ფრანგებს და გერმანელები შეაჩერეს. ამის შემხედვარე ლუდენდროფმა ისევ შეუტია ენასთან, მაგრამ აქაც ისევ ამერიკელები დახვდნენ. იმის გამო, რომ პერშინგი სანგრებსა და დაცვით ტაქტიკას არ ცნობდა, ამერიკელებმა დიდი მსხვერპლი ნახეს, მაგრამ თან ბევრი გერმანელიც გაიყოლეს. პარიზი გადარჩა. 11 მაისს ენასთან მანჟენი უკვე კონტრშეტევაზეც გადავიდა. ამიენთან გერმანელებს ავსტრალიელებმა და ახალზელანდიელებმაც დაარტყეს და უკუაქციეს კიდეც. კრონპრინცმა შამპანთან სცადა შეტევა, თუმცა აქ პეტენის დანერგილ თავდაცვით სისტემას გადააწყდა და ვერაფერს გახდა. ენასთან ფრანგებმა და ამერიკელებმა უკვე აქეთ შეუტიეს... გერმანელებს ახლა მხოლოდ ფლანდრიაში თუ შეეძლოთ შეტევა.

დასავლეთის ფრონტი აღარ იყო უცვლელი. ფრონტზე იყო რთული, თუმცა მართული ქაოსი. მოწინააღმდეგეები ერთიმეორეს ყველა მონაკვეთზე უტევდნენ. ჯერ უტევდნენ გერმანელები. ისინი სიტუაციის მიხედვით შეტევის მიმართულებებს ცვლიდნენ და ამით მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდებოდა. მოკავშირეები თავიდან მხოლოდ თავს იცავდნენ, მოგვიანებით კი ცდილობდნენ თავადაც შეეტიათ, სადაც ეს გამოუვიდოდათ.

ზაფხულისათვის ფრანგებს ძალები თითქმის აღარ დარჩათ, მაგრამ სამაგიეროდ, არ წყდებოდა ამერიკელთა ნაკადი. გერმანელთა ამ ახალ პრობლემას მალე კიდევ ერთი დაემატა – გრიპის ეპიდემია. მან ივნისში იფეთქა, ცუდად ნაკვებ გერმანელებს დაერია და საბოლოო ჯამში 200 ათასამდე მეომარი იმსხვერპლა (ეპიდემია გერმანიის ნაშიმშილარ მშვიდობიან მოსახლეობასაც დაერია და იქ 400 ათასი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს). ლუდენდორფმა ფლანდრია გადაავადა (როგორც აღმოჩნდა, საბოლოოდ), 25 ივლისს კიდევ ერთხელ სცადა პარიზისკენ

გაჭრა და ისევ უშედეგოდ. 1 აგვისტოს მანჟენის შეტევა გაგრძელდა. 8 აგვისტოს კი ავსტრალიელებმა და ახალზელანდიელებმა გერმანელთა პოზიციებზე საშინელი დარტყმა განახორციელეს. გერმანელებმა დიდი დანაკარგებით დაიხიეს უკან. ომის დაწყებიდან ალბათ პირველად ანტანტას ბანაკში გამარჯვების რეალური იმედი გაჩნდა. გერმანელთა ჯარი უკვე თავის თავას აღარ ჰგავდა. ლუდენდორფი იძულებული გახდა, დეზერტირობისათვის სიკვდილის დასჯაც კი შემოეღო (რაც გერმანელთათვის უცხო ხილი იყო). მას ევედრებოდნენ, ჯარი ჰინდენბურგის ხაზზე დაებრუნებინა და ალბათ თავადაც ხვდებოდა, რომ ასე აჯობებდა, მაგრამ დიდი მსხვერპლის ფასად დაკავებული ტერიტორიის დათმობა ენანებოდა.

სადაც გერმანელები ბრძოლის ველზე მარცხდებოდნენ, ცხადია, იქ საბოლოო კატასტროფა უნდა განეცადათ ავსტრიელებს. კონრადმა, რომელიც ახალმა იმპერატორმა რატომღაც ფელდმარშლად აქცია, ივნისში ტიროლის მხრიდან იტალიელებს შეუტია, თავიდან წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ მალე ინგლისელებსა და ფრანგებს გადაანყდა და საშინელი დანაკარგებით უკუიქცა. 25 ივლისს კონრადი საბოლოოდ ჩამოაშორეს საქმეს, ოღონდ კარლმა იგი ამჯერად უკვე რატომღაც ბარონობიდან გრაფობამდეც აღაზევა.

გერმანელთა კუბოში ბოლო ლურსმანი, რაც უნდა უცნაური იყოს, საბერძნეთში ჩაეჭედა. ეს უკანასკნელი 30 ივნისს ჩაება ომში, მას შემდეგ, რაც მეფე კონსტანტინე გააძევეს და ძალაუფლება მთლიანად ვენიზელოსმა იგდო ხელთ. ამის წყალობით სალონიკაში აქამდე ფაქტობრივად უქმად მდგარი ფრანგულ-ინგლისური არმია ბერძნებთან, სერბებსა და იტალიელებთან ერთად ბოლოს და ბოლოს შეტევაზე გადავიდა და ბულგარელთა წინააღმდეგობა გატეხა. ბულგარელებს ვერც გერმანელებმა უშველეს. 25 სექტემბერს მათ დაზავება ითხოვეს. პარალელურად მოკავშირეებმა ვერდენის მიმართულებიდან უზარმაზარი ძალებით შეუტიეს. მარცხს მარცხზე განიცდიდნენ თურქები. 1 ოქტომბერს არაბებმა ლოურენსის მეთაურობით ავსტრალიელებთან ერთად დამასკო აიღეს. ლუდენდორფმა ამასობაში უკან დახევა და ჰინდენბურგის ხაზზე გამაგრება სცადა, მაგრამ ეს უკვე აღარ ჭრიდა. ამერიკელებისა და ინგლისის დომინიონების წყალობით მოკავშირეთა ძალები გერმანელებისას განუზომლად აღემატებოდა და მათი შეკავება უკვე შეუძლებელი იყო. ოქტომბრის დასაწყისში ჰეიგმა ჰინდენბურგის ხაზი რამდენიმე ადგილას გაარღვია. გერმანელები ასეთი კატასტროფული მდგომარეობის მიუხედავად, მტერზე გაცილებით ნაკლებ ზარალს ნახულობდნენ, მაგრამ ძალები იმდენად უთანასწორო იყო, რომ ეს საქმეს არ შველოდა.

ლუდენდორფს ყველაფერი თვალწინ ენგრეოდა, მაგრამ იგი დანებებას მაინც არ აპირებდა...

რუსული კატასტროფა. აქტი 6

სანამ დასავლეთში ფრონტი იცვლებოდა, რუსეთში ბოლშევიკთა რეჟიმი ერთი პერიოდი კატასტროფის წინაშე დადგა. ნოემბრის გადატრიალების შემდეგ კორნილოვი ტყვეობიდან გაიქცა (კიდევ ერთხელ), დონის რეგიონში ჩავიდა, იქაური კაზაკობა ბოლშევიკთა წინააღმდეგ დარაზმა (იგი თავად ნახევრად კაზაკი იყო) და ალექსეევთან ერთად სათავეში ჩაუდგა ე.წ. თეთრ არმიას. 1918 წლის აპრილში კორნილოვი დაიღუპა, ოქტომბერში კი ალექსეევი გარდაიცვალა ავადმყოფობისგან. შედეგად თეთრი არმია გენერალ ანტონ დენიკინს დარჩა. ეს იყო ნიჭიერი სამხედრო და ნამდვილი პატრიოტი, გლეხობიდან გამოსული, რომელმაც ყველაფერს თავისი შრომით მიაღწია და რუსეთის იმპერიის დასაცავად ყველაფრისათვის მზად იყო. მისი სახით ბოლშევიკებს ნამდვილად სახიფათო მტერი ჰყავდათ, მალე კი მათ კიდევ ერთი დიდი საფრთხე დაემუქრათ ე.წ. ჩეხოსლოვაკური ლეგიონის სახით.

ავსტრიელებთან ომის დროს რუსებმა უამრავი ტყვე აიყვანეს, რომელთა შორის ათეულათასობით ჩეხი და სლოვაკი ეროვნების მეომარი იყო. მათ კიდევ არაერთი დეზერტირი დაემატა და საბოლოოდ ჩეხი და სლოვაკი ტყვეების რაოდენობა 60 ათასზე ავიდა. აქედან რამდენიმე ათასი რუსების მხარდამხარ ომზე დათანხმდა და 1916 აღმოსავლეთ ფრონტზე საბრძოლო მოქმედებებში ჩაება. ამ დროს ჩეხოსლოვაკიის მომავალ პრეზიდენტ ტომაშ მასარიკს ეროვნული ჯარის ჩამოყალიბების იდეა დაებადა (იგი უკვე სერიოზულად მუშაობდა დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს შესაქმნელად), რომელიც დასავლეთ ფრონტზე საბრძოლო მოქმედებებში ანტანტას მხარეს უნდა ჩაბმულიყო (იმ იმედით, რომ მოკავშირეები ჩეხოსლოვაკებს გარჯას დაუფასებდნენ და გამარჯვების შემდეგ სახელმწიფოსაც აჩუქებდნენ). ჯარის ბირთვად მასარიკს სწორედ რუსეთის მხარეს მეომარი ჩეხოსლოვაკური პოლკები და იქაური ტყვეები ესახებოდა. ნიკოლოზის რუსეთში ამ იდეას გაგებით არ შეხვდნენ, მაგრამ სამაგიეროდ დროებითი მთავრობა დათანხმდა. ჩამოყალიბდა ჩეხოსლოვაკთა მთელი კორპუსი, რომელმაც კარგად იომა აღმოსავლეთ ფრონტზე. შემოდგომისათვის კი მისი დასავლეთის ფრონტზე გადასროლა იგეგმებოდა, მაგრამ ნოემბრის გადატრიალებამ ყველაფერი აურია. 1917 წლის ბოლოს მოკავშირეთა სარდლობამ ჩეხოსლოვაკური ლეგიონი თავისი შეიარაღებული ძალების ნაწილად ცნო, რამაც, ბუნებრივია, მასარიკს კიდევ უფრო გაუხსნა ხელ-ფეხი. 1918 წლის მარტში ბოლშევიკებიც დათანხმდნენ ჩეხოსლოვაკების დასავლეთში გადაყვანაზე და ისინი რკინიგზით ვლადივოსტოკისაკენ გაამგზავრეს (არხანგელსკიდან მათ გაყვანაზე გერმანული წყალქვეშა ნავების შიშით თქვეს უარი). ჩეხოსლოვაკების მცირე ნაწილმა წასვლაზე უარი თქვა და მალე ბოლშევიკებსაც შეუერთდა. ამ ფაქტის აღნიშვნა ალბათ

მხოლოდ იმიტომ ღირს, რომ ამ მცირეთა შორის იყო იაროსლავ ჰაშეკი, პირველ მსოფლიო ომზე ცნობილი წიგნის „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი" მომავალი ავტორი.

ცხადია, გერმანელებს მოვლენათა ამგვარი განვითარება არ მოეწონათ და ბოლშევიკებს ჩეხოსლოვაკების შეჩერება მოსთხოვეს კიდეც. ბოლშევიკებს გერმანელების ნამდვილად ეშინოდათ, მაგრამ ასევე ეშინოდათ ჩეხოსლოვაკური ლეგიონისაც და ამიტომ ეს უკანასკნელი გზას აგრძელებდა. ეს მაისში ხდებოდა და ამ დროს ინგლისელთა ინიციატივით მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ჩეხოსლოვაკების დიდი ნაწილი რუსეთში დაეტოვებინათ და იაპონელებთან გაეერთიანებინათ (რომელთა მცირე შენაერთი ინგლისელთა და ფრანგთა თხოვნის შემდეგ ვლადივოსტოკში გადაჯდა). შედეგად, მრავალტანჯული ლეგიონის ჯერ კიდევ გზაში მყოფი ნაწილი არხანგელსკისა და მურმანსკისკენ მიაბრუნეს და სწორედ ამ დროს გზად, ჩელიაბინსკში, მათ სამშობლოში მომავალ უნგრელ ტყვეებთან მოუხდათ შეტაკება. შედეგად ადგილობრივმა ხელისუფლებამ რამდენიმე ჩეხოსლოვაკი დააპატიმრა, მაგრამ ჩეხოსლოვაკებმა პასუხად ადგილობრივი არსენალი ჩაიგდეს ხელში და ხელისუფლებამაც უკან დაიხია.

ალბათ ყველფერი ამ ინციდენტითვე დასრულდებოდა, რომ არა ტროცკი, რომელიც ის-ის იყო ომის სახალხო კომისრად დაინიშნა. ცხადია, რომ, სადაც მისთვის დიპლომატია მსოფლიო რევოლუციის მოწყობა იყო, საომარ საქმეშიც რაღაც გრანდიოზული და ტიტანური ამბიციები უნდა ჰქონოდა. ტროცკიმ ჩეხოსლოვაკების შეჩერება ბრძანა. მისი გადაწყვეტილებით, ლეგიონი წითელი არმიის ნაწილად უნდა ქცეულიყო ან სამუშაო ბატალიონებში უნდა გადანაწილებულიყო. ვინც ამაზე უარს იტყოდა, საკონცენტრაციო ბანაკებში უნდა გაემწესებინათ (ბოლშევიკთა კიდევ ერთი ინოვაცია). ჩეხოსლოვაკების დაკავებისა და განიარაღების უნარი რომ რუსეთში არავის ჰქონდა, ამას ბევრი ხვდებოდა, მაგრამ არა – ტიტანურ იდეებს შეჭიდებული ტროცკი. ჩეხოსლოვაკები ცხადია მის ბრძანებას არ დაემორჩილნენ, მით უფრო, რომ დაეჭვდნენ, ბოლშევიკები აპირებდნენ, გერმანელებისათვის გადაეცათ ისინი. მათ არხანგელსკისა და მურმანსკისკენ ბრძანებასაც აღარ მიაქციეს ყურადღება და ინიციატივა საკუთარ ხელში აიღეს. გამომდინარე იქიდან, რომ მათი ნაწილი უკვე ვლადივოსტოკში იყო და დანარჩენები ჯერ კიდევ გადაადგილდებოდნენ ფაქტობრივად რუსეთის მთელი ტერიტორიის გავლით, ჩეხოსლოვაკებმა მთელი სარკინიგზო ხაზი და სადგურები დაიკავეს და ამგვარად, მთელი ციმბირი და მალე ევროპული რუსეთის ნაწილიც მათ ხელში აღმოჩნდა.

ჩეხოსლოვაკთა გამოსვლა წესით ბოლშევიკებისათვის კატასტროფით უნდა დასრულებულიყო. მაგრამ პარადოქსულად მათ გადარჩენაში სწორედ ჩეხოსლოვაკებმა ითამაშეს გარკვეული როლი. 1918 წლის ივნისის ბოლოს ბოლშევიკური პროპაგანდით გაცოფებულმა ლუდენდორფმა ვილჰელმთან მათი თავიდან მოშორების საკითხი წამოჭრა. ბერლინში სერიოზული მსჯელობაც გაიმართა, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ბოლშევიკთა დღეები ჩეხოსლოვაკთა გამოისობით შეიძლებოდა ისედაც დათვლილი ყოფილიყო. გარდა ამისა, მართალია, პროპაგანდა მიუღებელი იყო, მაგრამ ამავე დროს ბოლშევიკებმა გერმანელებს ფაქტობრივად მთელი რუსეთი ჩაუგდეს ხელში და ამის არდანახვა ნამდვილად არ შეიძლებოდა. ვილჰელმი საბოლოოდ ისე მოლბა, რომ ლენინს შეუთვალა, ჩვენი შიში არ გქონდეთ, პეტროგრადის აღებას არ ვაპირებთო. ამის შემდეგ ბოლშევიკებს საშუალება მიეცათ, თავიანთი საუკეთესო შენაერთი, ე.წ. ლატვიელი მსროლელები პეტროგრადის დაცვიდან მოეხსნათ და ჩეხოსლოვაკების წინააღმდეგ გადაესროლათ, რომლებიც ამასობაში მათ უკვე ღიად ეომებოდნენ.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ იყო. 6 ივლისს ბოლშევიკთა ხელისუფლების წინააღმდეგ ესერები აჯანყდნენ. მათ გერმანიის ელჩი მოკლეს და ჩეკას (ბოლშევიკთა სპეცსამსახური) უფროსი, ლეგენდარული ფელიქს ძერჟინსკი დააპატიმრეს. მაგრამ ეს იყო და ეს. ვინაიდან ბოლშევიკები არ იყვნენ (როგორც „ხალხის ნების" მემკვიდრეებმა მათ მხოლოდ ტერაქტების მოწყობა იცოდნენ), ესერები ამაზე გაჩერდნენ და ლატვიელი მსროლელების დახმარებით ბოლშევიკებმა თავიანთი ძალაუფლება გადაარჩინეს.

ამას რუსეთში მოკავშირეთა ინტერვენცია დაემატა. როგორც უკვე ვთქვით, უილსონს დიდი ხანი იყო სთხოვდნენ, იაპონელთათვის საამისო ნებართვა მიეცა, მაგრამ მორალისტი ყოყმანობდა, იაპონელები კი ვლადივოსტოკის იქით არ მიდიოდნენ. ვითარება ჩეხოსლოვაკური ლეგიონის ამბებმა შეცვალა. უილსონმა გადაწყვიტა, რომ მათი რუსეთიდან გამოხსნა იყო საჭირო და ივნისის დასაწყისში იაპონელებს ერთობლივი ინტერვენცია შესთავაზა იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელნი რუსეთის პოლიტიკაში არ ჩაერეოდნენ და მის ტერიტორიულ მთლიანობას არ შეეხებოდნენ. იაპონელები სიამოვნებით დათანხმდნენ. ისინი რა ხანია ციმბირში შესვლაზე ოცნებობდნენ და საამისოდ მხოლოდ მიზეზსა და ნებართვას ელოდნენ. ციმბირში მათ უზარმაზარი ძალები გადაისროლეს და დიდი ტერიტორიაც დაიკავეს (ჩეხოსლოვაკები მათ საერთოდ არ გახსენებიათ და მხოლოდ 1922 წელს დატოვეს რუსეთის ტერიტორია ამერიკელთა ზეწოლითა და იმ უბრალო მიზეზით, რომ ციმბირის დიდი ნაწილის კონტროლი გაწეულ ხარჯებს არანაიარად არ ამართლებდა). ასევე ჩეხოსლოვაკების გამოხსნის მიზნით მოკავშირეთა დამატებითი ძალები (ძირითადად, ამერიკელებით დაკომპლექტებული) გამოჩნდნენ არხანგელსკში. ბოლშევიკებმა ჩათვალეს, რომ ყველაფერი მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. ასეთ ვითარებაში მათ ძალაუფლებას ისევ გერმანელები თუ გადაარჩენდნენ. 1 აგვისტოს ჩიჩერინმა გერმანიის

საელჩოს სამხედრო ინტერვენციის განხორციელებისა და მოკავშირეთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წინადადებით მიმართა. კონკრეტულად, ბოლშევიკები გერმანელებს არხანგელსკსა და მურმანსკზე დარტყმას სთავაზობდნენ და თეთრი არმიის წინააღმდეგ დახმარებასაც ითხოვდნენ. საელჩოში ფიქრობდნენ, ბოლშევიკები განწირულები არიანო, და ბერლინს რუსეთში სხვა დასაყრდენის მოძებნა ურჩიეს (არხანგელსკსა და მურმანსკზე დარტყმაზე საუბარი არც იყო). მაგრამ ბერლინში კვლავ გადაწყვიტეს, რომ ბოლშევიკებზე უკეთეს მოკავშირეებს გერმანია რუსეთში ვერ იპოვიდა.

მანამდე კი გერმანელები ცდილობდნენ, ლენინთან ერთ დელიკატურ საკითხზე მოელაპარაკათ. ელჩის მკვლელობის შემდეგ მათ სურდათ მოსკოვში შენაერთი ჩაეყენებინათ საელჩოს დაცვის მიზნით (უფრო სწორად კი, ცხადია საბაბით). ლენინი მიხვდა, რომ გერმანელებს მისი ხელისუფლების დამხობა სურდათ (ელჩის მკვლელობის შემდეგ ბერლინში ამ საკითხზე მსჯელობა მართლაც განაახლეს). მან მოსკოვში შენაერთის დაშვებაზე უარი განაცხადა და სამაგიეროდ გერმანელებს ბრესტის ზავით გათვალისწინებული დამატებითი შეთანხმების სასწრაფო გაფორმება შესთავაზა. ძალაუფლების შესანარჩუნებლად იგი ყველაფერზე იყო მზად. დამატებითი შეთანხმება 27 აგვისტოს გაფორმდა, რუსეთმა გერმანიას კომერციული პრივილეგიები მიანიჭა, ბაქოს ნავთობის ნაწილი იაფად დაუთმო და 6 მილიარდი მარკის გადახდასაც დათანხმდა. შეთანხმებამ არაეკონომიკური საკითხებიც დაფარა. რუსეთმა აღიარა უკრაინისა და საქართველოს დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, იგი დათანხმდა არხანგელსკსა და მურმანსკიდან მოკავშირეთა გაძევებას. თუ ამას თავად ვერ მოახერხებდა, მაშინ ეს გერმანელებსა და ფინელებს უნდა გაეკეთებინათ. რუსები ასევე დათანხმდნენ, რომ გერმანელები დაეხმარებოდნენ თეთრებისა და ჩეხოსლოვაკების წინააღმდეგ ბრძოლაშიც. ასევე რუსები ვალდებულებას იღებდნენ, ბაქოდან გაეძევებინათ იქ მდგარი ირანიდან გადმოსული ინგლისელები – თუ ვერა და, ამაში ისევ გერმანელები დაეხმარებოდნენ (გერმანელთა „დახმარება“ მოკავშირეთა გაძევების საქმეში ფარული შეთანხმების ფარული მუხლების სახით გაფორმდა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები ფარული დიპლომატიის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ). მოკლედ, გერმანელები ახალი დათმობების სანაცვლოდ ბოლშევიკთა რეჟიმის გადარჩენას თანხმდებოდნენ და სამხედრო ინტერვენციის უფლებასაც იტოვებდნენ. სექტემბრიდან გათამამებულმა ბოლშევიკებმა ჩეხოსლოვაკების წინააღმდეგ დიდი ძალები გადაისროლეს. ამ დროისათვის ტროცკიმ სერიოზულად მოკიდა ხელი წითელი არმიის მშენებლობას და დეზერტირობისათვის დახვრეტაც ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე აღადგინა.

მანამდე ბოლშევიკები კიდევ ერთი მძიმე გამოცდის წინაშე დადგნენ.

30 აგვისტოს ლენინს ესროლეს (მას თავს დაესხა ისევ და ისევ ესერთა პარტიის წევრი) და იგი ძლივს გადარჩა. სანამ მისი გადარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, ბოლშევიკებმა ლენინი ბრძენკაცად გამოაცხადეს, ხოლო როცა გადარჩა, ბრძენკაცი ღმერთკაცადაც იქცა (და შედეგად იგი დღემდე არ დაუმარხავთ). ღმერთკაცის სახელით ბოლშევიკები დაუნდობელ რეპრესიებზე გადავიდნენ და პოლიტიკურ ოპონენტებს სასტიკად გაუსწორდნენ. მალე რუსეთში სრულფასოვანი ერთპარტიული დიქტატურა დამყარდა.

ყველაზე ხმამაღალი ჟესტი, რომლითაც ბოლშევიკებმა მთელ მსოფლიოს დაანახეს, რომ უკან დახევას არაფრით არ აპირებდნენ და ძალაუფლების შესანარჩუნებლად ყველაფერზე წავიდოდნენ, ნიკოლოზის და მისი ოჯახის დახვრეტა იყო.

რომანოვთა სამეფო ოჯახი დიდი ხნის განმავლობაში ტობოლსკში იყო გამოკეტილი, სადაც ისინი ჯერ კიდევ კერენსკიმ გაგზავნა. ბოლშევიკებს ოჯახი ერთი პერიოდი საერთოდ გადაავიწყდათ, რადგან რომანოვები ყველას და ყველაფერს მოწყვეტილები იყვნენ. სიტუაცია ბრესტის ზავის შემდეგ შეიცვალა, რომელმაც მოსახლეობაში ბოლშევიკთა მიმართ არნახული სიძულვილი გამოიწვია. როგორც უკვე ვნახეთ, 1918 წელს ბოლშევიკთა დამხობის ალბათობა ძალიან დიდი იყო (როგორც შიდა, ასევე გარე ძალების მიერ) და ასეთ ვითარებაში ყოფილი იმპერატორის ფიგურას შეეძლო როგორც ოპოზიციის გაერთიანება, ასევე ბოლშევიკთა დამხობისათვის სრულიად ლეგიტიმური სახის მიცემა. ამის შიშით ლენინმა ბრესტის ზავის გაფორმებიდან რამდენიმე დღეში გადასახლებაში დიდი თავადი მიხაილიც გაუშვა. ეს უკანასკნელი მანამდე ინგლისში გამგზავრებას ფიქრობდა, მაგრამ ვიზა არც მას აღირსეს. შემდეგ მიხაილმა გვარის გამოცვლა და ცოლის გვარზე გადასვლა მოინდომა, მაგრამ ეს ამჯერად ბოლშევიკებმა არ დააცადეს. 13 ივნისს მიხაილი დახვრიტეს კიდეც.

რაც შეეხება ნიკოლოზსა და მის ოჯახს, ისინი საკმაოდ მშვიდად ცხოვრობდნენ ტობოლსკში. ალექსანდრამ განსაცდელში თავისი ხასიათის კარგი თვისებები გამოავლინა, ქმარს გვერდით ედგა და ამხნევებდა. ლენინს აშფოთებდა ის ფაქტი, რომ ოჯახი ტობოლსკში იმყოფებოდა. ამ ქალაქში რკინიგზა არ იყო და ამის გამო იგი ბოლშევიზაციას შედარებით გადაურჩა. ბოლშევიკები შიშობდნენ, რომ რომანოვები შეიძლებოდა გაქცეულიყვნენ და ამიტომაც აპრილში მათი მოსკოვში გადაყვანა გადაწყვიტეს. მაგრამ ოჯახის გადაყვანა ვერ მოხერხდა, რადგან პატარა ალექსანდრე შეუძლოდ იყო და ამიტომაც ბოლშევიკებმა მხოლოდ ნიკოლოზის წაყვანა გადაწყვიტეს. ალექსანდრამ ქმარი არ მიატოვა, ავადმყოფი ვაჟი უფროს ქალიშვილებს, ოლგასა და ტატიანას დაუტოვა და შუათანა ქალიშვილთან, მარიასთან ერთად ისიც მოსკოვის გზას დაადგა. ნიკოლოზს გულწრფელად ეგონა, რომ იგი ბრესტის ზავზე

ხელის მოსაწერად მიჰყავდათ. გზად გეგმები შეიცვალა და რომანოვები მოსკოვის ნაცვლად 30 აპრილს ეკატერინბურგში აღმოჩნდნენ – ბოლშევიკების მიერ კარგად კონტროლირებად ქალაქში. რამდენიმე ხანში მათ ტობოლსკში დარჩენილი ოჯახის წევრებიც შეუერთდნენ.

ეკატერინბურგში რომანოვების ოჯახს გაცილებით უარესი პირობები დახვდა, მაგრამ ისინი ყველაფერს ძალიან ღირსეულად იტანდნენ. ბოლშევიკებს ვერ გადაეწყვიტათ, მათთვის რა უნდა ექნათ. ტროცკი სასამართლო პროცესის გამართვაზე ლაპარაკობდა, რომელიც რადიოთი უნდა გადაეცათ. მაგრამ ლენინი ამ იდეას არ იზიარებდა. იგი შიშობდა, რადგან ბოლშევიკებს ამის ფუფუნება და დრო არ ჰქონდათ. მათი ძალაუფლება ხომ ბეწვზე ეკიდა...

...25 ივლისს ეკატერინბურგი ჩეხოსლოვაკებმა აიღეს და ბუნებრივია, მაშინვე რომანოვებს დაუწყეს ძებნა. მაგრამ მათი კვალიც კი არსად ჩანდა. უფრო სწორად, კვალი არც იყო დარჩენილი, რადგან 16 ივლისს გვიან საღამოს ნიკოლოზი მთელი თავისი ოჯახით (ასევე ოჯახის ექიმი და სამი მსახური) დახვრიტეს, შემდეგ მათი გვამებიც გაანადგურეს. დახვრეტის ინიციატივა უეჭველად ლენინისგან მოდიოდა, რომელსაც მიაჩნდა, რომ საჭირო იყო „ასი რომანოვისთვის მაინც დაეყრევენებინათ თავები“.

ევროპის ისტორიას აქამდე მსგავსი არაფერი ახსოვდა. თუკი მანამდე მონარქებს სიკვდილით სჯიდნენ (ინგლისსა და საფრანგეთში), ეს სასამართლო პროცესის შემდეგ ხდებოდა. ბოლშევიკები ნიკოლოზის დახვრეტას იმით ხსნიდნენ და ამართლებდნენ, რომ ყოფილი იმპერატორი „ჩეხოსლოვაკებს შეეკრა და მათი ქალაქში შესვლის მოლოდინში ინტრიგებს ხლართავდა“.

ოჯახიდან გადარჩა მხოლოდ ნიკოლოზის დედა, დანიის პრინცესა მარია. გადარჩა უბრალოდ იმის წყალობით, რომ ხელისუფლებაში დროებითი მთავრობის მოსვლის შემდეგ იგი ყირიმში გადავიდა. იგი იქიდან 1919 წელს ინგლისში გაიყვანეს. ინგლისის მეფე ჯორჯმა, დეიდაშვილებისგან განსხვავებით, დეიდა აღარ გაწირა. მარია რაღაც ხანი ინგლისში თავის დასთან ცხოვრობდა, შემდეგ კი სამშობლოს, დანიას დაუბრუნდა, სადაც 1928 წელს გარდაიცვალა. დედოფალს სიცოცხლის ბოლომდე ვერაფრით დაეჯერებინა, რომ მისი შვილიშვილები ამქვეყნად აღარ იყვნენ. მის ილუზიას ბოლშევიკებიც უწყობდნენ ხელს, რომლებიც ნიკოლოზის დახვრეტას არ მალავდნენ, მაგრამ მისი ცოლ-შვილის დახვრეტას არაფრით არ აღიარებდნენ. სწორედ ბოლშევიკთა ამ სიცრუემ და მარიას ილუზიებმა დაუდო სათავე ანასტასიას (ნიკოლოზის უმცროსი ქალიშვილის) ლეგენდას, რომელიც ვითომცდა ცოცხალი გადარჩა.

„გერმანული რევოლუცია“

...სექტემბერში, ბულგარელთა დამარცხებისთანავე, ლუდენდორფი გერმანიის ახალ საგარეო მინისტრ პაულ ფონ ჰინცეს შეხვდა და უთხრა, რომ დაზავება იყო საჭირო. „ოღონდ, – დასძინა ლუდენდორფმა ჰინცეს გასაოცრად, – ეს სასწრაფოდ უნდა მოხდეს, რამდენიმე დღეში“. მინისტრი ვერაფერს ხვდებოდა და ცდილობდა აეხსნა გერმანიის არაფორმალური მმართველისათვის, რომ რამდენიმე დღეში დაზავება არ მოხერხდებოდა. მაგრამ ლუდენდორფს ეს ნაკლებად აინტერესებდა. მას დაზავება მშვიდობისათვის არ სჭირდებოდა, მხოლოდ უნდოდა პაუზით ესარგებლა, ჯარი გერმანიის ტერიტორიაზე გადაესროლა და მისთვის სულის მოთქმისა და ძალების აღდგენის საშუალება მიეცა. ამის შემდეგ კი, თუ საჭირო იქნებოდა, ომსაც განაახლებდა. ეს ყველაფერი უსწრაფესად უნდა მომხდარიყო, რადგან ომის ყოველი დღე გერმანიას მეტად ძვირი უჯდებოდა.

ჰინცემ ბოლოს და ბოლოს გაიგო, რა ჰქონდა ჩაფიქრებული ლუდენდორფს და ცოტა ხანში მათ საინტერესო გეგმა შეადგინეს. სამშვიდობო ინიციატივით უილსონისათვის უნდა მიემართათ. მორალისტი ასეთ რამეზე უარს ვერ იტყოდა (განსხვავებით თუნდაც გერმანელთა მოძულე კლემანსოსგან) და თუკი მას დაზავებაზე დაითანხმებდნენ, მაშინ საქმე გაკეთებული იქნებოდა – ამერიკელთა გარეშე ანტანტას გერმანელთა დამარცხების თავი ნამდვილად არ ჰქონდა. ლუდენდორფმა და ჰინცემ ისიც გათვალეს, რომ უილსონისათვის გერმანიის არადემოკრატიულ რეჟიმთან მოლაპარაკების დაწყება უხერხული იქნებოდა და გადაწყვიტეს, მისთვის ეს პრობლემაც მოეხსნათ. გერმანიაში იმპერატორის კურთხევით დემოკრატიული რეფორმა გატარდებოდა. ვილჰელმი მთავრობაში რაიხსტაგის წევრებს დანიშნავდა.

ჰერტლინგისათვის ეს გეგმა იმდენად მიუღებელი იყო, რომ იგი პროტესტის ნიშნად გადადგა. მაგრამ ლუდენდორფი ამას არ დაუდარდიანებია – კანცლერის გადადგომა კიდევ ერთი ნიშანი იქნებოდა, რომ გერმანია დემოკრატიზაციის გზას დაადგა. ზუსტად იმავე მოსაზრებით გადადგა თავად ჰინცეც და 27 სექტემბერს ვილჰელმმა საპარლამენტო მთავრობის შექმნის ბრძანებას მოაწერა ხელი. ეს მისთვის დაახლოებით ისეთივე მძიმე დათმობა იყო, როგორც აწ უკვე განსვენებული ნიკისთვის არჩევნებისა და პარლამენტის დაშვება რუსეთში. მაგრამ ვილი უკვე იმდენად იყო დაღლილი, რომ განსხვავებით ნიკისგან, ამ „სამარცხვინო“ ნაბიჯის გადადგმას საერთოდ არ განიცდიდა.

3 ოქტომბერს გერმანიას ახალი მთავრობა და კანცლერი ჰყავდა – მმართველი დინასტიის ნათესავი და არისტოკრატი, მაგრამ ლიბერალური შეხედულებებით განთქმული პრინცი მაქს ფონ ბადენი. მას მაშინვე აუხსნეს, რაც უნდა გაეკეთებინა: სასწრაფოდ მიემართა უილსონისათ-

ვის და ეცნობებინა, რომ გერმანია დაზავებისათვის მზად იყო. და არა უბრალოდ მზად, არამედ მზად – 14 პუნქტის საფუძველზე. პრინც მაქსს ვერ გაეგო, რა აუცილებელი იყო ასეთი სიჩქარე და რატომ არ აყალიბებდა გერმანია სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის თავის მიზნებს. როცა მას კიდევ ერთხელ აუხსნეს, რომ ასე იყო საჭირო, პრინცმა უილსონს შესაბამისი წერილი მისწერა. ამის შემდეგ აპირებდა, 14 პუნქტის გერმანიის ინტერესების შესაბამისად ინტერპრეტაციისათვის რაიხსტაგში სიტყვით გამოსულიყო, მაგრამ კატეგორიულად ურჩიეს, არც ეს ექნა.

გერმანიის მთავრობის გადადგომამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ბოლშევიკებზე იქონია. როგორც უკვე ვთქვით, ისინი მანამდე მორჩილად ასრულებდნენ ბრესტისა და ეკონომიკური შეთანხმების პუნქტებს და ალბათ თავში არ მოსდიოდათ, რომ გერმანია შეიძლებოდა მალე დამარცხებულიყო. ახლა ისინი ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავიდნენ და დაასკვნეს, რომ გერმანიაში რევოლუცია იწყებოდა (ლუდენდორფის მანევრს ვერ მიხვდნენ და, როგორც იტყვიან, რაც ელანდებოდათ, ის დაესიზმრათ). 4 ოქტომბერს მათ მსოფლიოს რეზოლუციით მიმართეს, რომელშიც განაცხადეს, რუსეთი მზადაა გერმანიის რევოლუციურ მთავრობას დაეხმაროსო. ბერლინში უკვე ისედაც ყელში ჰქონდათ ამოსული რუსეთის საელჩოს აგიტაცია და კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ ბოლშევიკთა დამხობაზე. მათ მალე იოფეს პროპაგანდისტული მასალები აღმოუჩინეს და ქვეყნიდან გააძევეს კიდეც (გამგზავრების წინ იოფემ აგენტურას რევოლუციის მოსაწყობად ფული დაუტოვა). ბოლშევიკები კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ უფსკრულის პირას, მაგრამ ამასობაში გერმანიის სახეცვლილი რეჟიმიც უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და ამის წყალობით ისინი კიდევ ერთხელ გადარჩნენ.

რაც შეეხება უილსონს, იგი გერმანელთა მიერ 14 პუნქტის მიღებამ ძალიან ასიამოვნა და ბერლინს საკმაოდ თბილად ურჩია, დაკავებული ტერიტორიები დაეცალათ. ლუდენდორფს ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ ჰქონდა, ოღონდ უნდოდა, საამისოდ ორი-სამი თვე მიეცათ, რათა შეიარაღების გერმანიაში გადატანა მოესწრო.

მაგრამ უილსონისა და ლენინისგან განსხვავებით, „გერმანული რევოლუცია“ პარიზსა და ლონდონში საღად შეაფასეს. კლემანსომ და ლოიდ-ჯორჯმა უილსონს ურჩიეს, გერმანელებთან ფრთხილად ყოფილიყო და მათთან მოლაპარაკებებში სამხედროები ჩაერთო. იმავე დროს, მორალისტი შიდა ოპოზიციამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბერლინისადმი თბილი დამოკიდებულების გამო. ნოემბერში კონგრესის არჩევნები იყო დანიშნული. სენატს უკვე ისედაც რესპუბლიკელები აკონტროლებდნენ და შესაბამისად, დემოკრატებს წარმომადგენელთა პალატაში მაინც უნდა გაემარჯვათ (თუმცა, საბოლოოდ იქაც დამარცხდნენ), რისთვისაც გერმანელთა მიმართ მეტი სიმკაცრე აუცილებელი იყო. ყველაფერი იმან დააგვირგვინა, რომ 12 ოქტომბერს გერმანულმა წყალქვეშა ნავმა

ჩაძირა ინგლისური ხომალდი, რომელზეც ქალები და ბავშვებიც იყვნენ. ყოველივე ამის შემდეგ უილსონისგან გერმანელთა ინიციატივაზე ოფიციალური პასუხი მეტად ცივი იყო: მათ მოლაპარაკებები მოკავშირეთა სარდლობასთან უნდა ეწარმოებინათ (როგორც ამას უილსონს კლემანსო და ლოიდ-ჯორჯი ურჩევდნენ). უილსონი გერმანიისგან კატეგორიულად მოითხოვდა წყალქვეშა ომის სასწრაფო შეწყვეტას.

17 ოქტომბერს ვილჰელმმა თავისი მრჩევლები შეკრიბა. ლუდენდორფი ხვდებოდა, რომ სწრაფი დაზავება აღარ გამოდიოდა, ამიტომ ომის გაგრძელებას ითხოვდა, მათ შორის უილსონის ჯიბრზე – წყალქვეშა ომის გაგრძელებასაც. ვილი მის მხარეს გადაიხარა, მაგრამ აქ უკვე პრინცი მაქსი დაიმუქრა გადადგომით. ამ უკანასკნელის გარეშე „გერმანიის დემოკრატიზაციის“ მითი ვეღარ იარსებებდა და ამიტომაც იმპერატორმა მას დაუთმო. ამასობაში ჩრდილოეთ ფრონტის მეთაურმა რუპრეხტმა მოიწერა, მტრის შეკავება უკვე შეუძლებელიაო. ზავის გარეშე ჯარს კატასტროფა ელოდა. გერმანიის მთავარი მოკავშირის, ავსტრია-უნგრეთისგან თითქმის აღარაფერი იყო დარჩენილი. კარლი ხან უილსონის 14 პუნქტს უერთდებოდა, ხანაც იმპერიას ფედერაციად აცხადებდა, მაგრამ ეს სასაცილოდაც არავის ყოფნიდა. უნგრეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამას მალე ჩეხოსლოვაკიის შექმნა მოჰყვა. შორს აღარ იყო იუგოსლავიის სახელმწიფოს შექმნაც.

20 ოქტომბერს უილსონმა ბერლინიდან თანხმობა მიიღო. ამის შემდეგ გერმანელმა სამხედროებმა გაბრძოლება სცადეს – ფლოტის სარდლობამ ინგლისელებთან შეტაკება ბრძანა. მაგრამ ამის პასუხად ეკიპაჟები აჯანყდნენ და გიჟურ ბრძანებას გიჟური ქმედება აღარ მოჰყოლია. ვილჰელმს თავისი საამაყო ფლოტი ფაქტობრივად აღარ ჰყავდა.

გერმანელთა მთავარი შოკი ჯერ კიდევ წინ იყო. 23 ოქტომბერს უილსონისგან პასუხის პასუხი მოვიდა. თუკი ამერიკას მოლაპარაკებებისას სამხედრო მბრძანებლებთან და მონარქ ავტოკრატებთან მოუწევდა საქმის დაჭერა, მაშინ იგი იძულებული იქნებოდა, მოლაპარაკების ნაცვლად გერმანიის დანებება მოეთხოვა. ამერიკა მხოლოდ გერმანელი ხალხის კონსტიტუციური ძალაუფლებით აღჭურვილ ნამდვილ წარმომადგენლებს დაელაპარაკებოდა.

ლუდენდორფმა ჩათვალა, რომ ამდენს გერმანელები ვეღარ აიტანდნენ და რომ ახლა შანსი ჰქონდა, მოლაპარაკებები ჩაეშალა. მან ჯარს ომის გაგრძელებისკენ მოუწოდა და ფრონტიდან ბერლინისკენ დაიძრა, რათა პრინც მაქსისათვის ძირი გამოეთხარა. თუმცა მისმა მიმართვამ არა მხოლოდ რაიხსტაგსა და ფართო საზოგადოებაში, არამედ სამხედროებშიც კი პროტესტი გამოიწვია. რაიხსტაგში ლუდენდორფის გადადგომა მოითხოვეს და თვით ვილჰელმის წასვლის მოთხოვნებიც კი გაისმა. ამასობაში ავსტრიელთა ჯარი, ისევე როგორც ავსტრიელთა იმპერია, ფაქტობრივად დაიშალა და მათაც დაზავება ითხოვეს. მალე

თურქეთიც დანებდა. 30 ოქტომბერს მან მოკავშირეებთან ზავი გააფორმა და მათ თითქმის მთელი ქვეყანა გადააბარა სრუტეების ჩათვლით. 3 ნოემბერს იგივე გააკეთა ავსტრია-უნგრეთმა, რომელიც აღარ არსებობდა. 31 ოქტომბერს იმპერია უკვე ფორმალურად დატოვეს უნგრელებმაც.

ლუდენდორფს კი ყველაფერი საკუთარი თავისთვის უნდა დაებრალებინა. „გერმანიის დემოკრატიზაციის" იდეა მას დაებადა და რომ არა ეს წამოწყება, უილსონს ალბათ ძნელად მოუვიდოდა თავში ბერლინისგან ის მოეთხოვა, რაც 23 ოქტომბრის წერილში განაცხადა. რომ იტყვიან, მადა ჭამაში მოდის.

26 ოქტომბერს ლუდენდორფმა ვილჰელმს თავისი გადადგომა შესთავაზა. იგივე გააკეთა ჰინდენბურგმაც. ვილჰელმმა ლუდენდორფის თხოვნა უპრობლემოდ დააკმაყოფილა, ჰინდენბურგს კი დარჩენა უბრძანა. ეს უკანასკნელი უპრობლემოდ დამორჩილდა, რაც ლუდენდორფმა ღალატად ჩათვალა. თუმცა სიურპრიზები წინ ჰქონდა: მის გადადგომას სრულიად გერმანიაში ისეთი საყოველთაო ზეიმი მოჰყვა, რომ იძულებული გახდა, შვედეთში ინკოგნიტოდ, პარიკითა და გრიმით გადაპარულიყო. მან ყველაფერი დაკარგა: წააგო ომი, ჩამოაშორეს საყვარელ საქმეს და ასევე დაკარგა თავისი ორი საყვარელი გერი (მას უკვე გათხოვილი ქალი ჰყავდა ცოლად და მისი შვილები საკუთარი შვილებივით უყვარდა). ორივენი იმ ომში დაიღუპნენ, რომლის დამთავრებასაც იგი არაფრით არ თანხმდებოდა.

გერმანია კი უილსონს ყველაფერზე თანხმდებოდა, მაგრამ მისგან პასუხი კიდევ რამდენიმე დღით არ ისმოდა...

დაზავება

26 ოქტომბერს პარიზს პოლკოვნიკი ედუარდ ჰაუზი ესტუმრა. მას ჯარში არასოდეს ემსახურა და პოლკოვნიკი უბრალოდ მისი საპატიო წოდება იყო. თუმცა, როგორც ტეხასელს, იარაღთან ახლოს ბავშვობიდანვე იყო. ჰაუზს ნაზი და დახვეწილი საუბრის მანერის გამო საფრანგეთის ლეგენდარულ კარდინალს, რიშელიეს მემკვიდრეს, მაზარინის ადარებდნენ. ევროპელ ლიდერებს მასთან გაცილებით უფრო უადვილდებოდათ ურთიერთობა, ვიდრე უილსონთან. კლემანსო ამბობდა, რომ უილსონთან საუბარი იესო ქრისტესთან საუბარივით ძნელი იყო, მაშინ როცა ჰაუზთან ყველაზე რთული საკითხების მარტივად განხილვა შეიძლებოდა.

ჰაუზის სტუმრობის მიზანი ერთი შეხედვით მარტივი იყო: მას შემდეგ, რაც გერმანიამ 14 პუნქტით გათვალისწინებული პირობები მიიღო, იგივე უნდა გაეკეთებინათ ფრანგებს, ინგლისელებსა და იტალიელებს. უილსონს სურდა, ეს დაზავებამდე მომხდარიყო. ჰაუზი ხვდებოდა, რომ მის მისიას სერიოზული სირთულეები ელოდა. ჯერ კიდევ სანამ გზაში იყო, ბალფურმა ვაშინგტონს მისწერა, რომ ინგლისი 14 პუნქტს უპირობოდ ვერაფრით დათანხმდებოდა, რადგან ეს მოკავშირეებს სერიოზულად შეუბორკავდა ხელ-ფეხს. არც ფრანგები თანხმდებოდნენ. მაგრამ უილსონს ეს დიდად არ ადარდებდა. მისი აზრით, როგორც კი ევროპელები თავიანთ „ეგოისტურ მიზნებს" დაივიწყებდნენ, პრობლემები მაშინვე გაქრებოდა.

29 ოქტომბერს ჰაუზი კლემანსოს, ლოიდ-ჯორჯსა და იტალიის საგარეო მინისტრ სიდნეი სონინოს შეხვდა. საუბარი მძიმე იყო. ლოიდ-ჯორჯმა ამერიკელს განუცხადა, რომ ინგლისისათვის ზღვაზე პირველობა მისი უსაფრთხოების უმთავრესი გარანტია იყო და ამიტომ იგი ვერაფრით ვერ მიიღებდა იმ პუნქტს, რომელიც ზღვაზე გადაადგილების თავისუფლებას გულისხმობდა. ინგლისს, სულ მცირე, სურდა ომის დროს საზღვაო ბლოკადის უფლება შეენარჩუნებინა. ჰაუზმა პასუხად განაცხადა, რომ, თუკი ისინი 14 პუნქტს არ დაეთანხმებოდნენ, ამერიკა ამის თაობაზე გერმანელებსა და ავსტრიელებს საქმის კურსში ჩააყენებდა და მათთან მოლაპარაკებებს დაიწყებდა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამერიკამ შეიძლება მათთან სეპარატული ზავი გააფორმოსო – იკითხა კლემანსომ. „დიახ", კორექტულად, მაგრამ ცივად უპასუხა ჰაუზმა. ლოიდ-ჯორჯმა უკან მაინც არ დაიხია და მას კლემანსომაც აუბა მხარი. კამათი შეეხო მე-8 პუნქტსაც, რომელშიც ელზას-ლორენის საკითხი ბუნდოვნად იყო ჩამოყალიბებული და კლემანსო მეტ სიცხადეს ითხოვდა. იგივე გაგრძელდა მეორეს დღესაც.

მოკავშირეთა პრინციპულობამ ამერიკელებზე შთაბეჭდილება მოახდინა. 3 ნოემბერს კიდევ ერთი შეხვედრა შედგა, რომელზეც ჰაუზი უფრო შემრიგებლური იყო. მან განაცხადა, რომ უილსონისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1, 2, 3 და 14 პუნქტები (ანუ, მათ შორის – ზღვაზე გადაადგილების თავისუფლებაც), მაგრამ ამავე დროს ისინი აცნობიერებდნენ, რომ საზღვაო ბლოკადის აკრძალვის საკითხი ღიად უნდა დაეტოვებინათ და საერთოდ ზღვაზე თავისუფალი გადაადგილების პუნქტის განხილვა უფრო ლიბერალურად უნდა მომხდარიყო. ამის შემდეგ ჰაუზმა კიდევ ერთხელ ჰკითხა ლოიდ-ჯორჯს, მიიღებდა თუ არა იგი მე-2 პუნქტს და ისევ უარი მიიღო. ჰაუზი იძულებული გახდა, უკან დაეხია და საბოლოოდ 14 პუნქტის მიღება ორი პირობით მოხდა: ინგლისი უფლებას იტოვებდა სამშვიდობო მოლაპარაკებებში მე-2 პუნქტთან დაკავშირებით მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონოდა. გარდა ამისა, მოკავშირეები „მეტ სიცხადეს" ითხოვდნენ მე-7 და მე-8 პუნქტებთან მიმართებით (რომლებიც საფრანგეთისა და ბელგიის ტერიტორიების დაცლასა და აღდგენას ეხებოდა). „სიცხადედ" მიყენებული ზარალის ანაზღაურება (რეპარაციები) იქცა.

მეორე დღესვე გერმანელებს ეცნობა, რომ 14 პუნქტი ზემოხსენებული ორი პირობით მოკავშირეებმაც მიიღეს და რომ ახლა უკვე გერმანელებს შეეძლოთ დაზავების პირობები განეხილათ. ოღონდ ეს ფოშთან უნდა გაეკეთებინათ.

გერმანია კი ამ დროს ქაოსში იძირებოდა. ბავარიამ თავი რესპუბლიკად გამოაცხადა და სეპარატული მოლაპარაკებების წამოწყებაც კი სცადა. მთელ ქვეყანას რევოლუციური ტალღა მოედო. 1 ნოემბერს ვილჰელმმა წინადადება წამოაყენა ჯარი სასწრაფოდ დაებრუნებინათ გერმანიაში და ამბოხებები ჩაეხშოთ. მაგრამ მალე გაირკვა, რომ გენერალთა უმრავლესობა ასეთ ბრძანებას არ შეასრულებდა. ისიც გაირკვა, რომ ვილჰელმის გერმანიაში დარჩენა უხიფათო არ იქნებოდა და ისიც ჰოლანდიაში გადავიდა. თვის ბოლოს იგი ოფიციალურად გადადგა, თუმცა პრინცმა მაქსმა ამის შესახებ უკვე 8 ნოემბერს ამცნო მსოფლიოს. მეორე დღეს იგი თავადაც გადადგა და მთავრობა სოციალ-დემოკრატ ფრიდრიხ ებერტს გადააბარა. გერმანია რესპუბლიკად გამოცხადდა. მისი „დემოკრატიზაცია“ შეუქცევლად გრძელდებოდა.

8 ნოემბერსვე გერმანელთა დელეგაცია მატიას ერცბერგერის მეთაურობით ფერდინანდ ფოშს ესტუმრა. ერცბერგერი კათოლიკე ცენტრისტი იყო და 1917 წლიდან მოყოლებული, ომის წინააღმდეგ ილაშქრებდა. სწორედ ამ უკანასკნელი ფაქტორის გამო შეარჩია იგი პრინცმა მაქსმა. ფოშმა იგი ფრონტის ხაზთან ახლოს, კომპიენის ტყეში, მატარებლის ვაგონში მიიღო. ერცბერგერს 30-დღიანი დაზავება შესთავაზეს (ვადის გასვლის შემდეგ დაზავება უნდა განეახლებინათ და ასე უნდა გაგრძელებულიყო მანამ, სანამ საბოლოო სამშვიდობო შეთანხმება არ გაფორმდებოდა) შემდეგი პირობებით: რაინის მარცხენა სანაპიროს და ასევე შვეიცარიასა და ჰოლანდიას შორის მარჯვენა სანაპიროს ნაწილის დაცლა (იქაურობას მოკავშირეები დაიკავებდნენ და ამგვარად, გერმანიის მთავარ ინდუსტრიულ ზონაზე დაამყარებდნენ კონტროლს); ბრესტის ზავისა და ბუქარესტის ზავის გაუქმება და აღმოსავლეთში 1914 წლის 1 აგვისტოს პოზიციებზე დაბრუნება (თუმცა, მოკავშირეები გერმანიას რუსეთის ომამდელი ტერიტორიების დაცლაზე არ აჩქარებდნენ, რაც, ცხადია, ბოლშევიკების ფაქტორით აიხსნებოდა); აფრიკაში კოლონიების დათმობა, შეიარაღების უდიდესი ნაწილის – თითქმის მთელი არტილერიის, ტყვიამფრქვევების, ავიაციისა და ფლოტის, უკლებლივ ყველა წყალქვეშა ნავის – დათმობა; ორთქლმავლების დიდი ნაწილის დათმობა; აფრიკაში კოლონიების დათმობა. თავად ფოში ამაზე კიდევ უფრო მკაცრ პირობებს აყენებდა, მაგრამ საბოლოოდ ზავის პირობები ინგლისელებმა შეარბილეს. პირობების უმთავრესი მიზანი იყო გერმანია იმდენად დაესუსტებინათ, რომ მას ომის განახლების საშუალება აღარ ჰქონოდა იმ შემთხვევისათვის, თუკი სამშვიდობო შეთანხმების პირობები არ მოეწონებოდა. ყველა ამ პუნქტს ერთიც ემატებოდა: საზღვაო ბლოკადა კვლავაც გაგრძელდებოდა. ზავზე ხელის მოსაწერად გერმანელებს სამი დღე ეძლეოდათ.

პრინც მაქსის გათვლამ არ გაამართლა – ერცბერგერს არანაირი ანგარიში არ გაუწიეს. მან ერთადერთი ის შეღავათი მიიღო, რომ გერმანიას დასავლეთ ფრონტზე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარის გასაყვანად ვადა ოდნავ, ორ კვირამდე გაუგრძელეს. ფოში ასევე დათანხმდა გერმანელთათვის მეტი ტყიამფრქვევის დატოვებას, რათა მათ ბერლინში ბოლშევიკური გადატრიალება აეცილებინათ.

11 ნოემბერს ერცბერგერმა ზავს ხელი მოაწერა. მოგვიანებით (1921 წელს) იგი ამის გამო თანამემამულეებმა მოკლეს. ლუდენდორფის „დემოკრატიზაციამ“ ავტორისათვის ერთი კარგი შედეგი მოიტანა: დამამცირებელ და უმძიმეს ზავზე ხელი მოაწერა არა მან, არა ჰინდენბურგმა ან ვილჰელმმა, არამედ ერცბერგერმა, რომელიც მათგან განსხვავებით ომთან ნაკლებ კავშირში იყო. მათ ნაცვლად ზავზე პასუხისმგებლობა დაეკისრათ სამოქალაქოებსა და პარლამენტარებს, რომელთაც ომის გაჩაღებასთან საერთო თითქმის არაფერი ჰქონდათ და ომის დროს ქვეყნის მართვაში ფაქტობრივად არ მონაწილეობდნენ. სწორედ ამის გამოისობით ლუდენდორფს მალე მიეცა საკუთარი თავისა და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნების წამებულ გმირებად გამოყვანის საშუალება. გმირებს სამოქალაქოებმა (მათ შორის, მარქსისტებმა და ებრაელებმა) „დანა ჩასცეს ზურგში“ და გერმანიას ძალით წააგებინეს ომი. ყველაფერი სამხედროების ხელში რომ ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა. ზავზე ხელმომწერებს „ნოემბრის დამნაშავეების“ სახელი მიეწებათ.

ეს სპეკულაცია და ლეგენდები ალბათ ფეხს ვერ მოიკიდებდა, რომ არა ნოემბრის ზავი და ასევე უმძიმესი სამშვიდობო შეთანხმება, რომელიც გერმანიას ჯერ კიდევ წინ ჰქონდა. ბევრი ოფიცერი ზავის პირობებს არ ემორჩილებოდა. მაგალითად, ჰერმან გერინგმა, პირველ მსოფლიო ომში გერმანელთა ერთ-ერთმა საუკეთესო პილოტმა, მომავალში კი ჰიტლერის ცნობილმა თანამებრძოლმა, თავისი თვითმფრინავების მოკავშირეთათვის გადაცემაზე უარი თქვა და მისმა ოფიცრებმა თვითმფრინავების დიდი ნაწილი საერთოდ გაანადგურეს, რათა მტრისათვის არ გადაეცათ.

გერმანია უკან იხევდა, შიმშილობდა და რევოლუციის ზღვარზე იდგა. ერთ დროს (სულ ოთხი წლის წინ) აყვავებულ, თავდაჯერებულ და ამბიციურ ერს დამცირება, ტერიტორიების დაკარგვა და საშინელი შურისძიება ელოდა. ვილჰელმის გაქცევასთან ერთად დასრულდა ჰოენცოლერნების დინასტია, რომელმაც ერთ დროს პრუსია შექმნა თავისი განუმეორებელი ჯარით და რომელმაც გერმანია გააერთიანა.

ავსტრია-უნგრეთი რუკიდან ქრებოდა. იმპერია, რომელშიც ცხოვრობდნენ გერმანელები, უნგრელები, ჩეხები, სლოვაკები, რუმინელები, პოლონელები, ხორვატები, ბოსნიელები, გაქრა. მისგან დარჩა მხოლოდ

სახელი – ავსტრია – და მცირე ტერიტორია, რომელიც გერმანელებით იყო დასახლებული.

რუსეთში სამოქალაქო ომი მიდიოდა და ამ ომში გამარჯვებისათვის ბოლშევიკები ყველანაირ სისასტიკეზე მიდიოდნენ. რომანოვთა დინასტია აღარ არსებობდა. მართალია, მისი მხარდაჭერები მონარქიის აღდგენის იმედს არ კარგავდნენ, მაგრამ ისინი ვერც ორგანიზებულობითა და ვერც სისასტიკით ბოლშევიკებთან ახლოს ვერ მივიდოდნენ და ამიტომ განწირულები იყვნენ.

თურქეთს კვლავაც ჰყავდა სულთანი, მაგრამ ქვეყანა გამარჯვებულთა კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული და სულთანს დიდი დრო აშკარად აღარ ეწერა. ახალგაზრდა თურქებმა დანებებისთანავე ქვეყანა მიატოვეს და გერმანიაში გადაიხვეწნენ. მათ ლიდერებს – ენვერ ფაშას, ჯემალ ფაშასა და თალაათ ფაშას – სულთნის მთავრობამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და ყველა ცოდვა (ომში ჩაბმა, სომხების ხოცვა) მათ გადააბრალა. ჯემალი მოგვიანებით თბილისში მოკლეს სომეხმა შურისმაძიებლებმა, ასევე მათვე გამოასალმეს სიცოცხლეს ბერლინში თალაათი. ენვერმა კი სამსახური ბოლშევიკებს შესთავაზა, რომლებმაც იგი შუა აზიაში გაამწესეს საომრად, მაგრამ ენვერმა ბოლშევიკებს უგანა და ადგილობრივი ნაციონალისტების მხარეს გადავიდა. საბოლოოდ იგი ბრძოლაში დაიღუპა.

ომის დაწყებიდან ოთხ წელიწადში ოთხი დიდი იმპერია აღარ არსებობდა.

დაღუპულ გერმანელთა რიცხვი (იგულისხმება მხოლოდ ფრონტზე დაღუპულები) 1.7 მილიონი იყო, ავსტრიელებს დაეღუპათ 1.2, თურქებს 325 ათასი, რუსებს 1.7 მილიონი, ფრანგებს 1.3 მილიონი, ბრიტანეთის იმპერიას მილიონამდე, იტალიას 650 ათასი, ამერიკას 126 ათასი. პროცენტულად ყველაზე უარესი მაჩვენებელი ავსტრიელებს ჰქონდათ – მათ გამოყვანილი ცოცხალი ძალის 90% დაკარგეს, რუსებმა 76%, ფრანგებმა 73%, გერმანელებმა 65%. მთლიანობაში გამარჯვებულთა დანაკარგი 52% იყო, დამარცხებულთა კი – 67%. ყველაზე კარგი მაჩვენებელი იაპონიას ჰქონდა, რომელმაც უბრალოდ ჩინეთში გერმანიას წაართვა კოლონიები და რუსეთში ჯარი გადასხა – 300 დაკარგული მეომარი, ანუ 0.2%-იანი დანაკარგი. გასაკვირი აღარ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დაახლოებით 20 წელიწადში მეორე მსოფლიო ომს პირველთან შედარებით ყველაზე მეტად გაძლიერებული სწორედ ეს ქვეყანა შეხვდა.

ბოლშევიკთა ყველაზე ქარიზმატული ლიდერი ტროცკი (1879-1940)

სტალინი (1878-1953), ლენინი, ტროცკი

დენიკინი (1872-1947)



მოკავშირეთა სარდლობა – პეტენი, ჰეიგი (1861-1928), ფოში (1851-1929), პერშინგი (1860-1948)

ნიკოლოზი ოჯახთან ერთად

კლემანსო (1841-1929), ლოიდ-ჯორჯი, ორლანდო (1860-1952)

თავი 8. დაუსრულებელი საქმე

გამარჯვებულები პარიზის კონფერენციაზე

ვენის კონგრესის შემდეგ დაახლოებით ერთი საუკუნე გასულიყო. ეს ერთი საუკუნე ძალიან დიდი დრო გამოდგა, რადგან ახალი სამშვიდობო კონფერენცია სრულიად სხვაგვარად წარიმართა. ვენის კონგრესში აქტიური მონაწილეობა მიიღო დამარცხებულმა საფრანგეთმა, რის შედეგადაც მისი ინტერესები მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულ იქნა. სწორედ ამის წყალობით ევროპამ დიდი ხნით აიცილა დიდი ომი. ვენის კონგრესზე ყველაფერს დიდ სახელმწიფოთა დიპლომატები წყვეტდნენ და ისინი არა მხოლოდ ეროვნული ინტერესების, არამედ ევროპული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და ნაკლებად ადარდებდათ პოპულიზმი, ამომრჩეველთა გულის მოგება, პოლიტიკური სპეკულაციები.

დაახლოებით ასევე წარიმართა პარიზის კონგრესი (ყირიმის ომის შემდეგ) და ბერლინის კონგრესი (რუსულ-თურქული ომის შემდეგ). ამიტომ ევროპელები ელოდნენ, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომი სამშვიდობო კონფერენციაც ასე წარიმართებოდა. 29 ნოემბერს კლემანსომ ამერიკის საგარეო მონისტრ რობერტ ლანსინგს წერილი მისწერა, რომელშიც კონგრესის სქემას სთავაზობდა. ოთხ გამარჯვებულ დიდ სახელმწიფოს (ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) ერთმანეთთან უნდა გადაეწყვიტათ ომის ლიკვიდაციისა და მშვიდობის საკითხები, უპირველესად კი გერმანიის (და ასევე ბულგარეთის) საკითხი. მხოლოდ მოლაპარაკების შემდეგ უნდა გაევლოთ შესაბამისი კონსულტაციები პატარა და ნეიტრალურ ქვეყნებთან. ამ უკანასკნელთათვის შეიძლებოდა სამშვიდობო საკითხების განხილვის დროსაც მიემართათ, ოღონდ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. ამის შემდეგ უნდა განეხილათ ერთა ლიგის საკითხი და ამ დროს უკვე დამარცხებულებსაც მოუხმობდნენ. მშვიდობისა და ერთა ლიგის საკითხების გარკვევის შემდეგ კი შეიძლებოდა განეხილათ ისეთი თემები, როგორიც იყო ერების თვითგამორკვევა.

მაგრამ კლემანსომ ამ წერილზე პასუხი ვერც ვერასოდეს მიიღო. მისი იდეა ხომ ყველაფრის სწრაფად, საქმიანად და ვიწრო წრეში განხილვას ითვალისწინებდა, მაშინ როცა უილსონს გრანდიოზული კონფერენცია სურდა. ეს უნდა ყოფილიყო აქამდე არნახული სამშვიდობო თავყრილობა, რომელიც ახალ, მშვიდობიან მსოფლიოს ჩაუყრიდა საფუძველს,

ამერიკის პრეზიდენტი კი ამ მსოფლიოს მოევლინებოდა როგორც მიუკერძოებელი და სამართლიანი მსაჯული, კაცობრიობის მესაჭე და გზამკვლევი, მისი სულიერი მამა.

ამერიკელთა ნება რომ ყოფილიყო, კონფერენცია ნეიტრალურ ტერიტორიაზე გაიმართებოდა, კონკრეტულად კი ჟენევაში, რითაც დაფიქსირდებოდა, რომ კონფერენცია ყველანაირად მიუკერძოებელი და სამართლიანი იყო. მაგრამ საფრანგეთმა ომში დიდი მსხვერპლი გაიღო და მას ასე იოლად ვერ ეტყოდნენ უარს. ამიტომაც კონფერენციის ადგილად საბოლოოდ პარიზი შეირჩა.

უილსონის ენთუზიაზმს მის გარემოცვაში ბევრი არ იზიარებდა და ურჩევდნენ, კონფერენციაზე არ წასულიყო და ამგვარად ამერიკულ პოლიტიკას დიდი ხნით არ მოსწყვეტოდა. გაცილებით უფრო ეფექტური ევროპელ ლიდერებთან ფარული და საქმიანი მოლაპარაკებები იქნებოდა (რის შემდეგადაც გადაწყვეტილებებს სწრაფად მიიღებდნენ) და არა კონგრესზე სიარული, პოზირება, კამათი და ანგარიშების ჩაბარება საზოგადოებისათვის. თავიანთ მხრივ არც ევროპელ ლიდერებს ეხალისებოდათ კონფერენციაზე მორალისტისგან ლექციების მოსმენა, მაგრამ უილსონს უკვე ყველაფერი გადაეწყვიტა.

მოკლედ, ისტორიაში პირველად ამერიკის პრეზიდენტი ევროპას ესტუმრა. მაგრამ სტუმრობაცაა და სტუმრობაც – უილსონის სახელს არქმევდნენ ქუჩებს, მას ხვდებოდა და უკან დასდევდა აღტაცებული ბრბო, ორკესტრები ამერიკის ჰიმნს უკრავდნენ, ევროპის წამყვანი პოლიტიკოსები მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდნენ. ასეთი დახვედრა უილსონზე გაცილებით უფრო თავმდაბალ ადამიანსაც აუვარდებოდა თავში. „იცით, რატომ ვერ მოახერხა იესო ქრისტემ, რომ მსოფლიოს მისი სწავლებისა ერწმუნა? იმიტომ რომ, იგი მხოლოდ იდეალებზე ქადაგებდა და არ მიგვითითებდა, როგორ უნდა მიგვეღწია ამ იდეალებისათვის. მე გთავაზობთ პრაქტიკულ გზას, რათა ქრისტეს მისწრაფებები განვახორციელოთ“, – ამგვარ რამეებს ეუბნებოდა უილსონი თავის ევროპელ კოლეგებს. დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე, ვენის კონგრესის დასრულებისას, ქრისტეს იდეებიით მსოფლიოს მართვაზე რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე ალაპარაკდა, მაგრამ მას საამისოდ კონკრეტული რეცეპტი არ ჰქონდა. მის იდეებზე დაყრდნობით წმინდა ალიანსი კი იშვა, მაგრამ ეს მეტერნიხის პროექტი იყო და იგი ემსახურებოდა არა იმდენად ალექსანდრეს უნივერსალურ იდეებს, არამედ ავსტრიის იმპერიის ინტერესებს. ახლა ამერიკელი ალაპარაკდა ქრისტეს იდეალების განხორციელებაზე, მაგრამ რუსისგან განსხვავებით მას თავისი რეცეპტი მზად ჰქონდა ერთა ლიგის სახით.

უილსონი ევროპელებისგან დიდ პრობლემებს არ ელოდა და ეს არც არის გასაკვირი – იგი მთელი მსოფლიოსათვის მორალური ავტორიტეტი იყო, მისი ქვეყანა კი – მსოფლიოში უძლიერესი. ამაზე უფრო

გასაკვირი ის გახლავთ, რომ პრეზიდენტი პრობლემებს არც ამერიკაში ელოდა. და ეს იმის მიუხედავად, რომ კონგრესში რესპუბლიკელებს ჰქონდათ უმრავლესობა. ეს უკანასკნელები კი მორალისტმა ძალიან გადაიმტერა, როცა ნოემბრის არჩევნების წინ მთელ ქვეყანას მოუწოდა, მხარი დემოკრატებისათვის დაეჭირათ, რადგანაც რესპუბლიკელთა გამარჯვებით გერმანია ისარგებლებდა. გამომდინარე იქიდან, რომ უილსონს კონგრესის მხარდაჭერა სჭირდებოდა, მას წესით ყველაფერი უნდას ეღონა რესპუბლიკელებთან ურთიერთობების დასალაგებლად, მაგრამ იგი პირიქით მოიქცა – ოპოზიციას ყველანაირად აიგნორებდა და პარიზში არც ერთი რესპუბლიკელი არ იახლა თან. 14 პუნქტისეული ჰუმანურობა მთელ მსოფლიოზე ვრცელდებოდა ოღონდ – არა უილსონის პოლიტიკურ ოპოზიციაზე.

14 პუნქტს რომ მძიმე გამოცდა ელოდა, უკვე 12 იანვარს ეს ცხადი გახდა, როცა პირველად შეიკრიბა ათეული (გამარჯვებული დიდი სახელმწიფოების – ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის – ლიდერები და საგარეო მინისტრები). საუბრის დაწყებისთანავე თავი იჩინა ორმა საკითხმა: რა ენაზე უნდა ესაუბრათ და უნდა ყოფილიყო თუ არა ეს საუბარი ღია. პირველი პუნქტი ხომ ღია და საჯარო მოლაპარაკებებს ქადაგებდა და პარიზში მყოფი ჟურნალისტების არმიიდან ბევრი იმედოვნებდა, რომ მათ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებზე დასწრების ნებას დართავდნენ. ცხადია, ამას არავინ აპირებდა და როცა ჟურნალისტებს აუხსნეს, რომ მათ უბრალოდ შიგადაშიგ ანგარიშს ჩააბარებდნენ, პირველი იმედგაცრუებაც გაჩნდა.

გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა პირველ საკითხზე შეთანხმება – რა ენაზე უნდა წარმართულიყო კონფერენცია. იქამდე თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში (ვესტფალიის ზავიდან მოყოლებული) დიპლომატიის ენა ფრანგული იყო და აქედან გამომდინარე, კლემანსომ მოითხოვა, ტრადიცია არ დაერღვიათ და ისევ ფრანგულად ესაუბრათ. ინგლისელებმა ამის პასუხად დელიკატურად აღნიშნეს, რომ რეალურად მსოფლიოს პირველ ენას უკვე ინგლისური წარმოადგენდა. აქ მოულოდნელად თავი წამოყვეს იტალიელებმაც, რომლებმაც დამსწრეებს ომში მათ მიერ „გაღებული მსხვერპლი“ შეახსენეს და უთანასწორო მოპყრობაზე დაიწყეს წუწუნი. ამაზე ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ მაშინ წესით იაპონურიც უნდა გამოეცხადებინათ კონფერენციის ენად. საბოლოოდ გადაწყვიტეს, ღონისძიება ფრანგულად და ინგლისურად წარმართულიყო, თუმცა იგი მაინც ძირითადად ინგლისურად მიდიოდა. უბრალო წარმოშობის ლოიდ-ჯორჯმა ფრანგული არ იცოდა, კლემანსო კი ინგლისურად თავისუფლად საუბრობდა და ზოგჯერ იტალიის პრემიერ-მინისტრ ვიტორიო ორლანდოსაც უთარგმნიდა ხოლმე (ცხადია, ზოგჯერ თარჯიმანსაც იშველიებდნენ). ასე დაიწყო მსოფლიოში ინგლისური ენის ეპოქა.

რაც შეეხება შეხვედრების ფორმატს, უილსონს სურდა, შეხვედრებში ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მიეღოთ მონაწილეობა, რაზეც, ცხადია, ევროპელები არ დაეთანხმნენ. ბოლოს კომპრომისი გამოიძებნა – ხუთეული ცალკე შეხვედრებს გამართავდა, მაგრამ ამავე დროს შედგებოდა პლენარული სხდომებიც, რომელთაც ყველა დაესწრებოდა. ანუ, რეალურად ყველაფერს ისევ გამარჯვებული დიდი სახელმწიფოები წყვეტდნენ, სხვებს კი მაშინ უხმობდნენ ხოლმე, როცა ამ უკანასკნელთა საკითხი განიხილებოდა. განხილვები საკმაოდ ნელა მიდიოდა, რადგან კონფერენციის წინ კონსულტაციები თითქმის არ გამართულა. უილსონს ამისთვის თავი არ შეუწუხებია, ინგლისში კი იმ დროს არჩევნები იყო. ფრანგებიც ამასობაში დროს არ კარგავდნენ და რაინზე მკვიდრდებოდნენ. ასე მივიდნენ ისინი კონფერენციამდე, რომელზეც ყველაფერს ძირითადად ისევ ხუთეული წყვეტდა, უფრო სწორად – ოთხეული, რადგან იაპონიას ევროპული საქმეები დიდად არ აინტერესებდა. ოთხეულის ფონზე იტალია ერთობ სუსტი იყო და შესაბამისად, მსოფლიოს ბედს საბოლოოდ სამი დიდი სახელმწიფო წყვეტდა – ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი.

რახან ომი უკვე დასრულებული იყო, მოკავშირეებს შორის ის ძველი ნდობა აღარ არსებობდა. ინგლისელებს ეშინოდათ, მათი დელეგაციიდან ინფორმაცია არ გასულიყო და ამიტომ ფრანგ მომსახურე პერსონალზე უარი თქვეს და მზარეულებიც კი ინგლისიდან წაიყვანეს (რამაც ინგლისელი დიპლომატები დიდად არ გაახარა). მოკავშირეთა შორის წინააღმდეგობები უკვე იკვეთებოდა – ფრანგები გერმანიის მაქსიმალურ დასუსტებას მოითხოვდნენ, ინგლისელები და ამერიკელები კი ამას ეწინააღმდეგებოდნენ. თუმცა, როგორც გაირკვა, ეს არ უნდა ყოფილიყო ერთადერთი წინააღმდეგობა.

ფრანგების დაჟინებით კონფერენცია ფორმალურად 1919 წლის 18 იანვარს გაიხსნა ვერსალის სასახლეში. ეს იმიტომ, რომ ზუსტად 48 წლის (1871 წელს) წინ სწორედ აქ მსოფლიოს გერმანიის იმპერიის დაარსების შესახებ ეუწყა. „უსამართლობის წყალობით იშვა... ...და სამარცხვინოდ დაასრულა არსებობა“ – ასე მოიხსენია გერმანია თავის მისასალმებელ სიტყვაში პუანკარემ.

რუსეთის საკითხი

გერმანიის წარმომადგენლებს კონფერენციაზე დასწრების უფლებას არ აძლევდნენ. კონფერენციაზე არ გახლდათ არც რუსეთი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქ სამოქალაქო ომი მიდიოდა და გაურკვეველი იყო, ქვეყანა ვის უნდა წარმოედგინა. პარიზს ეწვია საზონოვი, რომელიც თეთრების სახელით გამოდიოდა, მაგრამ მას ყველა სკეპტიკურად უყურებდა.

ლოიდ-ჯორჯს მიაჩნდა, რომ თეთრებისადმი მხარდაჭერით მოკავშირეები იმავე შეცდომას დაუშვებდნენ, რაც ევროპამ – ოდესღაც საფრანგეთის რევოლუციის მიმართ, და ამიტომაც ბოლშევიკებთან მოლაპარაკება იყო საჭირო. მაგრამ კლემანსო, პარიზის კომუნიდან მოყოლებული, რევოლუციებს ვერ იტანდა და ბოლშევიკების მოწვევის შემთხვევაში გადადგომით დაიმუქრა. უილსონი, როგორც უკვე ვთქვით, ბოლშევიკურ რევოლუციას საგრძნობი სიმპათიით უყურებდა და არც რუსეთის იმპერიის მიმართ იყო მტრულად განწყობილი. მასთან მიმართებით ერების თვითგამორკვევა ნაკლებად ახსენდებოდა – ერთადერთი პოლონეთის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს, სხვა, ყოფილი რუსული კოლონიების დამოუკიდებლობას მეტად სკეპტიკურად უყურებდა, მათ შორის, არც უკრაინას სწყალობდა (შეიძლება უბრალოდ იმიტომ, რომ მისი რესპუბლიკელი ოპონენტი უკრაინის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს).

რუსეთის მიმართ ყველაზე რადიკალურად ფოში იყო განწყობილი, რომელიც სასწრაფო ინტერვენციასა და ბოლშევიკთა დამხობას ითხოვდა. მას ეთანხმებოდა დაუღალავი და მოუსვენარი ჩერჩილიც. მისი ოცნება იყო, გამარჯვებულებს დროულად ჩაერთოთ საქმეში გერმანია და ამ უკანასკნელის მეშვეობით გაენადგურებინათ ბოლშევიზმი, რითაც ორ კურდღელს დაიჭერდნენ – გერმანიასაც და რუსეთსაც ევროპულ ოჯახში დააბრუნებდნენ. ამგვარ რამეზე, ცხადია, არავინ წავიდოდა და ამიტომაც მოკავშირეებს ყველაფერი საკუთარი ძალებით ან აღმოსავლეთ ევროპელთა დახმარებით (როგორც ამას ფოში ითხოვდა) უნდა გაეკეთებინათ. მოკავშირეებს, ცხადია, რუსეთი ბოლომდე როდი მიაგდეს: თეთრი არმია ფრანგებისა და ინგლისელების დახმარებას იღებდა, კავკასიაში ინგლისელების შენაერთი იდგა, ფრანგები კი ბერძნებსა და პოლონელებთან ერთად ოდესაში გადასხდნენ. მაგრამ ამას სერიოზული შედეგი არ მოჰქონდა – დახმარების დიდი ნაწილი იფლანგებოდა, ოდესაში გადამსხდარებს კი ბოლშევიკური პროპაგანდა ურევდა გონებას და მათი დახმარებით რაიმეს მიღწევა გამორიცხული იყო. ჩერჩილი ხვდებოდა, რომ ამ სანახევრო ინტერვენციას კარგი არაფერი მოჰქონდა და ითხოვდა, ან ჯარი საერთოდ გაეყვანათ, ან საქმეში დამატებითი ძალები ჩაერთოთ და ყველაფერი დაესრულებინათ. ლოიდ-ჯორჯი ყოყმანობდა: დამატებითი ჯარის შეყვანით მემარცხენეებს გაანაწყენებდა, ჯარის გამოყვანით კი – მემარჯვენეებს. ამიტომაც ხელს უილსონისკენ იშვერდა და ჩერჩილს უხსნიდა, ინტერვენციისა და ბოლშევიკების დამხობისათვის საჭირო ფული მხოლოდ ამერიკელებს აქვთო. სასოწარკვეთილმა ჩერჩილმა შეუძლებელი სცადა, პარიზში მორალისტის სანახავად ჩავიდა და ინტერვენციის აუცილებლობაზე ესაუბრა, მაგრამ, ცხადია, ამაოდ. უილსონი სწორედ მაშინ (14 თებერვალი) ამერიკაში ბრუნდებოდა და რუსეთისათვის არ ეცალა. რამდენიმე დღეში (19 თებერვალს) პარიზში უილსონის გარეშე აპირებდნენ რუსეთის საკითხის განხილვას, მაგრამ

სწორედ იმ დღეს კლემანსოს ვიღაც შეშლილმა ესროლა...

ნახევრად ინტერვენცია კი მართლაც უშედეგო იყო – ერთი ისაა, რომ ბოლშევიკებს „კაპიტალისტური და იმპერიალისტური სახელმწიფოების“ წინააღმდეგ პროპაგანდისთვის მშვენიერ მიზეზს აძლევდა. პროპაგანდა ბოლოს იქამდეც მივიდა, რომ შავ ზღვაში ფრანგების ფლოტილიამ ამბოხი მოაწყო. ოთხწლიანი საშინელი ომის შემდეგ რუსეთში გაურკვეველი მიზნებისათვის სისხლისღვრა არავის უნდოდა. მოკლედ, ბოლშევიკები კიდევ ერთხელ გადარჩნენ, მით უმეტეს, უილსონის გარდა სრულფასოვან ინტერვენციას ეწინააღმდეგებოდა ლოიდ-ჯორჯიც, რომელიც ეჭვობდა, რომ ფრანგების აგრესია ბოლშევიკების მიმართ ერთადერთი მიზეზით იყო გამოწვეული – ბოლშევიკები რუსეთის იმპერიის საგარეო ვალების გასტუმრებაზე ამბობდნენ უარს, მათი ყველაზე მსხვილი მევალე კი სწორედ საფრანგეთი იყო. ლენინი ნამდვილად არ ყოფილა მტყუანი, როცა „კაპიტალისტურ სახელმწიფოებს“ შორის შეურიგებელ ინტერესებზე საუბრობდა.

ამასობაში თავად ბოლშევიკებისგან საკმაოდ წინააღმდეგობრივი სიგნალები მოდიოდა. 1918 წლის ოქტომბერში უილსონმა ჩიჩერინისგან მეტად დამცინავი წერილი მიიღო. არისტოკრატული წარმოშობის, მაგრამ ბოლშევიკთა მხარდამჭერი დიპლომატი ამერიკის პრეზიდენტს მის მიერვე 14 პუნქტის დარღვევის ფაქტებზე მიუთითებდა: 14 პუნქტი რუსეთის საქმეებში ჩაურევლობას ქადაგებდა, მაგრამ ამავე დროს ციმბირში სხვა ქვეყნის ძალები შეიჭრნენ; ერების თვითგამორკვევის პრინციპი რატომღაც არ ხორციელდებოდა, მაშინ როცა ეს ამერიკას არ აწყობდა – მაგალითად, ირლანდიისა და ფილიპინების შემთხვევაში... მაგრამ დეკემბრის ბოლოს შემრიგებლური და მეგობრული წერილი მოვიდა ჩიჩერინის მოადგილე, მაქსიმ ლიტვინოვისგან. ეს უკანასკნელი უილსონს არწმუნებდა, რომ რუს ხალხს მშვიდობა სურდა და რომ იგი 14 პუნქტს იზიარებდა. ბუნებრივია, მორალისტი ამან ძალიან აამა და მან ლიტვინოვთან თავისი დიპლომატები გაგზავნა.

16 იანვარს ლოიდ-ჯორჯმა რუსეთის საკითხის გადაჭრა მოითხოვა და კოლეგებს სამი ვარიანტი შესთავაზა. ან ბოლშევიკთა დამხობა, ან მათი იზოლაცია, ანაც მათი კონფერენციაზე მოწვევა რუსეთის სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად. თავად მაშინვე მესამე ვარიანტს დაუჭირა მხარი. 21 იანვარს უილსონის მიერ ლიტვინოვთან მივლენილი დიპლომატები პარიზში ჩავიდნენ და პრეზიდენტს აცნობეს, საქმე არც ისე ცუდადაა, ბოლშევიკების პროპაგანდის უკან მხოლოდ გერმანიისგან თავდაცვის მცდელობა დგასო. ამან უილსონი კიდევ უფრო მეტად შეაგულიანა. მან და ლოიდ-ჯორჯმა გადაწყვიტეს, ბოლშევიკებისა და სხვა წამყვანი პოლიტიკური ძალებისათვის მიწვევა გაეგზავნათ. უილსონმა მიწვევის წერილი თავად დაბეჭდა, რუსებს მარმარილოს ზღვაში ეპატიჟებოდნენ (ზედ სრუტეებთან), ოღონდ საამისოდ მათგან სამოქალაქო ომში

დროებით დაზავებას თხოვდნენ. საზონოვი და პარიზში მყოფი რუსული ემიგრაცია ბოლშევიკების მოწვევამ შოკში ჩააგდო. 4 თებერვალს კი ამ უკანასკნელთაგან პასუხი მოვიდა. ისინი ზრდილობიანად ამბობდნენ უარს ცეცხლის შეწყვეტაზე და იმავდროულად გამარჯვებულ დიდ სახელმწიფოებს ეკონომიკურ კონცესიებსა და ტერიტორიებსაც კი სთავაზობდნენ. ჩანს, ლენინსა და მის გუნდს მართლაც გულწრფელად სჯეროდა, რომ ყველა „კაპიტალისტური ქვეყანა" ერთნაირი იყო და როგორც გერმანიის მოსყიდვა მოხერხდა, ისევე შეიძლებოდა ამერიკის მოსყიდვა. ისევ და ისევ, ბოლშევიკები ყველაფერზე მიდიოდნენ, ოღონდაც ძალაუფლება შეენარჩუნებინათ.

უილსონი პასუხმა გამოაფხიზლა, მაგრამ მხოლოდ დროებით. 17 თებერვალს ბოლშევიკებთან ახალი მისია გაიგზავნა უილიამ ბულიტის ხელმძღვანელობით, რომელიც მოგვიანებით საბჭოთა კავშირში ამერიკის ელჩადაც დაინიშნა. ბულიტი ერთ-ერთ იყო იმ მცირეთაგან, ვისაც მალე აეხილა თვალები ბოლშევიკურ რუსეთზე, მაგრამ 1919 წელს მისთვისაც ძალიან ადრე იყო. ლენინმა იგი მოხიბლა და დააჯერა, რომ გულის სიღრმეში იგი მაინც ნამდვილად ლიბერალი იყო. ლენინს მრავალი ნიჭი გააჩნდა და აქედან ერთ-ერთი „სასარგებლო იდიოტების" (როგორც თავად უწოდებდა) მოხიბვლა იყო. სასარგებლო იდიოტების სია მაშინ ჯერ კიდევ მოკლე იყო. იგი მოგვიანებით გაიზარდა და მასში შევიდნენ ცნობილი მხატვრები, მწერლები და, სამწუხაროდ, სახელმწიფო მოხელეებიცა და პოლიტიკოსებიც. ესენი, როგორც წესი, იყვნენ ადამიანები, რომლებიც დასავლეთისათვის უკეთეს მომავალს ნატრობდნენ და ამ მომავალს სწორედ რომ რევოლუციურ რუსეთში ხედავდნენ. ბულიტი აღტაცებული დაბრუნდა პარიზში დარწმუნებული არა მხოლოდ იმაში, რომ ბოლშევიკები ცეცხლს შეწყვეტდნენ და ოპონენტებს არ გაანადგურებდნენ, არამედ იმაშიც, რომ ლენინისა და მისი გუნდის ხელში რუსეთს დიდი მომავალი ელოდა.

ბულიტის ნაამბობმა არც ისე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან მისი დაბრუნებისას გამარჯვებულები უკვე გერმანიის საკითხზე იყვნენ გადართულნი. გარდა ამისა, სწორედ მაშინ მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება უნგრეთში, რამაც, ცხადია, ყველა დააფრთხო. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ბოლშევიკები, როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, ცეცხლის შეწყვეტაზე მაინც უარს ამბობდნენ, მაშინაც კი, როცა გამარჯვებულებმა მათ ამის სანაცვლოდ ჰუმანიტარული დახმარება შესთავაზეს. მაისში კი საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ბოლშევიკები ომს აგებდნენ. დენიკინი მათ სამხრეთიდან უტევდა, აღმოსავლეთიდან კი ავიწროებდა ადმირალი ალექსანდრ კოლჩაკი. მაგრამ ბოლშევიკები რუსეთის ცენტრალურ ნაწილს აკონტროლებდნენ, მათ ხელში იყო იარაღის ქარხნები და, რაც მთავარია, ისინი ერთიანები იყვნენ. კოლჩაკს სახმელეთო ოპერაციების გამოცდილება არ ჰქონდა, შეთქმულების

თეორიების მოყვარული იყო და რეალობას არც ისე საღად აფასებდა. დენიკინი კი, როგორც სამხედრო, ბრწყინვალედ ირჯებოდა, მაგრამ, როგორც პოლიტიკოსი ერთ დიდ შეცდომას უშვებდა: იგი ბოლშევიკებთან ომზე არანაკლებ ყურადღებას რუსეთის იმპერიის შენარჩუნებისათვის ბრძოლას უთმობდა. ერთი პერიოდი საქართველოსთანაც იომა და ასევე ომობდა უკრაინასთანაც. შედეგად, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში მას ზურგში ტროცკისთან გარიგებულმა უკრაინელმა ანარქისტებმა დაარტყეს.

მოყოლებული იქიდან, დენიკინის საქმეები უკან-უკან წავიდა და შემოდგომის ბოლოს ისიც და კოლჩაკიც დამარცხდნენ. კოლჩაკი ჩეხოსლოვაკებმა გადასცეს ბოლშევიკებს და 1920 წლის თებერვალში იგი დახვრიტეს. დენიკინმა 1920 წლის აპრილში რუსეთი მიატოვა და ამის შემდეგ სამოქალაქო ომი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. კოლჩაკის გადაცემის სანაცვლოდ ჩეხოსლოვაკებმა რუსეთიდან გასვლის საშუალება მიიღეს და 1920 წლის შემოდგომისათვის როგორც იქნა იქაურობა დატოვეს (მათ შორის, ჰაშეკმაც). მალე არაფრისმომცემი ინტერვენციაც საბოლოოდ დასრულდა. ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. მართალია, პარიზის კონფერენციამ მათ გარეშე ჩაიარა, მაგრამ ეს მათთვის არც ისე დიდი დანაკლისი ყოფილა. ხელისუფლებისათვის ბრძოლის პირველი და უმძიმესი რაუნდი მათ მოიგეს. მართალია, პარიზის კონფერენციაზე საბოლოოდ რუსეთის იზოლირება გადაწყვიტეს და მის გარშემო ახალგაჩენილი, პატარა სახელმწიფოებისგან ე.წ. სანიტარული კორდონი შექმნეს, მაგრამ როგორც გაირკვა, ესეც დროებითი მოვლენა იყო.

მთავარი საკითხები

რუსეთის საკითხი შედარებით იოლი გადასაჭრელი იყო, რადგან მას, უბრალოდ, ვერაფერს უხერხებდნენ. გაცილებით რთული იყო გერმანია. ამ უკანასკნელის დასჯას ითხოვდა საზოგადოებრივი აზრი ინგლისში, ამერიკასა და საფრანგეთში. მისი დასუსტება უნდოდა საფრანგეთს, მის ტერიტორიებს ითხოვდნენ არა მხოლოდ ფრანგები, არამედ პოლონელებიც... მაგრამ რამდენად უნდა დაესუსტებინათ გერმანია? როგორ უნდა ექნათ ისე, რომ მას შურისძიების სურვილი არ გასჩენოდა? ეს ალბათ შეუძლებელი იქნებოდა, რადგან გერმანია ყველა შემთხვევაში მკაცრად უნდა დასჯილიყო. თუ ასეა, მაშინ გერმანიისათვის შურისძიების საშუალება უნდა მოესპოთ, მაგრამ არც ამის განხორციელება იყო იოლი. გერმანიას ვეღარ დაშლიდნენ და მე-18 საუკუნის მდგომარეობაში ვეღარ დააბრუნებდნენ. ეთიკურ მოსაზრებებსა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპის დარღვევას რომ თავი დავანებოთ, ეს ბალანსის სერიოზულად მოშლას ნიშნავდა, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ავსტრია-უნგრეთი

რუკიდან გაქრა, ბოლშევიკური რუსეთის შესაკავებლად კი ევროპაში ბარიერი იყო საჭირო. გარდა ამისა, გერმანიისგან რეპარაციების მიღება სურდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ გერმანია მეტ-ნაკლებად ძლიერი უნდა ყოფილიყო, რათა საკმაოდ დიდი თანხის გადახდის უნარი ჰქონოდა. მაგრამ, თუკი ამის უნარი შერჩებოდა, მაშინ ალბათ ოდესღაც რევანშის საშუალებაც გაუჩნდებოდა...

კლემანსოს სურდა, უპირველეს ყოვლისა სწორედ გერმანიის საკითხი განეხილათ, მაგრამ იანვარშივე პარალელურად დადგა რუსეთის და ასევე, მანდატების საკითხები, საბოლოოდ კი ყველაფერი ერთა ლიგამ გადაფარა. მანდატები საკმაოდ მწვავე თემა გამოდგა. როგორც ცნობილია, გერმანიას ყველა კოლონია წაართვეს. გარდა ამისა, თურქეთის იმპერიაც რეალურად დაშლილი იყო და ამ ნადავლზე პრეტენზია ბევრს ჰქონდა. ლოიდ-ჯორჯს უნდოდა, გერმანული კოლონიების დიდი ნაწილი თავისი დომინიონებისათვის დაეთმო. მაგრამ ამერიკელები დამარცხებულთა კოლონიების ანექსიის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ. მათი აზრით, საჭირო იყო ყოფილი კოლონიების მანდატების პრინციპის განაწილება და, საერთოდ, ამ უკანასკნელთა საკითხის ერთა ლიგის ფარგლებში გადაჭრა. ლანსინგმა მართებულად შენიშნა, რომ ანექსია დაუშვებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ გერმანელებს კოლონიების საფასური რეპარაციებში არ გამოექვითათ. ინგლისელები ამას ნაწილობრივ დაეთანხმნენ, ოღონდ აღნიშნეს, რომ ასე თუ ისე კოლონიების გადანაწილება აუცილებელი იყო და ჯობდა ჯერ ყველაფერი გაეყოთ (თუნდაც მანდატების სახით).

ერთ-ერთ პრობლემად მანდატებით გადანაწილებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი ჯარის წვრთნა იქცა. ამერიკელები და ინგლისელები აცხადებდნენ, რომ ეს მხოლოდ ტერიტორიის დაცვის მიზნით იყო დასაშვები. კლემანსომ მათ შეახსენა, რომ ომში დიდი წვლილი შეიტანეს ფრანგული კოლონიების ჯარებმა. მას დაეთანხმნენ – ჯარის გაწვრთნა დასაშვები ხდებოდა, ოღონდ არა თავდასხმითი მიზნებისათვის. კლემანსოს ეს ფორმულირებაც არ მოსწონდა და მოგვიანებით (უკვე მაისში) სამუშაო დოკუმენტში შეაპარა ფრაზა „მშობელი ქვეყნის დაცვა“, მაგრამ მისი ეშმაკობა შეამჩნიეს და ფრაზა ამოშალეს. მაინც საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ უკვე თებერვლის დასაწყისში გაყოფა შედგებოდა, მაგრამ ამ დროისთვის თავი წამოყვეს ავსტრალიელებმა, რომელთაც არ მოეწონათ ლოიდ-ჯორჯის მიერ შემოთავაზებული მანდატების სამი სისტემა (მათგან მხოლოდ ერთი ითვალისწინებდა მომანდატის მიერ ყოფილი კოლონიის პირდაპირ მართვას). უკმაყოფილო ავსტრალიელებმა ინგლისურ პრესაში გაავრცელეს მოლაპარაკებათა დეტალები და პრემიერ-მინისტრს „ბრიტანეთის იმპერიის ინტერესთა ღალატი“ დააბრალეს. ამაზე უილსონი განრისხდა და განაცხადა, რომ ყველანაირი მანდატების განხილვა უნდა გადადებულიყო, სანამ კონფერენცია ერთა ლიგის საკითხზე

მუშაობას არ დაასრულებდა. აქვე აღსანიშნავია, რომ არავის მოსვლია თავში ყოფილი კოლონიების ადგილობრივ მოსახლეობათა აზრი გაეგო (რასაც უილსონის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა).

კონფერენციაც მე-14 პუნქტზე გადაერთო. უკვე 25 იანვარს ერთა ლიგაზე სამუშაოდ სპეციალური კომისია შეიქმნა უილსონის თავმჯდომარეობით და გამარჯვებული დიდი ხუთეულის წარმომადგენლებით. როცა ეს ამბავი სხვებმა გააპროტესტეს, რამდენიმე ადგილი ბელგიასა და პორტუგალიასაც მისცეს (ბელგიამ იომა და მსხვერპლად იქცა; მართალია, მეტად მცირე მასშტაბით, მაგრამ პორტუგალიელებმაც იომეს). ლოიდ-ჯორჯი და კლემანსო კომისიაში არ შევიდნენ. კლემანსო კვლავაც იმ აზრზე იდგა, რომ ჯერ გერმანიის საკითხი უნდა განეხილათ, მაგრამ არ უნდოდა, მისთვის ერთა ლიგის საკითხის საბოტაჟი დაებრალებინათ. მომწონს ლიგა, თუმცა მისი არ მჯერაო, აღნიშნავდა იგი.

და მაინც, ლიგა მთავარ საკითხად იქცა და კლემანსო ცდილობდა, თუნდაც მისგან საფრანგეთისათვის მაქსიმალური გამოეწურა. ამიტომაც საფრანგეთის წარმომადგენლები კომისიაში ითხოვდნენ, ლიგას ჰყოლოდა საკუთარი შეიარაღებული ძალები, რომელიც აგრესორს დასჯიდა. ამერიკელებიცა და ინგლისელებიც იმ იდეით აღტაცებულნი არ იყვნენ. ორივენი კარგად ხვდებოდნენ, რომ საფრანგეთს უბრალოდ ლიგის გერმანიის წინააღმდეგ გამოყენება უნდოდა. გარდა ამისა, ამერიკის კონგრესი არაფრით დათმობდა პრეროგატივას, გადაეწყვიტა სად გაეშვა ჯარი. ინგლისს კი ეშინოდა, რომ ისეთ კონფლიქტებში მოუწევდა ჩაბმა, რომლებშიც არავითარი ინტერესი არ გააჩნდა. არც დომინიონები იყვნენ აღტაცებულნი. მაგალითად, კანადელებმა ომის წყალობით თავიანთ საგარეო პოლიტიკაზე კონტროლის დამყარება შეძლეს და მისი ლიგისთვის გადაცემა არ უნდოდათ. თავი იჩინა იმ პრობლემამ, რომ ერთა ლიგის დეტალებზე კონფერენციის დაწყებამდე არამცთუ კონსულტაციები არ გამართულა, არამედ უილსონს ამაზე უბრალო საუბრითაც არ შეუწუხებია თავი.

კლემანსოს პასუხად ინგლისელები საერთაშორისო სამართალსა და ტრიბუნალზე აკეთებდნენ აქცენტს. ისმოდა განიარაღების იდეაც. ამაზე ფრანგებმა განაცხადეს, რომ განიარაღება ინსპექციის ქვეშ უნდა მომხდარიყო და რომ, ისევ და ისევ, აგრესიის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ჩარევა და წესრიგის აღდგენა. ან, სულ მცირე – დავებზე არბიტრაჟი. ამერიკელები და ინგლისელები არც ამაზე იჩენდნენ დიდ ენთუზიაზმს. პარადოქსია, მაგრამ ძლიერ ლიგას ფრანგები ითხოვდნენ და არა ლიგის ავტორები... უკვე თებერვალში სიტუაცია ძალიან დაიძაბა. უილსონი ამ დროს ამერიკაში გამგზავრებას აპირებდა და ხმები დაირხა, არა მხოლოდ წასვლა, არამედ კონფერენციის სხვაგან ჩატარება სურსო. თებერვალში ერთა ლიგის შეიარაღებული ძალების იდეა საბოლოოდ დაიბლოკა (ერთი თვის შემდეგ ასევე ფრანგები ერთა

ლიგის გენერალური შტაბის იდეის შექმნით გამოვიდნენ, მაგრამ უილსონმა ესეც დაბლოკა).

სამაგიეროდ, უილსონის წასვლისათვის მოხაზული იყო ერთა ლიგის სტრუქტურა: გენერალური ასამბლეა (სადაც ყველა წევრი იქნებოდა წარმოდგენილი), მუდმივი სამდივნო, აღმასრულებელი საბჭო, რომელშიც გადამწყვეტი უმრავლესობა გამარჯვებულ ხუთეულს ექნებოდა... გაეროსთან ანალოგია თვალში საცემია. ამ იდეების ძირითადი ავტორი გახლდათ იან სმატსი – სამხრეთ აფრიკის საგარეო მინისტრი – რომელიც თავის დროზე ბურების ომში ინგლისელებს ებრძოდა. ლიგის შეიარაღებულ ძალებზე, სავალდებულო არბიტრაჟსა და განიარაღებაზე საუბარი არ იყო, უბრალოდ, წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ, პატივი ეცათ სხვისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის. გერმანიას ფრანგების დაჟინებით ლიგაში არ იღებდნენ. მონახაზი ასევე შეეხო საერთაშორისო შრომის ორგანიზაციისა და საერთაშორისო სასამართლოს დაარსებას და წითელი ჯვრის გაძლიერება-გავრცელებას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მალევე შეიქმნა კიდეც, 1919 წელსვე მისი პირველი კონფერენციაც გამართა (მასში გერმანელებიც მიიღეს) და ის ერთა ლიგაზე გაცილებით წარმატებული გამოდგა (დღესაც არსებობს).

14 თებერვალს (ამერიკაში წასვლამდე) უილსონმა ერთა ლიგის ქარტიის პროექტი წარადგინა. იმავე დღესვე ფოშმა გერმანელებთან დაზავების გაგრძელების თაობაზე მოლაპარაკებები განაახლა. იგი დამარცხებულებს არანაირ შეღავათს არ აძლევდა და საყვედურობდა, რომ გერმანია არ ჩქარობდა პირობების შესრულებას და დაზავებით გათვალისწინებული ქონების გადაცემას. ერცბერგერი უთითებდა, გერმანია შიმშილობდა და ქვეყანა რევოლუციის პირას იდგა. იანვარში თავად ბერლინის ჩათვლით, გერმანიაში რევოლუციამ მართლაც იფეთქა, თუმცა სასტიკად ჩაახშეს. გერმანია საერთაშორისო დახმარების პროგრამიდან ამოაგდეს და რეალურად ისევ საომარ ბლოკადაში იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დაზავება გერმანიისათვის საკვების მიწოდებას ითვალისწინებდა. კლემანსოს აზრით, თუკი გერმანიას საკვებს მიაწვდიდნენ, ეს სისუსტის გამოვლინებად იქნებოდა აღქმული, ჯობდა გერმანიას ეშიმშილა და ამგვარად უფრო მორჩილი გამხდარიყო. ერცბერგერი ფოშს ახსენებდა ბისმარკის საქციელს, როცა ამ უკანასკნელმა 1871 წელს ალყაშემორტყმულ პარიზს პური მიაწოდა. ფოშზე ამას დიდად არ უმოქმედია.

საბოლოოდ, ცხადია, დაზავება გაგრძელდა, მაგრამ ფრანგები გერმანიაში ტვირთების ნაწილობრივ შეშვებას მხოლოდ მარტში დათანხმდნენ, როცა გერმანიამ სავაჭრო ფლოტი დათმო და საკვების უცხოური ფასიანი ქაღალდებით შესყიდვა დაიწყო. ოქროს რეზერვებით საკვების შესყიდვის უფლება მას არ მისცეს (ოქრო გამარჯვებულებს

რეპარაციებზე ჰქონდათ გათვლილი); ერთი პერიოდი გერმანელები ამერიკისგან სესხის აღებასაც ფიქრობდნენ, მაგრამ მათ მალევე აუხსნეს, რომ კონგრესი ამ სესხს არ დაამტკიცებდა. ბლოკადა საბოლოოდ მხოლოდ 12 ივლისს მოიხსნა, მას შემდეგ რაც რაიხსტაგმა სამშვიდობო ხელშეკრულება დაამტკიცა. ამ პერიოდში (დაზავებიდან ბლოკადის ახსნამდე) კიდევ მილიონი გერმანელი გარდაიცვალა... ეს საბოლოო ჯამში ფრანგებისათვის უფრო იყო ცუდი ამბავი, რადგან გერმანელების მოსახლეობა მაინც 75 მილიონს აღწევდა, ფრანგებისა კი 40 მილიონი იყო. 75-მილიონიანი ერის ასეთი გამწარება არავის წაადგებოდა, უპირველეს ყოვლისა კი ფრანგებს. მით უმეტეს, რომ გერმანელებს ვერ აეხსნათ, მათ ასე რა უფლებით ეპყრობოდნენ – მათ ხომ რეალურად ომი საკუთარ ტერიტორიაზე არც უნახავთ და ამიტომაც მიაჩნდათ, რომ ომი არ წაუგიათ.

მორალისტის გამგზავრების შემდეგ ევროპელები ძირითადად გერმანიის საკითხზე გადაერთვნენ. აქ რაღაცეებზე უკვე ყველა თანხმდებოდა. კონკრეტულად – საფრანგეთს ელზასი და ლორენი უნდა დაბრუნებოდა და მასაც და ბელგიასაც დიდძალი კომპენსაცია უნდა მიეღოთ. ასევე, დანია ითხოვდა შლეზვიგსა და ჰოლშტაინს. ეს საკითხი რეფერენდუმით გადაწყდა და 1920 წელს ჩრდილოეთ შლეზვიკი დანიას დაუბრუნდა კიდეც. ბელგიამ გერმანიის მცირე ტერიტორია მიიღო. მიდიოდა საუბარი გერმანელების გასამართლებაზე კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო, მაგრამ უილსონმა ამას მხარი არ დაუჭირა. იგი ვილჰელმის გასამართლების წინააღმდეგიც იყო, რათა ეს უკანასკნელი ისევე არ ქცეულიყი გმირად, როგორც იქცა გასამართლებისა და სიკვდილით დასჯის შემდეგ ინგლისის მეფე ჩარლზი. ბოლოს უილსონი დათანხმდა, რომ საჭირო იყო გერმანიის უკანასკნელი იმპერატორი ხელშეკრულებათა დარღვევაში დაედანაშაულებინათ, მაგრამ როცა ჰოლანდიას მისი გადაცემა მოსთხოვეს, იქიდან უარი მოვიდა. გამარჯვებულებს ეს დიდად არ განუცდიათ და კონფერენციის ბოლოს ვილჰელმს ხუმრობით თუ იხსენებდნენ ხოლმე.

ასევე საკმაოდ იოლად გადაწყდა გერმანიის შეირაღებული ძალების ბედი. 3 მარტს ფოშმა წარადგინა თავისი რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც გერმანიას ეკრძალებოდა მძიმე შეიარაღება და გენერალური შტაბის ქონაც კი, მისი ჯარი წვევამდელებით დაკომპლექტდებოდა და 140-ათასიანი იქნებოდა. ინგლისელებმა მიუთითეს, რომ ყოველწლიურად ამდენი კაცის გაწვევის წყალობით გერმანელები ბევრი მეომრის გაწვრთნას შეძლებდნენ. ამიტომ საბოლოოდ დადგინდა, რომ 100-ათასიანი მოხალისეთა ჯარი ეყოლებოდა. ფლოტზე იმსახურებდა 15 ათასი კაცი. გარდა ამისა, გერმანიას ეკრძალებოდა ტანკები და ყველანაირი მძიმე ტექნიკა, არტილერია, ავიაცია, წყალქვეშა ნავები, დირიჟაბლები. აეკრძალა იარაღის შესყიდვა. პოლიციაში მომსახურეთა რაოდენობაც

კი შეიზღუდა. ინგლისელებს კილის არხის განადგურებაც სურდათ, რომელიც ჩრდილოეთის ზღვას ბალტიის ზღვასთან აკავშირებდა. როცა ამაზე ყველამ უარი უთხრა, ინგლისმა არხის გერმანიისთვის ჩამორთმევის საკითხი დააყენა. ეს არ მოეწონათ ამერიკელებს, რომელთაც ახალი ათვისებული ჰქონდათ პანამის არხი და მსგავსი პრეცედენტის დაშვება არანაირად არ სურდათ. საბოლოოდ გადაწყდა, რომ კილის გავლით თავისუფლად ივლიდნენ იმ ქვეყნების ხომალდები, რომლებიც გერმანიასთან ომში არ იყვნენ ჩაბმულნი. ინგლისელებს გერმანელთა სანაპირო ფორტიფიკაციების განადგურებაც სურდათ, მაგრამ ამასაც ამერიკელები შეეწინააღმდეგნენ იმ მოტივით, რომ ეს სიმაგრეები თავდაცვითი იყო.

გაცილებით მეტი სირთულეები შექმნა ფრანგების პრეტენზიებმა. მათ, სულ ცოტა, საარი უნდოდათ. ომის დროს გერმანელებმა მათი ნახშირის საბადოები სერიოზულად დააზიანეს და შესაბამისად, ზარალის ანაზღაურებას საარის სახით ითხოვდნენ. თუმცა, ეს არ ყოფილა ყველაფერი. ფოში გერმანიასთან საზღვრის რაინზე გავლებას ითხოვდა იმ მოტივით, რომ საფრანგეთს აგრესიულ მეზობელთან რაიმე ბუნებრივი ბარიერი სჭირდებოდა. კლემანსო მზად იყო, კომპრომისად რაინის მარცხენა სანაპიროზე ნეიტრალური სახელმწიფოს შექმნაზე დათანხმებულიყო. ფოშს ეს არ მოსწონდა და უფრო იქით იხრებოდა, რომ ეს სახელმწიფო ბელგიასა და ლუქსემბურგთან ერთად საფრაგეთთან ალიანსში შესულიყო. მოკლედ, რაინლანდი ფრანგებს სურდათ. იქ მდგარი საოკუპაციო ჯარის უმრავლესობას სწორედ ფრანგები შეადგენდნენ და იქაურებს შედარებით ლმობიერად ეპყრობოდნენ – ბლოკადით არ ახრჩობდნენ და მათი გულის მოგებას ცდილობდნენ. ეს პოლიტიკა იმით იყო შეგულიანებული, რომ რაინლანდში ბევრი კათოლიკე ცხოვრობდა. თუმცა, საბოლოოდ ფრანგებს ისინიც არ აყვნენ და ყველა გერმანელად დარჩა. ბისმარკმა თავის ალიანსებზე კიდევ უფრო უკეთ გერმანია შეკრა.

კამათი მიდიოდა რეპარაციების საკითხზე. გასარკვევი იყო რა უნდა მოეთხოვათ – პირდაპირი ზარალის ანაზღაურება თუ დამატებით სხვა რამეც, მაგალითად, ომში გაწეული ხარჯების დაფარვა. ამერიკელები მზად იყვნენ რეპარაციებში თავიანთ წილზე უარი ეთქვათ იმ პირობით, თუ მოკავშირეები ომის დროს აღებულ ვალებს გაუსტუმრებდნენ. იმ დროისათვის ინგლისს ამერიკის 4.7 მლრდ დოლარი, საფრანგეთს კი – 4 მლრდ მართებდა. ფრანგებს ინგლისისაც მართებდა. ბუნებრივია, კარგი იქნებოდა, თუკი გერმანიისგან სულ მცირე ამდენს მაინც ამოიღებდნენ. შესაბამისად, საკმაოდ მსუყე თანხები სახელდებოდა. ინგლისელებმა 24 მლრდ დოლარი დაასახელეს, ფრანგებმა სულაც – 44. ეს მაშინ, როცა ინგლისელთა დელეგაციაში მათი ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, ცნობილი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი ამბობდა, გერმანიას 2 მლრდ-ის გადახდის თავი თუ აქვსო. უილსონის წასვლამდე ვერც ვერაფერზე შეთანხმდნენ. თავად უილსონი ამბობდა, რომ გერმანიისგან მხოლოდ ზარალის ანაზღაურება უნდა მოეთხოვათ. ინგლისელები ღელავდნენ – ასე მათ მხოლოდ ჩაძირული ხომალდების კომპენსაცია ეკუთვნოდათ (ზარალი მათ თითქმის არ უნახავთ, რადგან ომი მათ ტერიტორიაზე არ მიდიოდა). სმატსმა ლოიდ-ჯორჯს ურჩია, რეპარაციაში ჯარისკაცთა ოჯახებისათვის გადახდილი კომპენსაციები და ქვრივობლების პენსიებიც ჩაედოთ. უილსონის კეთილშობილმა გულმა ამ შემოთავაზებას ვერ გაუძლო და დათანხმდა. აქ უკვე ფრანგები მიხვდნენ, რომ მათი წილი მცირდებოდა და ისევ ზარალზე გადაიტანეს აქცენტი. იმის გამო, რომ აქ მეტი გამოსდიოდათ, საბოლოოდ ინგლისელებისგან თანხმობის მისაღებად რეპარაციებში წილი გაუზარდეს – 28%, თავად ფრანგებს კი 52% ერგოთ.

ეს ვაჭრობა საბოლოოდ ძალიან გვიან, 1920 წელს დასრულდა. გერმანელები ამასობაში სასოწარკვეთით ითხოვდნენ, მათთვის რეპარაციის საერთო თანხა გაეგებინებინათ, მაგრამ გამარჯვებულები კიდევ უფრო გვიან, 1921 წელს ჩამოყალიბდნენ – 33 მლრდ დოლარი, იმ დროისათვის ზღაპრული თანხა, რომლიდანაც გერმანიამ საბოლოოდ ნაწილი თუ გაისტუმრა. კეინსს რეპარაციად ასეთი თანხის დაწესება სიგიჟედ მიაჩნდა, რადგან იგი გერმანიის ეკონომიკას განვითარების საშუალებას არ მისცემდა, გერმანიის ეკონომიკის გარეშე კი მთლიანად ევროპის ეკონომიკასაც არაფერი ეშველებოდა. ეს მოსაზრება მან დაასაბუთა თავის ცნობილ წიგნში, რომლის გამოც ფრანგების სასტიკი კრიტიკა დაიმსახურა.

უილსონს დიდი იმედი ჰქონდა, რომ გერმანიის საკითხი მის არყოფნაში საბოლოოდ გადაწყდებოდა. მაგრამ როგორც კი იგი ამერიკაში გაემგზავრა, ევროპაში დიდი ამბები დატრიალდა. ჯერ იყო და, კლემანსოს ესროლეს. ფრანგების პრემიერ-მინისტრი სასწაულებრივად მალე დადგა ფეხზე და რამდენიმე დღეში სამუშაოსაც დაუბრუნდა. ამასობაში ლოიდ-ჯორჯი ინგლისში გაფიცვებს ებრძოდა, რომელთაც წარმატებით მოუღო ბოლო. 25 თებერვალს ფრანგებმა რაინლანდზე თავიანთი ახალი ხედვა წარმოადგინეს: გერმანიის საზღვარი რაინზე უნდა დასრულებულიყო, მარცხენა სანაპიროზე პლაცდარმები კი გამარჯვებულებს უნდა ჰქონოდათ ოკუპირებული. უილსონმა ამის გაგებაზე ჰაუზს შეუთვალა, მის დაბრუნებამდე არაფერი დაეთმო. ლოიდ-ჯორჯი დიდი ხანი იყო რაც ამბობდა, ფრანგები რაინლანდს გერმანელთა ელზასად აქცევენო, და ახლა უილსონიც ამ აზრისკენ იხრებოდა. ინგლისელები ფრანგებს უხსნიდნენ, რომ მათი ჯარი რაინლანდზე ვერ დარჩებოდა, თუმცა გერმანიის მხრიდან ახალი თავდასხმის შემთხვევაში მათ აუცილებლად დაეხმარებოდნენ. როცა ფრანგებმა უპასუხეს, შეიძლება თქვენმა დახმარებამ ძალიან დაიგვიანოსო, ლოიდ-ჯორჯი მათ ლამანშის ქვეშ გვირაბის გაყვანას შეპირდა, რაც მაშინ სერიოზულად არავინ მიიღო.

ამასობაში, თავად უილსონს სამშობლოში განკითხვის დღე მოუწყვეს

რესპუბლიკელებმა, რომელთაც ერთა ლიგის იდეა გულზე არ ეხატებოდათ. მათი ლიდერი ჰენრი ლოჯი, რომელიც ომში ჩართვას დიდი ხნით ადრე ითხოვდა, მიიჩნევდა, რომ ლიგის შექმნას გერმანიის მეზობელთა გაძლიერება სჯობდა და რომ თუკი ამერიკა რაიმე გაერთიანებაში შევიდოდა, ეს დემოკრატიულ სახელმწიფოთა კლუბი უნდა ყოფილიყო, სადაც არანაირი გაუგებრობა არ წარმოიქმნებოდა.

უილსონმა ასეთი დახვედრის პასუხად გადაწყვიტა, ყველაფერი კონგრესის გვერდის ავლით, ფართო საზოგადოების მხარდაჭერით გაეკეთებინა და 24 თებერვალს ბოსტონში ჩავიდა, ჰენრი ლოჯის სამშობლოში (რითაც ამ უკანასკნელთან კიდევ უფრო გაიფუჭა ურთიერთობა). იქ აუდიტორიაში დამსწრეებს ერთა ლიგის ქარტიის ასლები სკამებზე დახვდათ, არადა, მანამდე ქარტია კონგრესშიც კი არ ენახათ. უილსონმა მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც აუდიტორიას აუხსნა, რომ ვინც ერთა ლიგას არ ემხრობოდა, მას ამქვეყნად არაფერი გაეგებოდა. მოკლედ, მან არა მხოლოდ რეპუბლიკელები მოიძულა კონგრესში, არამედ დიდად არც დემოკრატებთან მუშაობით შეუწუხებია თავი. ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა ერთა ლიგას მხარს უჭერდა, კონგრესი კი –არა. 4 მარტს ლოჯმა და კიდევ 38 სენატორმა მოითხოვა, ერთა ლიგაზე მუშაობა შეჩერებულიყო, სანამ გერმანიასთან სამშვიდობო ხელშეკრულება არ გაფორმდებოდა. ამის პასუხად უილსონმა ოპონენტები სასტიკად გააკრიტიკა და მათ ეგოისტები უწოდა. მალე მან ამერიკა დატოვა და 14 მარტს ისევ პარიზში დაბრუნდა. ამჯერად მას იქ ძალიან ცოტა თაყვანისმცემელი დახვდა. ხოლო როცა ჰაუზმა მოახსენა, გერმანიის საკითხზე ევროპელებთან თითქმის ვერაფერს გავხდითო, მორალისტი ნამდვილ შოკში ჩავარდა. მოყოლებული იქიდან, მასსა და ჰაუზს შორის ურთიერთობები თანდათანობით გაფუჭდა და კონფერენციის დასრულების შემდეგ უილსონი ერთ დროს თავის უახლოეს მეგობარს აღარც ელაპარაკებოდა. მისი მაქსიმალიზმი მართლაც უსაზღვრო იყო.

უილსონს პრობლემები არა მხოლოდ დახვდა, არამედ ჩამოიტანა კიდეც. ამერიკაში ყოფნის დროს იგი ერთ რამეს მაინც მიხვდა – ერთა ლიგის ქარტიის კონგრესში გატანისათვის სულ ცოტა ის იყო აუცილებელი, ქარტია როგორმე მონროს დოქტრინას მორგებოდა (საამისოდ უილსონს სურდა, დოქტრინა საერთოდ ქარტიაში შეეტანათ). ეს კარგი სიახლე აღმოჩნდა ინგლისელებისა და ფრანგებისათვის, რადგან მათ ახლა შეეძლოთ ამ საკითხზე უილსონს გასჯიუტებოდნენ. თუმცა, მანამდე კვლავ ფრანგები აღმოჩნდნენ უმცირესობაში – არც ამერიკა და არც ინგლისი გერმანიის ზედმეტ შევიწროებაზე არ თანხმდებოდნენ. კლემანსომ უილსონის ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში ისევ მოითხოვა მოკავშირეთა მიერ რაინლანდის ოკუპაცია და ამასთან ერთად, რაინის აღმოსავლეთ სანაპიროს დემილიტარიზაცია. როცა უარი მიიღო, კლემანსომ საარის ანექსია მოითხოვა. ამასობაში, უნგრეთში გადატრიალების ამბავი

მოვიდა და ლოიდ-ჯორჯი დაფრთხა, ვინიცობაა, გერმანიაშიც იგივე არ განმეორებულიყო. მან ფრანგებს ლმობიერებისკენ მოუწოდა. კლემანსო ამაზე გაცოფდა და ინგლისელ კოლეგას მიუგო, თუკი გერმანიასთან ლმობიერების გამოჩენა სურდა, მისთვის ფლოტი და კოლონიები დაებრუნებინა. ამასთან ვეფხვმა უკვე კატეგორიულად მოითხოვა საარი და რაინლანდის ოკუპაცია. ამჯერად უილსონმა გამოთქვა პროტესტი და კონფერენციიდან წასვლით დაიმუქრა. პასუხად ვეფხვი თვითონ გავიდა ოთახიდან და მორალისტს კარი გამოუჯახუნა. 3 აპრილს მორალისტი გვარიანად გაცივდა და კლემანსომ ლოიდ-ჯორჯს შესთავაზა ამერიკის პრეზიდენტის ექიმები მოექრთამათ. პარიზში ამერიკელების მიმართ აგრესიას უკვე ვეღარ მალავდნენ. ამერიკელი სამხედროები იმასაც კი ამბობდნენ, ომში არასწორი არჩევანი გავაკეთეთო.

ლოგინად ჩავარდნილი უილსონი იმედგაცრუებული მოთქვამდა, ფრანგებს უფლება რომ მისცე, გერმანიას სულ დაანაწევრებენო. კლემანსო ამას არც უარყოფდა და აცხადებდა, გერმანია ისე მიყვარს, მირჩევნია ერთის ნაცვლად ბევრი იყოსო. როცა უილსონი ცოტათი მომჯობინდა, წასვლით დაიმუქრა და თავისიანებს უბრძანა, ხომალდი გაემზადებინათ. ამან ყველა დააფრთხო კლემანსოს გარდა, რომელიც მხოლოდ იცინოდა. მას უკან დასახევი გზა მაინც აღარ დარჩენოდა. ფოში პრესაში რაინლანდს ითხოვდა, პუანკარეს კი მოუწოდებდნენ, ან თავად გადამდგარიყო, ან რამე მოემოქმედებინა, რადგან კლემანსო ამოცანას თავს ვერ ართმევდა.

აქვე თავი იჩინა ამერიკელთა და ინგლისელთა შორის დაპირისპირებამ ფლოტის საკითხზე. გერმანიის ფლოტის გაყოფისას აშკარა გახდა, რომ ყველაზე მეტი ხომალდი ინგლისს შეხვდებოდა. ჯერ კიდევ მარტში ჰაუზმა ლოიდ-ჯორჯს პირდაპირ განუცხადა, რომ ამერიკელებს ეს ვარიანტი არ აწყობდათ. პრემიერ-მინისტრმა საპასუხოდ შესთავაზა, ორივეს თავიანთი წილი გერმანული ხომალდები ჩაეძირათ, ოღონდ იმ პირობით, რომ მერე ერთმანეთთან კონკურენცია აღარ ჰქონოდათ (ცხადი იყო, ინგლისი ამ კონკურენციას წააგებდა), რადგან ინგლისის ფლოტი „მსოფლიოში მშვიდობას იცავდა“. ამაზე ლოიდ-ჯორჯმა პასუხად მიიღო, ამერიკელებიც მშვენივრად დაიცავენ მშვიდობასო. ბოლოს ინგლისელები იძულებულნი გახდნენ, თავიანთ ყოფილ კოლონიას დამუქრებოდნენ, რომ მონროს დოქტრინას ერთა ლიგის ქარტიაში არ შეატანინებდნენ.

8 აპრილს უილსონი მომჯობინდა, მაგრამ კლემანსო არაფერს თმობდა, ინგლისელები კი ისევ ფლოტზე წუწუნებდნენ. ორ დღეში მორალისტმა წარმოადგინა შესწორება, რომლის მიხედვითაც ერთა ლიგის ქარტია არ ეწინააღმდეგებოდა მონროს დოქტრინის მსგავს დოკუმენტებს, რომლებიც მშვიდობის საქმეს ემსახურებოდა. ეს კომპრომისი იყო, რომელიც მონროს დოქტრინის პირდაპირ ერთა ლიგის ქარტიაში შეტანას აღარ გულისხმობდა, მაგრამ კლემანსოზე არც ამას მოუხდენია დიდი

შთაბეჭდილება. ლიგის ქარტიაში უკვე იყო მუხლი, რომელიც ყველა წევრს ავალდებულებდა, თავიანთი შეთანხმებები ლიგის პრინციპებთან შეეთანხმებინა. „ნუთუ მონრო ქარტიას ეწინააღმდეგებოდა?“ – იკითხეს ფრანგებმა. „ცხადია არა“, – უპასუხა უილსონმა. „აბა, რა აუცილებელია მოხსენიება?“ – კითხვა შეუბრუნეს ფრანგებმა.

უილსონს ამაზე პასუხი არ ჰქონდა. ინგლისელებმა დელიკატურად დაუჭირეს მხარი. იმ დროისათვის აშკარა გახდა, რომ ამერიკას ინგლისთან ფლოტში გაჯიბრების ნება არ ჰქონდა (კონგრესი ახალი ხარჯების გაწევას არაფრით შეურიგდებოდა) და ეს საკითხი მშვიდობიანად დაიხურა. მაგრამ ფრანგებს ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდათ გასარკვევი.

უილსონი დუმდა. შემდეგ ტირადა წარმოსთქვა და ამერიკის სულიერ მისიასა და კეთილშობილ მიზნებზე ისაუბრა. მომდევნო დღეებში მსგავსი გულისამაჩუყებელი ტექსტებით (ამერიკის დიდ მისიაზე) პანამელები და ჰონდურასელები გამოვიდნენ, მაგრამ, ცხადია, ამან ფრანგებს გული ვერ მოულბო. ამიტომ უკვე 12 აპრილს უილსონმა კლემანსოსთან კომპრომისის გამოძებნა სცადა და დემილიტარიზაციაზე თანხმობა განაცხადა. ამაზე ვეფხვმა ჰაუზს სთხოვა მორალისტისათვის ჩაეგონებინა, რაინლანდის 15-წლიან ფრანგულ ოკუპაციაზე დათანხმებულიყო, რომელიც ეტაპობრივად დასრულდებოდა. უილსონი დათანხმდა. საარის საკითხი უფრო იოლი მოსაგვარებელი აღმოჩნდა. უილსონი ისედაც თანახმა იყო, იქაური ნახშირი ფრანგებს გაეკონტროლებინათ. ამას ისიც დაემატა, რომ 15 წელიწადში საარის ბედი პლებისციტით გადაწყდებოდა (როცა გადაწყდა, ეს მხარე გერმანიაში დარჩა). ამერიკა და ინგლისი საფრანგეთს გერმანიის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში დახმარებასაც პირდებოდნენ.

ერთა ლიგის ქარტიის ამბავი გარკვეული იყო. ფოში უკმაყოფილო გახლდათ და კლემანსოს კრიმინალსაც კი უწოდებდა, მაგრამ მეტი დათმობის მიღება ამერიკელების ხელში ალბათ მართლაც წარმოუდგენელი იყო. ვეფხვმა ფრანგულ პრესას შეუთვალა, უილსონზე თავდასხმები შეეწყვიტათ. ინგლისიდან დაბრუნებული ლოიდ-ჯორჯი ყველაფერს დათანხმდა და 28 აპრილს კლემანსომ კონფერენციის პლენარულ სხდომაზე ძალიან სწრაფად წაიკითხა ტექსტი, რომელიც ბევრმა საერთოდ ვერ გაიგო (კლემანსომ თარჯიმნები გააფრთხილა, არაფერი ეთარგმნათ). როცა ტექსტის კითხვა დასრულდა, დამსწრეებს აცნობეს, რომ მიღებულ იქნა ერთა ლიგის ქარტია, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად „არ ეწინააღმდეგებოდა ისეთ დოკუმენტებს, როგორიც იყო მონროს დოქტრინა და რომლებიც მშვიდობის საქმეს ემსახურებოდა“.

ასე იშვა ერთა ლიგა.

ახალი ერები რუკაზე

ომები, როგორც წესი, რუკას ცვლის. მსოფლიო ომმა იმპერიების დანგრევასთან ერთად ახალი ქვეყნებიც გააჩინა – უფრო ისინი, რომელთაც ომში ასე თუ ისე ივარგეს, გამარჯვებულთა მხარეს იომეს და გამარჯვებულები მოხიბლეს.

რუკაზე გაჩნდა იუგოსლავია, რითაც ახდა სერბეთის ოცნება. ახალი სახელმწიფო ერთი ენის იდეას დაეფუძნა, მაგრამ სხვა მხრივ, მასში ბევრი წინააღმდეგობა იყო. სერბები მართლმადიდებლები იყვნენ, ხორვატები – კათოლიკეები, ბოსნიელები კი – მუსლიმები. როგორც ცნობილია, ამ პრობლემამ მოგვიანებით ძალიან მწვავედ იჩინა თავი და იუგოსლავია დაიშალა. პირველი მსოფლიო ომის ბოლოს იუგოსლავიის შემქმნელები ძნელად თუ წარმოიდგენდნენ, რომ მათ სახელმწიფოში პირველ მსოფლიო ომზე კიდევ უფრო სასტიკი (თუმცა, ცხადია, ნაკლები მასშტაბის) და დაუნდობელი ომი მოჰყვებოდა.

იუგოსლავია ორმა ადამიანმა შექმნა– უკვე კარგად ნაცნობმა პაშიჩმა და ხორვატმა ანტე ტრუმბიჩმა. ისინი 1918 წლის ივლისში შეხვდნენ კუნძულ კორფუზე და ახალი ქვეყნის დაარსებაზე სწორედ იქ განაცხადეს. შეთანხმდნენ იმაზე, რომ სახელმწიფოს მეთაური სერბეთის მეფე იქნებოდა. სხვა ბევრი არაფერი განუხილავთ და კონსტიტუციაზე თითქმის არ უმსჯელიათ. ეს მოგვიანებით კარგად გამოიყენა პაშიჩმა და იუგოსლავია რეალურად გაფართოებულ სერბეთად აქცია. ამაში დიდი როლი უკვე კარგად გამოცდილმა სერბულმა ჯარმა ითამაშა, რომელმაც მთელი მომავალი იუგოსლავია დაიკავა. ასე იქცა ახალი ქვეყნის ნაწილად მონტენეგრო, რომლის მეფემ ეს ამბავი გააპროტესტა და პარიზის კონგრესზე გამარჯვებულებთანაც წარსდგა, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერს გახდა, რადგან სერბებს გასული წლების შემდეგ ყველა თანაუგრძნობდა. გარდა ამისა, ფრანგებს ძლიერი იუგოსლავია იტალიის შემაკავებლად სჭირდებოდათ. ეს უკანასკნელი ახალი ბალკანური ქვეყნის მიმართ თავის აგრესიას ვერ მალავდა (იტალიასაც და იუგოსლავიასაც ხომ ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიებზე ჰქონდათ პრეტენზია), რამაც საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ ხორვატებმა სწორედ იტალიის შიშით გადაწყვიტეს იუგოსლავიაში შესვლა. ასევე მოიქცნენ ბოსნია და ბანათი.

პაშიჩი იძულებული გახდა, ანტანტას ზეწოლის შედეგად ხორვატებთან ერთად კოალიციური მთავრობა შეექმნა, რაც საბოლოოდ არ ინანა, რადგან პარიზის კონფერენციაზე კოსმოპოლიტმა და მომხიბვლელმა ტრუმბიჩმა ძალიან კარგად იმუშავა. მაგრამ კოალიციური მთავრობის იქით ყველანაირი თანამშრომლობა მთავრდებოდა. ახალი ქვეყნის ჯარში სერბები მსახურობდნენ, ბიუროკრატიის უდიდეს უმრავლესობასაც ისინი შეადგენდნენ. ეს იყო იუგოსლავია, რომელსაც აღარ ჰყავდა მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულშემატკივარი დიმიტრიევიჩი. იგი 1917

წელს დახვრიტეს თავად სერბებმა „შავი ხელის“ სხვა ლიდერებთან ერთად – ისინი უკვე კონტროლიდან იყვნენ გასულნი და პაშიჩი შიშობდა, რომ დიმიტრიევიჩი 1903 წლის „გმირობას“ გაიმეორებდა.

იუგოსლავია, როგორც ვთქვით, თავიდანვე მტრულად მიიღო იტალიამ. ამ უკანასკნელს საკმაოდ ბევრი ახალი ტერიტორია ხვდებოდა (ლონდონის შეთანხმებიდან გამიმდინარე), მაგრამ კიდევ უფრო მეტი მოინდომა და დალმაციას დაადგა თვალი, გამორჩეულად კი – ფიუმეს ფორტს. უილსონი ომის დროს გაფორმებულ საიდუმლო შეთანხმებებს საერთოდ არ ცნობდა და იტალიელებს იანვარშივე მიახალა, ლონდონის შეთანხმება ძალადაკარგულიაო. ორლანდო და სონინო შოკში ჩავარდნენ, მაგრამ მალე იმედი ისევ მიეცათ, რადგან მათი ხათრით ინგლისელები და ფრანგები იუგოსლავიის ცნობაზე დროებით მაინც უარს ამბობდნენ და როცა კონფერენცია იტალიის საკითხს დაუბრუნდებოდა, ისინი ერთიანი ძალებით ალბათ კარგად ივაჭრებდნენ.

თავიდან იტალიელთათვის ყველაფერი კარგად მიდიოდა. მათ მიიღეს სამხრეთ ტიროლი (ადგილობრივთა დიდი პროტესტის მიუხედავად) და ტრენტინოც. მაგრამ ამის შემდეგ მათ არამცთუ დალმაციაზე, მთელ ხორვატიაზე განაცხადეს პრეტენზია იმ მოტივით, რომ ეს მხარე ოდესღაც რომის იმპერიაშიც შედიოდა და ვენეციის რესპუბლიკაშიც. ამ პრეტენზიას დიდი პერსპექტივა ალბათ არც ჰქონდა, ხოლო როცა გაირკვა, რომ იტალიელები მალულად ხორვატებს ჰუმანიტარულ დახმარებას უბლოკავდნენ (მხოლოდ მათ აძლევდნენ, ვინც ერთგულებას შეჰფიცებდა), ყველაფერი ჩაიშალა. გაცოფებულმა უილსონმა იტალიას შეუწყვიტა დახმარება. მოყოლებული იქიდან, მორალისტი ბოლომდე იუგოსლავიის უკან დადგა. იტალიელები არ ისვენებდნენ და იუგოსლავიის წინააღმდეგ გარშემო ყველას ამხედრებას ცდილობდნენ, ის კი არა, ბოლშევიკურ უნგრეთსაც კი შეეკრნენ.

აპრილში კულმინაცია დადგა. იტალიელთა იაფფასიანი ხრიკები ყველას ყელში ამოუვიდა, განსაკუთრებით ყველას სძულდა სონინო, რომელიც საკუთარ თავს მაკიაველისტად აცხადებდა და ძალიან ღიზიანდებოდა, როცა სხვა დიპლომატები პრინციპებსა და ნორმებზე საუბრობდნენ. მასზე გაცილებით მეტ სიმპათიას ორლანდო იმსახურებდა – სიცილიელი იურისტი, რომელიც საქმეების დეტალურ გარჩევებს იყო მიჩვეული. კლემანსო ცდილობდა, მისთვის აეხსნა, რომ იტალია ზედმეტს ითხოვდა და იმ ფონზე, როცა მან ყველა ბრძოლა წააგო, ამის უფლება არ ჰქონდა. ამის პასუხად ორლანდომ 3 აპრილს ოთხეულის შეხვედრაზე განაცხადა, რომ ფიუმე იტალიის უნდა ყოფილიყო და როცა შეხვედრაზე იუგოსლავები მიიწვიეს, იგი პროტესტის ნიშნად ოთახიდან გავიდა. დალმაციის გარეშე უკან ვერ დავბრუნდები, ამის გამო შეიძლება მომკლან, ან, სულ ცოტა, ჩემი მთავრობა დაემხობა და დანუნციო მოვაო, შესტიროდა ორლანდო კოლეგებს. იტალიაში მართლაც რომ ნაციონალისტური ისტერიკა მიდიოდა. ისედაც ღარიბი ქვეყანა ომმა კიდევ უფრო გააღატაკა და ამიტომაც მოსახლეობას ნადავლი სჭირდებოდა. იტალიელებს ფიუმედან ჯარი არა და არ გაჰყავდათ იმ იმედით, რომ უილსონი ბოლოს და ბოლოს მომხდარს შეეგუებოდა.

19 აპრილს, შაბათს, აღდგომის წინა დღეს ორლანდომ თავი ქრისტედ გამოაცხადა, რომელიც საკუთარი ქვეყნისათვის წამებისა და თავგანწირვისთვის იყო მზად. ცხადია, ჯვარცმა უკვე დაგვიანებული იყო (ეს წინა დღეს უნდა მომხდარიყო), მაგრამ, ჩანს, ორლანდომ მკვდრეთით აღდგომის თავისებური ინტერპრეტაცია მოახდინა და 20 აპრილს, როცა ფიუმეზე უარი მიიღო, კონფერენცია შეურაცხყოფილი სახით დატოვა. მას სონინოც გაჰყვა. თავიდან ორლანდო ყველას შეებრალა, მაგრამ რახან იგი კონფერენციაზე აღარ ბრუნდებოდა, უბრალოდ მიივიწყეს, მუშაობა იტალიელების გარეშე გააგრძელეს, კოლონიები საბოლოოდ გაიყვეს და ლონდონის შეთანხმება საერთოდ აღარ გახსენებიათ. იტალიური პრესა ამ დროს უკვე იქამდე მივიდა, რომ წერდა, უილსონს იუგოსლავი საყვარელი ჰყავსო. 5 მაისს ორლანდომ და სონინომ კონფერენციაზე დაბრუნების სურვილი გამოთქვეს, მაგრამ უილსონმა პასუხად განაცხადა, ჯობია აღარ დამენახოთო. ჰაუზმა გაქცეულები იუგოსლავებს შეახვედრა, რამაც არანაირი შედეგი არ გამოიღო გარდა იმისა, რომ უილსონთან კიდევ უფრო გაიფუჭა ურთიერთობა.

ზაფხულში კი იტალიური კომედიის დასკვნითი აქტი დაიწყო. ორლანდოს მთავრობა მართლაც დაეცა (კონფერენციის საბოლოო დოკუმენტებს სონინომ მოაწერა ხელი), ახალმა მთავრობამ აგვისტოში დალმაცია იუგოსლავიას დაუთმო, ხოლო ფიუმესათვის თავისუფალი ქალაქის სტატუსის მინიჭებაზე დათანხმდა. ეს ამბავი სასწრაფოდ ამცნეს იტალიელებზე გამწყრალ უილსონს, მაგრამ სანამ მისგან პასუხი მოვიდა, 11 სექტემბერს დანუნციო ფაშისტებისა და კიდევ ათასი ჯურის ავანტიურისტების რაზმთან ერთად ფიუმესაკენ დაიძრა. ვინც მის გასაჩერებლად გაგზავნეს (ჯარი და პოლიცია), ყველა მას შეუერთდა. დანუნციოს რაზმმა ფიუმე აიღო და 15 თვის განმავლობაში იქ ენით აუწერელი ბაკქანალია მიდიოდა – სმა, გარყვნილება, განუკითხაობა. ყველაფერ ამას მუსიკალურად აფორმებდა ტოსკანინი თავისი ორკესტრით, იქ იყო მუსოლინიც, გაისმოდა მოწოდებები, „გაეთავისუფლებინათ“ დალმაცია და მერე მთელი იტალიაც... გამარჯვებულმა დიდმა სახელმწიფოებმა ქალაქს ბლოკადა მოუწყვეს, მაგრამ უშედეგოდ. დანუნციო დახმარებისთვის ყველას მიმართავდა, მათ შორის ბოლშევიკებსაც, და ბლოკადის გვერდის ავლით ქალაქის მომარაგებას ახერხებდა. მალე ქაოსი ჩრდილო იტალიასაც გადაედო. 1920 წლის ნოემბერში იტალიის მთავრობა ბოლოს და ბოლოს იუგოსლავიას გაურიგდა საზღვრებზე და ისტრიის ნახევარკუნძული მიიღო, ოღონდ, ცხადია, დალმაციის სანაცვლოდ. ამაზე 1 დეკემბერს დანუნციომ თავისივე სამშობლოს ომი გამოუცხადა,

მაგრამ პასუხად, როგორც იქნა, ტყვია მიიღო, რის შემდეგაც სასწრაფოდ დანებდა და ყველაფერი „ლაჩარ იტალიელ ხალხს“ გადააბრალა. ამის შემდეგ თვითონ ჩვეულებრივად გააგრძელდა ცხოვრება.

ყველაზე უხვად ტერიტორიები ჩეხოსლოვაკიამ მიიღო და ეს ორი ფაქტორის დამსახურება იყო: ჩეხოსლოვაკური ლეგიონისა და მასარიკის, რომელმაც ამერიკა მოიარა და ყველა მოხიბლა, ლონდონშიც კარგად იმუშავა და უკვე პარიზშიც მშვენივრად მომზადებული ჩავიდა. ყველაფერი ზედმეტად კარგად წარიმართა და ჩეხოსლოვაკიამ ისეთი ტერიტორიებიც მიიღო, რომლებზეც პრეტენზია (და სამართლიანიც) ჰქონდათ უნგრეთსა და პოლონელებს. ყველაზე საბედისწერო კი აღმოჩნდა ავსტრიელთა ყოფილი ტერიტორია, სუდეტი. აქაურ გერმანელებთან მიმართებაში თვითგამორკვევა არავის გაახსენდა იმ უბრალო მიზეზით რომ ეს კარგად განვითარებული სამრეწველო მხარე იყო და მის გარეშე ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკას ძალიან გაუჭირდებოდა. ადგილობრივ გერმანელებს დიდად არ გახარებიათ ჩეხოსლოვაკიის ქვეშევრდომებად გადაქცევა, მაგრამ მაშინდელ გერმანიასა და ავსტრიაში ცხოვრებას ეს არჩევანი ჯობდა. დაახლოებით 20 წელიწადში, როცა გერმანია ჰიტლერის ხელმძღვანელობით ფეხზე დადგა, სუდეტელებში გერმანელობამ გაიღვიძა (მიუხედავად იმისა, რომ ჩეხოსლოვაკია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა) და ჩეხოსლოვაკიის ნგრევაც დაიწყო. ნგრევის შედეგად მას უნგრეთმაც წაართვა ტერიტორია და პოლონეთმაც. მას გამოეყვნენ სლოვაკებიც, რომელთაც 1919 წელს ჩეხებმა დაპირებული ავტონომია არ მისცეს იმ მოტივით, რომ სლოვაკებს „მართვისა არაფერი გაეგებოდათ“. ასეთი ბედი ეწია პარიზის კონფერენციაზე ალბათ ყველაზე წარმატებულ ახალ სახელმწიფოს.

ყველაზე დიდ საცოდაობას კონფერენციაზე ახალი ავსტრია წარმოადგენდა. კარლის გადადგომა თითქმის ვერავინ შეამჩნია, ისევე როგორც ვერ შეამჩნიეს ჰაბსბურგთა ახალგაზრდა და უკანასკნელი იმპერატორის გრიპით გარდაცვალება 1922 წელს. იმპერიის დაშლა ვინმეს თუ აწუხებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ გაურკვეველი იყო, ვინ გადაიხდიდა მის წილ რეპარაციებს. ცხადია, თავიდან სურდათ, ჯობი თავად ავსტრიაზე გადაეტეხათ, მაგრამ ამ უკანასკნელს თითქმის არაფერი შერჩენოდა (იმპერიის ინდუსტრიულად განვითარებული მხარეები, როგორიც იყო სუდეტი, სხვებმა დაისაკუთრეს) და მისი მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ ჩინოსნები, რომელთაც ძალიან უჭირდათ. კიდევ უფრო მეტად უჭირდათ ოფიცრებს, რომლებიც ვენაში თავის სარჩენად ფეხსაცმელსც კი წმენდნენ. გამარჯვებულებმა ცოტა ხანი მაინც უტრიალეს ავსტრიელებს, მაგრამ ბოლოს დაასკვნეს, რომ მას მართლაც არ ჰქონდა რაიმეს გადახდის უნარი. ამის შემდეგ მათ გერმანიასთან გაერთიანება აუკრძალეს და 2 ივნისს სამშვიდობო ხელშეკრულებაც

მიართვეს, რომელშიც ავსტრიას რატომღაც წყალქვეშა ნავების ყოლა ეკრძალებოდა. 10 სექტემბერს ე.წ. სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით ავსტრიასთან მშვიდობა საბოლოოდ გაფორმდა.

უფრო მძიმე ხვედრი ხვდა ჰაფსბურგთა იმპერიის მეორე მმართველ ერს, უნგრელებს. ომის ბოლოსთვის მათ მოკავშირეების გულის მოსაგებად დემოკრატიული ცვლილებები გაატარეს და ბუდაპეშტი უილსონის პორტრეტებით ააჭრელეს; მაგრამ მოკავშირეებს უნგრელები შოვინისტებად მიაჩნდათ და ეჭვის თვალით უყურებდნენ. ტრანსილვანია, შეპირებისამებრ, რუმინეთს მისცეს (მას შემდეგ, რაც იქაურმა მოსახლეობამ ამ ნაბიჯს ხმა მისცა), რუმინეთთან უნგრეთს ნეიტრალური ზონა დაუწესეს და მწირ დახმარებასაც აძლევდნენ. შედეგად, მთავრობა დაეცა. აქ კი თავი წამოყო ბელა კუნმა, ეთნიკურად ებრაელმა ავანტიურისტმა, რომელიც ომის დროს რუსებს ჩაუვარდა ტყვედ, ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ კი რუსეთის ახალ მმართველებთან შეხვედრა მოახერხა და მათგან სამშობლოში საკმაოდ დიდი ფულით დაბრუნდა რევოლუციის მოსახდენად. იქ დემონსტრაციები მოაწყო და როცა პოლიციამ ცემა და ციხეში გაამწესა, თავი წამებულად და გმირად გამოაცხადა. შედეგად, როცა მთავრობა დაეცა, ლიდერობა სწორედ მას შესთავაზეს.

ასე იქცა უნგრეთი ერთადერთ სახელმწიფოდ, რომელშიც ბოლშევიკებმა რევოლუციის ექსპორტი მოახერხეს. გამარჯვებულებმა კუნთან დასაზვერად სმატსი გაგზავნეს, რომლისგანაც უნგრელთა ბელადმა აღიარება მოითხოვა, მაგრამ გამჭრიახმა სმატსმა ყველაფერი ამჯერადაც საღად შეაფასა, ახლადგამოჩეკილ დემაგოგს უარი უთხრა და პარიზში დაბრუნებულმა ოთხეული დაარწმუნა, მსგავსი რეგვენი ხელისუფლებაში დიდხანს ვერ გაატანსო. მართლაც, კუნის უნგრეთმა სულ 133 დღე გაძლო. იგი ლენინს ეფიცებოდა ძმობას და ატარებდა რეფორმებს, რომლებმაც ერთნაირად შეშალა ლიბერალებიცა და ღრმად მორწმუნეებიც. გარდა ამისა, სმატსის წასვლისთანავე ფრანგების ჩუმი თანხმობით უნგრეთს რუმინელები დაესხნენ თავს. მათ მიბაძეს ჩეხებმაც. ბრძოლისუნარიანობით ცნობილ უნგრელებში ხელახლა იფეთქა პატრიოტიზმმა და ორივე თავდამსხმელს გვარიანად მოხვდა, მაგრამ 1919 წლის 3 აგვისტოს ბუდაპეშტი მაინც დაეცა. დედაქალაქში შევიდნენ რუმინელები, ჩეხები და იუგოსლავებიც. რუმინელებმა იქაურობა კარგად გაძარცვეს და ისინი შემოდგომაზე ძლივს გაიყვანეს იქიდან. კუნი რუსეთში გაიქცა და იქ 30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირა. უნგრეთთან საბოლოო მშვიდობა 1920 წლის 4 ივნისს, ე.წ. ტრიანონის ხელშეკრულებით გაფორმდა. უნგრეთმა დაკარგა ტერიტორიები და რეპარაციებიც დაეკისრა. დაახლოებით 20 წელიწადში იგი ყველანაირი ძალდატანების გარეშე ჰიტლერის გერმანიის მოკავშირედ იქცა.

ყველაზე ემოციური ალბათ პოლონეთის სახელმწიფოებრიობის

აღდგენა იყო. ეს ამბავი ზღაპარს ჰგავდა, რადგან, როგორც ცნობილია, პოლონეთი ავსტრიელებს, გერმანელებსა და რუსეთს შორის იყო გაყოფილი. ომის დასაწყისისთანავე პოლონელთა მომავლმა ლიდერმა, იუზეფ პილსუდსკიმ განაცხადა, რომ სახელმწიფოებრიობის ხელახლა მოსაპოვებლად საჭირო იყო, გერმანელებსა და ავსტრიელებს რუსეთი დაემარცხებინათ და შემდეგ თავადაც დამარცხებულიყვნენ. მაშინ ეს მართლაც სასწაულებრივად ჟღერდა, მაგრამ სწორედ ასე მოხდა. ერთერთმა პოლონურმა ოჯახმა 1792 წელს (პოლონეთის პირველი გაყოფა) გადანახული ღვინო გახსნა. ომის სასწაულებრივად განვითარების გარდა პოლონეთს დაეხმარა დიდძალი დიასპორა ამერიკაში და დამოუკიდებლობის ომის რომანტიკული გმირის, ტადეუშ კოსტიუშკოს ხსოვნა. პოლონეთმა მიიღო გერმანიის ტერიტორიები დანციგის (გდანსკი) ჩათვლით (თუმცა თავისუფალი ქალაქის სტატუსით), რომელიც დაახლოებით 20 წელიწადში ჰიტლერის გერმანიასთან ომის მიზეზად (ან საბაბად) იქცა. ასევე იყო შანსი პოლონელებს ნახშირით მდიდარი ზემო სილეზიაც მიეღოთ, მაგრამ საბოლოოდ აქ პლებისციტი ჩაატარეს, ხმები გაიყო და დაახლოებით 70% გერმანელებს დარჩათ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სილეზიის გარეშე რეპარაციებს ვერაფრით გადაიხდიდნენ. არადა, სილეზიის ნახშირის უდიდესი ნაწილი მაინც პოლონეთს დარჩა. გალიციას პოლონელებს არ აძლევდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელებმა ეს მხარე უბრალოდ დაიკავეს და ყველაფერი ამით მორჩა.

პოლონელებს ვილნოზეც (ვილნიუსი) ჰქონდათ პრეტენზია, რამაც მწვავედ დააყენა ბალტიისპირეთის სახელმწიფოების პრობლემა. გამარჯვებულებს რუსეთის საზღვრების მეტად შეცვლა აღარ სურდათ, ამიტომ ბალტიისპირეთს არც ისე ოპტიმისტურად უყურებდნენ. საბოლოოდ იქაურობა გერმანელებს მიანდეს და სთხოვეს, ჯარი არ გაეყვანათ. გერმანელებმა იქ კერძო სამხედრო ფორმირებები შეუშვეს ბოლშევიკებთან ბრძოლის საბაბით და საბოლოოდ მათი იქიდან გამოყრა გახდა საჭირო. ვილნო, პილსუდსკის მშობლიური ქალაქი, პოლონელებმა დაიკავეს. ბალტიისპირელები საბოლოოდ მხოლოდ 1921 წლის იანვარში აღიარეს. იქამდე ორი წლით ადრე, 1919 წელს დამოუკიდებლად ცნეს რუსეთის იმპერიის კიდევ ერთი მხარე, ფინეთი.

სანამ რუსეთი ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო დალაგებული, პოლონელებმა პილსუდსკის მეთაურობით უკრაინის ტერიტორიების დაკავება მოინდომეს, რაც საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ 1920 წლის ზაფხულში რუსებმა პოლონეთს შეუტიეს, ვილნოც დაათმობინეს და აგვისტოში უკვე ვარშავასთან იდგნენ. მოსკოვში უკვე ბერლინზე გალაშქრებისა და რევოლუციის მთელ ევროპაში ექსპორტის გეგმებსაც აწყობდნენ, მაგრამ უკვე ვარშავასთან ბოლშევიკები სასტიკად დამარცხდნენ. პოლონელებს აქტიურად ეხმარებოდა ფრანგ ოფიცერთა ჯგუფი, რომელთა შორის იყო დე გოლიც. მრავალტანჯული ვილნო

ისევ პოლონელების ხელში გადავიდა და ასე უნდა ყოფილიყო მეორე მსოფლიო ომამდე...

სადაც ევროპაში ასეთი დრამები ვითარდებოდა, ბუნებრივია, უარესები ხდებოდა აზიაში, კონკრეტულად კი ოტომანთა იმპერიის ტერიტორიაზე. იმპერიის მზე რომ საბოლოოდ ჩაესვენა, ამას ყველანი კარგად ხვდებოდნენ. იანვრის ბოლოს, როცა თურქეთის საკითხი მანდატებზე მსჯელობის კონტექსტში დაისვა, ლოიდ-ჯორჯმა პირდაპირ განაცხადა, რომ სირია, მესოპოტამია, პალესტინა, ყველა არაბული ტერიტორია, ასევე სომხეთი და ქურთისტანი თურქეთს უნდა ჩამოშორებოდა. ჰაუზი საერთოდ თურქეთის დაშლას ფიქრობდა. ინგლისს ძალიან უნდოდა სრუტეებზე კონტროლის დამყარება, მაგრამ, ამავე დროს, დანარჩენ თურქეთზე (ანუ იმ ტერიტორიაზე, რაც თურქეთისგან უნდა დარჩენილიყო) პასუხისმგებლობის აღებას გაურბოდა და იმედი ჰქონდა, აქაურობაზე მანდატს ამერიკას ააღებინებდა. ბუნებრივია, თურქეთის ტერიტორიებზე თვალი ეჭირათ ბერძნებსაც. ვენიზელოსმა ლოიდ-ჯორჯი მოაჯადოვა და ინგლისის შემდეგ პრემიერ-მინისტრის უმთავრეს საზრუნავად საბერძნეთი იქცა. ასევე ჰქონდათ პრეტენზიები იტალიელებსაც, რომელთაც თურქეთის ტერიტორიებს 1917 წელს შეჰპირდნენ, როცა ინგლისი და საფრანგეთი ავსტრიელებთან მორიგებას ცდილობდნენ... მოკლედ, წესით თურქეთისგან მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო ზოლი უნდა დარჩენილიყო სრუტეების გარეშე.

მაგრამ ყველაფერი სხვანაირად წარიმართა. 1919 წლის მაისში ფიუმეზე განაწყენებულმა იტალიელებმა თურქეთში ჯარი კი გადასხეს, მაგრამ ამ ამბავს დიდი გაგრძელება არ მოჰყოლია. უილსონმა მათ თურქეთზეც უარი უთხრა და ეს იმით დაასაბუთა, რომ იტალიელებმა კოლონიების მართვა არ იცოდნენ. კლემანსოსა და ლოიდ-ჯორჯს უნდოდათ, იტალიელები როგორმე დაემშვიდებინათ და მორალისტს რომის იმპერიის გამოცდილება გაახსენეს, მაგრამ მან ამაზე მართებულად შენიშნა, იტალია ყველაფერია რომის იმპერიის გარდაო. ივნისში კი, როგორც ცნობილია, ორლანდოს მთავრობა დაეცა, ახალი მთავრობა შიდა პრობლემებზე გადაერთო და თურქეთი დაივიწყა. იტალიელებზე გაცილებით უკეთესი შანსი ბერძნებს ჰქონდათ. ლოიდ-ჯორჯი ვენიზელოსს სმირნას (იზმირი) ჰპირდებოდა და კონსტანტინოპოლზეც კი ესაუბრებოდა. ბერძნები სმირნაში გადასხდნენ, მაგრამ იქ მაშინვე თურქებს შეეტაკნენ, რამაც საქმე ძალიან გაურთულათ. ბერძნების შემოსვლის საპასუხოდ მთელი თურქეთი ფეხზე დადგა და ინგლისმა ადგილობრივ მთავრობას წესრიგის დამყარება სთხოვა. წესრიგის დამყარება ქემალს ანდეს.

და აქ დაიწყო ომი, რომელმაც შექმნა თანამედროვე თურქეთი. „წესრიგის დამყარების“ ნაცვლად 19 მაისს ქემალმა სამსუნში ჯარის აკრება დაიწყო და უკვე ივნისში ეროვნული წინააღმდეგობის ფრონტი გამოაცხადა. ინგლისელთა ზეწოლით ქემალს მთავრობამ უკან უხმო, მაგრამ

მომავალი ათათურქი ბრძანებას არ დაემორჩილა, ერზერუმში კონგრესი გამართა და იქ განაცხადა, რომ თურქები არავის დაუთმობდნენ თავისიანებით დასახლებულ მიწებს. წლის ბოლოსთვის ქემალმა ანკარაში გამოაცხადა დედაქალაქი და იქ პარლამენტიც მოიწვია.

ქემალის ამ გამოსვლამ შეაგულინა პარიზში თურქეთის მხარდამჭერები, რომლებიც მანამდე თურქების დაცვას ვერაფრით ახერხებდნენ, მით უფრო მას შემდეგ, რაც კონფერენციაზე ჩავიდა თურქების ჯერ კიდევ ოფიციალური მთავრობის მეთაური, სულთნის დის ქმარი. მისი გამოსვლა გულისამრევი იყო. მით უმეტეს, დიდი კონტრასტი იგრძნობოდა ვენიზელოსის ფონზე, რომელიც საბერძნეთზე რომანტიკული ისტორიებით ყველას გულს უჩუყებდა. კლემანსო ნაკლებად გულჩვილი გახლდათ. ბერძნებს საკუთარ ქვეყანაში ვერ აუშენებიათ გზები და მათ თურქეთის ტერიტორიები როგორ უნდა ვანდოთო, მიუთითა მან ლოიდ-ჯორჯს, რომელიც ვერა და ვერ აღწევდა თავს ვენიზელოსის ხიბლს. კლემანსოს სკეპტიციზმი იმითაც იყო გამოწვეული, რომ თურქეთის სახელმწიფო ვალის 60% საფრანგეთზე მოდიოდა. კლემანსოს გარდა თურქეთს უჭერდა მხარს ჩერჩილი და ბალფურის შემცვლელი ჯორჯ კერზონიც, მაგრამ ლოიდ-ჯორჯს არაფრის გაგონება არ სურდა. რაღაც მომენტში ამის გამო იგი კლემანსომ ლამის დუელშიც გაიწვია.

მაგრამ თურქეთის გულშემატკივრებსაც კი ვერ წარმოედგინათ, ქემალი სადამდე იყო წამსვლელი. როცა 1920 წლის მარტში ინგლისელებმა ფრანგებთან და იტალიელებთან ერთად კონსტანტინოპოლი დაიკავეს, ათათურქმა პასუხად ევროპელი ოფიცრები დააპატიმრა. ლოიდ-ჯორჯი მაინც არაფერს თმობდა და აპრილში თურქეთს კვლავაც მძიმე პირობები შესთავაზეს – სმირნა და თრაკიის დიდი ნაწილი საბერძნეთს, სომხეთს დამოუკიდებლობა, ქურთისტანს ავტონომია, სრუტეები საერთაშორისო ზედამხედველობის ქვეშ, იტალიასა და საფრანგეთს – გავლენის სფეროები. ქემალს ეს სიცილადაც არ ყოფნიდა. იგი ბოლშევიკებს დაუკავშირდა და თავი „კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის“ მტრად წარუდგინა. ბოლშევიკებმა შეიძლება ეს დიდად არ დაიჯერეს, მაგრამ იმას კი მიხვდნენ, რომ ჯობდა სრუტეები თურქების ხელში დარჩენილიყო, ვიდრე „საერთაშორისო მეთვალყურეობის“ ქვეშ გადასულიყო. ამიტომ ქემალმა მათგან ფული და იარაღი მიიღო. ცხადია, რუსულ-თურქული დაახლოება კავკასიის სამ ახალ სახელმწიფოს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) კარგს არაფერს უქადდა. მით უმეტეს, რომ 1919 წლის ბოლოს ბაქოდან და ბათუმიდან ინგლისელებმა იმ ჯარის გაყვანა დაიწყეს (ამ გასვლის მიზეზებზე ცოტა ქვემოთ), რომელიც იქ 1918 წლის ბოლოდან ეყენათ და ამგვარად, კასპიური ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გამავალ მარშრუტს აკონტროლებდნენ. ინგლისელთა ადგილი იტალიელებს უნდა დაეკავებინათ, რომელთათვისაც ფიუმეს სანაცვლოდ აზერბაიჯანი და საქართველო ერთგვარი კომპენსაცია უნდა ყოფილიყო,

მაგრამ იტალიის ახალმა მთავრობამ ამაზეც უარი თქვა. შედეგად, 1920 წლის აპრილში რუსებმა აზერბაიჯანი აიღეს, სომხეთში კი მალე ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა. ინგლისელებს იმედი ჰქონდათ, სომხეთზე მანდატს ამერიკელები აიღებდნენ, მაგრამ ამაოდ (უილსონი უარზე არ ყოფილა, მაგრამ კონგრესმა სასტიკი უარი განაცხადა). რაც შეეხება ქურთებს, მათი დიდი ნაწილი სულაც ქემალს შეუერთდა, რაც არ იყო გასაკვირი – ქურთებს შორის ბევრი მუსლიმი გახლდათ და მათ ბერძნებს თურქები გაცილებით ერჩივნათ. ინგლისელებს მათი მანდატით მართვა სურდათ, მაგრამ თავად ქურთებს ეს პერსპექტივა არ ხიბლავდათ.

ბოლოს და ბოლოს ვენიზელოსი მიხვდა, რომ მოქმედება იყო საჭირო. 1920 წლის აგვისტოში ინგლისელების კურთხევით ბერძნები შეტევაზე გადავიდნენ და თურქეთის ტერიტორიის სიღრმეშიც შევიდნენ. ამის ფონზე მალე სევრში სულთნის წარმომადგენლებმა სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმეს, რომლითაც ფაქტობრივად თურქეთის დაშლა აღიარეს. მაგრამ ქემალმა ხელშეკრულება არ ცნო. მან არა მხოლოდ ბერძნებთან გააგრძელა ომი, არამედ ისარგებლა იმით, რომ რუსები ამ დროს პოლონეთთან ომში გაიჭედნენ და სომხეთსაც შეუტია. თურქებმა 1878 წელს დაკარგული ტერიტორიები დაიკავეს და სომეხ ბოლშევიკებს მათზე უარიც ათქმევინეს. 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში გაფორმდა თურქულ-რუსული შეთანხმება, რომლითაც რუსეთმა სომხეთის ნაწილის (ყარსი, არდაღანი) თურქეთის ხელში გადასვლა ცნო. იმ დროისათვის რუსებმა საქართველოც დაიპყრეს. ქემალს ბათუმზე ეჭირა თვალი და როცა ბოლშევიკების არმია საქართველოს დაესხა თავს, თურქებმა ბათუმი დაიკავეს კიდეც, მაგრამ ქართველებმა ქალაქის უკან დაბრუნება შეძლეს და საბოლოოდ თურქებმა ბათუმზე უარი თქვეს. მოსკოვის შეთანხმებით, სრუტეებში მოძრაობის წესები შავი ზღვის სახელმწიფოებს უნდა დაედგინათ. ეს ის დათმობა იყო, რის სანაცვლოდაც რუსეთს სომხური ტერიტორიები ნამდვილად არაფრად უღირდა.

ბერძნებთან ომი კი 1920 წლის ნოემბერში დასრულდა, როცა ვენიზელოსი არჩევნებში დამარცხდა და შედეგად, საბერძნეთმა ინგლისელთა მხარდაჭერა დაკარგა. დამარცხება მნიშვნელოვნად განაპირობა ერთმა ტრაგიკულმა შემთხვევამ: მეფე კონსტანტინეს გაძევების შემდეგ ვენიზელოსმა ტახტზე დასვა მარიონეტი, კონსტანტინეს მეორე ვაჟი ალექსანდრე. ეს უკანასკნელი თურქეთთან ომს მხარს უჭერდა და ამგვარად, ვენიზელოსსაც უმაგრებდა ზურგს, მაგრამ ოქტომბერში მას შინაურმა მაიმუნმა უკბინა და ახალგაზრდა მეფე მალე ჭრილობისგან გარდაიცვალა. ამან სერიოზულად შეურყია პოზიციები ვენიზელოსს და არჩევნებიც წააგებინა. მალე მეფე კონსტანტინეც ზარ-ზეიმით დაბრუნდა (თუმცა, თურქებთან დამარცხების შემდეგ ტახტი ძალიან მალე ისევ და უკვე საბოლოოდ დაკარგა).

მოკლედ, ვენიზელოსის დამარცხების შემდეგ ბერძნები მხოლოდ

საკუთარი თავის იმედად უნდა ყოფილიყვნენ. ფრანგებმა 1921 წლის ოქტომბერში ქემალის მთავრობა ცნეს და ჯარი გაიყვანეს. 1922 წლის აგვისტოში ქემალი უკვე სმირნას მიადგა და მალე აიღო კიდეც. ბერძნები ქალაქიდან გაიქცნენ. ქალაქში შესულმა თურქებმა ბერძნული და სომხური კვარტლები ცეცხლს მისცეს. ინგლისელებს კონსტანტინოპოლის შენარჩუნების იმედი ჰქონდათ, მაგრამ იქ უკვე მარტოდ იყვნენ დარჩენილნი და ამიტომ მოლაპარაკებებზე წავიდნენ. ნოემბერში ლოზანას კონფერენციაზე თურქეთის ბედი საბოლოოდ გადაწყდა. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებს იქ კვლავაც ვენიზელოსი წარმოადგენდა (იგი კიდევ ერთხელ დაბრუნდა ბერძნულ პოლიტიკაში კონსტანტინეს დამხობის შემდეგ), თურქეთთან ვერავინ ვერაფერს გახდა. რაც უნდა ძლიერი პოლიტიკოსი ყოფილიყო ვენიზელოსი, მას მეტად ღირსეული მეტოქე ჰყავდა ქემალის სახით. ამ უკანასკნელმა კონფერენციაზე თავისი უერთგულესი თანამებრძოლი (და შემდგომ – მისივე მემკვიდრე) ინონი ისმეტი მიაგზავნა, რომელიც არაფერს თმობდა და ყველაფერზე პასუხად ათათურქის ინსტრუქციებს იმეორებდა.

საბოლოოდ თურქეთმა გაიმარჯვა. მას რეპარაციები არ დაეკისრა, გარდა ამისა, შეინარჩუნა ყველა ტერიტორია, რომელსაც აკონტროლებდა, და მიიღო სრუტეებიც. თუმცა, მიღებასაც გააჩნია. სრუტეებზე ახალი შეთანხმებით ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის გარანტიები გავრცელდა, რითაც ხაზი გადაესვა მოსკოვის შეთანხმების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს. გაცოფებულმა ბოლშევიკებმა ლოზანას ეს პუნქტი არ აღიარეს. ქემალმა კი, მიიღო რა შეთანხმების სახით რუსებისგან კარგი დაცვის მექანიზმი, საბოლოოდ „ჩამოისხნა ნიღაბი“ – თურქეთში ბოლშევიკებს (უფრო სწორად, კომუნისტებს – უკვე დროა გამოვიყენოთ ეს ტერმინი) დაერია და მოსკოვს კარგად დაანახა, რომ სინამდვილეში „კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის“ მტერი კი არ იყო, არამედ ბოლშევიკები აქეთ აქცია „სასარგებლო იდიოტებად“.

ოტომანთა იმპერიის ადგილას თანამედროვე თურქეთის გარდა სხვა სახელმწიფოებიც აღმოცენდა, თუმცა ამას ომის შემდეგ გარკვეული დრო დასჭირდა. როგორც უკვე ვიცით, ანტანტამ თურქეთს არაბები აუჯანყა. 1915 წელს ინგლისელებმა მექას შერიფთან, ჰუსეინთან წამოიწყეს მოლაპარაკებები და თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის შემთხვევაში დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნას შეჰპირდნენ. თავად ინგლისელები ამ საქმეს დიდად პერსპექტიულად არ მიიჩნევდნენ, რადგან ჰუსეინს არც ისე მყარი პოზიციები ჰქონდა ადგილობრივებში, მიუხედავად იმისა, რომ 1916 წელს, აჯანყების დაწყების შემდეგ, მან თავი არაბთა მეფედ გამოაცხადა. მაგრამ მალე აჯანყებაში კარგად გამოიჩინა თავი ჰუსეინის ვაჟმა ფეისალმა, რომელსაც გვერდიდან არ შორდებოდა პოლკოვნიკი ლოურენსი. ომის დამთავრების შემდეგ სწორედ ლოურენსის მეცადინეობით ფეისალი სირიის ადმინისტრატორად იქცა, რაც, ცხადია, ფრანგებს არ ესიამოვნათ (სირია წესით მათ უნდა შეხვედროდათ). საქმეს ისიც ართულებდა, რომ ინგლისელები და ფრანგები კონფერენციის დაწყებამდე კიდევ ერთხელ გარიგდნენ და ინგლისელებს მესოპოტამიის გარდა იერუსალიმიც უნდა მიეღოთ, ფრანგებს კი – სირია ლიბანის ჩათვლით. ინგლისელები ცდილობდნენ, ფეისალი დაერწმუნებინათ, პალესტინა სირიის ნაწილად არ განეხილა, ასევე, უნდა შეგუებოდა პალესტინაში სიონისტთა ყოფნას და, რაც მთავარია, უნდა შეგუებოდა სირიაზე „ფრანგების გავლენას“.

ასეთ ვითარებაში ჩავიდა ფეისალი პარიზში, რომელსაც გვერდს არაბულად გამოწყობილი ლოურენსიც უმშვენებდა. ინგლისელები ყველანაირად ცდილობდნენ, ფეისალის ინტერესები გაეთვალისწინებინათ თუნდაც იმიტომ, რომ სირიაში, სუეცის არხის მახლობლად ფრანგული ჯარის ყოფნა ხელს არ აძლევდათ. ლოიდ-ჯორჯმა პირდაპირ სთხოვა კლემანსოს ფეისალი სირიის მმართველად ელიარებინა, რაზეც ვეფხვი განრისხდა და საშველად ჰაუზს მიმართა. უილსონმა სირიის საკითხის შემსწავლელი კომისიის შექმნა მოინდომა, რაზეც ვეფხვმა უპასუხა, რომ ანალოგიური კომისია მესოპოტამიისა და იერუსალიმის საკითხზეც უნდა შეექმნათ. მარტის ბოლოს ის და ლოიდ-ჯორჯი სერიოზულად წაეკიდნენ ერთმანეთს. ფეისალი ამ დროს კომპრომისის სახით დამოუკიდებელ არაბეთს ითხოვდა ლიბანისა და პალესტინის გამოკლებით. როცა მას აუხსნეს, რომ მანდატის ქვეშ მოუხდებოდა არაბეთის მართვა, მან არჩევანი ამერიკულ მანდატზე გააკეთა, რაც ლოგიკური იყო – ამერიკას, ფრანგებისა და ინგლისელებისგან განსხვავებით, იქ ინტერესი არ ჰქონდა. მაგრამ, ცხადია, ფეისალის ეს ლოგიკა არაბული სახელმწიფოს შესაქმნელად საკმარისი არ იყო...

ძალიან მალე ვითარება აირია და საიკს-პიკოს შეთანხმების ფარგლებს გასცდა. სხვების მაგალითით შეგულიანებული ეგვიპტე დამოუკიდებლობას ითხოვდა და ინგლისელებს იქაურობის კონტროლი უკვე ძალიან უჭირდათ. 1922 წელს ინგლისელებმა ეგვიპტეს დამოუკიდებლობა მისცეს და მხოლოდ სუეცის არხზე კონტროლი შეინარჩუნეს. პარალელურად ინდოეთში თავი წამოყო მაჰათმა განდიმ, რომელმაც თანამემამულეები იმპერიის წინააღმდეგ აამხედრა, ინგლისელთა მართვის მახინჯ მხარეებზე მიუთითა, მათ შორის – ომში დაღუპულ ინდოელებზე, გრიპისგან გარდაცვლილ 12 მილიონ მოქალაქეზე და ა.შ. ინგლისელები იძულებულნი ხდებოდნენ, ჯარი გაეყვანათ რუსეთიდანაც, კავკასიიდანაც, ირანიდანაც და ინდოეთსა და ეგვიპტეში გადაესროლათ. ამას ისიც დაემატა, რომ ფეისალი სირიაში დაბრუნების შემდეგ ზედმეტად გააქტიურდა და მესოპოტამიას, ეგვიპტესა და თურქეთსაც კი მიმართა ერთად გამოსვლის მოწოდებებით. ინგლისელები მიხვდნენ, რომ ამას ისევ სირიაში ფრანგების ყოფნა ჯობდა და 1919 წლის ბოლოსთვის მათ ყველაფერზე გაურიგდნენ. პალესტინისა და მესოპოტამიის მანდატები ინგლისმა

მიიღო, სირიისა – საფრანგეთმა (1922 წელს ეს ერთა ლიგამაც დაადასტურა). ფრანგებს ძალიან აღიზიანებდათ ის ფაქტი, რომ მესოპოტამია, მოსულის ნავთობის ჩათვლით, ინგლისს რჩებოდა, მაგრამ საბოლოოდ ამაზეც მორიგდნენ და მოსულის ნავთობიც გაიყვეს.

ფეისალმა ცხადია გარიგება გააპროტესტა, ლოურენსი კი ნამდვილ დეპრესიაში ჩავარდა. არაბები დანუნციოს გამოხდომის გამეორებითაც იმუქრებოდნენ. 1920 წლის მარტში სირიის კონგრესმა ფეისალი მეფედ გამოაცხადა, მისი ძმა აბდულა კი – მესოპოტამიის მეფედ. ამის პასუხად ლიბანმა ჯერ სირიისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა, შემდეგ კი იქ ფრანგული ჯარი შევიდა. ფეისალი იტალიაში გაიქცა, მაგრამ არც ისე დიდი ხნით – ინგლისელებს მესოპოტამიის კონტროლი უჭირდათ და საბოლოოდ ფეისალი იქ მეფედ მიიწვიეს. 1932 წელს მესოპოტამიაზე ინგლისური მანდატი ამოიწურა და ის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ერაყად იქცა. 1933 წელს ფეისალი გარდაიცვალა. ორ წელიწადში დაიღუპა ლოურენსი. ფეისალის დინასტია 1958 წელს დაემხო, როცა გადატრიალების შედეგად მისი შვილიშვილი დაიღუპა და ერაყი რესპუბლიკად იქცა. რაც შეეხება სირიას, ფრანგებმა მის გასაკონტროლებლად და დასასუსტებლად დიდი ლიბანი შექმნეს. ასე აღმოცენდა რამდენიმე ყველაზე პრობლემატური სახელმწიფო მსოფლიო რუკაზე.

განაჩენი

1919 წლის 28 აპრილს ბერლინიდან პარიზისკენ გერმანული დელეგაცია დაიძრა ახალი საგარეო მინისტრის, ულრიხ ფონ ბროკორფ-რანცაუს მეთაურობით. მას უილსონისა და 14 პუნქტის იმედი ჰქონდა და ამ იმედს ბოლომდე ებღაუჭებოდა (მიუხედავად იმისა, რომ დანციგისა და საარის ამბები უკვე იცოდა). სწორედ ამ იმედით იყო, რომ გერმანელებმა პრეზიდენტს უფლებამოსილება გაუზარდეს და ამგვარად თავიანთი მოდელი ამერიკულს მიამსგავსეს (ასე იშვა ვაიმარის რესპუბლიკად წოდებული ახალი გერმანია).

გერმანელთა მატარებელი ნელა მოძრაობდა. ფრანგებმა მათ განგებ გამოატარეს ომით დანადგურებული ადგილები. დელეგაცია ზუსტად იმ სასტუმროში განათავსეს, სადაც ცხოვრობდა ფრანგების დელეგაცია 1871 წელს ბისმარკთან მოლაპარაკებების დროს. ცხადია, გერმანელთა ვითარება კიდევ უფრო უარესი იყო. მათ საქმე ჰქონდათ ერთდროულად ხუთ დიდ სახელმწიფოსთან, რომელთაც ყველაფერი უკვე მათ გარეშე გადაეწყვიტათ და ახლა უბრალოდ ინფორმაციას აწვდიდნენ.

7 მაისს დელეგაციას ოფიციალურად გადასცეს სამშვიდობო ხელშეკრულების ტექსტი. გერმანელებს პასუხის მოსამზადებლად ორი კვირა მიეცათ. ისინი კარგს არაფერს ელოდნენ, მაგრამ ნანახმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა: გერმანიას უნდა დაეკარგა ტერიტორიის 13% და მოსახლეობის 10%. ამას ჯობდა უბრალოდ დაეწერათ, გერმანია უარს ამბობს ყველანაირ პრეტენზიაზე, რომ იარსებოსო, აღმოხდა რანცაუს. უილსონმა და 14 პუნქტმა მას და სხვა გერმანელ ოპტიმისტებს იმედები არ გაუმართლათ. მოყოლებული იქიდან, უილსონი გერმანიაში ყველაზე საძულველ ადამიანად იქცა. 1924 წელს, როცა იგი გარდაიცვალა, გერმანიის საელჩო ამერიკაში ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც დროშის დაშვებაზე უარი განაცხადა.

ყველაზე უფრო მძიმედ გერმანელებს მოეჩვენათ პუნქტი ომის დანაშაულის შესახებ. ეს პუნქტი შემდეგს ამბობდა: „მოკავშირეებისა და მათთან დაახლოებული სახელმწიფოების მთავრობები ცნობენ გერმანიისა და მისი მოკავშირეების პასუხისმგებლობას იმ დანაკარგსა და ზარალზე, რომელიც მიადგა მოკავშირეებისა და მათთან დაახლოებული სახელმწიფოების მთავრობებსა და მათ მოქალაქეებს იმ ომის შედეგად, რომელიც მოჰყვა გერმანიისა და მისი მოკავშირეების აგრესიას“. ტექსტი ყველაფერს პირდაპირ გერმანიას არ აბრალებდა, მაგრამ საბოლოოდ აგრესორად სწორედ ის გამოჰყავდა და შედეგად, რეპარაციის გადახდასაც აკისრებდა.

გერმანელების პასუხი გამარჯვებულებმა მაისის ბოლოს მიიღეს (მათ ვადა გაუგრძელეს). ხელშეკრულება ეწინააღმდეგებოდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და მხოლოდ გერმანიისგან ითხოვდა განიარაღებას; გერმანია არ აპირებს ომის დანაშაულის თავის თავზე აღებას – ნათქვამი იყო პასუხში, რომელიც მორალისტის სინდისს უმიზნებდა. მართლაცდა, ბევრ ამერიკელსაც არ მოსწონდა ხელშეკრულება, რადგან მასში უილსონის 14 პუნქტისგან თითქმის არაფერი დარჩენილიყო. ლოიდ-ჯორჯიც ღელავდა. სმატსმა გაახსენა, თავის დროზე ბურებთან ომის შემდეგ ინგლისელებმა მათ მეტად ზომიერი ხელშეკრულება გაუფორმეს და სწორედ ამის შედეგად შეინარჩუნეს ეს მხარეო. 1 ივნისს ლოიდ-ჯორჯი თავის მინისტრებს შეხვდა, რომლებმაც აღიარეს, რომ გერმანელთა პასუხი მეტწილად სამართლიანი იყო. ჩერჩილმა განაცხადა, რომ გერმანელთა მიმართ ფრანგების სიძულვილი ყველანაირ ადამიანურობას სცდებოდა. ფრანგებმა კი ამასობაში რაინლანდში თავიანთ მომხრეებს დამოუკიდებლობის მოთხოვნის სცენა დაადგმევინეს, მაგრამ ამას არაფერი მოჰყოლია, ერთადერთი – ლოიდ-ჯორჯს გადააწყვეტინა, ინგლისური ჯარი რაინლანდში დიდი ხნით არ დაეტოვებინა. პრემიერ-მინისტრი პარიზში დაბრუნდა და ოთხეულის შეხვედრაზე განაცხადა, რომ ხელშეკრულების შერბილება და გერმანიის ერთა ლიგაში მიღება იყო საჭირო. კლემანსო ამაზე შეიშალა, რადგან ფრანგებს ხელშეკრულება ისედაც მეტისმეტად რბილად ეჩვენებოდათ.

ლოიდ-ჯორჯმა საბოლოოდ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ზემო სილეზია ავტომატურად პოლონეთს არ შეუერთდა და იქ პლებისციტი

გამოცხადდა. კლემანსომ არაფერი დათმო რაინლანდზე და განაცხადა, რომ ოკუპაციის 15 წელიწადს ერთი დღეც კი არ დააკლდებოდა. ერთა ლიგაში გერმანიას მხოლოდ მაშინ მიიღებდნენ, თუკი „კარგად მოიქცეოდა“ და გამარჯვებულთა გულს მოიგებდა. ოდნავ განახლებული ხელშეკრულება გერმანელებს 16 ივნისს გადასცეს და საბოლოოდ მათ პასუხისათვის ვადა 23 ივნისამდე მიეცათ. დელეგაცია ბერლინში გაემგზავრა ბრბოს ისტერიული შეძახილების ფონზე. გამარჯვებულები სრულფასოვანი ბლოკადისა და შუაგულ გერმანიაში ჯარის შესაყვანად გაემზადნენ. პასუხად გერმანელებმა 21 ივნისს თავიანთი ფლოტის დიდი ნაწილი ჩაძირეს. ინგლისელებს, რომელთაც რეაგირება და (ძირითადად, მათთვის განკუთვნილი) ხომალდების გადარჩენა ვერ მოასწრეს, ყველა დასცინოდა. ამის შემდეგ ინგლისელებს გერმანიის დაცვით თავი აღარ გამოუდიათ.

გერმანიაში გაისმოდა მოწოდებები, ხელშეკრულებაზე ხელი არ მოეწერათ. სამხედროები ერცბერგერის მოკვლაზე, აღმოსავლეთში ახალი სახელმწიფოს გამოცხადებასა (დასავლეთში მოსახლეობის უმრავლესობა ხელმოწერის წინააღმდეგი არ იყო) და აჯანყებაზე ფიქრობდნენ. ერცბერგერი ამბობდა, რომ ხელშეკრულების მიღებაზე კიდევ უფრო უარესი შედეგები მის არმიღებას მოჰყვებოდა – ოკუპაცია, კოლაფსი და, ვინძლო, ბოლშევიკების გამარჯვებაც. რანცაუ პასუხობდა, მოკავშირეები ოკუპაციაზე წამოსვლას ვეღარ გაბედავენო. 20 ივნისს მთავრობა გადადგა. წავიდა რანცაუც. ებერტი დაარწმუნეს, დარჩენილიყო. 22 ივნისს მან ახალი მთავრობა შეკრიბა. ამის შემდეგ პარლამენტმა ხელშეკრულებას მხარი დაუჭირა იმ პირობით, რომ გერმანია არ სცნობდა ომის დანაშაულის მუხლს, დანებებისა და ომში დამნაშავეების გასამართლების მუხლებს. ამაზე პარიზიდან პასუხი მოკლე მივიდა – ხელშეკრულება მთლიანად და უპირობოდ უნდა მიეღოთ. რახან პარლამენტარებისა და მინისტრების ნაწილი შინ იყო წასული, გერმანიამ ვადის გადაწევა ითხოვა. უარით უპასუხეს. ბოლოს რაღაც მოახერხეს და 17 საათსა და 40 წუთზე პარიზში გერმანელების პასუხი მივიდა. გერმანელები განაჩენს ეთანხმებოდნენ.

ხელმოწერის ცერემონია 28 ივნისს დანიშნეს – ერჰერცოგის მკვლელობის დღეს. ადგილად ისევ ვერსალის სასახლის სარკეებიანი დარბაზი შეარჩიეს (სადაც 1871 წელს გერმანიის იმპერია გამოცხადდა). პარიზში ყველა კარგ გუნებაზე იყო. ბერლინში კი ამ დროს ფრიდრიხ დიდის ძეგლის წინ ფრანგულ დროშებს წვავდნენ. გერმანიიდან ხელმოწერის ცერემონიალზე წასვლა არავის სურდა. მხოლოდ 27 ივნისს დათანხმდნენ წასვლას საგარეო მინისტრი ჰერმან მიულერი და ტრანსპორტის მინისტრი ოჰანეს ბელი.

იმავე დილით საფრანგეთთან შეთანხმებები გააფორმეს ინგლისმა და ამერიკამ. ისინი ვალდებულებას იღებდნენ, გერმანიის მხრიდან

თავდასხმის შემთხვევაში ფრანგებს დახმარებოდნენ. ჰაუზს ეჭვი არ ეპარებდა, რომ კონგრესი ამას არ დაამტკიცებდა. ეს უილსონმაც იცოდა და ამიტომაც ხელი უპრობლემოდ მოაწერა. მის საქციელს ის ამართლებს, რომ გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ ერთა ლიგა საფრანგეთის დაცვის საჭიროებას მოხსნიდა. არადა, ინგლისის გარანტია ამერიკის გარანტიაზე იყო მიბმული და ის მაშინვე გაუქმდა, როგორც კი კონგრესმა ჩააგდო.

უილსონმა არ იცოდა, რომ მთავარი იმედგაცრუებები წინ ელოდა. კონგრესში არ მალავდნენ, რომ ერთა ლიგის ქარტია არ მოსწონდათ და მის მისაღებად, სულ მცირე, კონკრეტული დათმობები იყო საჭირო. უპირველესად, კონგრესს არ უნდოდა, რომ ერთა ლიგას მისთვის ომის გამოცხადება-არგამოცხადების უფლებამოსილება შეეზღუდა. მაგრამ უილსონი არაფერს თმობდა. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ იგი ქარტიის გასატანად ახალ კამპანიას შეუდგა, მაგრამ სექტემბერში პრეზიდენტს დამბლა დაეცა. ნოემბერში მას კომპრომისული ვარიანტი შესთავაზეს, მაგრამ ავადმყოფობის გამო რეალობას მოწყვეტილმა პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ თქვა უარი და საბოლოოდ ამერიკა ერთა ლიგის მიღმა დარჩა. 1920 წელს უილსონს იმედი ჰქონდა, რომ მესამე ვადითაც გახდებოდა პრეზიდენტი. იმედი მას გარდაცვალებამდე არ დაუკარგავს...

მაგრამ 28 ივნისს ასეთ რამეებზე არავინ ფიქრობდა. პარიზი ზეიმობდა, ხელმოწერას სმა, ცეკვები და საყოველთაო ზეიმი მოჰყვა. დედაქალაქი ჭკუიდან ლამის შეიშალა. თავად ცერემონიალმაც არნახული პომპეზურობით ჩაიარა. გაფითრებულმა გერმანელებმა ხელის კანკალით მოაწერეს ხელი მათთვის გამოტანილ განაჩენს და იქაურობა დატოვეს. ფრანგთა ლიდერებიდან ცერემონიალს არ ესწრებოდა მხოლოდ ფოში, რომელსაც მიაჩნდა, რომ კლემანსო მოლაპარაკებებში დამარცხდა, რადგან რაინზე საზღვარი ვერ მიიღო. ცერემონიალზე ასევე არ იყვნენ ჩინელები, რომელთაც იაპონიისათვის შანტუნგის ნახევარკუნძულის (გერმანიის ყოფილი კოლონიის) მიცემა გააპროტესტეს. ეს ერთადერთი საკითხი იყო, რომელიც იაპონელებს აინტერესებდათ და თავიანთი მარტივად გაიტანეს – როცა ამერიკელთა მხრიდან წინააღმდეგობა შეხვდათ, ერთა ლიგის ქარტიაში რასობრივი თანასწორობის მუხლის შეტანა მოითხოვეს. ამისათვის ამერიკა მზად არ იყო და შანტუნგი იაპონიას დარჩა. მოყოლებული იქიდან, ჩინეთმაც გაიღვიძა...

ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო. ჰიტლერი, სტალინი, ჩერჩილი, დე გოლი, მუსოლინი, პეტენი, გერინგი – მორიგი დიდი ომის გმირები თუ ანტიგმირები – უკვე სცენაზე იდგნენ და საქმე ბოლომდე მათ უნდა მიეყვანათ.

ბოლოთქმა

პირველი წიგნის („დიპლომატიის ისტორია. მე-19 საუკუნე“) დაწერიდან ორ წელიწადზე მეტი ისე გავიდა, რომ ნაკლებად მჯეროდა, თუკი გაგრძელებას ოდესმე დავწერდი. კიდევ უფრო ნაკლებად წარმოვიდგენდი, რომ გაგრძელებას (ანუ, ამ წიგნს) დავწერდი ხუთ თვეში. შემდეგ ისე მოხდა, რომ გასული წლის შემოდგომაზე გადავიკითხე პრუსტი (აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მანამდე არც ის მეგონა, თუკი პრუსტს სტუდენტობის შემდეგ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებოდი, თუნდაც იმიტომ, რომ საამისოდ წესით დრო ვერ უნდა გამომენახა). პრუსტთან ხელახლა აღმოვაჩინე დრეიფუსის დროინდელი საფრანგეთი და ალბათ პირველ მთავარ ბიძგად სწორედ ეს იქცა. ახალი წლის დღეებში კი აღმოვაჩინე ჩემთვის იქამდე უცნობი ავტორი დევიდ გემელი და მისი ტრილოგია „ტროა“. ტროას ომი ყოველთვის მაინტერესებდა და ამჯერად ვნახე ის, რასაც ვეძებდი – ავტორს ტროას ომი თავის ჭკუაზე ჰქონდა გადამღერებული, ყვებოდა თავის ისტორიას, სადაც აღარ იყო ლეგენდები, მაგრამ სამაგიეროდ იყო ამბები, საიდანაც შეიძლებოდა გაჩენილიყო ლეგენდები (მაგალითად, ტროას ცხენზე, რომელიც აქაც მაქვს ნახსენები). საბოლოო ბიძგად ალბათ ეს იქცა.

წიგნზე მუშაობის დაწყებისთანავე მისით დაინტერესდა ჩემი მეგობარი და ისტორიის საოცრად კარგად მცოდნე ნოდარ ხარშილაძე, რომლისგანაც ბევრი კრიტიკაც მივიღე. ასევე ძალიან დამეხმარა საწყის ეტაპზე შენიშვნებით ჩემი მეგობარი და კოლეგა ბაკურ კვაშილავა, რომელიც, იმედია, თავადაც დაწერს სახელმძღვანელოს და ამით ისიც გაახარებს ჩვენს სტუდენტებს. ცხადია, ჩემთვის განსაკუთრებით საამაყო იყო ჩემი შვილის, სანდრო შარაშენიძის ჩართულობა, რომელმაც ამ წიგნისთვისაც გააკეთა რუკები (მას შემდეგ, რაც კარგად წაიკითხა).

ამ წიგნში შევინარჩუნე ჩემი ზოგიერთი ახირება და ბრიტანეთის ნაცვლად ვწერ ინგლისს, აშშ-ის ნაცვლად – ამერიკას. ასევე კვლავაც არ ვახსენებ ტერმინ „ცარს“ და არ ვახსენებ ტერმინ „კაიზერს“. ამ ახირებიდან ერთადერთი სრულფასოვანი ახსნა აშშ-სთან დაკავშირებით მაქვს – ამერიკის შეერთებული შტატები ერთობ უხეირო თარგმანია და უკეთესი იქნებოდა თავის დროზე დამკვიდრებულიყო „ამერიკის გაერთიანებული შტატები“.

თუკი თქვენი მონა-მორჩილი ასევე შეინარჩუნებს აკადემიურ თავისუფლებას, მაშინ წესით საკმაოდ მალე უნდა გამოჩნდეს „დიპლომატიის ისტორია. 1920-1945“. ამის შემდეგ ცივი ომი იწყება, რომელიც არ მიყვარს და ამიტომაც „დიპლომატიის ისტორია“ ტრილოგიად დარჩება.

თბილისი. 10 ივნისი. 2015 წ.

პარიზის კონფერენციის ოთხეული – ლოიდ-ჯორჯი, ორლანდო, კლემანსო, უილსონი

პოლკოვნიკი ჰაუზი (1858-1938)

ახალგაზრდა თურქების ლიდერი ენვერ ფაშა (1881-1922)



ბერძნების ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ლიდერი ვენიზელოსი (1864-1936)

წინა რიგში ფეისალი (1885-1933), მისგან ხელმარცხნივ ლეგენდარული პოლკოვნიკი ლოურენსი (1888-1935)

იტალიელი მწერალი, ფიუმეს ავანტიურის მთავარი მოთავე დანუნციო (1863-1938)



ერთა ლიგის ერთ-ერთი შემოქმედი, სამხრეთ აფრიკის საგარეო მინისტრი სმატსი (1870-1950)

ფოში

გერმანიასთან სამშვიდობო
ხელშეკრულების გაფორმება ვერსალში



ევროპა პარიზის კონფერენციის შემდეგ

ქრონოლოგია

1890 – გერმანია უარს ამბობს გადაზღვევის ხელშეკრულების განახლებაზე;

1894 – ფორმდება რუსულ-ფრანგული ალიანსი;

გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III, ტახტზე ადის ნიკოლოზ II;

1899 – ინგლისი ტრანსვაალის წინააღმდეგ ომს იწყებს;

1902 – იტალიასა და საფრანგეთს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის ომში ჩართვის შემთხვევაში იტალია ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს;

ინგლისსა და ტრანსვაალს შორის ომი მთავრდება

1903 – დრაგუტინ დიმიტრიევიჩის მეთაურობით „შავმა ხელმა“ სერბეთის სამეფო ოჯახს ხოცავს და ტახტზე პრორუსულ დინასტიას სვამს;

1904 – რუსეთი ომს აგებს იაპონიასთან;

საფრანგეთი ინგლისის ეგვიპტეზე გავლენას აღიარებს და სანაცვლოდ იღებს მაროკოს (ფრანგულ-ინგლისური ანტანტა);

1905 – სისხლიანი კვირა: რუსეთის ჯარი ნიკოლოზთან თხოვნით მისულ ხალხს ცეცხლს უხსნის (იანვარი);

ვილჰელმი მაროკოს გამო პრეტენზიას აცხადებს;

ვილჰელმი ნიკოლოზს ბიორკოში ხვდება (ივლისი);

რუსეთში პარლამენტს (დუმას) ირჩევენ;

1906 – მაროკოს საკითხზე კონფერენცია იმართება, რომელიც ფრანგების დიპლომატიური გამარჯვებით მთავრდება (იანვარი);

იწყება ფრანგულ-ინგლისური სამხედრო კონსულტაციები;

1907 – ინგლისი და რუსეთი აზიაში გავლენის სფეროებს ინაწილებენ (ინგლისურ-რუსული ანტანტა);

1908 – ავსტრია-უნგრეთი ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსიას ახდენს;

თურქეთში ენვერის მეთაურობით ე.წ. ახალგაზრდა თურქები გადატრიალებას ახდენენ;

1911 – იტალია თურქეთს უტევს;

1912 – ედუარდ გრეის წერილი პოლ კამბონს – ინგლისი და საფრანგეთი სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებაზე თანხმდებიან;

ბალკანეთის ლიგა თურქეთს უტევს (ოქტომბერი);

1913 – ბულგარეთი სერბეთსა და საბერძნეთს უტევს (ივნისი);

ლიმან ფონ სანდერსი თურქეთის ჯარის სარდლად ინიშნება;

1914

ფრანც-ფერდინანდის მკვლელობა სარაევოში (28 ივნისი);

ავსტრია-უნგრეთი სერბეთს ულტიმატუმს უყენებს (23 ივლისი);

ავსტრია-უნგრეთი სერბეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებს წყვეტს და მობილიზაციას იწყებს; რუსეთი წინასამობილიზაციო მზადებას იწყებს (25 ივლისი);

ინგლისის ფლოტი მზადყოფნის ბრძანებას იღებს (26 ივლისი);

ავსტრია-უნგრეთი ომს უცხადებს სერბეთს (28 ივლისი);

რუსეთი სრულ მობილიზაციას იწყებს (30 ივლისი);

გერმანია წინასამობილიზაციო მზადებას იწყებს; გერმანია საფრანგეთს და რუსეთს ულტიმატუმს უყენებს; ბელგია იწყებს მობილიზაციას (31 ივლისი);

საფრანგეთი და გერმანია მობილიზაციას იწყებენ; გერმანია რუსეთს ომს უცხადებს; ინგლისი ფლოტის მობილიზაციას იწყებს (1 აგვისტო);

გერმანია თურქეთთან საიდუმლო ხელშეკრულებას აფორმებს, გერმანია ბელგიას ულტიმატუმს უყენებს (2 აგვისტო);

ბელგია უარს ამბობს ულტიმატუმის პირობების შესრულებაზე (3 აგვისტო);

ინგლისი გერმანიას ულტიმატუმს უყენებს; გერმანია ბელგიას ომს უცხადებს; ინგლისი გერმანიას ომს უცხადებს; „გობენი“ და „ბრესლაუ“ კონსტანტინოპოლისკენ დაძვრის ბრძანებას იღებენ; ჰორაციო კინჩერი ინგლისის ომის მინისტრად ინიშნება (4 აგვისტო);

გერმანელები ლიეჟს მიადგნენ (5 აგვისტო);

„გობენი“ და „ბრესლაუ“ დარდანელში შედიან (10 აგვისტო);

იწყება ინგლისის საესპედიციო ძალების კონტინენტზე გადასხმა (12 აგვისტო);

გერმანელები ლიეჟს იღებენ (16 აგვისტო);

ფრანგები ელზასის მიმართულებით შეტევაზე გადადიან და ელზასში პირველ დასახლებულ პუნქტს იღებენ; რუსეთის ჯარი აღმოსავლეთ პრუსიაში იჭრება (17 აგვისტო);

რუსეთის ჯარი გალიციაში იჭრება (18 აგვისტო);

ავსტრიელები სერბეთში მარცხდებიან; გერმანელები ბრიუსელს იღებენ; აღმოსავლეთ ფრონტზე გერმანია რუსეთთან პირველ შეტაკებაში მარცხდება (20 აგვისტო);

მონსთან გერმანელების პირველი არმიისა და ინგლისელთა საექსპედიციო ძალების ბრძოლა იმართება (23 აგვისტო);

აღმოსავლეთ ფრონტზე „ტანენბერგის ბრძოლაში“ გერმანელები რუსებს სასტიკად ამარცხებენ (26-30 აგვისტო);

ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი თანხმდებიან, რომ ომს გააგრძელებენ და სეპარატულ ზავს არ დადებენ (5 სექტემბერი);

მარნეს ბრძოლის შედეგად პარიზთან მისული გერმანელები უკან იხევენ (5-12 სექტემბერი);
თურქეთი სრუტეებს ხურავს (27 სექტემბერი);
„გობენი“ და „ბრესლაუ“ ყირიმის სანაპიროს ბომბავენ და ამით თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ ომში ითრევენ (28 ოქტომბერი);
იპრის პირველი ბრძოლა (19 ოქტომბერი-22 ნოემბერი);
კონრადი რუსეთის ჯარის შეტევას იგერიებს (3 დეკემბერი);

1915

ფრენჩი გერმანელებს არტუასთან წარუმატებლად უტევს (10 მარტი);
ინგლისურ-ფრანგული ფლოტი დარდანელზე ლაშქრობას იწყებს (18 მარტი);
ფრენჩი გერმანელების წინააღმდეგ უშედეგო შეტევაზე გადადის; ფრანგები და ინგლისელები სრუტეებზე ასევე უშედეგო შეტევას ახორციელებენ (25 აპრილი);
იტალია ანტანტასთან შეთანხმებას აფორმებს, რომლის მიხედვითაც იგი ომში ერთი თვის განმავლობაში უნდა ჩაერთოს (26 აპრილი);
გერმანია და ავსტრია-უნგრეთი რუსეთს გალიციაში წარმატებულად უტევენ (2 მაისი);
გერმანელებმა ინგლისური ხომალდი „ლუსიტანია“ ჩაძირეს (7 მაისი);
ჟოფრი გერმანელებს წარუმატებლად უტევს (9 მაისი);
იტალია ავსტრია-უნგრეთს ომს უცხადებს (23 მაისი);
გერმანელები ლემბერში (ლვოვში) შედიან და რუსეთს გალიციიდან აძევებენ (22 ივნისი);
პოლონეთზე გერმანელთა შეტევა იწყება (12 ივლისი);
გერმანელები ვარშავას იღებენ (5 აგვისტო);
გერმანელები ფრანგების შეტევას იგერიებენ (25 სექტემბერი);
ინგლისელები და ფრანგები სალონიკაში სხდებიან (5 ოქტომბერი);
ბულგარეთი სერბეთს ომს უცხადებს (11 ოქტომბერი);

1916

იწყება ვერდენის ბრძოლა (21 თებერვალი);
რუსები ვილნოსთან მარცხდებიან (18 მარტი);
ნიველი ვერდენთან შეტევას ახორციელებს და მარცხდება (22 მაისი);
გერმანიასა და ინგლისს შორის იუტლანდიის საზღვაო ბრძოლა უშედეგოდ სრულდება (31 მაისი);
იწყება სომას ბრძოლა (1 ივლისი);
რუმინეთი ომში ანტანტას მხარეს ერთვება (27 აგვისტო);
გერმანიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელებად ჰინდენბურგი და ლუდენდორფი ინიშნებიან (29 აგვისტო);

ინგლისი სომასთან ტანკებს იყენებს (15 სექტემბერი);
ფრანც-იოზეფის გარდაცვალება (21 ნოემბერი);
გერმანელები ბუქარესტს იღებენ (6 დეკემბერი);
ჟოფრს თანამდებობაზე ნიველი ცვლის (27 დეკემბერი);
რასპუტინის მკვლელობა (30 დეკემბერი)

1917

გერმანია წყალქვეშა ომის განახლების გადაწყვეტილებას იღებს (
იანვარი);
გერმანია წყალქვეშა ომს ანახლებს (1 თებერვალი);
ნიკოლოზი პრემიერ-მინისტრს დუმას დათხოვნის ბრძანებას
უტოვებს (7 მარტი);
პეტროგრადში დემონსტრაციები იწყება (8 მარტი);
დუმა დროებით მთავრობას ირჩევს (14 მარტი);
ნიკოლოზის გადადგომა (15 მარტი);
ამერიკა ომში ანტანტას მხარეს ერთვება (6 აპრილი);
ნიველი ენასთან წარუმატებელ შეტევას იწყებს; პეტროგრადში
ლენინი ჩადის (16 აპრილი);
ნიველი შეტევის შეჩერების ბრძანებას იღებს (25 აპრილი);
გერმანელები ჰოფმანის მეთაურობით რუსეთს წარმატებულად უტე-
ვენ; პეტროგრადში ბოლშევიკთა პუჩი მარცხდება (19 ივლისი);
იწყება იპრის მესამე ბრძოლა (31 ივლისი);
ტროცკი პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე ხდება (8 ოქტომბერი);
გერმანელები და ავსტრიელები იტალიას წარმატებულად უტევენ
(24 ოქტომბერი);
რუსეთში ბოლშევიკები გადატრიალებას ახდენენ (7 ნოემბერი);
იპრის მესამე ბრძოლა სრულდება (10 ნოემბერი);
საფრანგეთის პრემიერ-მინისტრად ჟორჟ კლემანსო ინიშნება (16
ნოემბერი);
რუსეთი გერმანიასთან მოლაპარაკებებს იწყებს (3 დეკემბერი);

1918

უილსონი კონგრესში 14 პუნქტს ახმოვანებს (8 იანვარი);
რუსეთსა და გერმანიას შორის ფორმდება ბრესტის ზავი (3 მარტი);
მურმანსკში ინგლისელები და ფრანგები სხდებიან (9 მარტი);
გერმანელები პიკარდიასთან შეტევას იწყებენ (21 მარტი);
გერმანელები ახალ შეტევას იწყებენ (9 აპრილი);
ფოში მოკავშირეთა მთავარსარდლად ინიშნება (14 აპრილი);
გერმანელები ამიენს უშედეგოდ უტევენ (24 აპრილი);
გერმანია რუმინეთთან ზავს დებს (7 მაისი);
გერმანელები ენასთან შეტევას იწყებენ (27 მაისი);

ფრანგები ენასთან კონტრშეტევაზე გადადიან (11 ივნისი);
საბერძნეთი ომში ანტანტას მხარეს ერთვება (30 ივნისი);
ბოლშევიკები ნიკოლოზსა და მის ოჯახს ხვრეტენ (16 ივლისი);
ავსტრალიელები და ახალზელანდიელები გერმანელებს უკან დახევას აიძულებენ (8 აგვისტო);
ბულგარელები დაზავებას თხოულობენ (25 სექტემბერი);
ვილჰელმი საპარლამენტო მთავრობის შექმნის ბრანებას აწერს ხელს (27 სექტემბერი);
მოკავშირეები დამასკოს იღებენ (1 ოქტომბერი);
გერმანია 14 პუნქტს უპირობოდ თანხმდება (20 ოქტომბერი);
ლუდენდორფის გადადგომა (26 ოქტომბერი);
თურქეთი მოკავშირეებს ნებდება (30 ოქტომბერი);
ავსტრია-უნგრეთი მოკავშირეებს ნებდება (3 ნოემბერი);
გერმანია დაზავებას ანერს ხელს (11 ნოემბერი)

1919

„დიდი ათეულის" პირველი შეკრება (12 იანვარი);
პარიზის სამშვიდობო კონფერენცია ფორმალურად იხსნება ვერსალის სასახლეში (18 იანვარი);
იქმნება ერთა ლიგაზე სამუშაო სპეციალური კომისია (25 იანვარი);
უილსონი ბოსტონში ერთა ლიგაზე საუბრობს (24 თებერვალი);
უილსონი პარიზში ბრუნდება (14 მარტი);
ერთა ლიგის ქარტიის მიღება კონფერენციის მიერ (28 აპრილი);
გერმანელებისთვის სამშვიდობო ხელშეკრულების გადაცემა (7 მაისი);
ქემალი სამსუნში ჯარის აკრებას იწყებს (19 მაისი);
გერმანელებისთვის განახლებული სამშვიდობო ხელშეკრულების გადაცემა (16 ივნისი);
ხელი ეწერება ვერსალის ზავს (28 ივნისი);
ავსტრია მოკავშირეებთან სენ ჟერმენში სამშვიდობო ხელშეკრულებას აფორმებს (10 სექტემბერი);

1920

უნგრეთთან ტრიანონში სამშვიდობო ხელშეკრულება ფორმდება (4 ივნისი);
იტალია იუგოსლავიასთან საზღვრებს ათანხმებს (12 ნოემბერი).

თორნიკე შარაშენიძე ამჟამად GIPA-ს (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი) პროფესორი და საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრატურის ხელმძღვანელია. მუშაობდა გაზეთ „რეზონანსისა“ და „24 საათის“ საერთაშორისო ეკონომიკისა და პოლიტიკის მიმომხილველად (1996-2002), ეროვნული უშიშროების საბჭოს ანალიტიკოსად (2003-2004), პრემიერ-მინისტრის თანაშემწედ საგარეო პოლიტიკის საკითხებში (2005), საქართველოში ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორად (2006), საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრის მკვლევრად (2007).

„გარდა იმისა, რომ თორნიკე შარაშენიძე გამაოგნებლად საინტერესოდ გვიყვება პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებულ ამბებს (რომელიც მისი წინა წიგნის, „XIX საუკუნის დიპლომატიის ისტორიის“ ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩავთვალოთ, სადაც თხრობა ოტო ფონ ბისმარკის პროვიდენციალურ-ფატალისტური წინასწარმეტყველებით სრულდება), ეს ახალი წიგნი დღევანდელ აქტუალურ პრობლემებზეც გვაფიქრებს ძალაუნებურად; რადგან ევროპის ძველი და თითქოსდა მივიწყებული დრამები მოულოდნელად ახალ ევროპაშიც, ან უშუალოდ ევროპის მოსაზღვრე ანაქრონისტულ, ისტორიის შემაფერხებელ რეჟიმებშიც იჩენენ ხოლმე თავს. ესაა ღრმა და, რაც მთავარია, ნიჭიერად დაწერილი ისტორიულ-ანალიტიკური ნაშრომი, რომლის წაკითხვის შემდეგაც უამრავ მნიშვნელოვან, დამაფიქრებელ და პარადოქსულ დეტალს შეიტყობთ 100 წლის წინანდელი ევროპის შესახებ“.

ლაშა ბულაძე

12-90

ISBN 978-9941-23-457-6
9 789941 234576

facebook.com/bakursulakauripublishing